

ეძღვნება საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნას



რეპრესირებულთა ჩანაწერები

თბილისი 2020

UDC 321.64 (479.22)

შემდგენელ-რედაქტორი  
ქეთევან ტომარაძე

ტექნიკური უზრუნველყოფა  
შალვა პაპალაშვილი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა

© ქეთევან ტომარაძე, 2020

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2020

ISBN 978-9941-9640-7-7

## სარჩევი

ის ავტოდითი წლები – ქეთევან ტომარაძე	7
ამბავი მეორედ გადასახლებისა – ბარბალე (ბაბო) დადიანი	19
ერთი კაცის ნაამბობი – ნიკოლოზ (კოკოშა) ჩხატარაიშვილი	33
გეგმიური მეორედ მოსვლა – ქეთევან (ჩიტო) კალანდაძე	121
ქართული სული ყაზახეთის უდაბნოში – ბარამ ბარამიძე	133
რაც არასოდეს დამავიწყდება – გულნაზი (გუქა) გორგილაძე	149
ყაზახეთის მშიერ სტეპებში – ვანო ვარაზაშვილი	167
ბავშვობის სამი წელი ყიზილყუმში – დათო თაყაიშვილი	175
ყიზილყუმის ფოტოექრონიკა	177



## ის ავტედითი წლები

1951-1955

1951 წლის ბოლოს საქართველოში განხორციელებული რეპრესიების ანატომიას საგულისხმო შტრიხებს მატებს წინამდებარე კრებულში თავმოყრილი უდანაშაულო მსხვერპლთა მოგონებები. მკითხველს გულგრილს ვერ დატოვებს შვიდი ქართველი რეპრესირებულის გულწრფელი ნაამბობი, გადასახლებისა და ყაზახური ცხოვრების სულისშემძვრელი ამბები. თითოეულის მოგონება ჩვენი ისტორიის დრამატულ ფურცლებთან ერთად, იმ მნერლებსაც შეგვახსენებს, გულაგის საშინელებები რომ გამოიარეს და კაცობრიობა ავტორიტარული რეჟიმის არაადამიანური სისასტიკის თვალუწვდენელ უფსკრულში ჩაახედეს.

გულაგის ბრწყინვალე მემატიანე, ნობელის პრემიის ლაურეატი ალექსანდრე სოლუენიცინი, ასე ოსტატურად რომ აღნერა რეპრესირებულთა თავგადასავალი, „არქიპელაგ გულაგის“ შესავალ წერილში გვაუწყებს, რომ დასახელებული წიგნისთვის მასალები – ისტორიების, მოგონებების, წერილების სახით, მისთვის გულაგის 227 ტუსალს მიუწოდებია. იმ ადამიანთა გვარები, ფაქტობრივად, მნერლის თანაავტორებად რომ იქცნენ, ალექსანდრე სოლუენიცინმა წიგნის წინასიტყვაობაში შეიტანა მადლიერების ნიშნად.

დროის სწრაფ ცვალებადობასთან ერთად, დგება მომენტები, როდესაც საზოგადოებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცალკეულ პირთა დანატოვარი – დლიურები, ჩანაწერები, ესკიზები, წერილები, ქაღალდზე აღბეჭდილი მცირე ყოფითი დეტალებიც კი.

ადამიანის თავისუფლების ხელყოფის, სისასტიკისა და სამართლიანობის უგულებელყოფის ფაქტებზე მოგვითხრობს ბავშვობაში, ოჯახთან ერთად, ყაზახეთში გა-

დასახლებული – ამჟამად ცნობილი მეცნიერი, კოსმოსური მედიცინის სპეციალისტი, აკადემიკოსი გივი გორგილაძე თავის სტატიაში – „კავკასიის რეპრესირებული ხალხები.“

„1951 წლის 24 დეკემბრის ღამის სამი საათია. ფანჯარაზე დააკავუნეს: ქეთევან კალანდაძე! ქეთევან კალანდაძე! – გაიძახიან დედაქმის სახელსა და გვარს. კარგა ხანია, ის ამ კავუნს ელოდა. ელოდა მას მერე, რაც 24 წლის ყმანვილ ქალს ქმარი სამუდამოდ წაართვეს და „ხალხის მტრის ცოლად“ გამოაცხადეს, მისი შვილები კი „ხალხის მტრის შვილებად“ მონათლეს.“

დიდ ადამიანურ დრამად, რეალობის მხატვრულ განზოგადებად მოიაზრება სტატიის შემდეგი ამონარიდი: „ჩვენ სატვირთო მანქანაზე ავედით. ხალხით გაჭედილი ასეთივე სატვირთო მანქანები მეზობელი ქუჩებიდან ადგილს წყდებოდნენ, ერთ გრძელ კოლონად მწკრივდებოდნენ და გეზს რკინიგზის ვაგზლისკენ იღებდნენ. თვალწინ ნაცნობმა სახეებმა გაიელვა. ჩვენ წინ მიმავალი მანქანის ძარაზე, ღარიბულ ბარგი-ბარხანაზე შემომჯდარი, მარტოხელა, სრულიად ბრმა, ცისკენ ხელებაპყრობილი, ღრმად მოხუცებული ქალი შევნიშნე. ნეტა, ლოცულობდა თუ გამჩენს წყევლიდა?“...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გივი გორგილაძის ეს მოგონება, ქართველ რეპრესირებულთა პირველი თამამი, ხმამაღლალი შეძახილი აღმოჩნდა, – რეჟიმის უზნეობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის ერთგვარი ფორმა.

1951 წლის შობის წინა ღამეს, ათასობით უდანაშაულო ქართველი, საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებული უპანონო და უზნეო რეპრესიების უსუსურ მსხვერპლად იქცა. სხვადასხვა კატეგორიის „პოლიტიკურ დამნაშავეთა“ მუდმივ გადასახლებაში გამწერების თაობაზე დადგენილების შესრულება, როსტოკიდან ჩამოყვანილი „ჩეკისტების“ საჯარისო ნაწილებსა და შინსახკომის თანამშრომლებს დაევალათ. ბარგის შესაკრავად ოჯახებს ორი საათი მისცეს, მერე კი, ამ საქმისთვის მობილიზებული სატვირთო მანქანებით ნავთლულში, რკინიგზის ვაგზლის შესაკრებ პუნქტში

მიიყვანეს და სასოწარკვეთილი ხალხი, საქონლის გადასაყვანი ვაგონებით, შორეული ყაზახეთის „მშიერი სტეპების“ გზას გაუყენეს.

სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისთვის განხორციელებული მსხვერპლშენირვის ამ ბარბაროსული აქტით, სამხრეთ ყაზახეთის ტრამალებზე პატარ-პატარა ქართული ოაზისები გაჩნდა: ყანჩელებით, ვარაზაშვილებით, ბარამიძებით, ძელაძეებით, ჯავახიშვილებით, თაყაიშვილებით, გორგილაძეებით, კალანდაძეებით, ჩხატარაიშვილებითა და სხვათა და სხვათა – ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებით და-სახლებული უკაცრიელი ტერიტორიები, სადაც პირველყოფილ პირობებში, ფაქტობრივად, ნულიდან უნდა დაეწყოთ ცხოვრება ოჯახებს, სხეულ, დავრდომილ მოხუცებს, ბავშვებს, მოზარდებს, ახალგაზრდებს, ორსულ ქალებს...

მეორე მსოფლიო ომში, პროცენტული გაანგარიშებით, საქართველომ ყველაზე მეტი მეომარი დაკარგა. ომის დამთავრების შემდეგ ქვეყნის მოსახლეობას ძალები უნდა მოეკრიბა, დემოგრაფიასა და სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრაზე ეზრუნა და ომგადახდილი სახელმწიფოს საძირკველი გაემყარებინა. ნაცვლად ამისა, ათასობით ადამიანი, მათ შორის ქვეყნის ინტელექტუალური ელიტა, ბრალდების წაუყენებლად სამხრეთ ყაზახეთში აღმოჩნდა. ეკონომიკურად დაუძლურებული რესპუბლიკების მოლონიერებას, სსრკ-ს მონოლითურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, საბჭოთა ხელმძღვანელობის აზრით, საზოგადოების „იდეოლოგიური გაჯანსაღება“ სჭირდებოდა. სწორედ ამ მიზნით, ისინი აღვირასხსნილობისა და რევოლუციური ბრძოლების ნაცად გზას დაადგნენ. საქართველოს ისტორიის ეს სამარცხვინო, ბოლომდე შეუცნობი ფურცლები, ათასგვარ ინტერპრეტაციას რომ ბადებს, ჯერ კიდევ ელის პირუთვნელ შემფასებელს.

1951 წელს გადასახლებულთა შორის იყვნენ სამხედრო ტყვეები, პარტიზანები, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეები. რეპრესიის მსხვერპლთა შორის აღმოჩნდნენ ისინიც, ვინც ოცდაათიან წლებში უკვე გამოიარა გუ-

ლაგის ჯოჯოხეთი და სასჯელი სრულად მოიხადა. რეპრე-სიებს დაექვემდებარნენ ოჯახები, რომელთა ნათესავებმაც გასაბჭოების შემდეგ ქვეყანა დატოვეს და საზღვარგარეთ გადაიხვეწნენ. ყაზახთში გადასახლებულთა დიდი უმ-რავლესობა, ისინი, ვინც ხელისუფლების მიერ სისტემის შენარჩუნებისთვის ბრძოლასა და შიდა პარტიულ დაპირის-პირებას ემსხვერპლა, ე.წ. „უდანაშაულო მსხვერპლთა“ კა-ტეგორიას განეკუთვნებოდა.

თადარიგის პოლკოვნიკის, გელა სულაძის მონოგრაფია: „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“, ერთ-ერთი პირველი წარმატებული ცდაა, მთლიანობაში დაანახოს საზოგადოებას ქართული ემიგრაციის ანტისა-ბჭოთა მოღვაწეობა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მათი მხრიდან მოსალოდნელი დივერსიის წინააღმდეგ გატარე-ბული ღონისძიებები. გ. სულაძის დასახელებული მონოგრა-ფიის მე-11 თავში წარმოდგენილი დოკუმენტები 1951 წელს დაწყებული რეპრესიების უსამართლობას ხდის ფარდას.

„დიადი ეპოქის“ დასასრულის დასაწყისის საანალიზოდ და გადასახლების ინსპირატორთა წარმოსაჩენად, წიგნის ავტორმა რესპუბლიკის იმდროინდელი ხელმძღვანელის, კანდიდ ჩარკვიანის სტალინისადმი მიწერილი წერილი მოიშველია, საიდანაც ირკვევა, რომ „საქართველოდან სპე-ცგადასახლებულ იქნა 2 581 ოჯახი, 11 458 სულის შემადგენ-ლობით“. შემდეგ მან კრემლის ბინადართა მიერ ძალაუფლე-ბისთვის ბრძოლის პერიპეტიიები აღწერა და გამოაქვეყნა დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ სტალინის გარდაცვა-ლების შემდეგ გაუქმდა ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ ტე-რიტორიიდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ“, როგორც დაუსაბუთებელი და არასწორი, რამაც შეცდომა-ში შეიყვანა სსრკ მინისტრთა საბჭო. აღნიშნულ დოკუმენ-ტზე დაყრდნობით, ყველა უკანონოდ გადასახლებული მო-ქალაქის ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება, ხოლო წართმეული ქონების რეალური მფლობელებისთვის მიკუთვნება იყო ნაბრძანები.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებული „წმენდის“ წარმოსაჩენად გამოქვეყნებულ მასალებში, ასევე ხშირად ფიგურირებს ი. სტალინის, ლ. ბერიას, ნ. ხრუშჩოვის, ნ. რუხაძის, ა. რაფავას, ვ. შონიასა და სხვათა სახელები. რეპრესიების კონტექსტში ნახსენები დღემდე ბუნდოვანებით მოცული „მეგრელთა საქმეც“. ჩამონათვალში მოხმობილი ზოგიერთი სახელი კრებულის ავტორთა მოგონებებშიც გაიღვევებს და ხაზს უსვამს ჯალათების მზაკვრულ ბუნებას – ბოროტებას, უზნეობას, დაუსაბუთებელი დადგენილებებისადმი უსიტყვო მორჩილებასა და დანაშაულებრივ გულგრილობას.

დღემდე საზოგადოების ცხოველ ცნობისწადილს იწვევს დამოუკიდებელ საქართველოში ბოლშევიკების შემოქრისა და ქართული არისტოკრატიის უცხოეთში გადახვეწის ქრონიკა. საბჭოთა რეჟიმის პირობებში ამაზე ძალზე ვიწრო წრეში, ისიც მხოლოდ ჩურჩულით თუ ლაპარაკობდნენ. მასალების გამოქვეყნებაზე კი ოცნებასაც ვერ ბედავდნენ. კარგა ხანს, მხოლოდ კანტი-კუნტად გამომავალი დისიდენტური უურნალ-გაზეთები თუ აძლევდნენ თავს ასეთი სითამამის უფლებას.

წარმოადგენდა თუ არა, საბჭოთა ხელისუფლებისთვის მართლაც რეალურ საშიშროებას, საქართველოს მხსნელ ძალას ქართული ემიგრაცია? ამ კითხვაზე მწყობრ პასუხს, უცხოეთში ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის, სპირიდონ კედიას მეგობრის, „ეროვნულ ბარძიმს ხარბად დაწაფებული“ მოღვაწის, ალექსანდრე ცომაიას (1907-1956) ერთი წერილი – „სადღეისო საკითხი“ – გვაწვდის. აი, რას წერს დასავლეთში გადახვეწილი, დღე და ღამ სამშობლოზე მოფიქრალი მამულიშვილი, ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მეხოტბე და ერთგული თანამოაზრე ალექსანდრე ცომაია: „უთუოდ ისეთ ქართველს ვერ იპოვით და ისიც ემიგრაციაში, რომელსაც საქართველოს დასახსნელად რაიმე გეგმა არ ჰქონდეს. შესაძლოა, ჩვენი ტრალედიაც იმაში იყვეს, რომ ყველანი, უფლებისა და შეძლების უკითხავად გეგმებს თხზავენ და ამით ხშირად ხელის შეწყობის

მაგიერ აფერხებენ სხვათა მიერ გონიერად მოსაზრებულ მოქმედებას. მაგრამ უიმედობამ ისეთ პირობებში მოგვა- ქცია, რომ შეუძლებელია ქართველის გონება სამშობლოს არ დასტრიალებდეს. ყველა ჩვენს პირობებში, ნებით თუ უნებლიერ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ჩვენს ნაწამებ ქვეყანაზე ფიქრობს და თუ მის მხსნელად სასწაულს გარდა რეალური ძალის საჭიროებასაც ხედავს, ამ ძალთა შორის უნებურად ქართულ ემიგრაციასაც გულისხმობს. ემიგრაცია საქართველოს მხსნელ გადამწყვეტ ძალად, ვეჭვობ, ვიზმეს მიაჩნდეს. მაგრამ ამ ძალის ძებნაში კი მთავარი როლი მას ეკუთვნის და ემიგრაციის დაწინულებაც ეს არის“...

საბჭოთა ხელისუფლების მიერ არერთხელ რეპრესი- რებული, ქართველ თავადაზნაურთა წინამდლოლის, ნიკო დადიანის ერთ დროს უმდიდრესი ქალიშვილი, წარმატებუ- ლი მეწარმის მეუღლე, უმშვენიერესი ქალბატონი ბაბო და- დიანი დიდხანს შვილებსა და შვილიშვილებსაც უმაღლავდა, რაოდენ ძვირფას სულიერ მემკვიდრეობას უტოვებდა მათ – „მოგონებათა დღიურს“, რომელშიც მისი ცხოვრების დრა- მატულად განვითარებული მოვლენები ასე მიმზიდველად აისახა. „დღიური“ მხოლოდ ოჯახის წევრების წასაკითხად იყო გამიზნული, თუმც ბაბოს ქალიშვილის, თათული მასხა- რაშვილის ინიციატივით, დედის გარდაცვალების შემდეგ, ნაწერები წიგნად გამოიცა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომ საკითხავად იქცა. ქალბატონ თათულის კეთილი ნებით, წინამდებარე კრებულში ბაბო დადიანის მოგონებებიდან ერთი თავი, 1951-1954 წლის ამბები შევიდა, რომლის გაცნობას დიდი მღელვარება და ადამიანის უშრეტი სულიერი ძალებისადმი აღფრთვანე- ბა ახლავს. მკითხველი უცილობლად მოიხიბლება კრიტი- კულ მომენტებში გამოვლენილი ქართველი ქალის ხასია- თის სიმტკიცით, ადამიანური სახის, პიროვნული ღირსების შენარჩუნების მისაბაძი მაგალითებით.

„რეპრესირებულთა ჩანაწერებით“ საზოგადოება პირ- ველად გაეცნობა თვალსაჩინო ინჟინრის, პროფესორ ნი- კოლოზ ჩხატარაიშვილის მოგონებებს – „ერთი კაცის

ნაამბობი“, რომლის გამოცემაც ავტორს სიცოცხლეში არ დასცალდა.

ჩხატარაიშვილების ოჯახის ნიჭიერად ნაამბობი თავ-გადასავალი მემუარული უანრის მოყვარულებს მშვენიერ წარმოდგენას შეუქმნის მთხოობელის მრავალმხრივ ნიჭია და მწერლურ ალლოზე, იმდროინდელი გარემოსა და რევო-ლუციური ატმოსფეროს ლაკონურად და, იმავდროულად, დამაჯერებლად გადმოცემის უნარზე, ადამიანის სულის ლაბირინთებში წვდომის ოსტატობაზე.

„ერთი კაცის ნაამბობით“ მრავალ საინტერესო პიროვ-ნებასა და ფაქტს გაეცნობა მკითხველი გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების ბათუმის ცხოვრებიდან, საიდანაც, ისტორიული ლოგიკის პრინციპით, ჯაჭვი იმავე ეპოქის ორმოცდაათიან წლებთან იბერძა. მოგონებებში შეხვდებით წილების ცხენოსანთა ჯარის ნაწილის მეთაურს, დიმიტრი ულობას, რომელიც ნიკოლოზ ჩხატარაიშვილის მამამ, იმხა-ნად ბანკის მმართველმა, ევტიხი ჩხატარაიშვილმა ისტუმრა ბათუმის საუკეთესო ინტელიგენციასთან ერთად და „დიდი ქართული სუფრა გაუშალა“. 6. ჩხატარაიშვილის სუფრის გარშემო იმ საღამოს ისხდნენ: გრიგოლ ლალიძე, მემედ-ბეგ აბაშიძე, კაკოლა ბარათაშვილი, ნესტორ ბერიძე, კოხტა მა-ლალაშვილი, პარმენ საბაშვილი და ბევრი სხვა. „ნაამბობის“ ავტორი გულისტკივილით დასძენს, რომ იმხანად ის ძალზე პატარა იყო, ამიტომაც მისთვის მიუწვდომელი და გაუგება-რი აღმოჩნდა „სუფრასთან მყოფთა ლელვა, სამშობლოს ბე-დზე წუხილი და დავა, საოცრად ამაღლებული განწყობა“...

მემუარები შეგვასენებს, რომ სამშობლოს სიყვარუ-ლით გულანთებული, ჭეშმარიტი მამულიშვილები, დიპლო-მატიურმა ხერხმა, ბოლშევკიუბისადმი შემწყნარებლურმა პოლიტიკამ ვერ იხსნა რეპრესიებისგან. ნიკოლოზ ჩხატა-რაიშვილის მიერ დიდი მოწინებით ნახსენები მამის მეგო-ბართა უმეტესობა 1937 წელს დახვრიტეს, ისევე როგორც მისი უაღრესად ნიჭიერი, კაცომიყვარე მამა, რომელმაც სამშობლო ვერ მიატოვა და მტკიცედ გადაწყვიტა, მძიმე ჯვარი მშობლიური მიწა-წყლის აღმართებზე ეტარებინა.

ტყუილად როდი ეუბნებოდა მას ამ გაბედული გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული, იმხანად ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი და პედაგოგი პართენ გოთუა: „ყოჩალ, ევტიხი, შენგან სხვაგვარ საქციელს არც მოველოდიო“ პართენი თავადაც დიდი პატრიოტი იყო და ასეთივე სულისკვეთებით განმსჭვალული შვილი გაზარდა. ლევან გოთუამ, შესანიშნავი ტრილოგიის, „გმირთა ვარამის“ ავტორმა, რეჟიმისადმი შეურიგებლობის გამო, საუკეთესო წლები ციხეებსა და სოლოვეცკისა და ვორკუტის ლაგერებში გაატარა.

„ნამბობის“ ავტორის მიერ სასოებით მოხსენიებულ მამის მეგობრებს შორის გვხვდება გრიგოლ ლალიძეც, ცნობილი ტექნოლოგისა და დიდი ქველმოქმედის, მიტროფანე ლალიძის ძმა, რომლის სახელიც, 1937 წლის სხვა მრავალ მსხვერპლთა მსგავსად, უსამართლოდ არის მივიწყებული. ძალზე მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება იმაზე, თუ ღრმად განათლებული იურისტი, დიდი პატრიოტი, რომელსაც ჩხატარაიშვილების ოჯახში გაშლილ სუფრასთან გვერდს ბრნინვალე თანამოაზრები უმშვენებდნენ, საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი როგორ აღმოჩნდა. ვიცით მხოლოდ ის, რომ უპატრონოდ დარჩენილი გრიგოლის სამი შვილი: თამაზი, ხათუნა და თამუნა ლალიძები, ბიძამ, მიტროფანემ და ახლო ნათესავმა, ვასილ ამაშუკელმა, სახელოვანმა კინოდოკუმენტალისტმა შეიცარეს. კეთილშობილი ადამიანების თანადგომით, წაქცეული ოჯახი ფეხზე დადგა. თამაზ ლალიძემ მიტროფანეს საქმე წარმატებით გააგრძელა, ხათუნამ და თამუნამ კი მკურნალის პროფესია აირჩიეს. გრიგოლის სამივე შვილს ღირსეულ პიროვნებებად იცნობს საზოგადოება....

მკითხველისთვის მრავალ უცნობ ადამიანსა და მათთან დაკავშირებულ ფაქტებს შეგვახსენებს „ერთი კაცის ნაამბობის“ ავტორი, ადამიანი, ვისაც ჯერ მამა დაუხვრიტეს, მერე კი, ღრმად განათლებულ პროფესიონალს, გონიერ და გამოცდილ ინჟინერს, ყაზახეთის ტრამალებში უკრეს თავი. მართლაც რომ, განგების ძალას შეიძლება მივაწეროთ ტაშ-

კენტში, მისი და საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელის, კანდიდ ჩარკვიანის მოულოდნელი შეხვედრა: „არ ვიცი, უხერხულობა იგრძნოთ თუ არა ჩარკვიანმა, ან აღიქვა თუ არა ბედის ირონია“, წერს „ნაამბობის“ ავტორი, „ეს კი თქვა, – ყველაფერი მაშინ ჩემი ნების გარეშე მოხდა, მე მხოლოდ ერთი შევძელი, ექვთიმე თაყაიშვილს ავაცილე გადასახლებაონ“. შეხვედრის ეპიზოდიდან მკითხველი უცილობლად დაინახავს აშკარა სხვაობას შინაგანად თავისუფალ, ლალ, ჭკვიან, სიკეთის ნიჭით მომადლებულ ნათელ პიროვნებასა და პარტიულ ხელმძღვანელს, მაღალ კარიერულ ორბიტაზე, თავისისავე მდგომარეობის ტყვეობაში მყოფ, მონანიე სახელმწიფო მოხელეს შორის...

„რეპრესირებულთა ჩანაწერებში“ მკითხველს სულით ხორცამდე შეძრავს ბარამ ბარამიძის ნაამბობი, რუხაძისა და გოგლიძის მიერ იმ ავტედით ღამით, 8-9 წლის გაქცეული ბავშვის შეპყრობისა და გადასახლებულთა ვაგონში გაოგნებული მამისთვის მიგვრის ამბავი. შემზარავია სისასტიკითა და გადაწყვეტილების სრული აბსურდულობით ფეხმიმექალების, ღრმა მოხუცებისა და სწეულთა ოჯახებიდან საკაცებით გამოყვანა და პირუტყვის გადასაყვან ვაგონებში დაყრა, სადაც, ორკვირიანი მგზავრობისას, ქალთა მშობიარობისა და დაავადებულთა გარდაცვალების ფაქტებმა კიდევ უფრო დაამძიმა, ისედაც გაუბედურებულ ადამიანთა მდგომარეობა.

კრებულს ინფორმაციულად ავსებს და ამდიდრებს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნებული ცნობილი პედიატრის, ქეთევან კალანდაძის ნაამბობი, რომელიც უურნალისტმა მაია თუნგიამ მოამზადა, ხოლო წინამდებარეწინში, ქალბატონი ქეთევანის მცირეოდენი მოგონებები კიდევ უფრო განივრცო და გამოლიანდა.

ქართული სამედიცინო საზოგადოების გამორჩეული სახე, ქეთევან კალანდაძე, რომელსაც მეუღლე 1938 წელს დაუხვრიტეს, 1951 წელს მთელი ოჯახით ყაზახეთში იმის გამო გადასახლეს, რომ მისი ძმა, შალვა კალანდაძე, რო-

დესაც ქეთევანი მხოლოდ 12 წლისა იყო, საზღვარგარეთ წავიდა და იქიდან აღარ დაბრუნებულა. ოჯახმა, კარგა ხანს, არაფერი იცოდა მის შესახებ.

გამოცდილმა პედიატრმა ყაზახეთში, უმძიმეს პირობებში ბევრი ბავშვი იხსნა სიკვდილისგან. ღრმა მოხუცებულობამდე ქეთევან კალანდაძე თავდადებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს, არა მხოლოდ როგორც პულმენოლოგი, უჯრედების დონეზე წვდებოდა ის თითოეული დაავადების საიდუმლოს და ყველა ასაკის პაციენტს წარმატებით მკურნალობდა. სწორედ ასეთ ადამიანებზე იტყვიან, – ექიმად არის დაბადებულიო.

ქეთევან კალანდაძემ სანიმუშო შვილები აღზარდა. არჩეული პროფესიისადმი ერთგულება, ფართე ინტერესები, კაცთმოყვარეობა და ადამიანებისადმი თანადგომის უნარი გივი და გუქა გორგილაძეებს მშობლებისგან გამოჰყვათ.

რეპრესირებულთა მოგონებებს საგულისხმო ინფორმაციით ავსებს გუქა გორგილაძის, ვანო ვარაზაშვილისა და დავით თაყაიშვილის ჩანაწერები.

ვარაზაშვილების დიდი ოჯახიც ვერ გადაურჩა 1951 წლის რეპრესიას. მიხეილ ვარაზაშვილი დედასთან, ძმასთან, შვილთან და მეულლესთან, მარგალიტა ცქიტიშვილთან ერთად ყაზახეთში აღმოჩნდა. შრომისმოყვარე, ნიჭიერი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ოჯახისა და ქვეყნის წინსვლისთვის ბევრი კარგი იდეის განხორციელება რომ განეზრახათ, საყვარელ საქმეს მოწყვიტეს და ყაზახეთის ტრამალებში უკრეს თავი.

მიხეილის მამას, დიდ მეწარმესა და ქველმოქმედს, ვანო ვარაზაშვილს გასული საუკუნის 20-იან წლებში, ირანში რკინიგზის გაყვანა დაევალა. რეპრესიების საფუძვლიანი შიშის გამო, ის სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. იმედოვნებდა, უცხოეთში ცოლ-შვილის გაყვანასაც მოახერხებდა, მაგრამ ამ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა.

ვარაზაშვილების ოჯახმა გადასახლებაში თითქმის ოთხი წელი დაჰყო. თითოეულს წარუშლელ მოგონებად დარჩა ის საშინელი წლები, მაგრამ როდი დანებდნენ, ყაზახეთიდან

დაბრუნებულებმა, ღირსეულად გააგრძელეს ცხოვრება და თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობების რეალიზება კიდევ შესძლეს.

დათო თაყაიშვილი მხოლოდ რვა თვის იყო, როდესაც მშობლებთან ერთად გადაასახლეს. მან სამ წლამდე არ იცოდა, რომ არსებობდა ონკანი, საიდანაც წყალი მოთქრიალებს, ადამიანები მრავალსართულიან სახლებში, ნორმალურ პირობებში ცხოვრობენ და გემრიელ და ჯანსაღ საკვებს იღებენ. მცირე ასაკის მიუხედავად, ყაზახეთში ცხოვრება მას ძალზე შორეულ, მწარე და ბუნდოვან მოგონებად მაინც დარჩა....

გადასახლებაში მყოფთა მიერ ცრემლით ნაწერი სტრიქონები მკითხველში უზომო თანაგრძნობის განცდას ბადებს. რეპრესირებულთა ნაამბობზე მუშაობას, „გოლგოთის მთას“ შემდგარ ადამიანთა მიმართ ტკივილიანი სოლიდარობის განცდა ახლდა. თუმც მოგონებების ავტორთა პიროვნულმა ხიბლმა, სიცოცხლის დაუშრეტელმა წყურვილმა, თითოეულის საოცარმა ოპტიმიზმმა მხნეობა შემმატა და შემაძლებინა მათი გასაოცარი ნაამბობი ერთ წიგნად შემეცრა და ამ ფორმით, გასულ საუკუნეში საბჭოთა რეჟიმის მიერ ჩადენილ, მიუტევებელ და უგუნურ დანაშაულთა ფაქტები, კიდევ ერთხელ, საზოგადოების უმკაცრეს სამსჯავროზე გამომეტანა.

**ქეთევან ტომარაძე**



### **ბარბალე (ბაბო) დადიანი**

1903. 24. 09 – დაიბადა სოფელ ბანძაში, ქართველ თავადაზნაურთა წინამძღვრის ნიკოლოზ (კოკი) დადიანის ოჯახში.

1920 – დაამთავრა წმ. ნინოს სახელობის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი.

1921 – ცოლად გაჰყვა ჭიათურის მარგანეცის საბადოების თანამფლობელს, ალექსანდრე (ალიოშა) მასხარაშვილს.

1924 – დააპატიმრეს და გადაასახლეს ალექსანდრე მასხარაშვილი.

1932 – ბაბო შვილებთან ერთად გადაასახლეს სარატოვში.

1937 – დააპატიმრეს, ხოლო 1938 წელს დახვრიტეს ბაბოს მეუღლე, ალექსანდრე მასხარაშვილი.

1951-1954 – შვილებთან ერთად იმყოფებოდა გადასახლებაში, ყაზახეთში.

1955 – მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ბაბო დადიანი გარდაიცვალა 1999 წლის 19 ოქტომბერს.

დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე.

## ამბავი მეორედ გადასახლებისა

1951 წელია. უსათუოდ უნდა წავიდე ნიკო ბერძენიშვილის ძმის დაკრძალვაზე, ინსტიტუტიდან ბევრნი მივდივართ. პურის ფული არა მაქვს, თუმც სადილი მოვაზადე ... სამსახურში ძალზე მიმძიმს ვინმესგან ფულის სესხება. მხოლოდ ჩვენს მოლარეს, კეთილ ქსენია ბოგდანოვას თუ ვთხოვ. თუმც ფულის მოცემისას ის მუდამ ნაღვლიანად მეუბნება: თავს გვიგვინდება არც ნინო პორფირეს ასულ ბარათაშვილთან მიძნელდება ფულზე მისვლა. ის ნამდვილი არის ტოკრატია. მისი მშობლები ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში, ალაყაფის კარიდან ხელმარჯვნივ, კიბეების წინ ასაფლავია. საფლავზე დიდი ძეგლია აღმართული. აქ მისი ოჯახის წევრები განისვენებენ. ნინო ბარათაშვილი ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს. მას ვესესხე 30 კაპიკი, გავიქეცი, ავილე პური და დავუტოვე ჩემს შვილებს... სახლიდან რომ გამოვედი, მესმის, ჩემი სადარბაზოდან მეძახიან. ნატო ვაჩინაძემ და კოლია შენგელაიამ გასვენებაზე მივდივართო, მითხრეს. ერთად წავედით. საოცრად კარგ გუნებაზე ვიყავით. სამივე ვიცინოდით, ვხუმრობდით. მე კიდევაც ვუთხარი: ჩვენ გასვენებაში მივდივართ თუ ქორწილში-მეთქი. სახლში ბევრი საქმე მქონდა – სარეცხის გარეცხვას ვაპირებდი. თათულიმ დამიშალა, ახლა დაღლილი ხარ, ხვალ გააკეთეო, მითხრა. თათული მეცადინეობდა, 29-ში გამოცდა ჰქონდა, საკანდიდატო მინიმუმს აპარებდა მარქსიზმ-ლენინიზმში. წიგნები და კონსპექტები მაგიდაზე ჰქონდა გაშლილი. სუსტად იყო, ახალი გადატანილი ჰქონდა ფილტვების ანთება და შედარებით ადრე დაწოლა გადავწყვიტეთ. ამ დროს, კიბეზე ვიღაცის ფეხის ხმა გვესმის. ვხედავთ, მედეა ჯაფარიძესა და რეზო თაბუკაშვილს, პატარა ლაშიკოთი. თათულის უსაყვედურეს: – ვერ იქნა და ვერ მოხვედი ლაშას სანახავად და აი, ჩვენ მოგიყვანეთო (იქვე

ცხოვრობდნენ კიროვის, ამჟამად ლეონიძის ქუჩაზე). ერთობ გავიხარეთ, მაგრამ დიდხანს არ გაჩერებულან. გაგვამხიარულეს და წავიდნენ... .

(შემდგომ, როცა სამხრეთ ყაზახეთში გადასახლებულები, ჩვენს საცხოვრებელ მიწურში აქედან ნაჩქარევად ჩალაგებულ ბარგს ვხსნიდით, ნივთებს შორის პატარა ლაშიკოს ცალი წინდა აღმოჩნდა. ამან ყველას გული აგვიჩუყა).

ჩაძინებულები ვიყავით, კარებზე კაცუნი რომ გაისმა. ეს იყო 25 დეკემბერი, 1951 წელი, დამის სამი საათი.

გავალეთ კარი, შემოცვივდა სამი კაცი: ჩეკისტები და რამდენიმე სამხედრო. გიორგის მივარდნენ ლოგინთან და ხელები გადაუგრიხეს. ვიფიქრე, ალბათ ბავშვმა რამე დააშავა და გამწარებული ვეუბნები: „გიორგი, რა თქვი?“ გიორგი ყველაფერს მიხვდა, ჩვენც...

რუსმა სამხედრომ საათს დახედა: „ერთ საათს გაძლევთ მოსამზადებლად“, გვითხრა და მერე ჩემოდანს მივარდა, სადაც ზემოდან ის ხანჯალი მედო, ჩემმა ძმებმა, ბონდომ და დიმამ შემთხვევით რომ ნახეს საკომისიო მაღაზიაში, ნასესხები ფულით შეიძინეს და მე მომაპარეს. ხანჯალი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ბაბუის, გიორგი შარვაშიძის ნაქონი გახლდათ და თავისთავადაც საკმაოდ დიდად ლირებული... ამოილო ხანჯალი ამ რუსმა: „Это нельзя вам братъ“ და წაგვართვა. ქართველები უფრო ლმობიერად გვექცეოდნენ. ერთმა მუხლებზე დაირტყა ხელი და თქვა: „ეს რა ოჯახი ავანიოვეთ“. მერე მე მომმართა: „დამშვიდდით (მე რაც შეიძლება თავშეკავებული ვიყავი), იცოდეთ, თქვენისთანა 500 ოჯახზე მეტი დაგხვდებათ ნავთლულში“. ეს რა ნუგეშია, ნეტა მარტო ვიყო და ამდენი აწიოვებული ქართული ოჯახი არ მანახა. ისინი გვეხმარებოდნენ, რომ ის მაინც ჩაგვეწყო, რისი წალების უფლებაც გვქონდა და ბარგი გაგვეკრა. მე, სასოებით, ჩემი ხატები გავახვიე სუფთა ბალიშის პირებში. გიორგიმ: დედა, შენ ვერ გადაიტან ეს სურათები რომ დაკარგოო, წამოიძახა, მერე უცებ გადააძრო ლეიბს პირი და მთელი ფოტოსურათები შიგ ჩაყარა. ერთმა ჩეკისტმა გიორგის ლიდიკოზე უთხრა: ეს თქვენი შვილი არ არის და დავუბ-

რუნოთ მშობლებსო. გიორგიმ უპასუხა, ბავშვს ვკითხოთო. მაგრამ ლიდიკომ ჩვენთან ყოფნა არჩია, შემომეხვია და, მე თქვენთან წამოვალო, მითხრა...

ბინიდან ჩვენი გაყვანა რომ დაიწყო, თათულიზე შევე-ვედრე: „ფილტვების ანთებით წევს და დატოვეთ“... მაგრამ არაფერმა გაჭრა. ჩაიტანეს ბარგი-ბარხანა, ქვეშაგები, რისი წალების უფლებაც მოგვცეს.

მეზობლებიდან არავინ მოგვაკარეს. ჩვენ ქვემოთ ცხოვრობდა კეთილი და კარგი ოჯახი ჩვენი სოფლიდან, რაუდენ ესებუა (თათული დოლიძის ბაბუა), ჩვენი ახლო მეგობარი. ისინი აუცილებლად გამოვიდოდნენ ჩვენს დასამშვიდობებლად, მაგრამ ისე წაგვიყვანეს, მათ ვერ გაიგეს. თათული დოლიძე ცისანა ესებუას ქალიშვილია. ცისანა მას მერე გათხოვდა, რაც ჩვენ გადაგვასახლეს და ჩემი თათულის მოსაგონრად დაარქვა შვილს „თათული“.

ერთი ოჯახი, გრიგორიანები, რომლებიც ამავე ეზოში ცხოვრობდნენ, გამოცვიდნენ და მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, სიახლოვეს არ გამკარებოდნენ, მომვარდა ქალი, შემომეხვია და ფულის მოცემა მოინდოდა. მე სასტიკ უარზე ვიყავი, მაგრამ ამ სომხის ქალმა, თვალცრემლიანმა, ძალით ჩამიკუჭა ჯიბეში ფული. მისი შვილი გარუშა, პატარა ბიჭუნა, მანქანას მივარდა და გვკითხა: „ვის შევატყობინოთ?“ ვთხოვე: „წადი გრიბოედოვის ქ. №24-ში, ჩემი მული ცხოვრობს და ჩუმად უთხარი თინას, ოღონდ ჩუმად... ვინაიდან მისი დედა მძიმე ავადმყოფია. ცოდოა, ვინ იცის, მასზე ეს როგორ იმოქმედებს“...

სიტყა არ მქონდა დასრულებული, რომ მკაცრი შეძახილი გაისმა: „Скороee, скороee!“

ჩაგვყარეს საბარგო მანქანაში და წაგვიყვანეს ნავთლულის სადგურში. იქ რომ მივედით, უკვე დილის ექვსი საათი სრულდებოდა. თენდებოდა. შემზარავი სანახაობა დაგვხდა. უამრავი საბარგო მანქანა გაჩერდა და ვიღაცის ძახილი შემომესმა: „ბაბოშკა, ისევ შენ?“ (ეს ჩემი მეორე გადასახლება იყო. პირველად რუსეთში, ვოლგისპირეთში გამასახლეს). ეს ექიმი დათიკო თევზაძე იყო, მთელი ოჯახით. სადგურზე

ორი ეშელონი იდგა ერთმანეთის პირისპირ. ორივე ეშელონი საკმაოდ გრძელი შემადგენლობის იყო (მგონი 60 ვაგონი). შეგვყარეს და რას ვხედავ, პირუტყვის გადასაზიდი ვაგონებია. საწოლებად „ნარებია“ გაწყობილი. ტირილი, ტირილი, ყვირილი... უამრავი ხალხი მოგროვდა, მაგრამ მატარებელთან ახლოს არავის უშვებდნენ.

ჩვენი მატარებელი მე-8 პოლკის ჯარისკაცებმა მოაქციეს ალყაში. ეტყობოდა ამ ჯარისკაცებს შევეცოდეთ და ვინც თავისიანების მოსახებნად მოვიდა, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ, ეუბნებოდნენ: „გაარღვიეთ წრე, მიდით, გადაეცით“.

ეშელონი ნავთლულის სადგურიდან მოშორებით, ჩიხში იდგა – ზემოთ, კახეთის გზატკეცილზე აუარებელი ხალხი იყო მოგროვილი. იძახდენ, ყვიროდენ თავიანთი ახლობლების სახელებს. ამდენ ხალხში დავინახე ჩემი თინა გოცირიძე და სხვა ახლობლები, რომლებიც ერთმანეთს ეხვეოდნენ, ტიროდენ, ყვიროდნენ. მე გული ამიჩუყდა და დავიწყე ტირილი: „თინა, თინა!..“ ჩემს სიმწარეს და ამ ჯოჯოხეთს მიასკეცებდა ის, რომ ჩემს შვილებს ამ დღეში ვხედავდი... თათული, გიორგი – ასეთ დღეში... ჩემი პატარა ფისო, ლიდიკო საცოდავად გამოიყურებოდა. ამ ყველაფერს სიკვდილი მერჩია. ჩემი თავი ჯანდაბას, ოლონდ ჩემი შვილები არ ყოფილიყვნენ ასეთ სიმწარეში... ასეთ ტირილ-კივილში საღამოს 9 საათამდე ვიდექით. სიცივე, სიბნელე. გარედან რკინით ჩაკეტილები. ეშელონი რომ დაიძრა და სადგურს გასცდა, ვხედავ, ჩვენი მეგობრები მოსდევენ მატარებელს... უკვე დაღამებული იყო, ეშელონი ნელი სვლით მიდიოდა. კახეთის გზატკეცილზე მდგომი ხალხი და სხვები, არ ვიცი საიდან მოსდევდნენ ეშელონს. ფანჯარაში გვიგდებდენ ფულს, ტანსაცმელს, რაღაც თბილებს, ტიროდნენ, თან გვამხნევებდნენ. საოცარი, შემზარავი სურათი იყო.

თურმე გარედან, ვაგონებზე წითელი პლაკატები იყო გაკრული, წარწერით:

ДОБРОВОЛЬНО!

\*\*\*

ასე მივქროდით 14 დღე და ლამე, მივდიოდით ჩრდილო ყაზახეთის გავლით, სამხრეთ ყაზახეთში. 40 გრადუსამდე ყინავდა. გზაში ვჩერდებოდით, ჩარაზულ კარებს გვიღებდნენ და გარეთ, საჭირო საქმეზე გვიშვებდნენ. ეს დიდ სიკეთედ ითვლებოდა ჩვენი გამცილებელი ჩეკისტის, სარუსანოვის მხრიდან, რადგან შიგნით, ვაგონებში გვედგა „პარაშკები“ და ამით სარგებლობა, ცოტა არ იყოს, უხერხული იყო. ერთ ვაგონში 35 კაცი, ძალზე დიდ სივიწროვეში ვიყავით. ვაგონებში ციოდდა, ვაგონის ნაპრალებიდან უბერავდა, საბნები კედლებზე მიყინული იყო და რომ მოვგლეჯდით, ბამბები ზედ რჩებოდა. თათული გაცივდა, ფილტვების ანთება გაურთულდა. ჩვენს ეშელონს ექიმი, ჩემი შვილების ახლო ნაცნობი, თათულის სკოლელი ნოდარ ცინცაძე მოყვებოდა, რომელმაც სითბო და ყურადღება არ მოგვაკლო. მოგვამარაგა წამლებით. ვაგონში თუჯის ღუმელი იდგა, მაგრამ ვერაფრით გავათბობდით. ერთ-ერთ პატარა სადგურზე ნახშირი ეყარა. კაცებმა ნახშირით მოგვამარაგეს. დიდი შიშით და სიფრთხილით, საკმაოდ ბევრი ნახშირი შემოზიდეს, უფრო ზუსტად, მოიპარეს. ამ „ფეჩის“ ირგვლივ შემოხვეულები ვიყავით და ვთხებოდით, მაგრამ „ფეჩს“ რომ მოვცილდებოდით, ვიყინებოდით.

გვერდით ვაგონში გურამ გაბაშვილი იყო, — დედით, მარიამ გაბაშვილით. გურამი და ჩემი გიორგი ახლო მეგობრები იყვნენ, ახლა ერთ ბედქვეშ აღმოჩნდნენ. გვერდით კოკოშა ჩხატარაიშვილის ოჯახი: დედა, მეუღლე, ნორა ლორთქიფანიძე, ანგელოზივით შვილებით, თემურით და მარინათი. კოკოშა თბილისში არ იყო და თავის ოჯახს ვერ გამოაყოლეს. მერე, მოგვიანებით ჩამოვიდა, მოძებნა თავისი ოჯახი და ერთად ვიზიარებდით იმ საშინელ პირობებს, რაშიც აღმოვჩნდით. ერთ-ერთ ვაგონში, ჩვენი ვაგონის ცოტა მოშორებით, ვერა გაბლიანი და მანოშვა მირიანაშვილის ბებია, დედის დედა — გულბაათ დავითაშვილის დედა იყო, რომელიც საკაცით მოიყვანეს, ღრმად მოხუცე-

ბული, ლოგინად იყო ჩავარდნილი. გულბაათი საფრანგე-თიდან იყო ჩამოსული იმ ფრანგებთან ერთად, რომლებიც იქიდან მოტყუებით ჩამოიყვანეს საქართველოში, მერე კი ყველა შუა აზიის გზას გაუყენეს. ის ბალეტმეისტერი იყო და ოპერაში შესანიშნავი საბავშვო წარმოდგენა დადგა. ჩვენი გადასახლების დროს კი ბაქოში იმყოფებოდა და ამიტომ მხოლოდ დედა გადაასახლეს. ეშელონი რომ ჩერ-დებოდა და კარებს გვიღებდნენ, მე გავრბოდი, რომ შეძლებისდაგვარად მიმეხედა ჩემთვის ძალზე ახლო მეგობრის, ლილიას დედისთვის.

ერთ-ერთ სადგურზე გურამმა და გიორგიმ მოისმინეს, რკინიგზის მორიგესთან როგორი გაცხარებული კამათი ჰქონდა ჩეკისტ სარუხანოვს: „აქ ინტელიგენციაა. მე არ დავძრავ ეშელონს. თქვენ გინდათ ისინი ყველაზე დაუსახლებელ ადგილებში, უდაბნოში წაიყვანოთ?“

ეს საუბარი მორიგემ გადასცა კვანძის უფროსს. იქიდან კი მოვიდა ბრძანება: „Передайте машинисту и пусть следует по приказу, в самые незаселенные места“. ასეც მოხდა, ჩვენი ეშელონი პირველი იყო და ამიტომ გვხვდა ასეთი მძიმე ხვედრი. იმ ღამეს საქართველოდან 18 ეშელონი გავიდა.

14 დღე-ლამის მგზავრობით შემდეგ, დილის 6 საათზე გაჩერდა ჩვენი ეშელონი. ჩარაზული კარი გააღეს და გადმოგვიყვანეს. ჩვენ უამრავი საბარგო მანქანა გველოდებოდა. მანქანებს ბორბლებზე ჯაჭვები ჰქონდა შემოხვეული, იმდენად ცუდი გზა იყო გასავლელი. მე-14 დღეს ჩავედით დანიშნულების ადგილზე. სამხრეთ ყაზახეთის ოლქი, პატარა ტარალის მანქანა და ტრაქტორები. ამ ტრაქტორებით უნდა გაეყვანათ საბარგო მანქანები, რადგან გზა ტალახიანი და საშინელი იყო. ჩეკისტებმა, რომლებიც მოგვყებოდნენ, ჩვენი გვარების სია ამოიკითხეს და ყაზახ ჩეკისტებს გადაგვცეს. ისინიც ბლომად იყვნენ. ამ სიების ამოკითხვის შემდეგ ჩაგვყარეს მანქანაში, თათული მძლოლის გვერდითი, კაბინაში იჯდა, თბილად ჩაცმული. იმ ყინვაში ახალგადატანილი ფილტვების ანთება გაუმეორდა. პატივი მცა ჩვენმა კომენდანტმა და მძლოლთან დასვეს.

გაგვანაწილეს პახტარალის რაიონის კოლმეურნეობაში. ეს კოლმეურნეობა სულ 2 ნლის დაარსებული იყო და არც შუქი ჰქონდათ, არც სკოლა, არც ფოსტა. რაღაც პატარა ჯიხურივით „კანტორა“ იყო, სადაც უფროსები ისხდნენ. იქვე იდგა საფოსტო განყოფილებაც. ჩვენი ეშელონიდან ბევრი მოხვდა მეურნეობაში, შედარებით კარგ პირობებში – ხის იატაკიანი სახლებით და შუქით. თითქმის ოთხი თვე ვცხოვრობდით უკიდურესად მძიმე პირობებში, მიწურში, სადაც თხები ჰყავდათ ყაზახებს. თხები გამოიყვანეს და ჩვენ მოგვათავსეს თხის განავლით დაბინძურებულ, სველ მიწურში. წიგნებს გადავაძრეთ ყდები და იმით გავფიცეთ, გავიტანეთ ჭუჭყი. მოვიდნენ ბერძნები, მოგვეხვივნენ, დაგვამშვიდეს, ჩვენც საქართველოდან ვართო – ბათუმიდან, სოხუმიდან. ბამბის ლეროები მოგვიტანეს და დაგვიგეს.

მეორე დღეს წაგვიყვანეს, დაგვიდეს წინ ორი დაბეჭდილი ქაღალდი, მოგვთხვეს, საბუთზე მოგვეწერა ხელი. ერთი – „На вечное поселение“, მეორე – თუ გავიპარებოდით, კატორლა 25 ნელი. ჩვენი განცდების წარმოდგენა ძნელია. გიორგიმ დახია ეს საბუთი, სახეში მიაყარა იქ მჯდომ ჩეკისტებს და უთხრა: – „ჯერ მითხარით, რისთვის გადამასახლეთ და მერე მოვაწერ ხელს“. მე საოცრად ავლელდი, შემეშინდა, შევევედრე გიორგის, მოაწერე ხელი, არ დაგვაშორონ შენს თავს, არ დაგიჭირონ-მეთქი. მაგრამ გიორგი, საოცრად გამწარებული, უარზე იყო, არ აწერდა ხელს. ჩვენ თითქოს გავშეშდით, ჩემი გამწარების სიტყვებით გამოხატვა შეუძლებელია. გიორგიმ განერვიულებულმა მოგვმართა: „გადით, მარტო დამტოვეთ“. მე გავედი და იქვე ჩავიჩოქე ეზოში, ფეხზე ვერ ვდგები, ვტირი გამწარებული. ამ დროს გაჩერდა ვილისი, გადმოვიდა ვიღაც ჩეკისტი, მოვიდა ჩემთან და მეუბნება: „Мамаша, чего вы плачете?“ მე ვუპასუხე: „Там сына моего расстреливают, он не хочет подписать на вечное поселение“. ამაზე მან მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

„Мамаша, ничего вечного нет“. ეს ჩეკისტი იყო გვარად არისლანოვი. ამ კეთილი კაცის სიტყვებმა გონს მომიყვანა და მანუგეშა. მთელი გადასახლების პერიოდში ეს სიტყვები

მხნეობას მმატებდა (არასდროს დამავიწყდება ეს ჩეკისტი, არც ის თუ როგორი გავლენა იქონია ჩემზე მისმა სიტყვებმა და ნუგეშმა. კეთილი კაცი იყო).

\*\*\*

ჩვენთან, გადასახლებაში გივი გაბლიანის დედა იმყოფებიდა, ცნობილი პედაგოგი, დაჯილდოებული ლენინის ორდენით (აი, ბედის ირონია!). ამ ჩეკისტ ყაზახს, არისლანოვს ჩუმად, ფარაჯის ქვეშ დამალული ბოთლი ნავთი მიჰქონდა მისთვის. ეს იყო ცხოვრების ერთგვარი გაგრძელება...

გვაკრეფინებდნენ ბამბას. ნორმა – 80 კგ. დღეში. სიცხე აუტანელი, უწყლობა. წყალს ვიღებდით თხრილიდან, ჭუჭყიანს, ჭიებით სავსეს. წყალს ვასხამდით ბალიშის პირში და ისე ვწურავდით. გავუგზავნე თინას ჩვენი მისამართი და მდგომარეობა ვაუზყე. მეშინოდა, რა დღეშიც ვიყავით, ყველაფერი მიმეწერა, რომ რამე უსიამოვნება არ შეხვედროდა (მაინც არ ასცდა). ფოსტა სამი თვის მერე აქლემებით მოიტანეს, რადგან საშინელი ტალაბის გამო, მანქანები ვერ მოდიოდნენ. როგორ ველოდით ცნობას საქართველოდან. მივიღეთ ფული, ამანათები, წერილები. მიუხედავად სტალინის სასტიკი რეჟიმის და შიშისა, სითბო და ყურადღება არც აქ მოგვაკლეს ჩვენმა ახლობლებმა. დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა ჩემი მულის შვილმა, თინა გოცირიძემ. მასთან მიჰქონდათ ფული, სურსათი ჩვენს მეგობრებს, თანამშრომლებს და ის გვიგზავნიდა, მაგრამ ამ ლუკმის წარმევაც სცადეს. დაიბარეს თინა გოცირიძე შინსახვომში და მკაცრად გააფრთხილეს: „ოქვენ ეხმარებით და პატრონობთ ხალხის მტრის ოჯახს. იცოდეთ, თუ თქვენ იმათან კიდევ გექნებათ კავშირი და არ შეწყვეტთ მათ პატრონობას, თქვენს მოხუც მშობლებს აგკიდებთ და გაგგზავნით მათთან“. მან უპასუხა: თუნდაც ახლავე გაგვგზავნეთ, მათ პატრონობას კი არ მივატოვებო. მართლაც, წლების მანძილზე, არც ჩვენს მეგობრებს და არც თანამშრომლებს არ შეუწყვეტიათ ფულისა და სურსათის გამოგზავნა. თინამაც გააგრძელა თავდაუზოგავად ჩვენზე ზრუნვა და ამანათების გზავნა. მთელ თავის

ხელფასს მუდამთვე ჩვენ გვიგზავნიდა. თინა, ჩემი შვილი-ვით საყვარელი, კეთილი, სათნო. მან იხსნა ჩემი შვილები და ჩემი გაზრდილი, მისი ნათლული, ლუდა სართანია შიმშილი-სა და გადასახლებაში დაღუპვისგან.

ოთხი თუ ხუთი თვის შემდეგ ჩვენს მეურნეობაში ახ-ლობლების დახმარებით გადავედით. „Совхоз 30 лет Октября“ დიდი მეურნეობა იყო. ოთხი დიდი განყოფილებით, ყველგან ჩვენი ქართველები იყვნენ. გაზაფხულზე მივყავდით მანქა-ნებით ბამბის პლანტაციაში, ვმარგლავდით, ვთოხნიდით – შემოდგომაზე კი, ყინვების დაწყებამდე, ბამბას ვკრეფდით. თათული ჯერ კანტორაში მოეწყო სტატისტიკოსად (გიორ-გიმ დაუთმო თავისი ადგილი, თვითონ კი ელექტრიკოსად წავიდა). თათულისთან მოჰქონდათ ცნობები განყოფილებე-ბიდან – რომელმა რამდენი ბამბა მოაგროვა. განყოფილები-დან წარმოდგენილ წონას ნულებს ამატებდნენ და ალმაატა-სა და მოსკოვს გადიდებული, ყალბი რიცხვით უგზავნიდნენ ცნობებს. თათულიმ ეს არ იცოდა. იგი ზუსტ ცნობებს აწ-ვდიდა მთავარ სტატისტიკოსს და დირექტორს, ისინი კი არასწორ ცნობებს აგზავნიდენ. ერთხელ, როდესაც არ იყო არც დირექტორი და არც მთავარი სტატისტიკოსი, ცნო-ბები კი სასწრაფოდ იყო გასაგზავნი, თათულიმ, როგორც მოაწოდეს განყოფილებებმა, ისე შეადგინა მონაცემები და გააგზავნა. როდესაც დირექტორი მივიდა და ეს ამბავი შეი-ტყო, აგინა და უყვირა თათულის. თათული ატირებული მო-ვიდა, ჩემს სიცოცხლეში მსგავსი გინება არ გამიგიაო.

1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ჩვენს სა-ხელზე უამრავი დეპეშა მოვიდა მეგობრების, თანამშრომლე-ბისაგან: „Поздравляем сднем рождения“. ასეთივე შინაარსის დეპეშები სხვებმაც ბევრმა მიიღო და ფოსტაში გვითხრეს: „Что это вы, грузины все в один день родились?“

1952 წელი. შემთხვევით წავაწყდი ერთ პატარა ბიჭუ-ნას სამედიცინო პუნქტში, რასაც საავადმყოფოს ეძახდნენ, მაგრამ ავადმყოფებს არც წამალს აძლევდნენ და არც აჭმე-ვდნენ. რაც მთავარია, ის შენობა არ თბებოდა ზამთარში. აი, იქ ვნახე პირველად 8 წლის რაჭველი ბიჭი, შიმშილისგან

დასუსტებული, ავიტამინოზიც ჰქონდა და ჩონჩხს ჰგავდა, მძიმე სანახავი იყო სისუსტისაგან.

ჩიმკენტში დავრჩით მხოლოდ გიორგი, მე და ლიდიკო. მუდამ ერთად ვიყავით ადა კომნინო, რატიშვილი და ჩვენ. ერთხელ ბოტკინით ავად გავხდი. გიორგიმ გამაქანა საავად-მყოფოში, საკმაოდ მოშორებით ჩვენი ბინიდან და დღეში სამჯერ მოდიოდა ჩემთან, საჭმელი მოჰქონდა. ჩამოივლი-და მთელ ქალაქს, რომ ბორჯომი ეშოვა, რაც აუცილებელი იყო ჩემი დაავადებისთვის. ვიღაც კეთილმა ბერძენმა უშოვა. ავადმყოფობა მძიმედ გადავიტანე. შინ რომ მიმიყვანა გიორგიმ, ძალიან სუსტად ვგრძნობდი თავს.

ერთხელ გიორგი და მე ვზიგართ ბალში (ჩიმკენტში დიდი და ლამაზი ბალი იყო). მე ვუთხარი გიორგის: წადი შენ იმ ბოლომდე, მე აქედან წამოვალ და ვითომ ნაცნობები შევხვდით ერთმანეთს. გიორგი წავიდა ბალის ბოლომდე. მეც მივეგებე, გიორგიმ, როგორც კარგმა კავალერისტმა, ფეხი-ფეხს შემოჰკრა: „Здравъя желаю Варвара Николаевна“ და ხელზე მაკოცა.

\*\*\*

მივიღეთ გურამ გაბაშვილის წერილი, სადაც გვწერდა: „მიაფურთხეთ ყაზახსტანს და წამოდით!“ ჩვენ უზბეკების ოჯახში, დოლასკის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ჩვენს დიასახლისს 9 შვილი ჰყავდა. გარდაეცვალა დედა, მეორე ქალაქ-ში უნდა წასულიყო. უზბეკების ტირილი შეიძლება მეგრელებისას მივამსგავსოთ. წავიდა მთელი ოჯახი, დატოვეს უფროსი ვაჟი (ჩვენ გვითვალთვალებდა). მუდამთვე უნდა გამოცხადებულიყოთ შინსახომში, კომენდატურაში, გასარკევად, ვართ ადგილზე თუ არა. იმ დღეებში გვქონდა მიღებული გურამ გაბაშვილის წერილი, სადაც გვწერდა: „რაშია საქმე? თქვენ განთავისუფლების ქაღალდი კიდევ არ მიგილიათ? თქვენც ნუ ელოდებით საბუთებს, მიაფურთხეთ ყაზახსტანს და წამოდით! მეც ეს მიტრიალებდა თავში. ვეუბნები გიორგის: „მოდი, გავიპაროთ“, გიორგი დამეთანხმა. ხელი მაგრად დავარტყყით ერთმანეთს და: „შენც სუ და

მეც სუ“, რამე რომ შეგვემთხვეს გზაზე, ორივე ერთნაირად ვართ დამნაშავე. იმ ღამეს შევკარით ჩვენი ბარგი-ბარხანა. გიორგიმ იშოვა მანქანა, გაურიგდა ტაშკენტამდე წავეყვანეთ – საკმაოდ ძვირად. შევთანხმდით დილის 6 საათზე გავსულიყავით. ეს საიდუმლოება გავუმხილეთ ჩვენს ბედში მყოფ ადა კომნინოს (გაბორ რატიშვილის მეუღლეს, ზოზოს დედას), ჩვენი ოჯახის უახლოეს მეგობარს. ჩვენს მშობლებს ახლო მეგობრობა და ნათესაური კავშირი ჰქონდათ. გადასახლებაში ერთ ბედქვეშ ვიყავით. ძალზე განიცადა ჩვენი დაშორება და თან ჩვენი გაპარვის გადაწყვეტილების შიში. გიორგი, ლიდიკო და მე დავწექით და პალტოები დავიხურეთ. ქვეშაგები გიორგიმ კონტეინერით გაგზავნა, დიდი შიშით, რომ დიასახლისის ვაჟს არ დაენახა. ის შინ არ იყო და გადავრჩით. ვერ დავიძინეთ. გიორგი მეკითხება: „დედა არ გძინავს?“, ამ დროს ლიდიკო ამბობს: „არც მე მძინავს!..“ ვერა და ვერ დავიძინეთ და, როდესაც ჩაგვეძინა, უკვე თენდებოდა. არასოდეს დამავიწყდება, გიორგიმ რომ გაიღვიძა, დახედა საათს და დაიძახა: „დავიღუპეთ, დაგვაგვიანდა!..“ დილის მეცხრე საათი იყო. ამ დროს ხალხი უკვე ქუჩაშია გამოსული. გიორგიმ ჩაიცვა პალტო და საოცარი სისწრაფით გაიქცა სახლიდან. მოვიდა მანქანით. მე ყურზე ბამბა დავიდე და ავიხვიე, თითქოს ავად ვარ. ჩავსხედით მანქანაში, გადავრჩით მზვერავის თვალს და გავექანეთ ტაშკენტისკენ. გზაში ლიდიკო ცუდად გახდა, ვერ იტანს მანქანას. ჩვენ გაჩუმებულები ვართ, არ ვლაპარაკობთ, ვფრთხილობთ მძღოლთან, არ მიხვდეს, რომ ქართველები ვართ და თანაც გადმოსახლებულები. საჭირო გახდა მანქანის გაჩერება და ლიდიკოს გადმოყვანა. ასე რომ, რამდენჯერმე, ლიდიკოს გამო, მანქანის გაჩერება მოგვიხდა. გიორგი ეუბნება ლიდიკოს: „გურამ გაბაშვილმა მოგვწერა: მიაფურთხეთ ყაზახსტანს და წამოდით, თორემ გადაარ... კი არ მოუწერია!“ მძღოლმა, გაკვირვებით გვითხრა: „თქვენ ქართველები ხართ?“ და ტკბილ ბაასში გავუდექით გზას. ტაშკენტში მივედით ჩემ მაზლთან, მიშიკოსთან. ეს იყო 31 დეკემბერი. ახალი წლის წინა დღე. ახალ წელს დიდებულად შევხვდით, დიდი სიყვარულით და

სითბოთი. მეორე დღეს, მატარებელში შიშით გატრუნულები ვიყავით, ვინაიდან არავითარი საბუთი ჩვენ არ გვქონდა. შიშმა შეგვიპყრო. კუპეში სულ ჩაკეტილები ვიყავით მოსკოვამდე. მოსკოვში კაზიშვილებთან მივედით. მერე, მე და ლიდიკო – მირზოიანებთან. მეორე დღეს წავედით თბილისში. გიორგიმ აიღო ბილეთები მოსკოვი-ერევანი, მე ვუსაყვედურე: საქართველოს მონატრებულები რაღა ერევნის მატარებლით მივდივართ-მეთქი. „სხვა არ იყო“, – მიპასუხა.

თბილისის სადგურზე უამრავი ხალხი დაგვხვდა. მთელი ნათესაობა, ჩემი თანამშრომლები, გიორგის თანაკლასელები, მეგობრები, ლიდიკოს მთელი კლასი და გააქანეს კინოში... მე თათულის ჩავეკარი გულში და ჩუმად ვუთხარი: „გამოპარულები ვართ“. წავედით ჩვენს ბინაში, ძერუინსკის ქუჩაზე №1 – ში. გასაღები შინსახვომიდან თათულის ჩაბარეს. შევედით ცარიელ ოთახებში. ანიჩკამ, ჩემმა მულმა, სკამები დაგვახვედრა. სასადილო მაგიდა ჩემი ინსტიტუტის თანამშრომლებმა მიყიდეს. თეთრეული და ყველაფერი, რაც ოჯახს სჭირდება, ყველამ ცოტ-ცოტა მოგვიტანა. მეორე დღეს უნდა გამოვცხადებულიყავი შინსახვომში, შურლაიასთან. მე მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე, ბოტკინი და სიყვითლე ცოტა კიდევ მქონდა დარჩენილი. შურლაიამ კარგად მიმიღო, მაგრამ მითხრა: რატომ წამოხვედით, ვიდრე განთავისუფლების ქაღალდს არ მიიღებდითო, და მაჩვენა ელვა დეპეშა ყაზახისტანიდან. მონა. Специпереселенцев, семью Дадиани-Масхарашвили орестовать и этапным порядком выслать обратно в Казахстан. ეს რომ წავიკითხე, ელდა მეცა, მაგრამ შურლაიამ შემომხედა, გაყვითლებულს, გაუბედურებულს, მკითხა: „ავად იყავით?“ მე ვუპასუხე: „ბოტკინით ვიყავი ავად“. გამიჭირდა და გადავწყვიტე არ დავლოდებოდი განთავისუფლების საბუთს. ცუდად ვიყავი, არ მინდოდა იქ სიკვდილი. ჩემს მიწაში, საქართველოში მინდოდა სიკვდილი-მეთქი. „კარგი, დედი, – მეუბნება შურლაია, – თქვენ იმდენჯერ ხართ თავში ჩარტყმული, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ, დაგტოვოთ და გაპატიოთ. ოღონდ ხელი მოაწერეთ ქაღალდს“. მე თავზარი დამეცა, ვაი, თუ მათთან მუშაობა

შემომთავაზონ, მაშინ ან თავს მოვიკლავდი ან უკან, ყაზა-  
ხეთში წავიდოდი სამუდამოდ. ქალალდზე კი ეწერა, რომ  
შინსახკომის ნებართვის გარეშე მე საქართველოდან არსად  
არ უნდა წავსულიყავი. სული მოვითქვი, ეს რომ წავიკითხე  
და ვუპასუხე: თქვენ თუ არ გადამასახლებთ, მე საქართვე-  
ლოდან არასოდეს არსად წამსვლელი არ ვარ-მეთქი. ამაზე  
შურლაიამ გადაიხარხარა.



## ნიკოლოზ (კოკოშა) ჩხატარაიშვილი

1915. 04 – დაიბადა ქუთაისში.

1932-1937 – სწავლობდა თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში.

1938-1951 – მუშაობდა საქართველოს ენერგოსისტემაში, იყო საქართველოს ენერგოსისტემის ენერგოგასალების მთავარი ინჟინერი და ელექტრონისპექციის უფროსი.

1951-1953 – გადაასახლეს შუა აზიაში;

1955-1973 – მუშაობდა თბილისის ავტომატიზაციის საშუალებებისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ჯერ განყოფილების გამგის, შემდეგ ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

1971 – გარდაცვალებამდე საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრის პროფესორი.

გარდაცვალა 1991 წელს, დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

## ერთი კაცის ნაამბობი

1951 წელი, 25 დეკემბერი, ერევანი, ენერგეტიკოსების საკავშირო კონფერენცია. დამთავრდა დილის სხდომა. გამოცხადდა შესვენება საღამოს სხდომამდე, რომელიც ნასადილევს უნდა განახლდეს. საღამოს მოხსენებით გამოვდივარ. 36 წლისა ვარ, საქართველოს ენერგოსისტემის ენერგოგასალების მთავარი ინჟინერი და ელექტრონისპექციის უფროსი. ვისადილეთ. ვისვენებთ სასტუმროში. ჩემთან ერთად ნომერშია „საქენერგოს“ მთავარი დისპეტჩერი კოლია გაგნიძე. სულ ოთხი კაცი ვართ დელეგირებული საქართველოდან. სასტუმროში გამოგვყვნენ სომეხი კოლეგები, ვძაასობთ. საინტერესო კონფერენციაა და მასპინძლობაც დიდებულია. მაგრამ შობაა, ახალი წლის დამდეგია და სახლისკენ მიგვეჩარება. ვიცი, ჩემთან ახლა საახალწლო სამზადისია, დედაჩემი ფუსტუსებს, ბავშვებმა ალბათ უჩემოდ გააწყეს საშობაო ხე, ჩემი მეუღლე ალბათ სამსახურიდან მოვიდა და ამჯერად ოჯახის საქმეს დასტრიალებს.

ჩემი კოლეგა, „არმენენერგოს ენერგოგასალების“ მთავარი ინჟინერი, ჩემი მოხსენების თეზისებზე მებაასება, ვკამათობთ ენერგოსისტემაში სიმძლავრის კოეფიციენტის ამაღლებისა და დანაკარგის შემცირების პრობლემებზე. გაგნიძე გვეუბნება: „დაისვენეთ, მხოლოდ ერთი საათი დაგვრჩა სხდომის განახლებამდე“. ტელეფონზე მეძახიან, „არმენენერგოს“ დისპეტჩერი მელაპარაკება: „სელექტორზე გიხმობს „საქენერგოს“ დისპეტჩერი სასწრაფოდ საღამოდ, მანქანა უკვე გამოვგზავნეთ და ნუ დაყოვნდებითო. ვერაფერი გამიგია, შეუძლებელია, ეს სამსახურის გამოძახებას არ ჰვავს, საამისოდ მთავარ დისპეტჩერს, გაგნიძეს დაუძახებდნენ, თბილისიდან სულ ორი დღეა ჩამოვედი, რა უნდა იყოს“? შიშმა შემიპყრო, სწრაფად დავეშვი ვესტიბიულში, გზად მარია არაქელოვა შემომხვდა, მკერდს შრო-

მის გმირის ვარსკვლავი უმშვენებს (იმხანად არც თუ ისე ბე-ვრს ჰქონდა ასეთი ჯილდო), მეუბნება: „სად მიგეჩქარებათ, მე თქვენთან ვარ, სტუმრად“. კოლია გაგნიძე კი, რომელიც გამომყვა, შექმნილ ვითარებას უხსნის. მარია არაქელოვამ თავისი მანქანა შემოგვთავაზა, ჩვენც არ დავაყოვნეთ და მისი თავაზიანობით ვისარგებლეთ.

ათასი ფიქრი მიელავს თავში, უთუოდ ოჯახის რომელი-მე წევრს შეემთხვა რაღაც, ავად თუ გახდა რომელიმე.

„არმენენერგოს“ სადისპტეჩერე პუნქტი. ვეებერთელა მართვის ფარზე საინდიკაციო ნათურები ციმციმებს. მარ-თვის პულტთან მორიგე დისპეტჩერი ჩემი შესვლისთანავე სელექტორით თბილის იძახებს. ჩემს მეუღლესთან დალა-პარაკებას ველი, ისიც ინუინერია და ელექტროსისტემის დისპეტჩერად მუშაობს, მაგრამ არა, ეს სხვა ხმაა! – მელაპა-რაკება დისპეტჩერი თამარ კეტელაშვილი: „რა ამბავია, თა-მარ, ნორა სად არის!“ – თამარს თქმა უჭირს, შემდეგ ძლივს მეუბნება: „ბატონო ნიკოლოზ, თქვენი ოჯახი წაიყვანეს!.. ლაპარაკს ქვითინი აწყვეტინებს... მიკროფონში ჩავყვირი: „სად ქალო, ვინ წაიყვანა!“ – „არ ვიცი, გუშინ ლამით“... ბა-ვშვები?“ – „ყველა, დედათქვენი, ნორა, ბავშვები, ამბობენ, ციმბირში ან შუა აზიაში წაიყვანესო“...

ვცდილობ აღვიდგინო ის საოცარი განცდა, მაშინ რომ დამეუფლა! ოცდათხუთმეტ წელზე მეტი გავიდა მას შემ-დეგ, მახსოვს როგორ დამიღრღნა ტვინი იმ ერთადერთმა კითხვამ: – რატომ, რისთვის? .. ირგვლივ მიმოვიხედე, ვერც კი შევნიშნე ხალხი როგორ შეკრებილიყო: კოლია გაგნიძე, „არმენენერგოს“ მმართველი პერიხანიანი, მთავარი ინჟი-ნერი ტერ-აკოფოვი და არ მახსოვს, კიდევ ვინ. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ყველანი თანაგრძნობით შემომცქეროდნენ, მა-გრამ თავი მათგან გარიყულად და რაღაც სხვა განზომილე-ბაში ვიგრძენი: – „დამეხმარეთ, სასწრაფოდ უნდა გავემგზა-ვრო“, – მივმართე მთავარ ინჟინერს. მოვიდა, ხელი მომხვია, ის ჩემზე ბევრად უფროსია, მას ადრიდან ვიცნობდი. ერთ დროს კარგი ფეხბურთელი იყო, ბაქოს გუნდში თამაშობდა, საოცარი სითბო ვიგრძენი მისგან, მეუბნება: „ახლავე, ახ-

ლავე ყველაფერს მოვაგვარებთ, ორი საათის შემდეგ გადის თბილისის მატარებელი“, და ყურში ჩამჩურჩულა: „იცით, ეს რაღაც ლონისძიებაა, მხოლოდ თქვენს თავს არ ხდება, გამა-გრდით, დამშვიდდით, ყველაფერი კარგად იქნება“.

ამასობაში სხდომის დროც მოახლოვდა, ხალხი უკვე იკრიბებოდა და „არმენენერგოს“ შენობას რომ ვტოვებდი, ყველა შემხვედრმა ჩემი ამბავი უკვე იცოდა, ზოგიერთი თა-ნაგრძნობით მხვდებოდა, უმრავლესობა კი თვალს მარიდებ-და: – „შარისგან შორს!“ – ფიქრობდნენ ალბათ.

სადგურში მხოლოდ კოლია გამომყვა და არ მომშორე-ბია, ვიდრე მატარებელი არ დაიძრა, ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ იდგა ლამპიონებით გაჩახჩახებულ ბაქანზე, რომელ-საც მთელ სიგრძეზე წითელ არშიად, დაცინვასავით მიუყვე-ბოდა ჩემი ბედისწერის ლოზუნგი: „ცხოვრება გაუმჯობეს-და, ცხოვრება უფრო მხიარული გახდა“.

ის მიმავალ მატარებელს უყურებდა, მე კი თითქოს ჩემს წაუკითხავ მოხსენებასთან ერთად, ჩემს წარსულსაც ვემშვი-დობებოდი.

კუპეში მარტო ვიყავი. მაშინდელი „საერთაშორისო“, ხით წაკეთები ვაგონები დღევანდელს არ ჰგავდა. საწოლე-ბი ერთმანეთის მოპირდაპირედ იყო და ყოველ საწოლს, მთელ სიგრძეზე სარკე მიუყვებოდა. სარკეში, გაოგნებულ-მა, საკუთარ სახეს მოვკარი თვალი და უცხოდ მომეჩვენა, სარკიდან სულ სხვა კაცი მომჩერებოდა. საოცრად პატარა, უმწეო, დაბნეული მეჩვენა სკუთარი თავი, გულში სევდამ და არასრულფასოვნების დამთრგუნავმა გრძნობამ ჩაიბუდა. დიდხანს, დიდხანს გამყვა ეს შეგრძნება და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დამტოვა, როცა ჩემი ოჯახი შუა აზიის მშიერ უდაბნოში ვიპოვე და რაღაც ძალამ სამოქმედოდ განმაწყო, შემართება დამიბრუნა, ალბათ იმიტომ, დედას, ცოლს, ჩემს შვილებს შველა რომ სჭირდებოდათ. ახლა კი, თითქოს მა-ტარებლის ბორბლების ხმაურის რიტმს აჰყვაო, ვიღაც თუ რაღაც ჩამძახოდა: „რატომ, რატომ, რატომ“?

მართლაც და, რატომ? განა ასეთი რა შესცოდეს ჩემმა მოხუცმა დედამ, ცოლმა, 9 წლის ბიჭუნამ და 7 წლის გოგო-

ნამ, რომ ხელი დაავლეს, უკაცო ოჯახი შუაღამისას აყარეს და შორეთში გადაასახლეს! მე კი „საერთაშორისო“ ფეშენებელურ ვაგონში ვზივარ და მათი ნაკვალევის საძებნელად მივიჩქარი. მე, ალბათ მე თუ დავაშავე რამე!

თვალწინ გაირბინა ჩემი ცხოვრების სურათებმა. ბა-თუმი გამახსენდა, 1921 წელი, ერთი ციცქნა ენამეტყველი ბიჭი ვარ და უფროსების გასახარად გავიძახი გაზეპირებულ ლექსს: „თავისუფლებავ, შენ ხარ ხალხთა ნავთსაყუდარი...“, თუმც არ ვიცი, რა არის თავისუფლება და რატომ არის ნავთსაყუდარი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემს გარშემო რაღაც გაუთავებელი ფუსფუსია ატეხილი, – ვიღაცა მი-დის, ვიღაცა მოდის, დამით სროლის ხმები ისმის, ამბობენ, „პაგრომი“ არისო. მამაჩემი ბანკის დირექტორია, ყურმოკრულად მახსოვს, ეუბნებიან: – „კაცო, რას ფიქრობ, ხომ ხედავ ქვეყანა ინგრევა, სანამ უკანასკნელი გემი არ გასულა, წავიდეთ შენი ხაზინითო“, მამაჩემი კი პასუხობს: „ჩემი სამშობლო არ დანგრეულა, ჩემი მიწა-წყალი ისევ აქ არის და მე მას არ დავტოვებო“. შეიარაღებული დაცვაც დააყენა ბანკის შენობაში სპირიდონ გოლოევის მეთაურობით (ეს სპირიდონი მერეც მუშაობდა მამაჩემთან). ჩვენი ოჯახიც ბანკის შენობაში ცხოვრობდა. მახსოვს, მამაჩემს წვეროსანი, ალერსიანი და ოჯახის ძალზე ახლობელი პართენ გოთუა (მწერალ ლევან გოთუას მამა) ეუბნებოდა: „ყოჩალ ევტიხი! შენგან სხვაგვარ საქციელს არც მოველოდიო. მეც უნდა დავბრუნდე თბილისში და მთავრობას ჩავაბარო ჩემთან მობარებული განძიო“, – და აჩვენა რაღაც ნივთი. წითელ ვარსკვლავს ჰგავდა, ბრჭყვიალა ქვებით იყო შემკული. მახსოვს, დედამ ყურთბალიშში ჩაუკერა ეს ნივთი და ძია პართენი თბილისს გაემგზავრა. დიდი ხნის შემდეგ მითხრეს, ის ნივთი, როგორც განძი, სახელმწიფო ხაზინაში ინახებაო. კანტი-კუნტად წამოტივტივდნენ იმ დროის სურათები. გამახსენდა, ღამე იყო, ქუჩიდან ცხენის ფლოქვების ზანტი თქარა-თქური მოდიოდა, მამამ ხელში ამიყვანა და ფანჯრიდან გადამახედა, თავჩაქინდრული მიიზღაზნებოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული უთოფიარალო სამხედრო:

„ალბათ დეზერტირია“, – მითხრა მამამ, „ხომ ხედავ ჩვენს პირდაპირ აზიზიეს მოედანს, იქ გვარდიელების ბანაკი იყო, ახლა აღარავინ არის, ეს ალბათ მარტო დარჩა და სახლის გზას გაუდგა“. რა არის დეზერტირი? – ვკითხე. ეს ის კაცია, თვის მოვალეობას რომ გაექცაო, მიპასუხა. შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: – მეც დეზერტირი ვიქწებოდი, იმ გემს რომ გავყოლოდიო. რატომ ჩამრჩა გონებაში ეს ყველა-ფერი? ალბათ იმიტომ, რომ ვერაფერი გავიგე და დიდხანს ვეძებდი მამის სიტყვების ახსნას, მამა კი ისე, როგორც ალ-ბათ ყველასთვის, ჩემთვის კერპი იყო: – ყველაზე ძლიერი კაცი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე საყვარელი. ეს გრძნობა მის მიმართ შემდეგშიც არ გამნელებია, მაშინაც კი, როცა უკვე შემეძლო ნებისმიერი კაცის ავი და კარგი ობიექტურად შემეფასებინა. თუმცა რაღა შემდეგ... მაშინ რა ვიცოდი, როგორი ტრაგიკული ბედი ექწებოდა, ჩემს დაკაცებას რომ ვერ მოესწრებოდა. მეხსიერებას იმ დროის სურათები კანტიკუნტად შემორჩა. ჩვენი ბინა იმხანად ვეებერთელა სა-მყაროდ მეჩვენებოდა, ის ბანკის შენობის ნაწილს წარმოადგენდა და მე ყველგან თავისუფლად დავდიოდი, როგორც ამ სამყაროს ბატონ-პატრონი. ჩემს ილუზიებსა და ფიქრებშიც მეტწილად მარტო (ჩემი ძმები ერთი სამი წლის, მეორე კი რამდენიმე თვისა იყო) ვიყავი. საკუთარი აღქმით ვჭვრეტდი ყოველივეს, რაც ჩემ ირგვლივ ხდებოდა და ალბათ ამიტომ ჩამრჩა მეხსიერებაში მხოლოდ ის, რამაც ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც რაღაც აუხსნელმა მოვლენამ. ალბათ ამიტომ გამახსენდა ორი, სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობისა და სიმძიმის შემთხვევა. პირველი: – საღამო იყო, საძილედ მამზადებდა ჩემი 17-18 წლის დეიდა, დედაჩემის უმცროსი და, ვენია. მე კი ვჭირვეულობდი. ამ დროს, რაღაც უცნაური გრეხვით შემოიძურნა ბანკის მცველთა რაზმის ერთ-ერთი „სტრაუნიკი“ მირზა და დეიდაჩემს ფეხსაცმელი მოართვა. „პაგრომშჩიკებთან“ ვიყავი და წავართვიო, უთხრა. მაგრამ ფეხსაცმელი ცალ-ცალი აღმოჩნდა, თანაც სხვადასხვა ფერის. იყო შემდეგ ამაზე ერთი სიცილ-ხარხარი. ცხადია, ეს მამაჩემს დაუმალეს, მე კი

საოცრად მიკვირდა, ასეთი სასაცილო ამბავი მას როგორ არ უთხრეს. მეორე: – ერთი ორომტრიალი ატყდა სახლში, თქვეს, ქალაქში წითლების ცხენოსანი ჯარის ნაწილი შემოვიდა, ულობას მეთაურობითო. ისინი გვარდიელების ყოფილ ბანაკში დაბინავდნენ, აზიზიეს მოედნის პირას, რომელსაც ჩვენი სახლი გადაჰყურებდა. ბანკის შენობას და იმ ბანაკს შორის სხვა შენობა არ იყო, ერთადერთი მეჩეთის მინარეთი ჩანდა აღმართული, საიდანაც მუედინი უხმობდა მაჰმადიანებს. საღამოს მამამ ისტუმრა ულობა. მახსოვს, დიდი ქართული სუფრა იყო გაშლილი, სუფრას საოცრად წარმოსადეგი და მეტყველი კაცი, ლევან ქორქაშვილი თამადობდა. სუფრას უსხდნენ იმდროინდელი ბათუმელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ძნელია ახლა ზუსტად ჩამოვთვალო ყველა იმათი გვარები. ბევრი მათგანი ჩვენს ოჯახთან არ წყვეტდა ურთიერთობას. სახელები შემდეგმა წლებმა სამუდამოდ ჩამიბეჭდა მეხსიერებაში და ალბათ იმ საღამოს იყვნენ: გრიგოლ ლალიძე, მემედ-ბეგ აბაშიძე, კაკოლა ბარათაშვილი, ნესტორ ბერიძე, კოხტა მალალაშვილი, პარმენ საბაშვილი და ბევრი სხვა, რომელთაგან, სამწუხაროდ, აღარავინაა დარჩენილი, რომ რაიმე ჰკითხო იმ დროისა. ყველანი 1937 წელმა იმსხვერპლა.

მაშინ კი – იქ მყოფთა ლელვა, სამშობლოს ბედზე წუხილი და დავა, რაღაც საოცრად ამაღლებული განწყობა ჩემთვის მიუწვდომელი და გაუგებარი იყო, მაგრამ ისიც დამამახსოვრდა, რომ ულობამ ძალზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, მოეწონათ მისი სიტყვა, რომელიც თამადის საპასუხოდ წარმოთქვა, მე კი განსაკუთრებით ის, შემოსვლისთანავე ხმალი რომ შეიხსნა და იარაღი დიასახლისს, დედაჩემს ჩააბარა. ნამდვილი რაინდი ყოფილაო, – ამბობდა ყველა. გასაბჭოებას ზარ-ზეიმით შეხვდა ჩვენი ოჯახი.

შემდეგმა წლებმა თითქოს საოცარი სისწრაფით გაირბინა. მამაჩემი ერთ-ერთ იმ მცირერიცხოვან (მაშინდელ დროში) სპეციალისტებს შორის იყო, ვისაც საბანკო და საფინანსო საქმე კარგად ესმოდა. იგი პეტერბურგში სწავლობდა და იქვე დაიწყო მუშაობა „სიმენს შუკერტ-სი-

მენს ვალსკენეს“ ფირმაში. შემდეგ კი, სააქციონერო საზოგადოების დავალებით, ქ. ქუთაისში ჩაუდგა სათავეში „ვოლგა-კამის“ ბანკის ორგანიზაციას და მისი დირექტორი გახდა. 1921 წელს იგი უკვე ბათუმში „ცენტრობანკის“ დირექტორად დაინიშნა. შემდეგ მას ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დასავლეთის მხარის საბანკო დაწესებულებების ორგანიზაცია დაევალა, ჯერ გადავდივართ სოხუმში, იგი ხსნის „სახალხო ბანკს“ და მას კადრების სათანადო მომზადებამდე ხელმძღვანელობს, შემდეგ კვლავ ბათუმში ვბრუნდებით, სადაც იგი ჯერ „სასოფლო-სამეურნეო“ ბანკს აყალიბებს და მას ხელმძღვანელობს, შემდეგ კი – „კომუნალური“ ბანკის ორგანიზაცია დაევალა და 1932 წლამდე მის მმართველად იმუშავა.

ეს ჩემი ბავშვობისა და სიყმაწვილის წლებია. სკოლაში პირველი მისვლა. ის სკოლა, შემდეგში სრული საშუალო სკოლა, რომელიც ერთხანს ალექსანდრე მგელაძის სახელობისა იყო, მაშინ „ოთხწლევს“ წარმოადგენდა და მას სწორედ ის სახელოვანი პედაგოგი ალექსანდრე მგელაძე ხელმძღვანელობდა, სიყრმეში „მესამე დასელი“, საოცარი ჰუმანისტი და პედაგოგი, რომლის გაკვეთილებს მუდამ იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ სურნელი ახლდა, დღესაც მასხოვს მისებური სულში ჩამწვდომი, თბილი ინტონაციით ნათქვამი და ნასწავლი ლექსი: „ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა“... ხუმრობით წაკითხული „თხა და გიგო“ და ამაღლებული, არამყვირალა იდუმალი პათოსით ნათქვამი „სამშობლო ხევსურისა“. იმავე დროს ეკუთვნის ჩემი შევარდენში მიყვანაც, რომელსაც გიორგი მერკვილაძე ხელმძღვანელობდა. სულ ცოტა ხანს ვიარე იქ ყმაწვილების გუნდში, მაგრამ სამუდამოდ დამამახსოვრდა ჭაბუკებთან ერთად მისალმება: – „გუშაგობ ერს“, ერთხმად რომ შევძახებდით: – „მარად“.

ეს უკვე 1924-1925 წლებია. იმხანებში ყველაზე მკაფიოდ დამამახსოვრდა 1924 წლის „გამოსვლები“. სოფელში ვიყავით, გურიაში, შემოქმედში. „მარიამობის“ სადღე-სასწაულოდ ჩავედით მამიდაჩემის, მაროს საპატივსაცემოდ, სტუმრებსაც ველოდით ამ დღისთვის. დილით გამაღვიძა

ხმაურმა, რამდენიმე თოფის გასროლის ხმაც გავიგონე. მეზობელი მეზობელს მისდევდა თოფმომარჯვებული. გურული-გურულს: „გაჩერდი გოგიავ, თვარა გესვრი“, იძახდა მდევარი. „ჰაა, არ ქნა მაი“, თავმოუბრუნებლად პასუხობდა გოგია და მერე ერთი სკუპით ყორეს გადაევლო. მეტი ბატალიები მე იქ არ მინახავს. საღამოს ჩვენი ოჯახის ქალები წავიდნენ „ჯვარზე“ (ასე ჰქვია სოფლის ცენტრს), სადაც, ეკლესიის შენობაში, სოფლის კომუნისტები, მათ შორის ჩემი მამიდა პატკულია და ნათესავი კოლია ჩხატარაიშვილი დაემწყვდიათ. მამაჩემი უპარტიო იყო, მახსოვს, მეზობლებს არიგებდა, ხალხო, არ აჰყვეთ ამ პროვოკაციას და თავისი ნათლიის, მისი გამზრდელის, ექვთიმეს ეზოში „ქრისტე აღსდგას“ ძახილით რომ შემოვიდა, სასტიკი ნოტაცია წაუკითხა, ისიც კი აკადრა და უთხრა: „ბერიყაცო, დაფიქრდი, რას ბოდავ!“ ეს ექვთიმე, გვარად ჩხატარაიშვილი ნათესავად არ გვეკუთვნოდა, იგი მამაჩემის ნათლია იყო, ფრიად შეძლებული კაცი. თავის დროზე აქციონერობდა, რაღაც კონცესიებში მონაწილეობდა და თავის ნათლულს დიდი დახმარება გაუწია. მამაჩემი ღარიბი აზნაურის ოჯახიდან იყო, მახსოვს, მიამბობდა, სოფლიდან ოზურგეთში დავდიოდი სკოლაში და ფეხზე გაცვეთილი წულა მეცვაო. წულა ფეხზე სრულად მქონდა და სიარულის დროს, წვიმიანში ტალახს ირეკლავდა ზევით და სკოლაში რომ მივდიოდით, ერთხანს ბარძაყების გასუფთავებას ვუნდებოდიო. ბუდუა ექვთიმემ გაუწია მას დახმარება, – ჯერ თბილისში გააგზავნა სასწავლებლად, სადაც რაღაც კომერციული სკოლა დაამთავრა, შემდეგ კი – პეტერბურგში.

ლამით ტყეში გაგვისინეს ბავშვები, მეზობლების ქალები, ბავშვები და მოხუცები ერთად გაგვიყვანეს, მამამ კი, როგორლაც ბათუმისკენ გააღწია, ყური არ უგდო ბებიაჩემის მუდარას, უეჭველად სამსახურში უნდა ვიყო, ამ არეულ დროსათვის, დაიჩემა.

მესამე დღეს ყველაფერი დამთავრდა. ვიღაც გოგუაძის მეთაურობით შემოაჭენა სოფელში ცხენები ათიოდე მხედარმა, ეკლესიიდან უკვე უმცველებოდ დარჩენილი პატიმრები

გაათავისუფლეს და „აჯანყებულები“ რომ ვერსად ნახეს, ორი უდანაშაულო ახალგაზრდა დაცხრილეს მდინარის პირას, ჭალაში. დასასჯელები დაისაჯნენ, მაგრამ უფრო მეტი უდანაშაულო იმსხვერპლა ამ ამბავმა. დიდი უბედურება დატრიალდა სხვაგანაც, ამბობდნენ, იმერეთში მტყუან-მართალი პატიმრები ვაგონებში დახვრიტესო, გურია კი ფილი-პერ გადაარჩინაო, რომელიც სოფელში შემთხვევით ჩასული აღმოჩნდა.

ჩვენ ბათუმში დავბრუნდით. ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა, ჩემზე სთქვეს, ხატვის ნიჭი აქვსო, და ილუშინის კერძო სტუდიაში დამაწყებინეს სიარული, მერე სთქვეს, უსათუოდ პოეტი გამოვაო, და ლექსების წერაც ვცადე, მერე ტექნიკამ გამიტაცა და „პერპეტუმობილეს“ გამოგონება განვიზრახე, შემდეგ ინდუსტრიულ ტექნიკუმში შევედი, იქ მივატოვე ფიქრი „მარადის ძრავაზე“. მხატვრობისა და პოეზიისა კი მხოლოდ უზომო სიყვარული შემომრჩა და ჩემი განუხორციელებელი ოცნებების იღუმალი სევდა.

ისე კი, ჩემებურად ბედნიერი ვიყავი. 1924 წელს პიონერის ყელსახვევი გავიკეთე, „ოქტომბრელის რანგში“, „მუშკო-პთან“ არსებულ კოლექტივში მიმიღეს. საოცრად მიხაროდა დაფდაფისა და საყვირის ხმაზე მწყობრში სიარული. სკოლაში „ილიჩოვკას“ ვასურათებდი, საღამოობით კი, იქვე, ჩვენ სახლთან ახლო, კინოთეატრში „მესამე ადგილზე“ მჯდომი გატაცებით ვუყურებდი ფილმებს: „ტარზანს“, „ედიპოლოს“, „ზნაკ ზეროს!“. შემდეგ უკვე შვიდწლედში, დისპუტებში, ლიტერატურულ გასამართლებებში თავგამოდებით ვიცავდი სამსჯავროზე წარდგენილ ტარიელ მკლავაძეს, გაიოზ გადალენდიას. ვამტკიცებდი, რომ ადამიანი იბადება სუფთა დაფად, მხოლოდ საზოგადოებრივი წყობაა ყველაფერ-ში დამნაშავე და საამისოდ ჯონ ლოკსა და, ვინ იცის, კიდევ რამდენ ვიღლაცას ვიმოწმებდი. ჩემი ძმები წამოიზარდნენ. როგორ მეამაყებოდა და მიხაროდა, როცა ჩემი მშობლები, გარეგნობით ფრიად მოსაწონი ადამიანები, წინ ჩაგვიყენებდნენ ხოლმე სამივე ძმას და ბათუმის შესანიშნავ ბულვარში გავდიოდით სასეირნოდ.

ცხოვრების პირველი რისხვა 1932 წელს ვიგრძენი. ბათუმში დაჭერები დაიწყო, ტარდებოდა ვალუტის ამოღების „კამპანია“. დააპატიმრეს ექიმები, ვექილები, კომერციასთან ახლო მყოფი ხალხი – მრავალი, მცირედ თუ დიდად თვალსაჩინო მოქალაქე, დააპატიმრეს ჩემი მამაც. ის თითქმის ერთი წელი „იჯდა“ ჯერ ბათუმში, შემდეგ თბილისში. გაამართლეს და გამოუშვეს, მაგრამ ბათუმში აღარ დაბრუნებულა, მეტად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს ადგილობრივებისგან. თბილისში, იმავე „კომუნალურ“ ბანკში სამუშაოდ დარჩა და მალე მთელი ოჯახიც გადაგვიყვანა. ისევ აეწყო ჩვენი ცხოვრება. კიდევ უფრო აღტაცებული ვიყავი, რომ სიმართლე არ იკარგებოდა, მჯეროდა, რომ უდანაშაულოდ, ტყუილ-უბრალოდ არავის სჯიან. მამა მუშაობდა, დედამაც დაიწყო სამსახური, კოოპერატიულ ბინაშიც შევედით, უხაროდა მამაჩემს ახალი ბინა, ორი ოთახი არ გამიჯნა, შუაში გასახსნელი კედელი გააკეთებინა: – „დიდი დარბაზი მინდა მქონდეს, სამი ბიჭის ქორწილი მაქვს გადასახდელიო“, ამბობდა. მე ინდუსტრიულ ინსტიტუტში ვსწავლობდი, დათო სამედიცინოში. ლევანი კი – საშუალო სკოლაში. სტუდენტობის საამო წლები და პირველი სიყვარული – ნორა, ფიცი და ოცნება მომავალზე.

და აი დადგა ის საბედისწერო 1937 წელი. დაიწყო ხალხის დაპატიმრება, აღზევდნენ ბენელის მოციქულები, შიშის-მომგვრელი „ორგანოს“ მუშაკები. ყოველ დამე ვინმე ახლობელი, ან ნაცნობი ცრემლიანი სტოვებდა ცოლ-შვილს. ჩვენი ოჯახის ნაცნობებიდან თითქმის არავინ დარჩა, რომ არ დაეპატიმრებინათ. ერთხელ, მახსოვს მაისის დღესასწაული იყო, მამა „პარადიდან“ დაბრუნდა და სევდანარევი ხუმრობით მითხრა: – „ტრიბუნასთან რომ გავიარე, ყველაზე ხმამაღლა „ურას“ დაძახება მე გამომივიდა და მგონი ზევიდან ასე სთქვეს: – „ბიჭოს, ეს კიდევ გარეთ დადისო?“

და ჩვენთვისაც მოვიდა ის ბენელი, უკუნი დამე. 20 ივნისია. ღამის პირველი საათი, მე წიგნს ვკითხულობ, გავიგონე, ჩვენს სადარბაზოსთან გაჩერდა მანქანა. რაღაც ავი გრძნობა დამეუფლა. ყური მივუგდე. ჩვენს შემოსასვლელში, კიბეზე

ამოსულები შეჩერდნენ და მერე მეზობლებს უხმეს. შემდეგ ჩვენს კარზე დარეკეს ზარი. რაღაცამ შემბოჭა, სულ რაღაც იმდი მქონდა, რომ უბედურება ჩვენს კარებს არ მოადგებოდა, ალბათ ამიტომ დავზოგე შინაურები, არ შევაშინებ – მეთქი ლამით, ვიფიქრე და კარები გავუღე მოსულებს. არა, არც ხმაურით შემოცვენილან, არც ხელები გადაუგრეხიათ ვინძესთვის. მოვიდნენ როგორც ბედისწერის მოციქულები, ჩაიცვითო, მამას უთხრეს, ვიდრე ისინი სახლს ჩხრეკდნენ, მამა გულდასმით იკრავდა საკინძეს, იხვევდა ჰალსტუხს, ცრემლიანი დედა მის გარშემო ტრიალებდა. მე და ლევანი მუხლდაცემული ვუცქერდით მათ (დათო სოფელში იყო წასული მამას საყვარელი „კახამბალის“ ჩამოსატანად). მერე კიბეზე ჩაიყვანეს, იქ ცოტა შეჩერდნენ, მერე ერთი უკან დაბრუნდა, მე მიხმო და წამოდი, მამა გეძახისო, მითხრა. მამა სადარბაზოსთან, ხეზე მიყრდნობილი მელოდა. შვილო, მითხრა, შენ რჩები ახლა სახლში უფროსად, ერთმანეთს მიხედეთ, დედას მოუარეთ და გახსოვდეთ, რომ მე არც ჩემი ოჯახისთვის, არც სამშობლოსთვის არასოდეს მიღალატია, და რომ ასეა, თქვენი კარგი კაცობით უნდა დაამტკიცოთო. შემდეგ ხეს მოსცილდა, მანქანისკვენ წავიდა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, მომიბრუნდა და მითხრა: – „არ გაბოროტდეთ ,იცოდეთ“, მერე გურულად მოუქცია: „ბაღნებს უთხარი, არავის ათქმევინონ, მამას ცუდად გაუზრდია იგინიო“, – ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს, მე კი მივედი და იმ ხეს მივეყრდენი. ის ხე დღესაც ხარობს ჩემს სადარბაზოსთან.

რამდენი ცდუნება ან ბედის უკულმართობა შემხვდა შემდეგ ცხოვრებაში, მაგრამ იმისთვის, რაც მამამ დამიბარა, არასოდეს მიღალატია. ინსტიტუტიდან გამრიცხეს „მამასთან, ხალხის მტერთან კავშირის გამო“ – ეწერა ბრძანებაში. არ გავბოროტდი, მეგობრებს არ მივუტოვებივარ, არც მე მიმიტოვებია სწავლა, ვმუშაობდი, თან ჩემს ყოფილ თანაკურსელებთან ერთად ვსწავლობდი. ამაში ალბათ დიდი ლვანლი მიუძღვის ნორას, ჩემს სიყრმის მეგობრებთან ერთად. მათმა სითბომ მომცა ძალა, რომ არ გავბოროტებულიყავი. დედა უკვე სახლში გვყავდა ლეგალურად. მამის დაპატიმრების

მეორე დღესვე ის ჯერ იმერეთში გავხიზნეთ, მერე კი – გურიაში. ასე გადავარჩინეთ დაპატიმრებას. წასაყვანად რომ მოაკითხეს, ის უკვე გადამალული გვყავდა. შემდეგ კი, როცა რეპრესიების ტალღა შენელდა, მას ხელი აღარ ახლეს. მერე ინსტიტუტში აღმადგინეს და სწავლა დავამთავრე. მართალია, ხალხის მტრის შვილის იარლიყი არ მომშორებია, მაგრამ გარჯით, საქმისადმი ერთგულებით ვცდილობდი, დაუძლეველი დამეძლია და აკი შემისრულდა კიდეც ჩანაფიქრი. აღარავინ მიხსენებდა მამაჩემის „ცოდვას“, პირიქით, თურმე კიდევ ბევრს ახსოვდა მისი „კაცური კაცობა“, კიდევ უფრო მეტს კი იმ უბედურთა სრული უდანაშაულობისა სჯეროდა, მაგრამ რა, ამის თქმას ხმამაღლა ვინ გაბედავდა.

ჩემი ოჯახი, რომელიც მე და ნორამ შევქმნით, დედაჩემის მეთაურობით კვლავ ფეხზე დადგა. მე გავიარე სამსახურის საფეხურები – მონტიორიდან მთავარ ინჟინრამდე. ომის ქარტეხილმა ჩემი საშუალო ძმა უგზოუკვლოდ დაკარგა. ლევანმა კი შესანიშნავი ოჯახი შექმნა და ერთად ვცხოვრობდით მამისეულ ჭერქვეშ.

მაშ, რატომ? რატომ? – ვცდილობდი ყველა ექსტრემალური ეპიზოდის გახსენებას ჩემი ცხოვრებიდან, სად შეიძლებოდა შემშლოდა რამე? უცრად ელვასავით გამკრა ეჭვმა, მომაგონდა, სამსახურიდან მოვედი, ვსადილობ ჩვეულებრივ გვიან, უკვე რვა საათი ხდება. კარზე დარეკეს. დედაჩემი მივიდა და გააღო, მეუბნება, შენთან ვიღაც ჩეკისტები არიანო“. შემობრძანდით-მეტქი, ვსთხოვე. ორნიარიან შსმ ფორმით. მანქანითა ვართ, უნდა წამობრძანდეთ, მინისტრი გელოდებათო, მეუბნებიან. რაშია საქმე? – ვეკითხები. არ ვიცით, თქვენი უფროსებიც ყველანი იქ არიან, მპასუხობენ. სწრაფად მოვემზადე და ოც წუთში უკვე მინისტრის, რუხაძის კაბინეტში ვიყავი. იქ დამხვდა „საქენერგოს“ მმართველი დ. ჩხეიძე და მთავარი ინჟინერი ბ. მხეიძე. იცით, რა მოხდა? ამბობს აღშფოთებული რუხაძე, გუშინ საღამოს, სტალინი ვახშამს რომ აპირებდა, ლიკანში სინათლე ჩაქრა! და მთელი 15 წუთი არ იყო! გესმით ეს რას ნიშნავს? გადავხედე ენერგოსისტემის მესვეურთ, მივხვდი, რომ ამ შემთხვევაში

მე უნდა გამეცა პასუხი, როგორც ელექტროინსპექციის უფროსს. – ბევრი მიზეზი შეიძლება იყოს, წავალ, ადგილზე გავარკვევ და მერე მოგახსენებთ, ვუპასუხე. რუხაძე წამოდგა, – მიზეზის დადგენა ერთია, მაგრამ ისე უნდა გააკეთოთ, ეს შემთხვევა მეტი აღარ განმეორდეს, მრავალმნიშვნელოვნად მითხრა, თან ჩემს უფროსებს რისხვით გადახედა. იმ დროს რუხაძის „რისხვა“ კი ცოტას როდი ნიშნავდა.

უკვე საღამოს 9 საათი იყო, რომ გადაწყდა, ჩეიძის მანქანით, დაუყოვნებლივ ბორჯომში უნდა წავსულყოყვი. სახლში გავიარე, რათა შინაურები დამემშვიდებინა, თან „ენერგოგასაღების“ დირექტორს, ჩემს უშუალო უფროსს გ. ბულაშვილს დავურეკე და ვსთხოვე, დილით ჩემი მანქანით ინსპექტორი ყორღანოვი გამოეგზავნა დასახმარებლად.

ლამის პირველ საათზე უკვე ბორჯომში ვიყავი. საოცარ სიჩუმეს, რიდსა და შიშს შეეპყრო იქაურობა. ლიკანში სტალინი ისვენებს! რაიკომში მივედი, რაიკომის მდივანი გრძელულვაშიანი ჯმუხი კაცი, გელაშვილი თათბირს თუ ბიუროს ატარებდა. კაბინეტი სავსე იყო ადგილობრივი „პასუხისმგებელი“ პირებით. გაეხარდა ჩემი მისვლა და მომაძახა: „აბა ჩქარა, თქვენ გენერალი ნიბლაძე გელოდებათ, – მე კი, თუ დაგჭირდებით, დილამდე აქ ვიქნებიო“.

გენერალი ნიბლაძე ტანმაღალი კაცი იყო, მასთან კურორტის დირექტორი, ექიმი გოკიელი დამხვდა. ფეხზე იდგნენ და ლაპარაკობდნენ. გოკიელი ნიბლაძეს მკერდამდე ძლივს სწვდებოდა, შეიძლება იმიტომაც, რომ ერთი გაჭიმული იდგა, მეორეს კი შიშით, კისერი მხრებში ჩავარდნოდა და მობუზულიყო. იმ შემთხვევაზე ლაპარაკობდნენ.

ნიბლაძემ სწრაფად ჩამაყენა საემის კურსში და მითხრა, რომ თავის თანამშრომლებს დამახმარდა, ეს ჩემი დამხმარე, მაიორი გახლდათ, თუ არ ვცდები, გვარად გორდეზიანი, ის უფორმოდ იყო და ჩემს იქ ყოფნაში გვერდიდან არ მომცილებია.

იმ ლამით ელექტროქსელების თანამშრომლები შევკრიბეთ, მკვებავი საპაერო ხაზების გასწვრივ პარკი გავკაფეთ, ანუ ორჯერ უფრო განიერი „პროსეკა“ შევქმენით, ვიდრე

ეს ნორმების მოთხოვნით იყო აუცილებელი. დილით კი „ჩა-მომსხმელი“ ქარხნის ქვესადგურში ვიყავით ხაზების ავტო-მატური რელური დაცვის შესამოწმებლად. იქვე მოვიდნენ თბილისიდან ჩემი ინსპექტორი ყორღანოვი და რელური დაცვის ინჟინერი გ. გოფი. შუადლისას, ჩემი საქმე დამთა-ვრებული მქონდა, რომ უეცრად შეგვატყობინეს, ლიკანის კიოსკში მონტიორს დენმა დაარტყაო. დაუყოვნებლივ წა-ვედით, მონტიორი უკვე საავადმყოფოში იყო წაყვანილი, – დაბალი ძაბვის სადენებისთვის შეუვლია ხელი და მცირე სიდამწვრე მიუღია, ჩვენ კი ელექტროგაყვანილობის მო-წესრიგებას შევუდექით სანტექნიკურ კვანძებში. ნიბლაძის თხოვნით, შიშველი ფეხებითაც კი ჩავდექი წყლიან აპაზანა-ში, რომ შემემოწმებინა, დენი ხომ არ გადადიოდა საიდანმე. სამუშაო დამთავრდა.

ალბათ ნაშუადლევის 3-4 საათი იქნებოდა, რომ ნიბლა-ძეს ველაპარაკებოდი იმ ოთახში, პარკში გასასვლელ კიბეს რომ ემიჯნებოდა. ამ დროს ფაცი-ფუცით შემოიჭრა რუსი პოლკოვნიკი, ალბათ მოსკოველი, და; „Вон, Вон!“ – დაგვიძა-ხა, მაგრამ უკვე დრო ალარ იყო და მე და ნიბლაძე კედელს ავეკარით. დინჯად შემოვიდა, ჩვენთვის არც კი შემოუხედა-ვს, ისე გაიარა სტალინმა და კიბით პარკში ჩავიდა.

ნუთუ აქ, ნუთუ აქ შემეშალა რამე?

მატარებელი სადღაც გაჩერდა. ისევ დაიძრა, ისევ გა-ჩერდა. სადგურში ქართული წარწერებია. ღმერთო ჩემო, თბილისში მაინც ჩავიდე მალე. ლევანი მაინც იყოს თბი-ლისში, ის ახლა მოსკოვში იმყოფება ოჯახით, თავისი დი-სერტაციის საქმეზე. სახლში რომ ყოფილიყო, რამეს ხომ მაინც დაეხმარებოდა ჩემს ცოლ-შვილს, ან დედას მაინც დაიტოვებდა. აპა მაშინ რა ვიცოდი, რომ ლევანი, თავის ოჯახთან ერთად, იმით გადარჩა, რომ თბილისში არ იმყო-ფებოდა და რომ მთავარი „დამნაშავე“, ჩემი ხანდაზმული დედა ყოფილა. ომში უგზოუკვლოდ დაკარგული შვილის დედა, ექიმის, რომელიც, თურმე, ტყვედ ჩავარდნილა თა-ვის ჯარისკაცებიანად, მტრის გარემოცვაში მოხვედრილა ლაზარეთთან ერთად.

მატარებელი თბილისს უახლოვდება. კარგა ხანია, რაც უკვე გათენდა. მე კი არაფერი შემიმჩნევია. უკანასკნელად შევხედე სარკეში გაფითრებული კაცის ლანდს და „ტამბურში“ გავედი. დილა იყო. დეკემბრის დილა. მზის სხივი არ ათბობდა თბილისის შემოგარენს, მაგრამ პაერი სუფთა იყო, სივრცე საოცრად გამჭვირვალე მეჩვენა, მკაფიოდ მოჩანდა მამადავითი. ელმავალმა მოკლე საყვირით ამცნო მოსვლა თბილისის სადგურს. მატარებელი გაჩერდა. ჩემთვის ახალი, ბედუკულმართი ცხოვრების შეუცნობი გზა დაიწყო, რომელსაც არ ვიცოდი, ბოლო სად ექნებოდა, – ციმბირში თუ აზიის რომელიმე უდაბნოში.

პირველი კაცი, ვინც კიბეს მოწყდა და „ტამბურშივე“ გადამეჩვია, ჩემი სამსახურის მანქანის მძღოლი, შალიკო ადამაშვილი იყო. ლმერთო ჩემო! რა სულმოკლეა ადამიანი, უცებ გავიფიქრე, – რადგან სამსახურის მანქანა შოფრითურთ მხვდება, ალბათ პირადად ჩემი საქმე არც ისე ცუდადაა. შემდეგ თვალი მოკვარი დეიდაჩემს, რამდენიმე მეგობარს. სადგურს რომ გავცდით, ირგვლივ უკვე ნათესავებისა და მეგობრების პატარა ჯგუფი მეხვია. ნაჩერევად მიამბობდნენ, რაც მოხდა. არ მახსოვს, ვინ რას მეუბნებოდა და მარიგებდა, ზოგი ფულს მიდებდა ჯიბეში. დეიდაჩემს თბილი საცვლები გამოუყოლებია, – შესაძლოა ქუჩიდანვე წაიყვანონ. შალვა მეუბნება: მანქანა, „დეზერტირის“ ბაზართან რომ აფთიაქია, იქ დავაყენეო. ბრიყვულად დავიჩემე, სამსახურში უნდა წავიდე მეთქი (ალბათ იმიტომ, რომ ვფიქრობ, იქ ხომ იციან, რაცა ვარ, და დამეხმარებიან). მერე აფთიაქიდან დავრეკე ტელეფონით, ერთ ჩემს თანამშრომელს ველაპარაკე, მისი ქმარი ორგანოების პოლკოვნიკია, ჩვენს დაწესებულებაზეა მომაგრებული, კარგად მიცნობს ფედია კოსტაროვი. დავურეკავ ახლავე ფედიას და რჩევას ვკითხავ. 15 წუთში პასუხი მივიღე: – თუ მოახერხებს, როგორმე ახლავე დატოვოს თბილისი და შუა აზიაში წავიდეს, თავისუფალი კაცი უფრო იოლად მონახავს თავის ოჯახს. მიზეზი? – მიზეზი მისი ძმა არის. ტყვედ ჩავარდნილა, ტყვედნამყოფებსა და მათ ოჯახებს

ასახლებენო. ასეთი ბრალდება ჩემთვის სრულიად მიუღებელია. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ არაფერი დამიშავებია, მით უმეტეს ჩემს ცოლსა და პატარა შვილებს, დედას? თვალწინ წარმომიდგა ჩემი საოცარი დედა, საოცარი იმიტომ კი არა, რომ მსურს, მას ისეთი განსაკუთრებული თვისებები მივაწერო, რაღაც საოცრებად წარმოვაჩინო, იგი ყოველმხრივ ჩვეულებრივი, მოყვარული ქართველი დედა იყო, თუმც განსაცვიფრებელი თავდაჭერა ჰქონდა. მუდამ ცდილობდა, რომ ვაჟს, რომელსაც 37 წელს უდანაშაულო მამა დაუხვრიტეს, გულში ავი არ ჩაედო. ცრემლს არასოდეს გვაჩვენებდა, მისგან წუწუნი და საყვედური არასდროს გვსმენია, თითქოს შეფარვით გვეხმარებოდა, რომ არ დაგვერდვია მამის ანდერძი, „არ გაბოროტდეთო“. მხოლოდ ლამით, ისიც სულ რამდენჯერმე, ჩემდაუნებურად მივაყურადე და გულში ჩახშული მისი ჩუმი ქვითინი გავიგონე. ცრემლი? ცრემლი კი მერე იყო, როცა ჩემი ძმა ომის ქარტეხილმა ჩაყლაპა და უგზოუკვლოდ გადაკარგა. ახლა მან ალბათ უკვე იცის, რომ მისი დათო ცოცხალია, როგორ გაიხარებდა დედის გული! მაგრამ ლახვარი, მტარვალის ხელით მოქნეული? რაღა იყო მისი სიხარული, როცა მის პატარა შვილიშვილებს დაუნგრიეს ბუდე და მასთან ერთად შორეთში გადაასახლეს? ან ჩემი ცოლი რა შუაში იყო? ამ დროს მე, თავისუფალი კაცის პოზიციებიდან, როგორ უნდა ვეძებო ისინი? არა, მე თბილისში დავრჩები და ვიბრძოლებ. სადმე არ იქნება სამართალი?!

ნაშუადღევს უკვე ცენტრალურ კომიტეტში ვიყავი, ტელეფონით დავრეკე და გივი ჯავახიშვილს მიღება ვთხოვე. იმხანად ცეკას იმ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, რომელიც მრეწველობასა და ენერგეტიკას მეურვეობდა. მობრძანდითო, მითხრა და შემდეგ სიცილით დასძინა: – კი-დევ ხომ არ წაეკიდე წულეისკირს (წულეისკირი იმხანად იმ მშენებლობას ხელმძღვანელობდა, „თბილისის ზღვას“ რომ ჰქმნიდა და მასთან ხშირად მქონდა დავა ელექტროინსპექტორების გამო). არა, პირად საკითხზე მსურს თქვენთან შეხვედრა, ვუთხარი.

გივი ჯავახიშვილი ინტელიგენტი და ზრდილი კაცი იყო. მისთვის ჩვეული, სანდომიანი ღიმილით წამოდგა და ხელი გამომიწოდა. ათრთოლებული ხმით ვაუწყე მას ჩემი უბედურება. ბატონი გივი ადგილზე გაშეშდა და ვეღარ დაჯდა. მერე დაბნეულმა გულწრფელად მითხრა: „არაფერი მესმის, რა ხდება ჩვენს ირგვლივ“, მირჩია: „მიაკითხე ნიკოლაი მაქსიმიჩს (რუხაძეს), ის ხომ კარგად გიცნობს“.

დაბნეული გამოვდი, რომ ცუდად იყო ჩემი საქმე. საოცარი დალლა ვიგრძენი, თან მთელი ლამის, მერე როგორი ლამის უძილო ვიყავი და თუ არ წამოვწვებოდი, ან არ ჩავიმუხლავდი, შესაძლოა, სადმე წავქცეულიყავი. სახლში ვერ შევალ, სახლი დალუქულია. დეიდაჩემისკენ გავწიე. იქ რამდენიმე მეზობელი მოვიდა და მიამბო, რა ჯოჯოხეთი დატრიალდა იმ ლამეს ჩემს ოჯახში. მოვიდნენ მეგობრები, ნაუცბათევად მიამბეს, „ბართოლომეს“ ლამე როგორ დაატყდა თავს მთელ საქართველოს, განა მარტო თბილისს? ყველგან, ყველგან სადაც ქართველ კაცს კერია ენთო და შობის ლამე უთენდებოდა, ან თავად დაზარალდა, ან მეზობლის ცოდვით იწვოდა, ან ნათესავის უბედურებით! ლამე ლაპარაკში გავატარეთ. დილით ვეცადე რუხაძესთან შევსულიყავი. მხოლოდ მისმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა კოტე ბერიშვილმა მიმიღო, ვეუბნები: „რა მოხდა ჩემი ოჯახის ირგვლივ ისეთი, რომ ამ უბედურებას გადამყარეთ. თუ კი ამ ხუთიოდე თვის წინათ იმდენად სანდო ვიყავი, რომ ბორჯომში, სტალინის სამყოფელში გამიშვით, ახლა რატომ ვისჯები, რა დანაშაულისთვის, ხომ უნდა ვიცოდე?!“

არა, ნამდვილად არ ჰქონდა იმ პოლკოვნიკს ჯერ დაკარგული სირცხვილ-ნამუსი, არ ჰგავდა თავის უფროსს, გენერალ რუხაძეს, ალბათ ამიტომაც გადაურჩა იგი იმ სასჯელს, მისმა თანამეინახეებმა, რამდენიმე წლის შემდეგ, რუხაძეს-თან ერთად რომ გაიზიარეს.

ასე მეგონა, არწივის მზერით გავგმირავდი ჩემს დამლუპველს, ეს კი რა გამომდის, ეს რამ მომდრიკა? საკუთარი თავი იმაზე დავიჭირე, რომ წელში იდნავ მოხრილიც კი ვიდექი უმწეოდ, მოწყალების მთხოვნელი. ალბათ მხრებზე

მაწვა ის შიშის ზარი, რასაც იმ დასაქცევ შენობაში ბევრი ადამიანი განიცდიდა. წელში გავსწორდი, ვეცადე, უფრო ღირსეული პოზა მიმეღო. არ ვიცი, რა გამომივიდა, მაგრამ პოლკოვნიკს აშკარად თანაგრძნობა და სიბრალული შევნიშნე. არაფრის გაკეთება არ შემიძლიაო, მითხრა, თავს შემოუძახეთ, ჩვენ დაგეხმარებით, რომ თქვენი ოჯახი, რაც შეიძლება მალე იპოვოთ. მრავალი წლის შემდეგ ეს კაცი ავადმყოფობით დაკინიბული, ოთხად მოხრილი პროფ. სარაჯიშვილის კლინიკაში მოვინახულე, მე ცხოვრების ახალი ასპარეზი მეშლებოდა წინ, ის კი... ვნახე იმიტომ, რომ წლების მანძილზე გამყვა ის სითბო, მაშინ რომ მაგრძნობინა. ალბათ ასეთი მადლიერების გრძნობა ეღვიძება კაცს, რომელიც თავის ჯალათს თვალებზე სიბრალულის ცრემლს შენიშნავს. ალბათ ვნახე იმიტომ, რომ მახსოვს, მაშინ მის-გან რომ გამოვედი, გამახსენდა, ერთმა, 1937 წელს რეპრე-სირებულმა და შემთხვევით გადარჩენილმა კაცმა როგორ მიამბო: მამაშენი დაკითხვაზე გაიყვანეს. 24 საათი ფეხზე დგომით დასაჯეს. ვერ გაუძლია, თანდათან ჩამჯდარა კე-დელზე მიყრდნობილი, მეთვალყურეს კი თვალებზე გაზიეთი აუფარებია და რამდენიმე საათის შემდეგ უთქვამს: „ახლა ადექი, ჩემი შემცვლელი მოდისო“. საკანში რომ შეიყვანეს, სასომიხდილ მამაჩემს უთქვამს: თურმე ჯალათებშიც ურე-ვია კეთილი კაციო.

მადლობა ღმერთს, ბოროტისა და კეთილის მონაცვლეო-ბა მაინც აწონასწორებს ადამიანის სულიერ მდგომარეობას!

რატომღაც სამსახურში წავედი. ჩემს კაბინეტში შევე-დი, საწერ მაგიდას მივუჯექი, მაგიდაზე მტვერი შევნიშ-ნე, სული შევუბერე, სამელნე გავასწორე. – დღესაც ვერ ამიხსნია, რატომ? შემოვიდნენ თანამშრომლები, მხოლოდ ქალები, კაცთაგან მხოლოდ ერთი, ხანში შესული მთავარი ბუღალტერი, თუმანიანი შემოვიდა. შემდეგ მთავარ სამმარ-თველოში ავედი. იქ კი ხალხი შეიკრიბა ჩემს გარშემო, ლაპა-რაკს ვერიდები, მთავარი ინჟინრის, ბესო მხეიძის კაბინეტს შევაფარე თავი. ამ დროს ვიღაც კაცი შემოვიდა, კეპკიანი, ხელით მანიშნა, საქმე მაქვს თქვენთანო. ყველაფერს მივე-ვ-

დი. მეუბნება, ერთი წუთი პირველ სართულზე ჩავიდეთ, РОМВД-ის უფროსი, კორინთელი გთხოვთო. ეს იყო და ეს. შემდეგ ის კაცი აღარ მომშორებია. თან მახლდა ყველგან. კორინთელი მეუბნება: ჩვენ დავალებული გვაქვს, ოჯახის მოძებნაში დაგეხმაროთ, შესაძლოა, ამ საღამოსაც კი მოგიხერხოთ გამგზავრება, ეშელონი მზადდება ჩამორჩენილი ხალხის წასაყვანად. სულ სამოცდაათ კაცამდება და იმათან ერთად გაგამგზავრებთ, ოღონდ ჯერ შესაფერისი ვაგონები არ არის და ეს აფერხებს საქმესო. შ. ლოლუს (ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის უფროსს) დავურუეკე და ვაგონის გამოყოფის საკითხზე დახმარება ვსოხოვე. იმდენად გულუბრყვილო ვიყავი, მეგონა, რადგან სულ ოთხმოცდაათ კაცამდე ვიყავით, ჩვენი გამგზავრება სახალხო ვაგონით იქნებოდა შესაძლებელი. ჯიუტად ვარწმუნებდი ჩემ თავს, რომ ჯერ კიდევ უფლება მქონდა, „თავისუფალი“ კაცის პრივილეგიებით მესარგებლა, „პენს“ არ ვკარგავდი და ცოტას ვყოყლოჩინობდი კიდეც. რა სასაცილო ვიყავი, ალბათ, მაშინ. კორინთელს ჩემს ბინაში შესვლა ვთხოვე, პირადი ნივთების წამოლების მიზნით. ის კაცი (მაიორი ყოფილა) გამყვა. ორ მეზობელს დაუძახა, ლუქი გახსნა და სახლში, ჩემს სახლში შევედით.

ყველაფერი თავის ადგილზეა. ავეჯი ხელუხლებელი (ავეჯი შემდეგ „ტორლებში“ გაუყიდიათ, აუქციონის წესით). აგერ ბავშვების სათამაშოები მიყრილ-მოყრილი, ყველგან ნაჩქარევი აბარგების ნიშნებია, ბინის ყველა კუთხიდან სიცარიელე და სევდა მიჩვენებს თავის ცივ ბრჭყალებს.

ჩემს თავს ვეკითხები, რისთვის მოვედი აქ, ამ სიცარიელეში? რა იყო ეს, არ ვიცი – პროტესტის ჟესტი თუ დაბნეულობა. კარადიდან მხოლოდ რამდენიმე ტექნიკური წიგნი გამოვიდე, მეტი არაფერი მინდა-მეთქი, ვეუბნები, მერე გამახსენდა, „ბუფეტის“ კარი გამოვალე, იქ ერთი ბოთლი „არტეკი“ მქონდა სასოებით შენახული, ყირიმიდან რომ წამოვილეთ მე და ჩემმა ძმამ, დათომ, 1937 წლის ოქტომბერში და მოვილაპარაკეთ, მხოლოდ მაშინ გავხსნიდით, როდესაც ჩვენი მამა სახლს დაუბრუნდებოდა. ჯერ კიდევ გვჯერო-

და... მერე იმედი დავკარგეთ, მაგრამ ჯიუტად, როგორც თილისმას, ისე ვინახავდით ამ ბოთლს. ახლა კი... ვინ უწყის, დათო სად არის, ლევანი მოსკოვშია ოჯახით უსახლვარო, მე კი შუაზიისკენ მიდევს გზა, დაკარგული ოჯახის საძებნელად. ბოთლი სასოებით გავხვიე ქალალდში, უბის ჯიბეში ჩავიდე, წავიდეთ-მეთქი, ვუთხარი გაკვირვებულ მაიორს და ჩემს ბინას ისე გავეცალე, უკან აღარ მიმიხედავს.

საღამოს ნავთლულში აღმოვჩნდი, იქ ვნახე პირველად ის ხალხი, ვისთან ერთადაც უნდა შემგზავრა. იქვე დავრწმუნდი, რომ ყველაფერი ჩემ ირგვლივ „ბლეფია“. ჩემს შოფერს აგზავნიან სადღაც, ის კი – „ხაზეინს“ ჰკიოთხეთო, პასუხობს. ის შენი „ხაზეინი“ აღარ არის და, რასაც გეუბნებიან, ის გააკეთო, უბრაზდებიან. შენობიდან გამოსვლა ვცადე, გარეთ ბიძაჩემი მაქსიმი მელოდება. გუშაგი გადამიდგა, ოთხი თითოთ ვანიშნე, დამატუსალეს-მეთქი. შემიყვანეს კაბინეტში, შეავსეს რაღაც ანკეტები, შემდეგ ისევ საერთო ოთახში მოვხდი, რომელიც გარედან ურდულით იკეტებოდა.

ვინ იყო ოთახში, რომელსაც გარედან, როგორც საშიშ ადამიანებს, თოფიანი კაცი იცავდა?

ერთი კახელი გლეხი, ომგამოვლილი და ტყვედნამყოფი, სახელად დათა, ცოლითა და ოთხი, ერთმანეთს მიყოლებული ბავშვით. „სულ შვიდი სული ვიყავითო“, მეუბნება: „ექვსი წამოგვიყვანეს, ერთი კი, ჩემი მურია ძალლი დატოვესო, ალბათ დარბის და ყმუის პატრონის ეზოშიო“. ზის თავისი ცოლითა და წვრილშვილით კახელი დათა ძველ-ძველი ფარდაგებით გახვეულ ბარგზე, ცდილობს, იოხუნჭოს (ალბათ ცოლ-შვილის გასამხნევებლად). – „დახეო, მეუბნება, ფეხი რაზე მიჭირამსო“ და საკმაოდ დიდ ტომარაზე მიმანიშნებს, ესაო, ჩემი საშობაო ლორია გასაყიდად რომ დავკალი, საგარეჯოში უნდა წამელო და აკი ახლა მე უნდა შემაჭამონო, დახე, როგორა ზრუნავენ ჩვენზე.

მეორე, ერთად რომ შეჯგუფულან, ნერგაძეების ოჯახია. შუახანს გადაცილებული კაცი (ვგონებ, თერძი იყო ხელობით), ომგადახდილი და ტყვედ ნამყოფი, ცოლითა და ქალ-ვაჟით, დანა პირს არ უხსნით, სხედან თავჩაქინდრულე-

ბი. მხოლოდ ვაჟი, ასე 20-21 წლის ბიჭი ამოიხედავს ხანდა-  
ხან თვალების ბრიალით.

იქვე, ფანჯრის სიახლოვეს ექიმი ქალი ზის, თავისი 5-6  
წლის ბიჭით – შოთიკოთი, სახელად ლერა ჰქვია, ქმარი ყო-  
ლია ტყვედნამყოფი, მაგრამ ღამით სახლში არ დახვედრიათ  
თურმე და მხოლოდ მისი ცოლ-შვილი წამოუყვანიათ.

აგრე, მაღალი კაცი, თუშია მგონი, მწყემსი, უკვე ხანდა-  
ზმული, მაგრამ ვაჟუაცური იერი და შემართება შერჩენია.  
პატარა ბიჭი ახლავს, ასე 16-17 წლის. მის ვაჟს ღამით მოა-  
კითხეს, როგორც ტყვეობაში ნამყოფს, მაგრამ სახლში არ  
იყო, მამის კვალზე მავალი ცხვარს გაჰყოლია. ზამთრამდე  
რა მიშავსო, მითხრა იმ კაცმა. ეგ ბალი მებრალება, ჩემი  
უმცროსი ძმის შვილია, ჩემთან იყო სტუმრად ამოსული და  
აკი გამომაყოლესო.

ერთ ქალს აშკარად ეტყობოდა ფეხმძიმობა, ქმარი და  
დედამთილი თავს დასტრიალებდნენ. ვიღაც ქალმა შემომ-  
ჩივლა, მე საერთოდ არ ვიცი, აქ რატომ წამომიყვანეს, ჩემი  
ყოფილი ქმარი, იმას დასწყულის ღმერთი, ტყვედნამყოფი  
ყოფილა, მე კი არა ვიცოდი რაო, ალბათ მისმა ნათესავებმა  
თუ შემიტანეს სიაშიო.

არ მახსოვს, რამდენი კაცისგან შედგებოდა ანჯაფა-  
რიძეების ოჯახი, სამეგრელოდან რომ ჩამოუყვანიათ თოთო  
ბავშვით.

ძნელია, ამდენი ხნის შემდეგ აღვიდგინო თვალწინ ყვე-  
ლას სახე, საკუთარ უბედურებას მწუხარების ნიღბად რომ  
გადაუქცევია, ძნელია ყველას განცდა და წუხილი გამოვყო,  
ეს ყველაფერი, ერთად აღებული კი, ერთი საერთო უბედუ-  
რება იყო, ხალხის უბედურება.

ვერც კი გადავთვალე ბოლომდე ყველა, სულ 80-90  
კაცი თუ ვიქნებოდით, მეტწილად ქალები და ბავშვები,  
ვინც სოფლებში „შემთხვევით გამორჩათ“. ერთი სიტყვით,  
ეს ნარჩენები იყო, როგორც მაშინ ამბობდნენ, იმ თექვს-  
მეტიათასი ქართველისა, რომლებიც ერთ ღამეს მოჰვი-  
ჯეს საკუთარ კერას. თვალში მოგხვდებოდა მთიელის შავი  
ნაბადი, კახელის კახური ქუდი, ნერგაძე მამის, ნერგაძე

შვილის ბოხოსი. ერთი მე გახლდით, თავზე რომ მეტურა იმ დროს მოდური ფართეფარფლებიანი შლიაპა, ლურჯი დრაპის „ლიპაბეჭებიანი“ პალტო, შავი ტყავის ხელთათ-მანები, თეთრი გაკრახმალებული საყელო-მაჯებიანი პე-რანგი, ლურჯი ჰალსტუხი. ალბათ უადგილო ადგილას მოხვედრილ მამალ ინდაურს ვგავდი და საოცრად უხერხუ-ლად ვგრძნობდი თავს. სინამდვილეში მინდოდა, ძაძით მო-სილი ჩავხვეოდი ამ უბედურ ხალხს.

ღამით რკინიგზის ხაზზე გაგვიყვანეს. აქ ჩამომდგა-რიყო ორლერმიანი სამი ვაგონი, საქონლის გადასაყვანადაც კი გამოუდეგარი. შეიარაღებული რაზმი ბევრად მეტი იყო ჩვენზე, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ გამცილებლად სულ სამი კაცი მოგვყვებოდა: ეშელონის უფროსად კაპიტანი ბიაშვი-ლი, მის დამხმარედ პოდპოლკოვნიკი კუსრაევი და მაიორი ჯიკაევი. ან რა საჭირო იყო მეტი? ვინ იყო სადმე გამქაცვი?

აბა ჩქარა, აბა ჩქარა, ადით, მბრძანებლობდა ვიღაც ჯმუ-ხი, ნაცრისფერი კრაველის ქუდიანი კაცი, შემდეგ კაპიტანი ბიაშვილი მიიხმო და რაღაც უთხრა. აშკარად ჩემს გვარს მოვკარი ყური. ბიაშვილი მოვიდა და მითხრა, თქვენზე მი-მითითეს, რომ გზაში ყურადღება არ მოგაკლოთო. ვინ არის ის კაცი? ვეკითხები. შადურია, – მპასუხობს. ამ სამ ვაგონში რის ვაივაგლახით გავნაწილდით. ვაგონში „ნარებია“ თავსა და ბოლოში, ორ სართულად. თითო სართულზე ექვსი კაცი ეტევა ხალვათად, „ჩახუტებული“ კი – 10-12. ამ ორ წეება „ნარებს“ შორის, ვაგონის შუაში თუჯის ღუმელია, იქვე ყრია ნახშირის მარაგი. მე პრივილეგირებულ „ნარებზე“ მოვხვდი, სადაც ჩვენი გენერალიტეტია – ბიაშვილი, კუს-რაევი, ჯიკაევი, მე. ექიმი ლერაც ჩვენთან არის თავისი შოთიკოთი. სხვები მეტწილად ოჯახებად არიან განაწილე-ბული. მართალია, თითოეულ ვაგონს თითო გამყოლი უნდა ახლდეს, მაგრამ ასე არჩიეს, ვაგონები გარედან იკეტება და სამი გამყოლი რიგრიგობით იფხიზლებენ და შესაბამის გაჩერებებზე „აპრავკისთვის“ გამოუშვებენ მსურველებს. ამ „სტრატეგიის“ და „დისლოკაციის“ გეგმას უნებურად გა-ვეცანი, როგორც პრივილეგირებული ნარების ბინადარი,

რადგან ეს მოლაპარაკება იქ ხდებოდა. ჩვენც დავნიშნეთ მამაკაცების მორიგეობა. ცეცხლფარეშები, ასეთ დროს, აუცილებელია, რადგან „ჩუგუნკას“ ჩაქრობა გზაში გაყინვას ნიშნავს. ბოლოს რაღაც სამარშრუტო საბარგო შემადგენლობას მიგვამაგრეს და მატარებელი დაიძრა. შენი მტერი შეესწროს ამ ვაგონით მგზავრობას. ორლერძა ვაგონების საშინელი რახუნი ყურთასმენას გვიხშობდა, ვაგონი ლიან-დაგზე ისე ბალანსირდებდა, გეგონებოდა ეს-ესაა გადა-ვარდებაო. გადავხედე და ვნახე, რომ კაპიტან ბიაშვილსაც ბის ფერი დასდებოდა. ნუთუ ის ხალხიც (ვგულისხმობ ჩემს ოჯახს) ასეთივე ნანამები იქნებოდნენ? ვკითხულობ. არაო, ისინი „პალმანის“ ვაგონებით წაიყვანესო, – მანუგეშებენ.

მაგრამ ყველაფერს ერევა ადამიანი და თანდათან ვაგონის ჯაგჯაგსაც შევეჩივით. თანაც გზაში უამრავი პრობლემა წამოიჭრა. ჯერ ერთი, ქვანახშირი უნდა მოგვემარავებინა, გზადაგზა საჭმელი იყო ამოსატანი. ჩანდა, რომ მგზავრობა გრაფიკის გარეშე ხდებოდა. ბიაშვილი ძალიან ნერვიულობდა. იმ პუნქტებში, სადაც საკვები უნდა მიგვეღო, ცარიელი ვედროებით უკან დაგვაბრუნეს – თქვენთვის არაფერია გათვალისწინებულიო. ეს ჩემი მაღალჩინიანი კურსაევი და ჯიკაევი უქნარები გამოდგნენ.

„აპრავკაზე“ გხვდებით ერთმანეთს სამივე ვაგონის ბინადრები და მაშინ ვუზიარებთ ჩვენს გაჭირვებას ერთმანეთს.

რომელიდაც დიდ სადგურში ბიაშვილმა მაინც მიაღწია იმას, რომ „სპეცკომენდატურის“ მეშვეობით, სადგურის სამზარეულოდან რამდენიმე „ბუხანკა“ ბური და ვაგონზე ორი ვედრო „პახლიობკა“ მოგვცეს. აქვე მივიღეთ ქვანახშირის (ანტრაციტის) მარაგი. უკვე ოთხი დღე და ლამეა, მოვდივართ, წარამარა წამოგვყრიან და სხვა „сборный“ შემადგენლობით გვაგრძელებინებენ გზას. რაღაც „перегон“-ებზე გვაჩერებენ, სადაც ირგვლივ რკინიგზის მორიგი ჯიხურის გარდა, არსაიდან შუქი არ გამოკრთის. „აპრავკისთვის“ ეს ყველაზე ხელსაყრელი ადგილია. ახალ წელს ყველანი საბანჩახურული შევხდით, ჩვენი დარდებითა და ჩვენი ფიქრებით.

დღე-დღეს მისდევდა და ჩვენს გამყოლებს ნერვიულობა დაეტყოთ, ისინი უკვე აღარაფრით განსხვავდებიან ჩვენგან, ერთნაირად ვიტანთ გასაჭირს. სულ უპატრონოები ვართ, მეუბნება ბიაშვილი. ბავშვებზე ვწუხვარ მეტისმეტად – საჭმელი, სასმელი. ბოლოს ბიაშვილს ვეუბნები: ხომ ხედავ, ჩვენს გეგმიან ქვეყანაში დაუგეგმავი გადასახლებაც კი შეუძლებელია, თუ ამ პროცესს ცენტრი არ განაგებს. ფული ყველას გვაქვს, წავიდეთ და მე და შენ რომელიმე დიდ გაჩერებაზე ვიყიდოთ სანოვაგე, თუ ეს ქალაქი არ იქნება, სოფლებიდან შევიძინოთ რამე, ვეუბნები.

დათა კახელაძემ კარგა ხანია, თავისი ღორი შემოგვთავაზა. ვაგონებში გავინაწილეთ ღორის ხორცი. აბა ეგიყო სიხარული, სადღაც არაყიც გაჩნდა და დაიწყო ის, რაც ასეთ დროს ხდება ხოლმე. ჩვენი გამყოლებიც და ჩვენც კარგად შევეძებით ამ ცოდვის პურმარილს. ნახშირის მარაგი კარგა ხანია გაგვითავდა, ვაგონის შიგნიდან ბოქლომების თავები თეთრი ყინულოვანი გარსით იფარება, როგორც კი „ჩუგუნკის“ ცეცხლი ჩაქრება. აღარა გვაქვს სანთელი, რომელიღაც სადგურზე რამდენიმე ასეული ცალი შევიძინეთ და ვაგონებში დავარიგეთ. გათბობის პრობლემა კი ასე გადავწყვიტეთ: გაჩერებებზე, შემცვედრ შემადგენლობებს, „ბუქსებიდან“ ზეთით, თუ დიზელით გაულენთილ „პაკლებს“ ვაძრობთ ქურდულად და ამით ვანთებთ „ჩუგუნკას“. ამის გამო ყველანი საშინალად ვიჭვარტლებით, პირს კი ვიბანთ, მაგრამ ჭვარტლი მაინც თავისას შვება და დღის ბოლოს ზანგებს ვემსგავსებით.

ახლა უკვე ორი გამყოლი გვყავს: ბიაშვილი და ჯიკაევი. კუსრაევი გზაში ჩამოგვშორდა ერთი სავალალო გარემოების გამო. რომელიღაც სადგურში ახალ შემადგენლობაზე გადაგვაბეს. აღმოჩნდა, რომ სწორედ ჩვენი ვაგონების უკან, მსგავსი „სბორნი“ შემადგენლობის ვაგონი მოგვყვებოდა შამხორიდან, იქაური დვინით დატვირთული. ვაგონის გამყოლმა ქართველები შეგვიცნო, ჩვენს გასაჭირსაც მიხვდა და ბლობად ნამცხვრები გვიზიარა. თან ჩვენი გამყოლები, ჩემთან ერთად, ვაგონში მიიპატიჟა. მიპერის „პერეგონზე“

ჩვენი მატარებელი. ჩვენ კი კასრთან შემომსხდარნი, „ბანკებით“ შევექცევით შამხორულ ღვინოს, ჩემი „თანამესუფრენი“ მაგრად შეთვრნენ, მასპინძელი ღვინოს არ სვამდა, მეც თავს ვარიდებდი, რაც შემეძლო. ბიაშვილმა ჩაყვინთა, კუსრავი კი ლამობდა, რაღაც ოსურად ემლერა. ჯიკაევი შედარებით ფხიზელი იყო, მაგრამ რაღაც უსაშველოდ გრძელი სადლეგრძლო წამოიწყო და თავი ვეღარ მოაბა. უცებ კუსრავი თავისი მაღალი ძელსკამიდან გადმოვარდა და კვნესას მოჰყვა. წამოვცვივდით, ვერაფერი გავაწყეთ – სუნთქვა უჭირდა. ვფიქრობ, ნეკნი ჰქონდა ჩატეხილი, ან გაბზარული. ჩვენს ბედზე მატარებელი მალე გაჩერდა, კუსრაევი ჩვენს ვაგონში გადავიყვანეთ, შემდეგ სადგურში, სადლაც „სპეცკომენდატურა“ იყო და ბიაშვილმა რკინიგზის ტელეგრაფით ცნობა გადასცა, დახმარება აღმოგვიჩინეთ „პოდპოლკოვნიკმა“ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრამვა მიიღო. შემდეგ სადგურზე, მართლაც დაგვხვდა სანიტარული ბრიგადა და კუსრაევი საკაცეთი წაიყვანეს. მეორე დღეს ჩვენ ისევ სხვა „სბორნიკზე“ გადაგვაბეს, როცა შამხორელ ღვინის გამყოლს ვემშვიდობებოდი, წამჩურჩულა: „იცი, ამ ძალლიშვილს ნაპობი ჩავარტყი, მაგათ ძმა დამიღუბეს.“

ჯიკაევმა მგონი რაღაც იაზრა, შეშინებული იყურება, თავი მხრებში სულმთლად ჩაუძვრა, მაგრამ ვერაფრის თქმას ბედავს, პირიქით, ალბათ ფიქრობს, მეც არაფერი მიქნანო, გამხელა კი მიისა, რაც მოხდა, მისთვის კიდევ უფრო მეტი უბედურების მომტანი იქნება.

ბიაშვილი ძალიან დაგვიმეგობრდა, აღარც მალავს, რომ ჩვენი ასეთ დღეში ჩაგდება ულმერთობად მიაჩნია. ღვინო და არაყი, შამხორელმა რომ დაგვიტოვა, გულსა ხსნის და სამეგობროდ განაწყობს ადამიანს, თუ ბოროტება არ არის ბუნებით მასში მიმალული.

მე-14 დღეა, ვმგზავრობთ, თუმც რას ვმგზავრობთ, მეოთხე დღეა, რაღაც „პოლუსტანოკზე“ ჩამოხსნეს ჩვენი სამი ვაგონი და უპატრონოდ ვაგდივართ სარეზერვო „ტუპიშიში“.

ორენბურგიდან, სულ რაღაც, 175 კილომეტრია თურმე. არავითარი ლაპარაკი ამ „ნახევარსადგურის“ მორიგესთან არ ჭრის. გამჭოლი შემადგენლობები კი მიდის და მოდის. ბიაშვილი როგორდაც ახერხებს ორენბურგთან ტელეფონით დაკავშირებას. უპატაკებს: „კაპიტანი ბიაშვილი გელაპარაკებათ, 90 ადამიანს ვაცილებ სპეცგადასხლებულებიდან მორჩენილთაგან, მესამე დღეა, რაც სამი ვაგონი მოხსნილია და მარშრუტზე არ გადის. მშობიარეა, ბავშვები და ავადმყოფები, ვითხოვ თქვენს ჩარევას და მითითებებს“. მეორე დღეს გამვლელ შემადგენლობას მიგვაბეს და, როგორც იქნა, დავიძარით ადგილიდან.

უკვე ჩრდილოეთ ყაზახეთის გზებზე მიქრის ჩვენი მატარებელი, ცარიელი ვაგონების ნაკრები, რომელსაც ჩვენი სამი ვაგონი მიაბეს. საშინალად ცივა, ვაგონის შიგნით ლითონის სიმაგრეები და ბოქლომები ითრთვილება. კარგა ხანია, არსად გავჩერებულვართ, სითბოს საშოვნელად – „ბუქსებიდან“ ნადავლი „პაკლისთვის“. ბოლოს სადღაც გავჩერდით. სამი საათი მოგიწევთ აქ დგომა – უთხრეს ბიაშვილს. კაპიტანი ჯარისკაცივით დატრიალდა, რამდენიმე ვედრო ანტრაციტი იშოვა, ღამე იყო და პურიც კი გაახერხა სადღაც. დავდევდით და ვეხმარებოდით მე, დათა კახელი და ნერგაძის ბიჭი, თავზე ნერგაძის მამის ბოხოხი მეხურა. ვიღაც რუსი მეუბნება: „იცით, აქ ბევრი თქვენი კავკასიელია, აქვე ცხოვრობენ, სადგურთან ახლოს“. ვეხვეწები ბიაშვილს, ვნახოთ, ვინ არიან, ეგებ ჩვენები არიან, ანდა მათი გზა-კვალი იციან-მეთქი. არ მეთანხმება, მპასუხობს, ჩვენი დანიშნულების ადგილი სხვა არისო. ბოლოს გატეხა კაცი ჩემმა მუდარამ, ჩვენ ტოლები ვართ, მას სახლში ელის თავისი ოჯახი, ცოლი და ქალიშვილი. მიაჩირდა სიბნელეს და მაფრთხილებს: ისე ნუ იზამ, მათ ნახვას ვეღარ მოვესწრო. შემდეგ ხელს იქნევს და მეუბნება: – აბა ჩქარა, ნუღარ დავაყოვნებთ. თოვამ იმატა, ძლივს ვარჩევთ ჩაბნელებულ გრძელ ნაგებობებს, ბარაკებს რომ ჰგავს. არც ისე გვიანია, 8 საათი თუ იქნება. ნუთუ ყველას ძინავს? – შენ მარტო შედი, მე ფორმით ვარ, მეუბნება ბიაშვილი.

ერთ ბარაკში კარი შევაღე, სითბო და ოხშივარი შემომეგბა. ვრცელ ბარაკში სიწითლემდე გახურებული „უესტის“ ღუმელს ირგვლივ კაცები უსხედან, ზოგი ყალიონს აბოლებს, ზოგი გრძლ მუნდშტუკზე წამოგებულ „ციგარკას“. გაკვირვებით შემომხედეს უცხო კაცს, ყველაზე ხნიერი მეკითხება, ჩანს, ის არის აქ უფროსი, გრძელ თეთრ წვერზე კიაფობს ღუმელიდან გამონაშუქი, შავი ბოხოხი თვალებს თითქმის უფარავს: „ვინა ხარ?“ – ვხედავ, ქართველები არ არიან, ვეუბნები: „ქართველი ვარ, ჩემს ოჯახს ვეძებ. არ იცით, აქ ქართველები არიან?“ ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია და მიპასუხა: „ქართველები, ქართველები. მათ სამშობლო წაგვართვეს, ჩვენ ყაბარდოელები ვართ, იქით ბალყარელები არიან, აქ ჩვენ ყველას ბოლო მოგვეღება, ჩვენს ადგილებში ქართველები არ არიან“.

სხეულის უცნაური სიმძიმე დამეუფლა, ჩემს მწუხარებას თითქოს კიდევ უფრო მეტ ტვირთად დააწვა ამ ხალხის უბედურება, საოცრად დავიძაბე და ვიგრძენი, ჩემი დამხვდურებიც როგორ დაიძაბნენ. ორიოდე წუთი მათთან ვარ და ასე მგონია, მე უნდა ვაგო პასუხი მთელ მათ აწმყოსა და მომავალზე. გამახსენდა ყაბარდო „ბაქსანჰესი“ (იქ ვიყავი პრაქტიკაზე სტუდენტობისას), ყაბარდოელების გულლია მასპინძლობა და ბალყარების თავაზიანი, მაგრამ ამაყი მისალმება.

ძლივს ვლერდავ სიტყვებს: „ოჯახი დავკარგე, არ ვიცი, სად არიან, ჰოდა, ბადრაგთან ერთად დავბორიალობ უგზოდ, უმისამართოდ“.

შემოვბრუნდი და კარებისკენ გავემართე. „მომისმინე შვილო“ – მეძახის ხნიერი, – „აქ ეშელონებმა ჩაიარეს, ამბობდნენ თითქოს სამხრეთ ყაზახეთში წავიდნენო“. მერე კი თითქოს მამშვიდებსო, მეუბნება – „აქაურობას იქა სჯობს“.

მადლობა გადავუხადე და გარეთ გავედი. ისე გავრბივარ, ბიაშვილი ძლივს მეწევა. კაცო, ასეთი რა გითხრესო, მომძახის. – არაფერი, მაგრამ ასე მგონია, ჩემმა წარსულმა ცხოვრებამ თვალებში შემომაფურთხა-მეთქი, ვპასუხობ. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა დავაშავე მე, და ყველა იმან, ვისაც ბედისწერამ ამ უკულმართი გზებით სიარული არგუნა?

...ერთი კვირის შემდეგ ჩვენი მატარებელი ტაშკენტს მიადგა. ბიაშვილი გაოცებული მეუბნება: კაცო! უზბეკეთში რა გვინდა, ჩვენი „კანეჩნი“ პუნქტი ყაზახეთი არისო, და გაიქცა ამბის გასარკვევად. მალე დაბრუნდა, ყველაფერი წესრიგშია, აյ ახალ შემადგენლობაზე მიგვაბამენ და ლამით გაგვიშვებენ, ხვალ კი უკვე ჩიმკენტის ოლქში ვიქწებით, იქ წავიდა ჩვენი წინა ეშელონებიო. საჭმელიც მოვიტანეთ და თითქოს დავისვენეთ კიდეც, ყველა თავ-თავის „ნარებზე“ მიწვა, გვიხარია, რომ უკვე ჩანს ჯოჯოხეთური მგზავრობის ბოლო, ყველას რომ ასე დაგვაკარგინა ჩვენ-ჩვენი სახე. ერთადერთი ბავშვებია კარგად მოვლილი, ყველა სუფთაა და კრიალა, დედის მზრუნველი ხელი ახერხებს ამ პირობებშიც მათ მოვლას. ანჯაფარიძის ექვსი თვის ბიჭი დღეებს ეშელონში იმატებს, ფეხმიმიმე ქალი, მადლობა ღმერთს, ჯერ არ მშობიარობს. ქალებსაც არა უშავთ რა, როგორლაც ახერხებენ – პერი შეინარჩუნონ. მამაკაცები კი პაპუასებს ჰგვანან. მე? ჩემზე ახლავე მოგახსენებთ.

ვთხოვე ბიაშვილს, ტაშკენტში ვართ, ამდენი დრო გვაქვს გამგზავრებამდე, წამიყვანე „უზბეკენერგოში“, ეგებ ჩემი მომავალი მუშაობისა გავარკვიო – მეთქი, რამე. უარი არ მითხრა. ამოვილე ჩემი სასოებით გახვეული ნაცრისფერი „შლაპა“, ჰალტო, სუფთა ხალათი, ჰალსტუხი, დათა კახელმა მე და ბიაშვილს ჩაიდნიდან დაგვისხა წყალი. ხელ-პირი დავიბანეთ, გამოვეწყვეთ და წავედით. რკინიგზის სადგურის საპარიკმახეროში წვერის გასაპარსად შევედით. ხელოსნები მხოლოდ ქალები იყვნენ. ჩემი „დალაქი“ შუახნის, მკერდსავსე რუსის ქალია, წინსაფარი უნდა გამიკეთოს, მაგრამ გაოცებული მიყურებს და მათვალიერებს. მეუბნება – „ღმერთო ჩემი, რა გჭირო, რა ძუნძგლიანი ხართ“.

ჩემი ახალი ხალათის საყელო კისრის პირებიდან გამოსულ მჭვარტლს უკვე გაეშავებინა, თმის ძირები კი მწვირზე ამოსულ ჯაგრებსა ჰგავდა. ოცდაერთდღიანმა „კომფორტ-მა“ თავისი საქმე გააკეთა. წავხდი კაცი, ვეუბნები: „იცით, მე პატიმარი ვარ, მესამე კვირაა, რაც გზაში ვარ, აი, ეს კი – ჩემი ბადრაგია“.

და მეზობელ სკამზე ჩამომჯდარ კაპიტან ბიაშვილზე ვანიშნებ ცერა თითით. ეს უცხო ქალი ერთბაშად შეიცვალა: „ძვირფასო, ჩემო საბრალოვ!“.

ფაციფუციო ფარდის უკან გამიყვანა საამისოდ მოწყობილ ონკანთან, წელსზევით გამზადა და დამბანა, თან ცრემლნარევი ხმით იმეორებდა: „საბრალოვ, ჩემო საბრალო“. შემდეგ ხალათი გარეცხა და გამიუთოვა, ფული არ აიღო. ბიაშვილსაც იგივე გაუკეთეს, მხოლოდ, როგორც მითხრა, სიბრალულის ცრემლი არავის დაუღვრია და... ფულიც გადაახდევინეს.

ნაშუადღევს ორი გაშტიკინებული: – ერთი კაპიტანის ფორმაში, მეორე კი შლაპიანი, ტაშვენტის ქუჩებში მიგაბიჯებდით.

ბიაშვილმა იმდენი ტაქტი გამოიჩინა, რომ მისაღებში დარჩა, მე კი „უზბეკენერგოს“, „ენერგოსბიტის“ მთავარ ინჟინერთან, ბიკოვთან შევედი. ხელებგაშლილი შემომეგება და მეუბნება: „აქ საიდან გაჩნდით, რატომ არ მაცნობეთ, რომ ჩამოდიოდით, ხომ დაგხვდებოდით!“

მოსკოვში ჩვენ ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს სამინისტროში, კონფერენციებზე და, როგორც კოლეგებს, კარგი ურთიერთობა გვქონდა. მოკლედ, ვუამბე ყველაფერი. არ ელოდა, მოიღუშა. თან არც ის უნდა მაგრძნობინოს, რომ არაფრად ეპიტნავება ჩემი ასეთ როლში სტუმრობა: „რით შემიძლია დაგეხმარო? – მეკითხება. მართლაც და, რითი უნდა დამეხმაროს, რა შეუძლია? უკვე ვნანობ კიდეც, აქ რომ მოვედი, კაცი მხოლოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენე. „არაფრით, ჩათვალე, რომ გამოსამშვიდობებლად მოვედი“. წამოდგომა რომ დავაპირე: – „მოიცადე, რას აწიწმატდი!“ მეუბნება და ტელეფონით უკავშირდება მოსკოვს, მაშინდელი მინისტრის, ჟიმერანის რომელი-ლაც მოადგილეს: „ხომ არ არის შესაძლებელი, სადმე თავისი სპეციალობით გამოვიყენოთ?“ – ეკითხება. „როგორ არა“, პასუხობს, „თუ ჩვენს „ორბიტაში“ მოხვდება სადმე, გვაცნობე და სათანადო ზომებს მივიღებთ. ისე კი, შესთავაზე, თუ საშუალება ექნება, წავიდეს თურქენეთის არხის

მშენებლობაზე, სწორედ მისი თანამემამულე, ერისთავი უდგას სათავეში ამ საქმესო. მერე, როცა გაიგო, ჩიმკენტის ოლქში ვიყავი გამწესებული, მითხრა: „აქედან ეს ძალზე ახლოს არის, აქ ხომ ყაზახეთი ნახევარკუნძულივით იჭრება უზბეკეთის ტერიტორიაზე, ჩიმკენტი კი ერთი ხელის გაწოდებაზეა, დამიკავშირდი და რაღაცით მაინც შევძლებ, დაგეხმარო“. მაშინ რა ვიცოდი, თუ ჩემი ადგილსამყოფელი უდაბნოში იქნებოდა, სადაც ჯერ ძალზე ნაადრევი იყო ენერგეტიკაზე ლაპარაკი, მცირე ელექტროფიკაციის წამოწყები კი თავად მე ვიქნებოდი.

„მატარებელი სადღაც გაჩერდა, ვაგონებიდან სადღაც ჩამოგვსვეს. „გრუზოვიკებში“ ჩაგვტვირთეს. მე, ნერგაძეების ოჯახი და კიდევ რამდენიმე კაცი ერთ მანქანაში მოვხვდით, მანქანების წყებაში მეორენი აღმოვჩნდით.

თოვდა, — თოვდა განუწყვეტლივ. ნერგაძე დედამ კაბინაში ჩაჯდომა არ ისურვა, ჩემს ქმარ-შვილთან მინდა ვიყო. ჩავჯექი კაბინაში, მძლოლის გვერდით, მართალი გითხრათ, სიამოვნებით, თორემ „შლიაპოსანს“ ალბათ ყურები აღარ შემრჩებოდა. ალბათ ესეც გაითვალისწინა ქართველმა მანდილოსანმა, თავშლით რომ თავი შეითუთა და მე კი თხოვნითა და მუდარით მაიძულა კაბინაში ჩაჯდომა.

წინა მანქანას ბიაშვილი მიჰყვებოდა, სულ ბოლოს კი — ჯიკაევი. ლამეა, რაღაც სოფელს ვუახლოვდებით. „სპეცკომენდატურაში“ უნდა მივიდეთ, თოვლის ფანტელები კიდევ უფრო აბნელებენ ყარყუმ ლამეს. უეცრად, საოცრად აწყობილი სიმღერა მომესმა: „გაფრინდი შავო მერცხალო“. ნერგაძეების ოჯახი მღეროდა, ჯერ დაბალ ხმაზე, ასე რომ, მომეჩვენა-მეტქი, გაიფიქრე, მერე კი ხმას უმატეს: „ამბავი ჩამომიტანე, ომში წასული ძმისაო“, უკვე გლოვის ზარივით, ხვეწნა — მუდარასავით რეკდა სიმღერა. აქა-იქ სახლის ფანჯარა გაიღო და უკუნეთში სინათლე გამოკრთა, ზოგან კარი გაიღო და კაცი გამოვარდა ჭრაქით ხელში, ვინა ხართ, ვინა, ქართველები ხართ? გაისმა აქეთ-იქითდან. პირველი მანქანა „სპეცკომენდატურასთან“ გაჩერდა. შიგ ბიაშვილი შევიდა საქმის გასარკვევად, ჩვენ მანქანებთან კი მორიდე-

ბით მოდიან შავი ლანდები, – გოგიტიძე ვარ, გოგობერიძე ვარ, ჩვენ აჭარიდან ვართ წამოყვანილი, ერთი ვიღაც გა-დამეცვია, მე ბათუმში „კალბასების“ ქარხნის დირექტორი ვიყავი და იქიდან გიცნობო, შიშნარევი თხრობა თავგადა-სავლისა, იმათ ხომ თურმე სასტიკი შეზღუდვა ჰქონდათ მგზავრობისას და აქაური შეხვედრაც არ უსახავდათ გულ-ში ასატანი ცხოვრების იმედს.

ამ დროს გამოვიდა ბიაშვილი და გვითხრა: „ჩვენი გა-მოცხადების პუნქტი ეს არ ყოფილა, ახლა დამიზუსტეს, სად უნდა ჩაგიყვანოთ, ამაღამ აქ დავრჩებით, ღამეს გა-ვათევთ, ბარგს ხელი არ ახლოთ, ყველანი კომენდატურის შენობაში უნდა მოვთავსდეთ, დილით კი ადრიანად გავა-გრძელებთ გზას“.

დილით, ინათა თუ არა, გზას გავუდექით. ვტოვებდით ჩვენი ძმების აჭრელებულ „კონცლაგერს“. სხვა რა შემიძლია ვუწოდო მათ დასახლებას. მანქანები ღრიალით კვალავდ-ნენ თოვლიან შარაგზას, 12 საათზე შეწყდა ოვა და ისევ რაღაც რკინიგზის ხაზს მივადექით. აქ უკვე რამდენიმე ღია ვაგონი, რამდენიმე ავტომატიანი მხლებლით „დრეზინაზე“ გამობმული გველოდა, უკვე იგრძნობოდა რეგულარული ბადრაგის ნიშნები. სწრაფად გადავბარგდით ღია ვაგონებ-ში და რამდენიმე საათში უკვე ადგილზე ვიყავით. ამ ად-გილს სლავიანკა ჰქვიაო, გვითხრეს. რკინიგზის ლიანდაგიც იქ თავდებოდა. მერე გავიგე, ჩიხი ყოფილა, სწორედ იმგვა-რი, ღია ვაგონებით ჩვენ რომ ჩამოგვიყვანეს, პერიოდულად სამშენებლო მასალა მოჰქონდათ, ძირითადად ქვის ღორლი და ხრეში – უდაბნოში ხომ, ერთი ქვის ნასახსაც ვერ იპოვი, ბევრიც რომ ეძებო. და აი, იქ, ე.წ. „პერევალნაია ბაზა“ იყო მოწყობილი მშენებლებისთვის.

აქ კი, დამხვდურებთან შეხვედრამ, შედარებით თავი-სუფლად მგზავრობას მიჩვეული, ძალზე გამაოცა. გადმო-ვედით თუ არა ბაქნის მსგავს, რაღაც ნაყარ მიწაზე, ავტო-მატმომარჯვებული ჯარისკაცების ალყაში მოვხვდით და ბრძანებით: „დასხედით!“ „დაჯექი!“ – ყველანი იქვე, ვინც სად ვიყავით ჩავცუცქდით. შემდეგ სიის ამოკითხვა დაიწყო.

ეს ბიაშვილი „გვაპარებდა“ ჩვენს ახალ „მასპინძლებს“. სიას რუსი რის ვაივაგლახით კითხულობდა, გვარების დამახინჯებით. ამოკითხულ კაცს გაიყვანდნენ წრის გარეთ, უბრძანებდნენ: „რაზობრაც სვოი ვეშჩი“. ერთი ავტომატიანი გაპყვებოდა, ბარგს აზიდვინებდნენ რომელილაც მცირე შენობიდან საკმაოდ ფართო ეზოში. სიაში ბოლოში ანჯაფარიძები ეწერნენ, რადგან სამეგრელოდან ბოლო დღეს ჩამოიყვანეს, მე კი სულ უკანასკნელი ვიყავი, ბოლოში მიწერილი, ამიტომ ყველა გავიდა, მე კი ისევ დაცუცქული გახლდით ამდენ ავტომატდამიზნებული, ჩემი ნაცრისფერი „შლაპით“, ლურჯი დრაპის პალტოთი და შავი ტყავის ხელთათმანებით. ის-ის იყო ანჯაფარიძები გავიდნენ და ჩემი გვარის დაძახებას ველოდები, რომ ამოიძახეს კიდევ ანჯაფარიძე, ანჯაფარიძე ზურაბი, ჩემს მეტი კი იქ არავინ იყო, ატყდა ხმაური, რუსი ყვირის: „სად არის ანჯაფარიძე ზურაბი“ წრის გარეთ გასულებმა, ჩემ ირგვლივ ატეხილი ალიაქოთი შენიშნეს, წრეს ანჯაფარიძე მამა მოაწყდა, მაღლა ასწია თავისი ექვსი თვის ვაჟი და რუსს დაჭრილი ხარივით შეჰპბლავლა: – „აქ არის, აქ არის ზურაბი“.

ბოლოს მეც მოვხვდი იმ მავთულხლართით შემოკავებულ ეზოში. შენობაში ვიღაც ადგილობრივი კაცები ფუსფუსებდნენ, ყაზახები, რასაკვირველია. საბუთებს ჯერ არჩევდნენ, შემდეგ კი ჩვენთან გამოდიოდნენ და მუშტრის თვალით სინჯავდნენ არჩეულ კაცსა თუ ქალს. ესენი თურმე კოლმეურნოებების თავმჯდომარები ან მათი წარმომადგენლები იყვნენ და თავისი ბამბის პლანტაციებისთვის არჩევდნენ მუშახელს, ზოგი ბულალტერს ეძებდა, ზოგი ბეითალს, ზოგი კი ვის. ყველაზე შეურაცხმყოფელი კი ის იყო, რომ არჩეულ კაცს უტიფრად ათვალიერებდნენ, ზოგჯერ მკლავზეც კი უთათუნებდნენ ხელს – აბა როგორი კუნთები აქვს ჩემს არჩეულსო, ზუსტად ისე, როგორც ცხენების ბაზარზე ხდება ხოლმე. დათა კახელს რამდენიმე მუშტარი აღმოუჩნდა, ის კი მედახის: „ნიკოლოზ შენთან წამიყვანე“ – საბრალოს ეგონა, მე რამე შემეძლო, ან ჩემთან შრომა უფრო გაუადვილდებოდა.

მომიახლოვდა ვიღაც კაცი, შუატანზე უფრო დაბალი, კავალერისტის ფეხებითა და მიხვრა-მოხვრით, მკერდზე რაღაც ორდენით, თუ არ ვცდები – „საბრძოლო წითელი დროშის“. ხელში საბუთები უჭირავს, შიგ იჭყიტება და მერე მეუბნება: „თქვენში ამბობენ, დაუპატიჟებელი სტუმარი თათარზე უარესია. თქვენ სტუმარი ხართ, მე თათარი. არ ვიცი ეს ანდაზა ახლა ვის როგორ ეხება. თქვენ ინჟინერი ხართ, მთავარ ინჟინრად მუშაობდით, თქვენნაირი ადამიანი მჭირდება. მე მეურნეობის დირექტორი ვარ, „ოქტომბრის 30 წლისთავის“, წამოდი, ჩემთან იმუშავე, ჩემი გვარია არსლან ახმად შაკუროვიჩი“.

მოგუსმინე ამ ტირადას, შემდეგ კი ვუთხარი: „სამწუხაროდ, ახმად შაკუროვიჩ, მე ახლა სამუშაოდ არ მცალია, საკუთარ ოჯახს ვეძებ, ჩემზე რამდენიმე დღით ადრე აიყვანეს, მე კი უკვე 25 დღეა, რაც გზაში ვარ. ვერ მოგატყუებთ, ვიდრე მათ არ ვიპოვი, მიჭირს სამუშაოზე ფიქრი“.

თათარმა ერთი შემომხედა ქვემოდან, ცოტა ჩაფიქრდა და მითხრა: – „მე ოჯახის ძებნაში ხელის შეშლას არ ვაპირებ, პირიქით, მოგეხმარებით. მერე კი სამუშაოზე ვილაპარაკოთ“.

ამის მერე უარს როგორ ვეტყოდი, ამ პირობებში უგეთესს, აპა, ვინ შემომთავაზებდა, დავეთანხმე, მერე კი გავბედე და ვთხოვე, ისინიც წამოიყვანეთ ჩემთან ერთად, კარგი მუშა კაცია თავისი ოჯახით – კახელზე ვეუბნები, მეორე – შესანიშნავი ხელოსანია, ნერგაძე თავისი ოჯახით და ექიმი ქალია აგერ, თავისი შვილით – მეოქი. ეგ ექიმი როგორ გამომრჩაო, რასაკვირველია, იმ ორ ოჯახსაც წავიყვანო, ანჯაფარიძეებიც მოთავსდნენ მის მანქანაზე, ალარ მახსოვს კიდევ ვინ, სხვები კი შემდეგ აღარსად შემხვედრიან, სხვადასხვა მეურნეობებმა დაირიგეს და თავისი მანქანებით წაიყვანეს თავ-თავიანთ ადგილსამყოფელში.

კარგა ხანია ალარ თოვს, მხოლოდ წვიმა სცრის ოდნავ, და ატალახებულ გზაზე გასვლისას მანქანა ძრავის ღრიალითა და ბორბლების ღრჭიალით ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ იქნევს ძარას, ბორბლებიდან ასხლეტილი ტალახი კი შორს,

უკან მომავალ მანქანას ლაფით უმოსავს „პარპრიზს“. ისე-ვე დავეყარენით ძარის ფიცარნაგს, ვის როგორ მოგვიხერხ-დებოდა. მე ფეხებაშვერილი დავგორდი და სანამ მანქანის გზა სწორებე არ გავიდა, დაჯდომა აღარ მიცდია. ძარას „ბორტს“ ჩაბლაუჭებულ „გამყოლს“, რომელიც ალბათ მოე-ლოდა მანქანის ასეთ „ილეოტებს“ და შეჩეულიც იყო ასე-თი გზებით მოგზაურობას, წონასწორობა არ დაუკარგავს, მამშვიდებს: „ახლავე შარაზე გავალთ და ყველაფერი მო-წესრიგდება. კიდევ კარგი ტრაქტორი არ დაგვჭირდა მან-ქანის ამოსაწევად, თორემ აქაური გზა თუ ატალახდა მანქა-ნისათვის გაუვალი ხდებაო“.

ეს „გამყოლი“ ტანმაღალი რუსია, ხმელ-ხმელი, ეტყუბა ლაპარაკის მოყვარული. იგი იმ „სპეცკომენდატურიდანაა“, ჩევენს მომავალ ადგილსამყოფელს რომ განაგებს. მანქანები შარას დაადგა, გზა საკმაოდ დატკეპნილია და თვალუწ-ვდენელ უდაბნოს, თავის ორთავე მხრიდან მიყოლებული სადრენაჟო თხრილი, თითქოს შუაზე ჰყოფს, სადღაც შორს წვრილ ზოლად მოსჩანს, მერე კი სულ ქრება მხედველობის არედან. ეს რუსი გამყოლი აშკარად სიმპათიურად გვიყუ-რებს და ღიმილით მეუბნება: „იქ ბევრი ქართველია. ერთი პროფესორიც კია, მაღალი, ლამაზი. შემპირდა, რომ საა-ვადმყოფოს დაარსებს“. შემდეგ დაამატა: – „კარგი ხმა აქვს, ბარიტონი, თავისთან საღამოობით მღეროდა ხოლმე“.

უმაღვე გავიფიქრე, ეს ალბათ პროფესორი გრამიტონ ასათიანი იქნება-მეთქი, გინეკოლოგი. ვიცოდი, რომ მათი შვილი გედე, ისევე როგორც ჩემი ძმა, ომში დაკარგუ-ლად ითვლებოდა. გულში ერთი კი გავივლე, ნეტა, ამ და-ლოცვილს, რა ამღერებს – მეთქი.

გზა უსასრულო მეჩვენება, მართალია მანქანებიც დიდი სიჩქარით არ მოძრაობენ, მაგრამ მაინც კილომეტრი კილო-მეტრს მისდევს და ბოლო კი არ ჩანს. მე რომ ვჩქარობ და მეჩვენება, რომ დრო ნელა მიდის, გასაგებია – ოჯახს ვეძებ, მაგრამ ვხედავ, სხვებსაც სურთ, რაც შეიძლება მალე ნახონ ამ გზის ბოლო, შეუცნობლობა სტანჯავს ყველას, ყველას უნდა, მალე მოხდეს, რაც მოსახდენია.

გავცერი ამ თვალუწვდენელ სივრცეს და თოვლის ნასახიც აღარსადა სჩანს. მშიერ მიწას უკვე შეუსრუტავს ხარბად, წყლად ქცული. აკი ასეც ეძახდენ ამ მიწას – „მშიერი სტეპი“. ღმერთმა ნუ ქნას, ნაწვიმარში, მძიმე მანქანით გზიდან გადაუხვიო, დალბობილ გრუნტში მანქანა კი არა, კაცის ნატერფალიც მუხლამდე ჩადის. ჩვენმა „გამყოლმა“ ესეც მიამბო. ერთხელ თურმე მიწას გაუფრთხილებელი ტრაქტორისტი შთაუნთქავს ტრაქტორიანად. არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი, სივრცე, სივრცე თვალუწვდენელი. 12 საათი მოვუნდით ამ გზით რის ვაივაგლახით სიარულს. ლამის 11-12 საათი იქნებოდა, მეურნეობას რომ მივუახლოვდით, გადავედით არხზე მცირე ხის ბოგით, ანუ როგორც აქ ეძახიან „არიკით“ და „სპეცკომენდატურის“ შენობასთან აღმოვჩნდით.

დაიწყო „რაზგრუზეკა“. ყველანი კომენდატურის ორ ოთახში შეგვყარეს, ერთი უფრო დიდი იყო, მეორე მომცრო. ჯერ ბავშვებიანი ქალები გადავიყვანეთ. შემდეგ კი ბარგის გადატანას შევუდექით. ადგილობრივი კომენდატურის თანამშრომლების გარდა, თან რამდენიმე სამხედრო გამოგვყვა, თავი ისე ეჭირათ, ეტყობოდათ, აქაურები არ იყვნენ. ნაშუალამევს, რის ვაივაგლახით, მანქანებიდან გადმობარგებას მოვრჩით. მე ბარგი არ მქონდა, მაგრამ სხვებს ვემარებოდი, სახეზე ოფლი ღვარად ჩამომდიოდა. ტალახს ვზელდი ბარგმოკიდებული, ხელჩანთებიანი, ქალები რომ გვაწოდებდნენ მანქანებიდან. გვაწოდებდნენ ისეთი სასოებით, თითქოს ბარგი-ბარხანას კი არა, რაღაც განძს გვანდობდნენ.

განძი? პო განძი, იმიტომ რომ თითოეული ხელჩანთა, თითოეული ფუთა იმ ოჯახის ნაწილი იყო, ერთ ღამეში ასე ულმერთოდ რომ დაენგრათ და აქ წამოლებული, იმ კერის სითბოს ატარებდა, იქ, საქართველოში რომ დარჩათ ჩამქრალ – აოხრებული.

მერე ჩაბარება – მიღების პროცესი დაიწყო. მაგიდას დაბალი ტანის, პირქოსა კომენდანტი უჯდა – ამიერიდან ჩვენი მბრძანებელი და მეთვალყურე. ყველა ჩამოყვანილს

რიგრიგობით იძახებდა მაგიდასთან და ხელმოსაწერად ური-გებდა ქალალდს, სადაც ამ დასახლებაში ცხოვრების წესი და რიგი ეწერა. ვალდებულება, რომ ყოველი დღის ბოლოს უნდა გამოცხადებულიყავი კომენდატურაში და საკუთარი ხელმოწერით დაგედასტურებინა შენი აქ ყოფნა, რომ „ზონის“ დარღვევისთვის, სასამართლოს გარეშე გაგიშვებდნენ „იძულებით“ სამუშაოებზე, რომ ეს შენი მუდმივი ადგილსა-მყოფელია!

იჯდა მაგიდასთან პირქოსა კაცი, ალბათ ახალგაზრდა, მაგრამ სქელგავიანი და ლოყებდაბერილი და ლამფის მბჟუ-ტავ სინათლეზე ხმამაღლა კითხულობდა ამ ხელწერილსა თუ განაჩენს.

ატყდა საშინელი ალიაქოთი და ვიშვიში, ატირდნენ ქა-ლები, მათ ბავშვები აპყვნენ, კაცები გაიძახიან: — არ მოვა-წერთ ხელს, არ მოვაწერთ! შემეცუმშა გული და უნებლიერ თვალზე ცრემლი მომადგა. უცრად ვიღაცამ მკლავში ჩა-მავლო ხელი და განზე გამიხმო. ვხედავ, რუსი კაპიტანია, აქ რომ ჩამოგვყვა. მეუბნება: „მერწმუნეთ, გიყურებთ და გული მეტანჯება, ვხედავ, თქვენ განათლებული ადამიანი ხართ, მოაწერთ თუ არა ხელს ამ ქალალდს, ამით არაფერი შეიცველება. მხოლოდ გაუარესდება თქვენი აქ ყოფნა. ეს მხოლოდ ფორმალობაა და თანაც ამქვეყნად მარადიული და მუდმივი ხომ არაფერია. დამიჯერეთ, ყველაფერი შეიც-ვლება, ყველანი დაარწმუნეთ ამაში.“

ვიგრძნი ამ კაცის გულწრფელობა. „ვინა ხართ?“ — ვე-კითხები. „მე ლენინგრადიდან ვარ“, მპასუხობს. შემდეგ შებრუნდა და გავიდა. ის კაცი მეტი აღარ შემხვედრია, მა-გრამ კიდევ ერთხელ და, ვინ იცის, მერამდენეჯერ ვირწმუ-ნე, რომ „კაცი“ ყველგან არის.

მივედი მაგიდასთნ, ხელი პირველმა მოვაწერე იმ ქა-ლალდს და სხვებს ქართულად იგივე ვუთხარი, რაც იმ ლე-ნინგრადელმა მითხრა.

კომენდანტმა სიამოვნებით ჩაალაგა საქალალდეში ყვე-ლას ხელმოწერილი ქალალდები, ადგა, თანაშემწეს ლამფა-ზე ანიშნა, წამოიღეო, გავიდა და ჩვენ დაღლილები, სიბ-

ნელეში იატაკზე დავეყუარენით. კარგა ხანს მესმოდა ჩუმი ზლუქუნი, ოხვრა...

აღარ მახსოვს, როგორი იყო ის ლამე? დალლილს ალბათ მკვდარივით მეძინა, ფანჯრებთან ქართული ლაპარაკი ის-მის: „ჩამოუყვანიათ, ჩამოუყვანიათ!“ ხმაურზე წამოვცვივ-დით, ადრე ჩამოყვანილებს ჩვენი გვარებიც კი უკვე გაეგოთ. და ჩამესმის ჩემი სახელი, მოფერებით სახლში რომ მეძა-ხიან, ვიღაც გაიძახის: – კოკო, კოკოშა! ხმით ვიცანი ქეთო ბოკერია, გრამიტონ ასათიანის ცოლი. გარეთ გავვარდი, გადავეხვიეთ ერთმანეთს. აქვე არიან მეურნეობის დირექ-ტორის მოადგილე ცარელკო, კიდევ რაღაც „განყოფილე-ბების“ უფროსები. მთელი მეურნეობა ხუთ განყოფილებად იყოფა თურმე და ყველანი მათ შორის გაგვანაწილეს. მე ასა-თიანებთან წავედი, მეორე განყოფილებაში. ესენი, იქაური წარმოდგენით, კარგ სახლში მოუთავსებიათ. ერთი ოთახი აქვთ, „ტაპჩანებიც“ (ტახტის მაგვარი საწოლი) მოუტანიათ, ოლონდ ლეიბები არა აქვთ და გრამიტონი რაღაც მრგვალ, ავტომობილის კამერის მსგავს სამედიცინო ბალონზე ირ-ბილებს საჯდომსა და წელს. სიცილი ამივარდა, რა გამდე-რებთ, ამ დღეში მყოფებს, თქვენი სიმღერების ამბავი ჯერ კიდევ გზაში გამაგებინეს და გუმანით მივხვდი, რომ მალე გნახავდით, – ვეუბნები: „ამაზე მეტი სიხარული რა მექნება, ბიჭო!“ – მეუბნება: „ჩემი ერთადერთი შვილი, გედე ცოცხა-ლი ყოფილა და ახლა მაქვს სწორედ სასიმღეროდ საქმე“. მერე დასძინა: „ისე კი, მთელი ჩემი ცხოვრება ორი რამის მე-შინოდა, მონლოლის თვალებისა და უდაბნოსი, და სწორედ აქ არ მომიხდა ყოფნა?“

ქალბატონი ქეთო დატრიალდა, მეზობელს დაუძახა, გადმოსახლებულ ხაკიბეი სმირს და ჩემთვის „ტაპჩანის“ შო-ვნა დაავალა. „ჩემთან იქნები, ვიდრე ოჯახს არ მიაგნებ!“ – მითხრა.

ღმერთო ჩემო, რა ტკბილია გაჭირვებაში თბილი სიტყ-ვა და მშობლიური ალერსი. ისეთი, ქეთომ და გრამიტონმა რომ შემაგებეს. ვუცქერდი ამ გაჭირვებაში მოხვედრილ ბედნიერ მშობლებს, მათი ოპტიმიზმი მამხნევებდა, მათი

სიხარულის ერთი ნაპერწკალი სადღაც, ჩემს გულშიც აღვივებდა იმედის პაწია ნამცეცს. მართლაც არ უნდა დაკარგოს იმედი კაცმა – ეს შეხვედრა გამახსენდა დიდი, დიდი ხნის შემდეგ, ოც წელზე მეტმა რომ გაიარა აქ აღწერილი შეხვედრიდან, როცა ამერიკაში მყოფმა, კლივლენდში ვინახულე გედე ასათიანი და მასთან სტუმრად ჩასული დედა, ქალბატონი ქეთო. რა სიხარულით ეხვეოდა გედე თავის დედას, რა ბედნიერები იყვნენ ორივენი... და არ ვუწყოდი, რომ ორიოდე წლის შემდეგ გედე, სწავლული ექიმი პანკრიასის კიბოს აღმოუჩენდა საკუთარ თავს და საწამლავის ორმაგი დოზის მიღებით თავს მოიკლავდა. მისი დედა კი, შვილის კრემაციიდან მეორე დღესვე აპაზანაში თავს ჩამოიხრიობდა. დედისა და შვილის ფერფლი ერთად ჩამოასვენეს ორი პაწია ურნით თბილისში და ვერის ძველ სასაფლაოზე მიაბარეს მშობლიურ მიწას.

მაშინ კი, მათთან შეფარებული, ჩემი ოჯახის ძებნის თადარიგს ვიჭერდი. იმ დასახლებაში, არც მათი ამბავი და არც გზა-კვალი არავინ უწყოდა.

პირველივე კაცი, ვინც გარეთ გამოსულს შემხვდა, ჩვენი მეურნეობის საქმეებში ფრიად ინფორმირებული აღმოჩნდა. ეს გახლდათ ვალოდია რასინსკი, მეუღლესთან, შურა ცაგურიასთან ერთად გაგრიდან გადმოსახლებული. ჩემი ცოლი მშენებელი ინჟინერია, მე კი მეტყევე ვარ, მოგეხსენება აქ ტყე არ არის და მეც მშენებლობის საქმეს ვეზიარეო, მითხრა. „ნორმადრად“ აუყვანიათ მშენებლობაზე, მეუღლე კი უკვე გზების დაგეგმარებაზე მუშაობდა. მანვე მითხრა, რომ მშენებლობას ფრიად განათლებული ინჟინერი ბ. ი. გოლოვკინი ხელმძღვანელობს და მასთან საერთო ენის გამონახვა შესაძლებელია. მისგანვე გავიგე, რომ ჩვენს მეურნეობაში ხუთასამდე ქართველი იყო ჩამოყვანილი და თუ გავერთიანდებით, ერთმანეთს დავეხმარებით და ხელს შევუწყობთ, აქ ცხოვრება შესაძლებელი გახდებაო, დასძინა. მართლაც ბევრი რამ გააკეთა შემდეგ რასინსკიმ საამისოდ, შეძლების-დაგვარად ჩვენთან გადმოგვყავდა უფრო მძიმე პირობებში მყოფი ქართველები.

ჩვენი დასახლება, ბამბის მეურნეობა „ოქტომბრის 30 წლისთავი“, იმათთან შედარებით, რაც მერე ვნახე, ქართველების სხვა საცხოვრებელ ადგილებში, ცივილიზაციულ კუთხედ მოგეჩვენებოდათ – ერთი მთავარი ქუჩა, საკმაოდ განიერი, ჩამნკრივებული ერთსართულიანი ტიპური სახლებით, თითოეულ სახლში ორი ოთახი წინკარით, იატაკი მეტნილად მიწისა, ხოლო სახლი დაუმუშავებელი გამოუწვავი აგურით, თიხა-ალიზის შენაერთით შელესილი. ქუჩის ორივე მხარეს სარწყავი წყალი მიუყვებოდა, აქა-იქ, სახლების წინ დარგული პატარა ჯანდაგი ხეებით, იმ იმედით, რომ ოდესმე გაიხარებდნენ და ხეებად იქცეოდნენ. ამ ქუჩის ბოლოში საკმაოდ დიდი, ერთსართულიანი შენობა იყო საბჭოთა მეურნეობის მმართველობისა, ხოლო დასაწყისში – სპეცკომენდატურა. ასეთივე, ოღონდ უფრო პატარა და ვიწრო რამდენიმე ქუჩა კვეთდა ამ მთავარ ქუჩას და აქაც მსგავსი სახლები იყო კანტი-კუნტად, თავსა და ბოლოში ნაშენები, ზოგან ჯერ კიდევ დაუმთავრებელი. დასახლების ამ ნაწილს „ცენტრალური“ ერქვა, ან როგორც იქ ეძახდნენ: „ცენტრალნაია უსადბა“.

მთავარი ძარღვი, მთელი ამ გარემოს სასიცოცხლო არტერია, არხი გახლდათ, რომელსაც მაცოცხლებელი წყალი მდ. სირდარიიდან მოჰქონდა. არხის მიდამოებში განლაგებული მეურნეობის დანარჩენი ხუთი განყოფილება უფრო მომცრო იყო, ვიდრე „ცენტრალური“ და ისეთივე წესით ნაშენი, ოღონდ აქ დაუმთავრებელი სახლი მეტი ჩანდა. ყველა ეს სახლი ძირითადად იმ ხალხისთვის იყო განკუთვნილი, ვინც თავისი ნებით მოისურვებდნენ აქ ცხოვრებას. მათ ეძლეოდათ არენდით სახლი, საბაღჩე ადგილი, ძროხა, ხორბალი და გარკვეული ფულადი დოტაცია – ოღონდ ეცხოვრათ აქ და ემუშავათ ბამბის პლანტაციაში. ასეთ ხალხს „პლანოვიე პერესელენცი“ ეწოდებოდათ, მაგრამ ამგვარი მოხალისენი ცოტანი აღმოჩნდნენ და თითო-ოროლა თუ დარჩა მხოლოდ იმათგან, ვინც ამ პირობებით მოხიბლული ჩამოვიდა. უმრავლესობა კი, აქაური ყოფა რომ იწვნიეს, ამ ადგილებს გაეცალა, ზოგი უკეთესი პირობების საძებრად,

ზოგი კი კვლავ დაუბრუნდა თვის მშობლიურ ადგილსამყოფელს, რადგან უდაბნოსთან ჭიდილს, ალბათ, შინ გაჭირვების ატანა არჩიეს.

თავისუფლად მაცხოვრებელთვან, მეურნეობის ზოგიერთი თანამშრომლის გარდა, აქ შემთხვევითი ხალხიც იყო დროებით შემოხიზნული, მეტწილად მართლმსაჯულებას რომ ემალებოდნენ ან მსჯავრდებულნი და გადამალულნი. ეს ხალხი აქ თავს კარგად გრძნობდა, რადგან მათ წარსულს არავინ კითხულობდა და არავინ ეძიებდა. და თუ კი ვინმე იკითხავდა, ასევე იოლად შეეძლოთ სხვა მსგავს ადგილას საცხოვრებლად გადასვლა. მათ ხომ არც ოჯახი ბოჭავდა და არც რაიმე პასუხისმგებლობა. ამ ხალხიდან ზოგი მონტიორად ასაღებდა თავს, ზოგი მექანიკოსად და ვინ იცის, კიდევ რად, და ვიდრე გაირკვეოდა მათი უვიცობა – ცხოვრობდნენ არხეინად. ამიტომ, ბუუტავდა ყველგან მხოლოდ ნავთის ლამფა, ამიტომ უჭირდა მეურნეობას მოემზადებინა სათანადო მექანიზაცია ბამბის თესვისათვის. არ იყო მუშახელი, არ იყვნენ სპეციალისტები და ჩვენნაირი უფლებააყრილი ხალხი, უთუოდ სჭირდებოდა „მშიერ უდაბნოს“.

1924-1943 წლებში ჩვენნაირად ჩაყვანილი ბერძნები მიწურ სახლებში ცხოვრობდნენ, ასევე თიხა-ალიზით ნაშენში, ოღონდ კედლებად და სახურავად სირდარიის ნაპირებიდან ჩამოტანილი ლერწი ჰქონდათ თიხა-ალიზით შეთითხნილი. მომცრო ფანჯრებიდან ოთახში დღის სინათლე ძლივს აღწევდა. ცინეკიდები, ლიალეკიდები, ტულგარიდები აფხაზეთიდან, ეშერიდან იყვნენ გადმოსახლებულები. მეტწილად ოსტატები იყვნენ და ამ „ტიპურ“ სახლებს აშენებდნენ თავისუფალი მოსახლეობისთვის, თავად კი აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ. ასეთივე მიწურ ფაცხაში გაემართათ თავისი სალოცავი, სადაც ბერძენი მღვდელი ჩუმად წირავდა, უფალს შესთხოვდა, ეხსნა ბედშავი მართლმადიდებლები.

ქართველებიც მეტწილად ამ ბერძნებთან შეასახლეს, ზოგი ბარაკში, ზოგს კი ბედნიერება ჰქონდა, რამდენიმე ოჯახთან საზიაროდ ერთ ოჯახში მოხვედრილიყო დასახლე-

ბის განაპირას, იმ დაუმთავრებელ, უფანჯრო და უკარებო „ტიპურ“ სახლში.

ჩემი პირობებისა მრცხვენოდა კიდეც, ჯერ არ ვმუშაობდი, კედლებიან, იატაკიან, ფანჯრებიან სახლში მზამზარეულზე ვცხოვრობდი და ოჯახს ვეძებდი. არისლანოვმა შეასრულა თავისი დანაპირები. „სპეცკომენდატურას“ მოელაპარაკა და „ზონიდან“ გასვლის უფლება მომცეს, ხანდახან „ბრიჩასაც“ მაძლევდა, ერთცხენიანს. მივდიოდი მეზობელ დასახლებებში ხან მარტო, ხან ვინწეს თანხლებით, ყველგან ვკითხულობდი და, ღმერთო ჩემო! „კოლმეურნეობებში“ ქართველების ყოფას რომ ვუყურებდი, გული მეკუმშებოდა და თვალები ცრემლით მევსებოდა, ზოგიერთი მათზე უფრო ღატაკ ბერძნებთან იყო შესახლებული, ზოგი საქათმეში, უიმედო სევდიანი თვალებით მიცეკრდნენ...

დედაჩემისა და ჩემი ცოლ-შვილისა კი არავინ არაფერი იცოდა.

ასე მოვიარე არხის ერთი მხარე, ყველა კუნჭული, ყველა სოფელი კიროვის რაიონულ ცენტრამდე და გადავწყვიტე. ძებნა არხის მარცხენა მხარეს დამეწყო.

არხი, „არიკი“ როგორც აქ ეძახიან, საოცარი ფენომენია ამ უდაბნოში, ბეტონის ჟალუზზებიანი და კოლექტორებიანი ნაგებობა, სირდარიიდან მრავალ ათეულ კილომეტრზეა გაჭიმული და მთელ საირიგაციო სისტემას კვებავს, რომელიც ბამბის პლანტაციებისთვის განკუთვნილ ადგილებს რწყავს. მორწყვის საქმეს „მირაბები“ განაგებენ. გაზაფხულიდან ბამბის აღებამდე ეს არხი წყლით არის სავსე, და არა მარტო გაუმაძლარი, უხვი, ყამირის მკვებავი, ადამიანის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. წყაროს – მეტეი ვამბობ, თუ შეიძლება წყაროდ ჩათვალო ყავისფერი, უდაბნოს ქვიშა-მტკვრით გაჯერებული წყალი. მაცხოვრებლები კასრებში, ქილებში ინახავენ ამ წყალს და დღეებია საჭირო, რომ დაწდეს, სასმელად გამოსადეგი გახდეს, მაგრამ წარმოიდგინეთ ზაფხულში, როცა ტემპერატურა ჩრდილში 40-42 გრადუსს აღწევს, როგორი დასალევი იქნება ეს წყალი? როგორი და-სალევი და ზოგჯერ სანატრელიც კი. მახსოვს, მორწყვის

დრო არ იყო და არხი აუცილებლად უნდა დაეცალათ შე-საკეთებლად. ზაფხულია, ბევრს წყლის მარაგი გაუთავდა. ერთმანეთს ესესხებიან, მეურნეობამ სირდარიაზე გაგზავნა წყლის მოსატანად რამდენიმე ცისტერნა, მაგრამ ეს წყალი ვის ეყოფოდა... და ამ დროს განვიმდა, წამოვიდა შხაპუნა, როგორც ეს უდაბნომ იცის – ხანმოკლე და მსხვილწვეთა, ბავშვები დარბიან და პირდაღებულები ხახას უშვერენ მა-ცოცხლებელ წვეთებს. უფროსები ჭურჭლით ხელში დარ-ბიან, ცდილობენ, სახურავებიდან ჩამონადენი, რაც შეიძლე-ბა მეტი წყალი დააგროვონ...

და წვიმა შეწყდა, გადაირბინა სადღაც ლეგა ლრუბელ-მა, ვინ უწყის, საიდან მოსულმა და კვლავ აკაშკაშდა მზე, მიწას აჰყვა სუსტი ორთქლი, წელანდელი წვიმის ერთადერ-თი ნიშანი, ბავშვები კი დარბიან და ექცენ, ხომ არ დარჩა სადმე საქონლის ნაფლოქვარში წვიმის სისველე.

მაგრამ ეს შემდეგ იყო, ზაფხულში. ჯერ კი აქ ზამთა-რი ისევ ზამთრობდა, ღამით და დილით ყინავდა, დღისით კი დამთბარ ატალახებულ გზებზე შერჩენილ ვიწრო, დატ-კეპილ ბილიკებს მიუყვებოდა კანტი-კუნტად მობუზული ხალხი, ყველას თავისი ფიქრი ჰქონდა, ხვალ რა იქნება, რას მოუტანს მათ ეს გამოუცნობი ხვალინდელი დღე?

არხი კი პირამდე სავსე იყო, ძლივსლა შეამჩნევდი მის მდორე დინებას, 1937 წლის მსხვერპლთა ძვლებზეა აგებუ-ლიო, მითხრა ერთმა ძველმა იქაურმა ბინადარმა, ერთ დროს პატიმარმა, იმხანად კი მეურნეობის მთავარმა აგრონომმა სტავიცკიმ, – ერთი ქართველი კაცი, პატიმარი ინჟინერი, გვარად მელია ხელმძღვანელობდა ამ უბანზე მშენებლობას და აქვეა სადღაც დაკრძალული. ამ დროს, აქ ბევრი ქართ-ველი იყოო. ერთი ფილოსოფოსიც – გოგიბერიძე მივხვდი, პროფესორ მოსე გოგიბერიძეზე იყო ლაპარაკი. აქ უთხრია მიწა მოსეს, შემდეგ სადღაც წაუყვანიათ და იქ დამარხულა.

ძებნა, ძებნა, ძებნა. სპეცკომენდატურამ არაფერი იცის, ჯერ არა აქვთ დაზუსტებული გადმოსახლებულთა სიები. ახლა არხის მარცხენა მხარე უნდა შემოვიარო. უახლოესი ადგილი „ვინსოვხოზია“. გავიგე იქ ქართველები ცოტანი

არიან, 100-150 კაცი თუ იქნება, მაგრამ იქაც ვიკიოთხავ, ეგებ მათ იციან რამე. ვიცი, იქ ჩემი ცოლის მოგვარე ექიმი ქალია – ლორთქიფანიძე. ეს ქალი მარგო მუჯირი აღმოჩნდა, მსახიობ ელგუჯა ლორთქიფანიძის მეუღლე, 1937 წელს სანდრო აზეტელთან ერთად რომ იყო რეპრესირებული. მარგო თავის ვაჟთან, 15-16 წლის ჯანიკოსთან ერთად გადმოუსახლებიათ. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მარგოს ძმა ემიგრანტი ყოფილა და პარიზში ცხოვრობდა. მარგო ენერგიული ქალია, ის შემდეგ რაიცენტრში გადაიყვანეს ექიმად, მაგრამ ერთმანეთისა ყველაფერი ვიცოდით, რადგან ჩვენი მეკავშირე მისი ვაჟი ჯანიკო იყო, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა ჩვენთან, მეურნეობაში. ჯანიკომ, საქართველოში რომ დაბრუნდა, უნივერსიტეტის უურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა და თავისი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე „მოლოდიოუ გრუზიის“ რედაქტორი იყო. აქვე ვნახე თინა ქარუმიძე, არქიტექტორი ქალი, ისიც მალე წაიყვანეს რაიცენტრში. იქიდან კი მივლინებით თურქესტანში, ისტორიულად დიდად მნიშვნელოვანი რალაც მეჩეთის რესტავრაციასთან დაკავშირებით. საძებნი ამ მეურნეობაში აღარაფერი მქონდა, მარგომ დაწვრილებით იცოდა იქ დასახლებულთა ვინაობა. მართალია მეურნეობას „ვინსოვხოზი“ ერქვა, მაგრამ ძირითადად მაინც ბამბის მეურნეობა იყო. ვენახიც ჰქონდა საცდელ ნაკვეთზე, ბუჩქა ვენახი, რომელსაც ზამთარში მიწით ფარავდნენ. ქართველობას ძირითადად ბამბის პლანტაციებზე მოუწევდა მუშაობა, მაგრამ ჯერ არ იყო გარკვეული, ისევე როგორც ჩვენს მეურნეობაში, საბოლოოდ ვინ, სად იქნებოდა გამწერებული სამუშაოდ.

აქ შემხვდა გურამ გაბაშვილი, შესანიშნავი გარეგნობის, სპორტული აღნაგობის ვაჟკაცი, მოაფრიალებდა ყავისფერ დრაპის პალტოს და ჩემკენ ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა. გაეგო, ვიღაც ახალი ქართველია მეურნეობაში, და ვნახე, როგორ მოიჩქაროდა. გადავეხვიეთ ერთმანეთს ძველი ნაცნობებივით, თუმცა მანამდე მე მას არ შევხვდრივარ. ერთბაშად დაინყო ჩვენი მეგობრობა, რომელიც ჭირით განმტკიცებულ ძმურ სიყვარულში გადაიზარდა და

სიბერემდე გამოგვყვა. გურამი დედასთან ერთად არის გადმოსახლებული, იგი ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილია. გადმოსახლების მიზეზი? – გურამის მამა ემიგრაციას გაჰყვა 1921 წელს, საფრანგეთში. იმ დროს გურამი ორი წლისა თუ იქნებოდა. შემდეგი ოცდაათი წელი თავისი გზით უვლია ამ კაცს. ახლა კი, პროფესიონალი არქიტექტორია, ამავე დროს კარგი, სპორტსმენი, წარსულში საქართველოს ნაკრების წევრი და საკავშირო თასის ფინანსისტი ფრენ-ბურთში. ღამით მისულან, მიზეზი არ უთქვამთ, ჯერ ჩერეკა მოუწყვიათ, შემდეგ აუბარგებით დედა-შვილი, ქალბატონი მარიამი, პატარა, ნაზი ქალი საოცარ შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი კეთილშობილებით, სიდარბაისლით, ოპტიმიზმით, თითქოს ნათელს ჰფენს ირგვლივ და გულში იმედს გვიღვიძებს, რომ მსგავსი დედების ნაშიერები არ გახდებიან უდაბნოს ქვიშათა კერძნი.

ჩანს, მარტო ტყვედნამყოფთა ნათესავებს არ დაატყდათ თავს ის რბევის ღამე, აღა-მაჰმად-ხანის შემდეგ რომ არ უნახავს საქართველოს. კიდევ უფრო უცნაურია და გაუგებარი იმ ერთი კაცის გადასახლება, გურამმა რომ გამაცნო ამ მეურნეობაში. ეს კაცი შაქრო რომანიშვილი გახლდათ. 15 წლისა გაპარულა სახლიდან მოგზაურობისა და თავგადასავლების უინით შესყრობილი ბავშვი. რევოლუციამდე ხდებოდა ეს ყველაფერი. ბევრი ხეტიალის შემდეგ ხარბინში მოხვედრილა, რუსეთ-ჩინეთის რკინიგზაზე უმუშავია, შემდეგ ჩინეთში დამკვიდრებულა, გამდიდრებულა, დიდი ქონების პატრონი, ბოლოს პარიზში დასახლებულა, იქ პრესტიული კომერცია წამოუწყია, განცხრომით ცხოვრობდა, თუმც ერთი დარდი უღრღნიდა გულს – სამშობლოს ნახვის დაუძლეველი სურვილი. როგორც კი საშუალება მიეცა, ქართველების იმ ჯგუფთან ერთად, ვიღაც ილია თავაძის გარანტიით წამოვიდა საქართველოში. შაქრომ მიყიდ-მოყიდა თავისი უძრავ-მოძრავი ქონება და სამშობლოსკენ გამოეშურა. მხოლოდ ორიოდ წელი იყო სამშობლოს მონატრებული კაცი თავისუფლებაში, იმ დროის ხალხს კარგად ახსოვს თბილისის ქუჩებში შვინდისფერი ლიმუზინით მოსეირნე კაცი. ახლა კი

კვლავ მოშორებული სამშობლოს, ოლონდ ხანდაზმული და უმომავლო, უდაბნოს ბინადარი გახდა. ჩემი ქონებიდან ესღა დამრჩაო, – მეუბნება შაქრო მწარე ღიმილით, ხსნის ჩემოდანს და გვაჩვენებს რამდენიმე ათეულ ჰალსტულს, ალბათ ამდენივე რაოდენობის კოსტუმისთვის შერჩეულს, ოლონდ კოსტუმები თბილისში დარჩენია და გადასახლებაში ჰალსტულები წამოპყოლია მხოლოდ. შემორჩენილი ფულიდან ერთი მიწური სახლი უყიდია და იქ აპირებს შეხვდეს საკუთარ აღსასრულს.

საერთოდ, ძნელია მონახო რამე გარკვეული, კონკრეტული ნიშანი. ისეთი, რომელიც საფუძვლად ედო ქართველების ამ მასიურ გადასახლებას. მაგალითად, იყო შესანიშნავი ქართული ოჯახი ორი ძმის, ხვედელიძეების, რომლებიც იმიტომ იყვნენ გადმოსახლებული, რომ მათი ბებია ნოე რამიშვილის და გახლდათ. გადმოსახლების ღამეს, ჩხრეკისას, ძმები იატაკზე დასვეს, როგორც საშიში პირები, შემდეგ თბილისიდან წასულ პირველ ეშელონში ჩასვეს და სარიაგაჯში ამოჟყვეს თავი. მათი მოხუცი, 92 წლის ბებია კი გურიის მთის სოფლიდან, ზემოსურებიდან წამოიყვანეს, ის სხვა ეშელონში მოხვდა. შვილიშვილების ოჯახს აღარ შეხვედრია, რუსულის არმცოდნე მუნჯად მოკვდარა შუა აზიაში, რომელიღაც უპატრონოთა თავშესაფარში. ოჯახის ძებნისას სარიაგაჯში ვნახე ექიმი თევზაძე, ლარინგოლოგი, სადღაა მისი პენი და გამართული სიარული, თბილისის ქუჩებში რომ დააბიჯებდა ფართეფარფლიანი შლიაპითა და საექიმო საკვოიაჟით ხელში. გადმოუსახლებიათ იმიტომ, რომ მისი ცოლის ძმა, დადეშექელიანი არ დაბრუნებულა სამამულო ომიდან. გერმანიაში დარჩენილა, ამავე დროს, ამ დადეშექელიანის სხვა და-ძმისათვის ხელი არ უხლიათ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს გადასახლება, ვიღაცის გადაწყვეტილებით, ნაჩეარევად ხორციელდებოდა პრინციპით: „ვინც იქნება, სულერთია“, ოლონდ კი რაიმე ჰქონდათ ხელმოსაჭიდი და უფრო რაოდენობა იყო გადამნებული. არ არის გამორიცხული, სიმართლესთან ახლოს იყოს ხმები, რომ კიდევ უნდა ჩატარე-

ბულიყო ასეთი გადასახლება. ამ მიზეზების დადგენას ალბათ ისტორიკოსები შეძლებენ და ამ ამბავს „ქართველთა გადასახლებას“ დაარქევენ.

საღამოს დავბრუნდი ისევ გაწბილებული, ყველა მითანაგრძნობს და მაიმედებს, ყაზახებიც კი. ყაზახები აქ რუსებზე მეტნი არიან, ხელმძღვანელი „პოსტები“ უკავიათ – სასაფილოს და მაღაზიის გამგე, ბრიგადირები, განყოფილების უფროსები ძირითადად ყაზახები არიან, ფიზიკურად არ მუშაობენ. „მე ქვეყნის ხაზეინი ვარ“, უყვართ თქმა. რუსებს ერიდებიან, ქართველების მიმართ კეთილად არიან განწყობილი, დამეგობრებასაც კი ცდილობენ. ერთხელ, განყოფილების უფროსს, სახელად საიდულის მოვყავდით „ბრიჩქით“ მე და გრამიტონი, კოფოზე ვიჯექით სამივენი, საიდულა შუაში, სადავეებით ხელში. უცრად ეშმაკურად მოჭუტა ისედაც წვრილი თვალები, გრამიტონს ქუდი მოშვლიპა, თავზე დაიხურა, თავისი კი ჩამოაფხატა და განაცხადა: – „პროფესორი ვარ“. შემდეგ, როგორც ჩანს, მობეზრდა პროფესორობა, ქუდი გრამიტონს დაუბრუნა, ახლა ჩემი დაიხურა, მისი კი მე ჩამომაფხატა და განაცხადა: – „ინჟინერი ვარ“, და ასე მთელი გზა, ხან პროფესორი იყო, ხან ინჟინერი. მე და გრამიტონი კი რიგრიგობით „ვსაიდულობდით“. არ ვიცი, გულუბრყვილობით აკეთებდა ამას, თუ თავისი უფლებრივი უპირატესობის ჩვენება სურდა. გრამიტონი კი ბუზღუნებდა: „ხომ გეუბნებოდი, მონღოლის თვალების უნდა გეშინოდეს ყველაზე მეტად“.

საიდულიმ ყაზილყუმში წასვლა მირჩია, იგი „წითელი უდაბნოს“ ერთგვარი ცენტრია, სადაც კვირაობით იმართება დიდი ბაზრობა, შესაძლოა, ქართველებიც ვნახო, ჩემიანების ასავალ-დასავალი რომ ეცოდინებათ.

დილით ცივა. შორს, შორს უერთდება მიწა ცივ დასავალს. უკან დამრჩა მეურნეობის უკანასკნელი ნარგავი, მთავარ არხს რომ მიუყვება და ოზისია ამ ვრცელ უდაბნოში. მცირე არხის გასწვრივაა ვიწრო, მყარი ბილიკი, ამ გზას მივყავარ ყიზილყუმში. გზა ჯერ შეყინულია და სავალად იოლი, შემდეგ, შუადლისკენ შელლვება მიწა, გზა ატა-

ლახდება და გაძნელდება სიარული. ამიტომ, რაც შეიძლება ვჩქარობ, თანაც 2-3 საათის გზა მაქვს და დროულად უნდა მივუსწრო ბაზრობას, დაღამებამდე კი უკან დაბრუნება მოვასწრო.

ვრცელი უდაბნოა ყიზილყუმი, მაგრამ ყარაყუმისაგან განსხვავდება. როგორც საცხოვრებელი ადგილი, ის შედარებით კეთილთვისებიან უძედურებად შეიძლება ჩაითვალის. ბუნება აქ უფრო ლმობიერია. ადრე გაზაფხულზე ის საოცარი სილამაზის ბალახოვანი ყვავილნარით მოიქარგება. როგორც კი წვიმების პერიოდი მოთავდება, მრავალფეროვანი ნოხივით აელვარდება მზის სხივებ ქვეშ. მაგრამ სანმოკლეა ამ სილამაზის სიცოცხლე. სულ მალე მზის მცხუნვარება **70-72** გრადუსს მიაღწევს, თაკარა მზის ალმური დასწვავს ყოველივეს, რასაც სიცოცხლე მისცა, მისივე მესაფლავე ხდება, რჩება მხოლოდ მოშავო ფერფლი, რომელსაც განფანტავს უდაბნოს ცხელი ბორიო, შემდეგ კი გრძელი ზაფხული გამოაშრობს და მტვრად აქცევს მიწის ზედაპირს. რჩება მშიერი უდაბნო – ყიზილყუმი, რომელსაც შემდეგ რატომლაც ყამირ მიწებს უწოდებენ.

მაგრამ ცოცხალი არსება არ აკლია ამ მიწას, მრავალნაირი ცხოველი და მწერი ბუდობს მიწისქვეშა ფულუროებში. მთვარიან ღამეში, ორ ფეხზე მხტომ „ტუშკანჩიკს“ იხილავ, მრავალგვარ მწერებზე მონადირეს, დღისით კი ნაირნაირ ხვლიკებს, მცირესა და დიდრონს, პანია ნიანგებს რომ ჰგავს – **50-60** სმ. სიგრძისა, აქა-იქ კი „გიურზა“ გაისრიალებს. შორს, სირდარიის ნაპირებზე გაუვალი ტყეებია მდიდარი ფაუნით, მის მიმდებარე მიწებზე „საიგაკები“ დანავარდობენ ყელმოლერებული.

ყიზილყუმი, სადაც მივდივარ, მცირე დასახლებაა ამ ვრცელ ყიზილყუმში, მის ირგვლივ რამდენიმე კოლმეურნეობაა არსის წყლით მორწყულ მიწაზე, ბამბის მთესველ-მომყვანი. ამ კოლმეურნეობაში არიან ჩასახლებული ადრე ჩამოყვანილი ბერძნები და ახლა უკვე ქართველებიც, რომლებიც ძირითადად მუშახელად იქნებიან გამოყენებული ბამბის პლანტაციებში.

ნაშუადლევის ორი საათი იქნებოდა, ყიზილყუმის ბაზარს რომ მივადექი. აქლემები იცოხნებოდნენ საკმაოდ ვრცელ მისადგომებთან, სადაც ბაზრობაა გამართული. ამ აქლემებით მოაქვთ საქონელი, ხმელი ხილი, კუმისი. რამდენიმე ფარდულია, სადაც ქსოვილ-ფართალი და რკინა-კავეული იყიდება. რამდენიმე ადგილას უშუალოდ სატვირთო ავტომანქანაზე გაუხსნიათ სავაჭრო. ხმელი „კურაგა“, სხვადასხვა ჩირი, ქიშმიში, ამისთანების გორაკებია აზვინული გაშლილ ფარდაგებზე. ვინ იცის, საიდან ჩამოტანილი – ცოტა ადგილობრივი, მეტი კი უზბეკეთიდან და ტაჯიკეთიდან. მოშორებით ოთხფეხა საქონლით ვაჭრობაა, უმეტესად ცხვარი და თხა, აქა-იქ ბედაური ცხენი მოუსვენრად ზელს ფლოქვებით შეყინულ ტალახს. წონით, უპირატესად, ცხენის ხორცი იყიდება.

ქართველების ერთი ჯგუფი ფარდულებთან ვნახე ჩამწკრივებული, ზოგი ოჯახის რაიმე ნივთს ჰყიდის, ზოგი კი ისე, ამბის გასაგებადა გამოსული. ჩემმა მისვლამ ყველანი ააფორიაქა, საქართველოს ამბებს მეკითხებიან. სულ ხუთიოდე დღით გვიან წამოვედი თბილისიდან, მაგრამ მათთვის ეს ხუთი დღეც წარმოუდგენლად ბევრს ნიშნავს. კითხვებს კითხვებზე მაყრიან, ცდილობენ ჩემს პასუხებში რაიმე საიმედო აღმოაჩინონ. მე კი რა უნდა ვუთხრა ამ ბედშავებს, ის რომ „ღონისძიებების“ მონური მორჩილებით შესრულებას მიჩვეული ხალხი მათი წამოსვლის შემდეგ ისევ ისე ცხოვრობს, როგორც ცხოვრობდა, ძმა ძმის გამო ჩუმად ჩამოჰყრის ცრემლებს, მაგრამ ხმამალლა საყვედურის თქმასაც ვერ გაბედავს?

„ვინ არის, ვინ არის?“ – კითხულობენ ახალმოსულნი და რომ გაიგებენ ჩემს ამბავს, ლაპარაკში ჩაერთვებიან, რჩევას მაძლევენ, თავის ამბავსაც მიყვებიან გულის მოსაოხებლად. უმრავლესობა მიწურ სახლებშია ბერძნებთან შესახლებული, ზოგან ერთ ოთახში რამდენიმე ოჯახი. არც საწოლი აქვთ, არც სხვა ავეჯი, ქვეშაგები პირდაპირ მიწაზე უფენიათ და, მიუჩვეველთ, ეს უზომოდ აწუხებთ. ბერძნები ეხმარებიან, მაგრამ თავად რა აქვთ, მათ რომ უზიარონ? კოლმეურნეო-

ბის ხელმძღვანელობა პირდება, გაზაფხულზე „ტაპჩანებს“ დაურიგებენ. არ იციან, რა სამუშოს შეასრულებენ კაცები, ქალები რით ირჩენენ თავს, სად ისწავლიან ბავშვები...

ვიღაც მეუბნება: თქვენ საქმეში ყვავილოვი დაგეხმარებათ, მან ყველაზე უკეთ იცის აქაურთა ასავალ-დასავალიო. ვიღაცამ სწრაფად მოძებნა ბაზარში ყვავილოვი და მე მომგვარა. ახალგაზრდა კაცია, ტყვეობაში ნამყოფი. მარტოა გადმოსახლებული და ალბათ სხვების ამბებისთვის ამიტომაც სცალია სხვაზე მეტად. ყვავილოვს ენიშნა ჩემ მიერ აღწერილი ოჯახის წევრები. როგორ არა, ვიციო, უფროსი ქალი სხვა მანქანებზე მოხვდა და სხვაგან ჩამოსვეს, ახალგაზრდა კი ბავშვებით სხვაგან აღმოჩნდა. შემდეგ ერთმანეთს ეძებდნენ, შეხვდნენ და ახლა „პირველი მაისის“ სახელობის კოლმეურნეობაში არიანო. სწრაფად გავეშურეთ იქით, თან რამდენიმე ქართველი გამოგვყვა. ბაზარს რომ ვტოვებდით, მუსლიმების ლოცვის საათი იყო, მლოცველები პატარა ფარდაგებზე დაჩინქილები ასრულებდნენ ნამაზს. აქლემები კი ზანტად იცოხნებოდნენ. ფარდულებთან განმარტოებული ქართველები სევდიანი თვალებით გვაყოლებდნენ მზერას.

პირველი მაისის სახელობის ბამბის კოლმეურნეობა 150-200 მოსახლეს ითვლის, არის ფოსტა, იქვეა სპეცკომენდატურა, სახლები მიწურებია, უპირატესად უიატაკო. შიგ ცხოვრობენ ბერძნები, შედარებით ცოტანი არიან ყაზახები ბრიგადირებად და სხვა თანამდებობაზე მომუშავენი, სახლები იმათაც ალიზის აგურით აქვთ ნაშენი, თიხით შელესილი, ოლონდ იატაკიანი. რუსობა აქ სრულიად არ არის. სახლები რამდენიმე რიგად არის ჩამნკრივებული და შუაში საკმაოდ ფართო ქუჩებია. პირველი, ვინც შემხვდა, ექიმი კოლია ჯანდეირია. აქ არის თქვენი ცოლ-შვილი და დედაო, მახარა. რომ მოვიკითხე, მიპასუხა: – „ჩვენი საქმე მოსაკითხი აღარ არის, აქ ამოვწყდებით ალბათ ყველანიო“. გადმოსახლების ღამეს, ვიდრე ჩხრეკა მიმდინარეობდა, კოლია იატაკზე დაუსვამთ და არ გაინძრეო, უთქვამთ. მალე სხვა ქართველებიც გამოჩნდნენ, ვიღაცა ჩემი მეუღლის დასაძახებლად გაიქცა. თურმე ფოსტაში წასულიყო, ჩემი ძებნის თაობაზე მორიგი

განცხადების დასაწერად. სპეცკომენდანტს სეიდანოვს უთქვამს, რაც შეიძლება მეტი წერე განცხადებები, ბოლოს და ბოლოს ვინმე ყურადღებას მიაქცევს, გეშველება რამე და ქმარს იპოვიო. ეს სეიდანოვი ყაზახი, „დიდი კაცი“ ყოფილა, რაღაც დანაშაულის გამო დაუქვეითებიათ. გადმოსახლებულ ქართველებს კარგად, გულისხმიერად ეპყრობა. მასვე დაუდგენია, რომ შუაზიაში ვარ წამოსული, მაგრამ სად, ვერ გაეგო. განაწილების სიები არ იყო ჯერ შედგენილი.

ერთაშად წამიერად მოვეშვი, ჯერ განუცდელი სიხარულის გრძნობამ შემიპყრო, სიბრალულისა და საკუთარი უძლურების შეგრძენებასთან ერთად. ყოველივე რაღაცნაირად დაეხვია, დაიგუნდა და ყელში მომაწვა, შემდეგ კი ყველაფერი ერთმა დიდმა სიხარულმა შეცვალა, — ჩემი ბიჭი, ჩემი თემური დავინახე, ბერძენ ბავშვებთან ერთად ვირზე ამხედრებულიყო და თამაშობდა. თვალი მომკრა, გამოექანა, დედა დავინახე, გაეგო და შვილიშვილთან ერთად მოიჩქაროდა, ჩემ ცისფერთვალება მარინასთან ხელჩაჭიდებული, ნორა დავინახე, ჩემი მეუღლე და მეგობარი, მარტომ რომ ზიდა ოჯახის ჭაპანი ამ შორეთში. ჩემკენ გამორბოდა, ერთმანეთს გადავეხვიეთ, ყველანი ერთად კარგა ხანს უხმოდ, უცრებლოდ, მდუმარედ ვიყავით ჩახვეულები.

საღამოსპირი იდგა. უკან დაბრუნების ფიქრიც კი აღარ შემეძლო. სეიდანოვი დაუკავშირდა „სოვხოზის“ სპეცკომენდანტს, ამცნო ყველაფერი და იმ ღამით ოჯახთან დარჩენის უფლება მომცეს.

ჭერდაბალი მიწური სახლის ოთახი ათიოდე კვადრატული მეტრი თუ იქნებოდა, უფრო სწორედ, ეს გასავლელი ოთახია, წინკარი, მეორე ოთახში „მასპინძელი“ ბერძენი ცოლ-ქმარი ცხოვრობს. შეუმინავ, ერთადერთ ფანჯარაზე ტილოს ნაჭერია ჩამოფარებული, შიშველ მიწაზე საწოლია გამართული, გივი ყანჩელს, მათთან ერთად გადმოსახლებულს მოუწყვია მათვის. ოთხ, მიწაში ჩარჭობილ თითო მტკაველა ორგაპ პალოზე რამდენიმე „უერდია“ გადებული, ზემოდან კი ლერწმის ლეროებიდან შეკრული „მატები“. ამ „მატებზეა“ ქვეშაგები და ვწევართ ერთმანეთს მიწყობილი

მთელი ოჯახი. ბავშვებს ჩვენ გვერდით სძინავთ. დიდი ხანია, შუალამე უკვე გადავიდა, ჩვენ კი ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ, ვუზიარებთ ერთმანეთს ნახულსა და განცდილს, კუთხეში ნავთის ჭრაქი ბოლავს და ბუუტავს.

იმ საბედისწერო 25 დეკემბრის ღამეს ბავშვები ადრე დაუწვენიათ, მეორე დღეს თემურს მუსიკალურ სკოლაში კონცერტი ჰქონდა. ღამის ორი საათი იქნებოდა, კარებზე მომდგარა ვიღაც. გააღეთ, ჩვენ „ორგანოებიდან“ ვართო, – უთქვამთ. შემოსულან, დამსხდარან, ოთხნი ყოფილან, საში მათგანი სამოქალაქო ტანსაცმელში. გარეთ კი, მეზობლის თქმით, შავი, მოკლეჩოხიანი და დაბალი, შავ-წითელა „ფაფახიანი“ ბადრაგი იცდიდა, ამბობენ, ამ „ოპერაციების-თვის“ კაზაკთა პოლკი ჰყოლიათ ჩამოყვანილი წინა დღით თბილისში. ჯერ გამოუკითხავთ, სახლში ვინ ცხოვრობდა. როცა გაუგიათ, მე ერევანში ვიყავი, ჩემი ძმა ლევანი კი ცოლ-შვილით – მოსკოვში, კაცი უფრენიათ სადღაც, ალბათ ინსტრუქციის მისაღებად. მანამდე კი დედაჩემისთვის გამოუკითხავთ ყველაფერი დაწვრილებით. ისიც უთქვამს, რომ ერთი შვილი უგზოუკვლოდ არის დაკარგული, ხოლო ქმარი ოცდაჩვიდმეტ წელში იყო რეპრესირებული. ჩემმა მეუღლემ, როგორც კი „ოცდაჩვიდმეტ წელს“ მოჰკრა ყური, იფიქრა, დედაჩემს აპატიმრებდნენ. ერთხელ ხომ უკვე მოაკითხეს წასაყვანად, მამაჩემის დაჭერის შემდეგ, მაგრამ გადამალული გვყავდა. გაოცებულა ჩემი მეუღლე, ნუთუ, კიდევ შესაძლებელი იყო იმ ავბედითი ამბების განმეორება?! შებრალებია ხნიერი ქალი, თოთხმეტი წლის წინ რომ წაართვეს ქმარი და იმის ფიქრშია, ამ სიცივეში სამგზაროდ როგორ მოამზადოს. შემდეგ, როცა დედასთან ლაპარაკს მორჩინენ, მასაც მისცეს საანკეტო კითხვები და – ესეც შეიტანეთ სიაშიო, თქვეს. მაშინ კი უფიქრია ჩემ ცოლს, რომ მე შემემთხვა რამე, მაგრამ ამაზე ფიქრი უმალვე თავიდან მოუცილებია. ამ დროს ბავშვებს გაუღვიძით და უცხო ხალხი აფორიაქებული, შეშინებული დედა და ბებია რომ დაუნახავთ, ტირილი დაუწყიათ. ნორას თხოვნით მიუმართავს, ნება დაერთოთ, ბავშვები დეიდაჩემთან გადაეყვანა, რომე-

ლიც იქვე ახლოს ცხოვრობდა, მარტო, უპატრონოდ რომ არ დარჩენილიყვნენ. არაო, უთქვამთ, ბავშვებს ჩააცვით და დააწყნარეთო. კარგა ხნის შემდეგ დაბრუნებულა გაგზავნილი კაცი. ერთმანეთს თურმე რაღაც გადაულაპარაკეს და იარაღი მოიკითხეს. როცა გაიგეს, სახლში არავითარი იარაღი არ გვქონდა, დაუწყიათ ჩერეკა, წიგნების კარადაც კი გადმოუქოთავთ, რატომდაც წიგნებსაც ფურცლავდნენ. ამ ყველაფერს გამშრალი დედა და ცოლი უყურებდნენ. შეშინებული ბავშვები ჩუმად ზლუქუნებდნენ. ბოლოს გამოუცხადებიათ, რომ „ლონისძიება“ ტარდება და მთელ ოჯახს, ბავშვებიანად საქართველოდან ასახლებენ, მიზეზს კი სხვა დროს ეტყვიან. ისიც უთქვამთ, რადგან ოჯახის უფროსი სახლში არ არის, კაცი გავგზავნეთ, შევეკითხეთ, ვფიქრობდით, მის პოვნამდე დაგტოვებდნენ, მაგრამ მაინც წამოიყვანეთო, შემოგვითვალეს. ნორას უთქვამს, უფულოდ ვართ, ნება მომეცით, მეზობლებთან გავიდე, ვინმეს გამოვართმევო. ჯერ უარი უთქვამთ, ამის უფლება არა გვაქვსო, შემდეგ კი შებრალებიათ. კაცი გაყოლია მეზობელთან, მოუგროვებიათ ცოტაოდენი ფული. ჩემი მეულლე რომ შინ შემობრუნებულა, მოსულებს ნოხი გაუშლიათ და შიგ ალაგებდნენ ნივთებს, რაც ხელში მოჰყვათ და წალება შეიძლებოდა. თოფრაკით კარტოფილიც კი გამოუტანიათ, ესეც დაგჭირდებათო, და ნოხში გაუხვევიათ. ერთს კამფეტი მიუცია ატირებული ბავშვისთვის – კაცთმოყვარეობის მსგავსი რაღაც გამოუჩენიათ ოჯახის ნგრევისას. შემდეგ ეს შეკრული ფუთა გაუტანიათ, ქვემოთ უკვე საბარგო მანქანა იცდიდა. თემური თურმე იძახდა, ხვალ რომ კონცერტზე უნდა დამეკრა, ახლა რაღა უნდა ვქნაო. დედაჩემი უხმოდ ასულა მანქანის ძარაზე – ელდაცემული, სისხლგამშრალი. მერე ნორა ჩაუყვანიათ ბავშვით, ერთ-ერთს ის კაბინაში ჩაუსვამს, თავად კი ძარაზე ასულა. კარების მიხურვისას ბავშვს თითები მოყოლია და სისხლი წასკდომია. ბავშვის სისხლში არეული დედა-შვილის ცრემლებით, ხელზე დახვეული ცხვირსახოცი იუღინთებოდა.

მანქანა დაიძრა...

უკვე ირიურაუა. ნავთლულის სადგურის რომელიდაც ხაზზე ვებერთელა ეშელონი იტვირთებოდა. საძროხე ვაგონებში შეყრილი ხალხი წყევლა-კრულვას უგზავნიდა ეშელონის გასწვრივ მოსეირნე გენერალს, რომელსაც მაღალი ფაფახი ეხურა და ისე გულგრილად დააბიჯებდა, თითქოს ადამიანებით კი არა, ეშელონს საქონლით ტვირთავდა.

შემდეგ კი იყო დაულეველი გზა, ვაგონების ჯაყჯაყი, ცრემლი, ცრემლი, შიში და ფიქრი გამოუცნობ მომავალზე, დარდი ჩემზე. ნორას რამდენიმე დღე არაფერი უჭამია, არც წყალი დაულევია, იჯდა ცრემლიანი, ზარდაცემული. დედაჩემი ეხვეწებოდა – თავს მიხედე, ბავშვები არ დაღუპოო. მერე კი ძალა და ნებისყოფა მოუკრებია და სადღაც სადგურშიც კი მოუხერხებია ჩასვლა ამბის გასაგებად. ბოლოს ვაგონში გარკვეულან, რომ ყაზახეთში მიდიან სამუდამოდ იქ საცხოვრებლად. მიამბეს, როგორ დაკარგეს გზაში ერთ-მანეთი და შემდეგ როგორ იპოვეს.

დილისკენ გაწვიმდა, სწორედ ჩვენ საერთო საწოლთან გამოატანა სახურავიდან წვიმამ. დედაჩემმა ტაშტი მოგვაშველა. დავიდე გულზე და წვეთ-წვეთად ჩამონადენი წყლით ამღერებული ტაშტის ქვეშ უძილო ღამე დილამდე გავატარე.

დილით ადრე ჩემი „სოვხოზისკენ“ გავეშურე, რაიცენტ-რის უშიშროების განყოფილებაში უნდა გაფორმებულიყო ოჯახის ჩემთან გადმოყვანის ნებართვა. მე კი მათთვის ბინა უნდა მომემზადებინა.

სახეგაბრწყინებული შევედი არისლანვის კაბინეტში, ჩემი სიხარულის მიზეზი ვამცნე და ვუთხარი: „ახლა კი ახმედ შაკულვიჩ, მზად ვარ, ამ მეურნეობაში ნებისმიერი სამუშაო შევასრულო“.

შემხედა და ლიმილით მეუბნება: „უპირველეს ყოვლისა, სამუშაო სახე მიიღეთ, ეს დრაფის პალტო გაიხადეთ, „ტელეგრეიკა“ ჩაიცვით და თავზე დასახურადაც შესაფერისი ქუდი შეარჩიეთ, სამუშაოს კი გოლოვკინი მოგცემთ, ბორის ივანოვიჩი, მშენებლობას ჩვენთან ის ხელმძღვანელობს“.

გოლოვკინი ბორის ივანეს ძე შუახნის ასაკს კარგა დიდი ხნის გადაცილებული კაცია, მაღალი, ოდნავ მხრებში მო-

ხრილი, ლაპარაკის დროს არ გიყურებს, თავჩაქინდრული გისმენს. ტიკი აქვს – შუბლს ზემოთ თმას თითზე იხვევს, ხან-დახან, თავისი მონაცრისფრო თვალებით, ქვემოდან ზემოთ გამჭოლი მზერით ამოგხედავს. გოლოვკინი ფრიად განსწავლული და გამოცდილი მშენებელ-ინჟინერია, ის იმ ახალგაზრდა სპეციალისტების ჯგუფიდანაა, ნადეჟდა კრუპსკიას ინიციატივით რომ გაუგზავნიათ უცხოეთში ცოდნის ასამაღლებლად, მერე კი, ინდუსტრიული ხუთწლედების დროს, ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტი უშენებია. ბოლოს, შუააზიაში – ტაშკენტის აბრეშუმის კომბინატი. დღემდე არ ვიცი, როგორ მოხვდა „სოვხოზში“ თავისი სიმპათიური ცოლითა და ქალ-ვაჟით. ამბობდნენ „პროვოკაციის“ მსხვერპლიაო. თავად კი იმით ხსნიდა თავის აქ ყოფნას, რომ მის ავადმყოფ ფილტვებს ცხელი კლიმატი უზდებოდა.

გოლოვკინმა „ცენტრალური უსადბის“ სააღმშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელობა დამავალა. მე ვუთხარი, რომ ელექტრიკოსი ვიყავი და ალბათ ჩემი სპეციალობით უფრო გამოვადგებოდი, რაზეც მიპასუხა: „ახლა ყველაფერზე მნიშვნელოვანი, საცხოვრებელი სახლების აშენებაა. ამბობენ, მომავალი გაზაფხულისთვის თქვენს თანამემამულეებს კიდევ მოიყვანენ. ასე რომ, შეეცადეთ სწრაფად და, რაც შეიძლება, კარგად ააშენოთ, ეს ხომ თქვენიანებისთვის კეთდება. იქნებ ამ ღვთისგან მიტოვებულ ადგილზე როგორმე შეძლონ ცხოვრება.“

ელდა მეცა, ნუთუ სრულიად საქართველოს აქ გადმოსახლება უწერია! სიზმარია ეს, თუ ცხადი?

გამიჭიანურდა ოჯახის გადმოყვანა. ჯერ იყო და ინსტანციებში გადაყვანის გაფორმება დაგვიანდა. შემდეგ ავად გავხდი. ალბათ თავი იჩინა ნერვიულობამ და დაღლამ, თან საცხოვრებელ სახლსაც ხომ ვამზადებდი. ბოლოს, როგორც იქნა, თებერვლის მიწურულს დავსვი „ბრიჩაზე“ ჩემი ცოლ-შვილი და დედა, ატალახებული გზით გავუდექით „სოვხოზისკენ“ მიმავალ მარშრუტს, ზოგჯერ უჭირს ტანმორჩილ ცხენს და ვეხმარები – ტალახში ჩაფლულ ბორბალს ამოვათრევ. სადღაც გაქრა ის დამთრგუნავი გრძნობა,

ჩემი ოჯახის დარბევის გამგონეს, გულზე რომ დამაწვა. ვც-დილობ, ვიმღერო კიდეც: „Цыгане шумною толпою“. ხან დე-დაჩემს შევეხმიანე „Ты жива еще моя старушка, жив и я, привет тебе, привет...“.

ბაგირებზე გვერდულად, ალმაცერად გადმოიფრინა ყორნების გუნდმა.

ლმერთო ჩემო! ნუთუ აქაც შესაძლებელია იყო ბედნიერი, საიდან ეს აღმაფრენა, რა მანიჭებს ძალას! – ჩვენ ერთად ვართ. მხოლოდ სადღაც შორს, გულის კუნჭულში ჩაიბუდა და ჩუმად ნაღველს ლესავს მოგონება: საქართველო, თბილი-სი, ვარდისუბნის ქუჩა, ჩემი მიტოვებული, ჩამქრალი კერა.

და უნებურად გონებაში სიტყვათა წყობა ყალიბდება, ჩემი გრძნობების გამომხატველი, იმ თოვლიან ღამეს ნერგა-ძეების სიმღერამ რომ ჩამინერგა და ახლა პპოვა გაგრძელება:

„ზამთარია, ზამთრის ბალებს უკვე დაათოვა,  
შორს წასული მოგზაური სახლში როდის მოვა.  
მიტოვებულ კერიაში იფერფლება ალი,  
გარეთ ღმუის, კივის ქარი, ვით მოზარე ქალი.  
უდაბნოშიც თოვლი ბარდნის, ცამ დახუჭა თვალი  
ქარაშოტმა გადახვეტა ქარავნების კვალი...  
ბაგირებზე დაფარფატებს ყვავ-ყორნების გროვა,  
მინამ იცის, მინას ესმის შავფრთოსნების გლოვა.  
მოგზაური ებრძვის ქარბუქს, ტრამალების სუნთქვას,  
ქარს ყურს უგდებს, საიდუმლო ქარაშოტმა თუ თქვას...  
უდაბნოთა საიდუმლო, აქ მომყვანი გზისა,  
ორი დევის ნაფეხური – მთვარისა და მზისა.  
ქარი? ქარი მხოლოდ ღმუის, თოვლის ფაფარს აყრის,  
მაინც მიდის მოგზაური, ნეტავ, თავს თუ დახრის?  
– და როდესაც დაქანცვისგან ელულება თვალი,  
აგონდება, კერიაში იფერფლება ალი.  
მაგრამ გავა ზამთარი და არ იქნება თოვა,  
ჩიტუნია ნახავს ბუდეს, შარშან რომ დატოვა,  
ისევ გახსნის ია-ვარდი სურნელოვან ბაგეს,  
ისევ ნახავს მოგზაური მშობელ მინას, ბალებს.

გაიღიმებს საოცნებო ზეცის ლურჯი თვალი,  
მიტოვებულ კერიაში არ ჩაქრება ალი“.

მერე კი დაიწყო არაადამიანური შრომის ხანა, დილი-დან შუალამემდე, ოღონდ გეცოცხლა, ოღონდ თავი გაგეტანა, რომ ოჯახი არ დაგლუპოდა.

დაიწყო ახალი ცხოვრება, ახალი პრობლემები, რომელთა გადალახვა ისეთ სიხარულს მანიჭებდა, რომ მავიწყდებოდა თავს დატეხილი უბედურება. ალბათ ეს არის ადაპტაცია. ბავშვები, ბავშვები, ბავშვები, ეს ჩვენი პირველი საზრუნავი გახლდათ, ჭამა პრობლემად აღარ ითვლებოდა, ვისაც შრომა შეეძლო, შიმშილით არ მოკვდებოდა, ვისაც არა და, სხვა დაეხმარებოდა გადასახლებულს – „მგლის კანონი“ აქ არ არსებობდა. დახმარების ხელის გაწვდენა წესი იყო, დაუწერელი კანონი. ეს იცის საერთო ჭირმა. სკოლის დირექტორი ხელს ძალიან გვიწყობდა. ქალი იყო, გვარად არისლანოვა. სკოლაში მუსიკის მასწავლებლად მიიღო ამბოკაძის ქალი, ტყვედყოფილი გივი ფორაქიშვილის დედა, უცხო ენების მასწავლებლის ნაკლებობა ხომ არ იყო და არა. დირექტორს პიანინო ჩამოვატანინეთ. ვისაც სურს, შეუძლია ამბოკაძის ხელმძღვანელობით სწავლა განაგრძოს. ვცდილობთ, ბავშვებისთვის ცეკვის ჯგუფი შევქმნათ პარიზიდან ჩამოსული ქალის, პროფესიით ბალერინას, გვარად ვაჩნაძის ხელმძღვანელობით. ამ ღონისძიებებს რუსი და ყაზახი ბავშვების მშობლებიც სიამოვნებით შეხვდნენ. ასე რომ, მსგავსი საკითხების მოგვარების გარანტია ხელთა გვაქვს. მართალია, სწავლება რუსულ ენაზე წარმოებს, მაგრამ ბავშვებისთვის ათწლედის ფარგლებში სწავლების პრობლემა, ასე თუ ისე, გადაწყვეტილად ჩაითვლება. ერთი დააკლდებოდათ ბავშვებს – სამშობლოს სუნთქვა, მაგრამ ამის შექმნა აქ ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდა.

უსიამოვნება მრავლად გვხვდებოდა. ჩვენი საქმიანობა ბევრ აქაურს მოსწონდა, ზოგს კი სრულიად არ აწყობდა. ერთხელ, სახლში რომ ვბრუნდებოდი, ვიღაცები დამხვდნენ სიბნელეში და მოულოდნელად რაღაც საგანი სახეში

მთხლიშეს, ცხვირი გამიტყდა, სისხლი თქრიალით მომდიოდა. ბედზე გამვლელებმა გადამარჩინეს. გრამიტონმა ამიცვია პირ-სახე, მას მერე გამიჩნდა კეხი ცხვირზე.

არც ზოგიერთ მშენებელს აწყობდა ჩვენი ასეთი მუშაობის სტილი და ბევრ წინააღმდეგობას გვიქმნიდნენ. ერთი სიტყვით, არსებობისთვის ბრძოლა გამძაფრდა, შაგრამ ძირითადი უკვე გაკეთებული იყო. ქართველების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ სანაქებოდ იციან „ჭირსა შიგან გამაგრება“, ღირსეული თავდაჭერა, ერთმანეთის დახმარება, რამაც ადგილობრივებში პატივისცემისა და მორიდების სათანადო განწყობა შექმნა.

ღმერთო ჩემო! ნუთუ გადასახლება და უბედურებაა საჭირო იმისათვის, რომ ქართველმა თავისი ნამდვილი ბუნება გამოაჩინოს?

აუნაზღაურებელი მწუხარება თავს დაატყდა ბევრ ოჯახს, სიცოცხლეს ხომ სიკვდილიც მუდამ სდევს. აქა-იქ მოთქმა და ზარი გაისმა. ყველაზე ადრე ანჯაფარიძეების პატარა ბიჭი გარდაიცვალა, სწორედ ის, ბადრაგმა რომ მოიკითხა ძუძუთა ბავშვი სლავიანვაში, გაქცეული რომ ეგონათ. მახსოვს, წეროებივით მივყვებოდით წვრილ ბილიკს, ნინ ბერძენი მღვდელი მიგვიძლოდა ჯვრით ხელში. ასე გაჩნდა პატარა ქართული სასაფლაო...

გახურებული მშენებლობა მიდის მეურნეობაში, ვაშენებთ საცხოვრებელ სახლებს ალიზი-აგურით, მარტო ჩემს უბანზე 250 სახლი უნდა აშენდეს, ვაშენებთ სოფლის მაღაზიას, აქ „უნივერმაღად“ მონათლულს, კინოთეატრს, ელექტროსადგურს ლოკომობილის დანადგარებით. როსინსკის ინიციატივით მოხერხდა გურამ გაბაშვილის გადმოყვანა, ის ხომ მშენებელია, არქიტექტორი, განათლებული კაცია და თვალში მოუვიდა გოლოვკინს. გურამი მესამე განყოფილების სამშენებლო სამუშაოების მწარმოებლად დანიშნეს, მეხუთე განყოფილებაშიც მშენებელი ინჟინერი ქართველია.

ვინც ბამბაზე არ მუშაობს, ყველა მშენებლობაზეა. დილით ადრე, ვიდრე მზე ამოიწვერებოდა, ისე ციოდა, „ტელეგრეიკებით“ გამოდიოდა ხალხი, თხრიდნენ ორმოებს,

იღებდნენ მიწას, ზელდნენ ფეხებით და მერე კი თორმეტუჯრედიან აგურის ფორმებში ალაგებდნენ. გაიტანდნენ საამისოდ განკუთვნილ ადგილზე ფორმას, გადმოაპირევავებდნენ და მიწაზე დაალაგებდნენ სველ აგურს. მზე რომ ზენიტს მიაღწევდა, მუშაობა შეუძლებელი ხდებოდა და შედარებით მეტი ანაზღაურების მსურველიც კი ვერ უძლებდა. ნახევრად გაშიშვლებული უფრო ხშირ-ხშირად იწყებდნენ სარჩრდილობელში თავის შეფარებას, რომელსაც აქ „ხოლოდოქს“ ეძახიან. შემდეგ კი, თორმეტი-პირველი საათისთვის, ისინიც თავს ანებებდნენ მუშაობას. ამ დროს ძალლიც კი ვერ ჩერდებოდა თაკარა მზის ქვეშ და მზის დარტყმას იღებდა. სამაგიეროდ, მზეზე გატანილი აგური შრებოდა, მაგრდებოდა როგორც ფაიფური და სალამო ხანს, როცა მუშაობა განახლდებოდა, აწყობდნენ თავის გაკეთებულ აგურს შტაბელებად, რომელსაც „დესიატნიკი“ დაითვლიდა და რაოდენობას ჩაუნიშნავდა მუშას ანგარიშსწორებისთვის. შემდეგ, თვის ბოლოს მუშა ყოველ ათას აგურზე ერთ მანეთს იღებდა, საშუალოდ კი, 80-100 მანეთს გამოიმუშავებდა.

კალატოზებად, ძირითადად, ბერძნები მუშაობენ, ეს მათი მონოპოლიაა, მეტნილად ოჯახური ბრიგადები აქვთ, კედლებად დალაგებულ აგურს წვიმების დაწყებამდე უნდა გადახურვა და თიხა-ალიზის ნარევით შელესვა, თორებპირველივე წვიმა დაშლის და ისევ მიწის გროვად აქცევს.

თანდათან იზრდება ჩვენი კოლონია. კალანდაძების ოჯახი გადმოვიდა ყიზილყუმიდან: მოხუცი დედა, გულნარა, მისი უფროსი ქალი, ევგენია, მასწავლებელი, უმცროსი – ექიმი, ჩიტო თავისი ქალ-ვაჟით: გიათი და გულნაზით... იმის გამო გადმოუსახლებიათ, რომ უფროსი შვილი ჰყავდა თურმე მოხუც დედას ემიგრაციაში 1926 წელს წასული, როცა ჩიტო 14 წლისა იყო, მისი შვილები კი ათი წლის შემდეგ დაიბადნენ!

ძნელია ჭეშმარიტი ექიმის ხვედრი ცივილიზებულ პირობებშიც კი, მაგრამ იქ, სადაც ადამიანს მარტო ფიზიკური კი არა, ყოველდღიური მორალური რბევა სდევს, ექიმის

დანიშნულება ასკეცდება და გარჯის სიმძიმე ძლიერ მხრებს თუ შეუძლია ატაროს მხოლოდ. ჩიტო შეიქნა ყველა ჩვენი ოჯახის კარის ექიმი, ვინ სად არ ეძახდა მას.

ვიწრო „ტაპჩანზე“ თავფეხშექცევით წევს დედა და შვილი, დედა სულთმობრძავია, მძიმე ავადმყოფი, მისი 12 წლის ბიჭუნაც ავადაა, გამოფიტული და გალეული საცოდვად უყურებს მამას, ტყვედნამყოფ კვარაცხელიას, რომელსაც მისი უმცროსი ერთი ციცქა ძამია უჭირავს ხელში და ხან კარებს მიუტრიალდება, ხან უბედურთა საწოლს. ზოგჯერ შური გამოკრთება ავადმყოფი ბავშვის ცისფერ თვალებში, როცა გაიგონებს გარეთ პატარების ხმას და ურიამულს. „ახლავე, თქვენი ჭირიმე, ახლავე მოვა ექიმი“, თითქოს თავის თავსაც ინუგეშებს კაცი. „ბაბაია, ფეხები გაუცივდა დედას, ბაბაია, ფეხები გაუცივდა დედას!“, იძახის ავადმყოფი ბავშვი. დედას კი აღარ ესმის მისი ხმა, იგი განთავისულდა უკვე ამ სოფლის წამებისგან და თუ კი არსებობს სიკვდილის შემდეგ რაიმე შეგრძნება სულიერის, თან გაჰყვა ვეება დარდი შვილების, ოჯახის...

...თავჩაქინდრული გამოვიდა ექიმი ჩიტო მიწურიდან, გამოჰყვა არიკის ნაძირს, შემდეგ მიწანაყარზე ჩამოჯდა და მწარედ ატირდა.

...რამდენიმე დღის შემდეგ კვარაცხელიებმა მეორე კუბოც გამოიტანეს მიწურიდან. ეს ცისფერთვალება პატარა ბიჭი იყო.

სამშობლოში რომ დაბრუნდნენ, გიამ უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა. მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და იქ დატოვეს სამუშაოდ. ჩიტო კი, შესანიშნავი პედიატრი, მთელ თავის ძალლონეს ახმარს ბავშვების მკურნალობას.

გადმოვიდნენ ვარაზაშვილები – მიშა და მარგო, 10 წლის ვაჟით, ვანიკოთი. მიშას მამა ყოფილა ემიგრაციაში წასული 1921 წლიდან და ამათ მოჰკითხეს ახლა. მიშა მშენებელ-ინჟინერია, მარგო კი ინჟინერ – მეტალურგი. პარტიის წევრია და ვერა და ვერ ურიგდება პარტბილეთის ჩამორთმევას.

ვალოდია, გურამი და მე ცდას არ ვაკლებთ, რაც შეიძლება მეტი ქართველი გადმოყიყვანოთ ახლო-მახლო ადგილებიდან, ამ შედარებით უკეთეს პირობებში საცხოვრებლად.

ცოტა არ იყოს, გაძნელდა მასხარაშვილების ოჯახის გადმოყვანა. ამ ოჯახის დედა, ბაბოშკა დადიანი 1921 წლებში ემიგრირებულ, თავად კოკი დადიანის ქალიშვილია, გადასახლების მიზეზიც ეგ ყოფილა თურმე. მასთან ერთად გადასახლებული ქალ-ვაჟის, თათულის და გიორგის პროფესიები, ჩვენი დირექტორის აზრით, არ სჭირდებოდა „სოვებოზს“. გაჯიუტდა თათარი, არა და არაო. ბოლოს ერთ ხერხს მივმართეთ. არისლანოვს მოვახსენეთ ხელოვნებათ-მცოდნე გიორგი, ამავე დროს, შესანიშნავი მძერწავია, რომ ასეთი სპეციალისტი ძალიან გვჭირდება მშენებარე კლუბის ორნამენტებით გასასწყობად და ასე, „ლეპშჩიკის“ სახელით გადმოვიყვანეთ გიორგი ოჯახით ჩვენს მეურნეობაში.

ერთმა კურიოზულმა შემთხვევამ განამტკიცა გიორგის პოზიციები ჩვენთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი „ლეპშჩიკად“ კი არა, მონტიორად მუშაობდა ჯერ არ არსებულ მშენებარე ელექტროსადგურში. მეურნეობის ახალგაზრდებმა შეკრეს ფეხბურთის გუნდი, რომელშიც, სამწუხაროდ, ასაკის გამო, მე არ ვთამაშობდი და ისე იმარჯვეს, რომ ოლქის პირველობაზე შინსახვომის „კონვოით“ წასულებმა სათა-მაშოდ, მეორე ადგილი დაიკავეს. დაუთმეს მხოლოდ ისეთ გუნდს, რომელშიც ქართველ „მოყვარულთათვის“ ცნობილი კუკო ფეხბურთევანიდი და მისი დარი ფეხბურთელები თა-მაშობდნენ. ეს გუნდი გვეწვია „სოვებოზში“ მატჩის გასამართად, რასაკვირველია, ქართველების პატივისცემის გამო, და მატჩის წინ აღმოჩნდა, რომ ჩვენს გუნდს, რაღაც მიზეზით, მეკარე არა ჰყავს. სასწრაფოდ ჩავაცვით გიორგის და ეს მაღალი, გამხდარი კაცი საოცრად დაემსგავსა „მწუხარე სახის რაინდს“, ფლეგმატურად იგერიებდა ხან ფეხით, ხან ხელით კარებში დარტყმულ ბურთს და კულმინაცია მაშინ იყო, როცა თამაშის ბოლოს, რომელსაც 1:0 ვიგებდით, ჩვენ კარებში დანიშნეს პენალტი. გიორგიმ, ალალბედად გაკეთებულ საოცარ, არაპროფესიულ ნახტომში, ბურთი მოიგე-

რია, მატჩი მოვიგეთ და, რაც მთავარია, დირექტორმა ბრძანა: „молодец лепщик“. ამით განმტკიცდა მისი მდგომარეობა მეურნეობაში. თათულიმაც დაიწყო მუშაობა მეურნეობის სამმართველოში, სტატისტიკოსად.

ახლა აღარ მახსოვს ყველას – თავისი მოხერხებებით გადმოსულის, თუ ჩვენ მიერ გადმოყვანილის გვარები. ოღონდის კია, რომ ტყვეობაში ნამყოფთა და მათი ოჯახების გარდა, მრავლად იყვნენ ემიგრანტების შვილები, რომელთაგან ბევრს მშობელი ან არ ენახა, ან არ ახსოვდა და თავად ყოველი ემიგრანტიც, რომლებმაც მოაშურეს საქართველოს, როცა სამშობლომ მათი დაპრუნების უფლება მისცა.

საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი კოლონია. დირექტორს ლაპარაკიც კი აღარ უნდოდა ვინმეს გადმოყვანაზე, მაგრამ ერთხელ მაინც დავარღვიე ტაბუ და შევედი მასთან. ეს ასე მოხდა. დღის 2 საათია, ტემპერატურა ჩრდილში 42 გრადუსს აღწევს, მუშებმა კარგა ხანია ჩრდილს შეაფარეს თავი, თბილ კაბა-ჯუბებში გახვეული ყაზახები მწვანე ჩაის შეექცევიან ფიალებიდან. ხუთ საათამდე ყოველგვარი მუშაობა შეჩერებულია მშენებლობაზე. წელსზევით შიშველი ვართ, რაც ძალიან უკვირთ ყაზახებს, თავზე კი წყალში დასველებული პირსახოცი მადევს, რომელსაც დრო და დრო მიცვლის კოლია ობოლაძე. უნივერსიტეტის სტუდენტი, ტყვედნამყოფი მამის შვილი, მასაც ასევე სველი პირსახოცი ადევს თავზე და წყლიანი ვედროთი მომყვება უკან. ვამოწმებთ აშენებულს, რამდენი აგურია დახარჯული, სად რამდენი ხის მასალა აკლია, საღამომდე უნდა ვიცოდე რაოდენობა, რომ სამუშაოს განახლებისას განვსაზღვრო, სად რამდენი უნდა გაიგზავნოს. მშენებარე „უნივერმალის“ კედლის ჩრდილში შავებით მოსილი 26-27 წლის ქალი დავინახე. მომიბოდიშა, თქვენთან ვარო, მეუბნება. მივედი, ხელი ჩამოვართვი, ვერ შევიცანი, ჩვენი კოლონიისა არ იყო. რა გნებავთ, ჩემო დაო, ვეკითხები. ხმის ამოუღებლად შალში გახვეული ფოტოსურათი ამოილო და მომაწოდა. სურათზე კაცი და ქალია, წინ ორი კუბო უდგათ, შიგ გოგონა და ბიჭი უსვენიათ. აკანკალებული ხმით მეუბნება, ჩემი შვილებია: 6

წლის თინიკო და 9 წლის სოსო, ეგ კი ქმარია ჩემი, ციხეშია...  
და მიამბო შემზარავი ამბავი.

ქმარი გიორგაძე ყოფილა გვარად, ვანელი. ომში კაპიტ-ნის ჩინით უბრძოლია, ორდენებიცა და მედლებიც ჰქონია  
მიღებული. შემდეგ ტყვედ ჩავარდნილა, გამოქცეულა, ისევ  
დაუჭერიათ, რაღაც სასწაულით სიკვდილს გადაურჩა თურ-  
მე. სახლში რომ დაბრუნდა, გულში ჩაუხუტებია პანია სოსო,  
რომელიც მისი წასვლის შემდეგ დაბადებულა, ცრემლი  
მოუწმენდია ვაჟვაცს და უთქვაშს – სწორედ ასეთი მყავდი  
წარმოდგენილიო. შემდეგ გოგონა შესძენიათ. ყაზახსტანში  
რომ ჩამოუყვანიათ, ისეთ ადგილას მოხვედრილან, რომ ირ-  
გვლივ ქართველობა სულ არ ყოფილა. მარტოსელა ბერძნის  
მიწურში შეუსახლებიათ. ბავშვებს წითელა გამოაჩნდათ,  
სახადი მოიხადეს და მშობლები თავს ევლებოდნენ ნაავად-  
მყოფრებს. ერთ ღამეს ბერძენს ყაზახები სტუმრებია არყის  
დასალევად. ხუთნი ყოფილან, მთვრალებს თვალში მოსვ-  
ლიათ ქართველი ქალი და, როცა მოუხელთებიათ თავისი  
ოთახიდან გამოსული, ბლლარძუნი დაუწყიათ და არასა-  
კადრისი უკადრებიათ, ხმაურზე გამოვარდნილა გიორგაძე,  
დარევია ამ ყაზახებს, ხუთივე გაულახავს სასტიკად. ერთის-  
თვის „კეთმენით“ თავიც გაუტეხია. ის ერთი „რომვდ“-ეს უფ-  
როსის, ამიროვის ძმა ყოფილა. იმ ღამესვე დაუწიოკებიათ  
ოჯახი, მამა გაბაზრული წაუყვანიათ, ნაავადმყოფარი ბავშ-  
ვები გაციებულან, ფილტვების ანთება დამართნიათ ორივე  
ნასახადარს და ერთი კვირის თავზე გარდაცვლილან. მამა  
მოუყვანიათ დიდი ხევწნის შემდეგ შვილების დასამარხად,  
ბერძენს კი ეს სურათი გადაუღია ჩუმად. შემდეგ სასამართ-  
ლო ყოფილა, ქმრისთვის ორი წლის პატიმრობა მიუსჯიათ  
და ჩიმკენტის ციხეში წაუყვანიათ.

გთხოვთ, მეუბნება, გადმომიყვანეთ თქვენთან, აქ ბევ-  
რი ხართ ქართველები, ქართული სასაფლაოც გაქვთ, ჩემს  
პანიებს აქ გადმოვასვენებ ქართულ სასაფლაოზეო.

საღამოს დირექტორთან შევედი, ვუამბე, წინ დაუდე  
სურათი, შეძრწუნდა თათარი, ხვალვე გადმოვიყვანთო,  
მითხრა.

...მოემატა ჩვენს სასაფლაოს ყაზახთა მიწაზე ორი უმანკო ბავშვის საფლავი, დედის ხელით გათლილი ორი ხის ჯვრით მონიშნული.

...საღამოს, როცა დღის ალმური ჩაცხრება და უდაბნოს სუნთქვა ასატანი ხდება, შორს გაიტანს ხოლმე ამ წმინდად შერაცხული ადგილიდან ჩუმ ქვითინს და ბუტბუტს ხან შვილო ჩემო, ხან ვაი, ნანა, შე უბედურო.

რამდენ დღეს დავთვლით უიმედო ფიქრის თარეშით,

რამდენ შხამს დავლევთ მოლოდინით ღონემიხდილი

და ფერმიხდილი ვიცრემლებით სიმწუხარეში,

უცხო მხარეში, ბნელ ღამეში დაგვდევს სიკვდილი.

აქა-იქ უკვე აგორაკდა უდაბნოს სწორი

— ქართველის მკერდმა ამოზნიქა უდაბნოს ქვიშა,

აქ მომყვანი გზა იყო ძნელი და იყო შორი

აქ, ბარბაროსმა სასაფლაო ჩვენთვის დანიშნა.

სიმწუხარეში ტკბილიაო, ვინ სთქვა სიკვდილი?

არაობაში სიხარული ვის უპოვია?

მაშ, მოვიშოროთ მეგობრებო, ჭმუნვის აჩრდილი,

ცოცხალი კაცი სიცოცხლეში ვის უგლოვია?

და თუ გზა გრძელი ეკლიანი და დახლართული

დაიკლაკნება და გველივით შემოგვეხვევა,

მოვა ჩვენება ამაზრზენი, ცელალმართული,

მიწა ქართული დასჯილ გულებს არ ჩაეხვევა.

მაშინ ოდესმე მოგვიგონებს ვინმე და ჩვენთვის

ცრემლს გაიმეტებს პატიოსანს, ცრემლს სინანულის

და შთამომავალთ ის ანდერძად იმასაც ეტყვის,

რომ სიყვარული ჩვენ თან გაგვყვა ჩვენი მამულის.

არც საქართველო დაივიწყებს ლტოლვაში მყოფებს,

მრავალუამიერ მისი ზეცა, მისი მთა-ბარი

მამადავითი ერთხელ მაინც შეიკრავს კოპებს

და უდაბნოში ხმას მოგვაწვდის მთაწმინდის ზარი.

ჩვენ კი მდუმარნი, კიდევ უფრო გავირინდებით,

არარად ქმნილნი დარბეულნი ბედის სამსჯავრით,

მაგრამ სამშობლოს მაშინაც კი მივესალმებით

ჩვენს საფლავებზე აღმართული უბრალო ჯვარით.

ჩვენგან წავიდნენ გრამიტონ ასათიანი და მისი მეუღლე. ის როგორც მედიცინის დოქტორი, პროფესორი პახტარალში გადაიყვანეს რაიონული საავადმყოფოს გინეკოლოგად, ერთ-ერთი მარჯვედ გაკეთებული ქირურგიული ოპერაციის შემდეგ. ჩვენც ჩავედით მასთან ერთხელ – მე, გურამ გაბაშვილი და გიორგი მასხარაშვილი. შემომითვალა, ძალიან მომწყინდაო უთქვენოდ, – გადასახლებულთაგან იქ ქართველი არავინ იყო. იქ გავიცანით თბილისიდან ადრე გადასახლებული კერერების ოჯახი. იმ კერერების ერთ-ერთი შვილი შემდეგ გამოჩენილი პიანისტი გახდა. საერთოდ, გერმანელები, რომლებიც მივარდნილ დასახლებაში მოხვდნენ, ცუდად შეეგუნ ადგილობრივ პირობებს, უმრავლესი ოჯახი განადგურდა, შეხვდებოდი ყმანვილს, ცისფერთვალებას, რომელიც „გაყაზახებული“ იყო უკვე ჩვევებით, მოქმედებით, რადგან მშობლები დაეხოცნენ და ყაზახებს შეუკედლებიათ პატარა. პახტარალი კი მოზრდილი დასახლებაა, იგი ჯერ კიდევ რუსეთის მეფის ძმის, მიხეილის სამყოფელი ყოფილა. მიხეილს ტუბერკულოზი სჭირდა და აქაური ჰავა უსინჯავს სამკურნალოდ. კერერები გვარიანად არიან მოწყობილნი. ერთ ქართველსაც აქვს ასე ძველი ოჯახი გამართული...

საავადმყოფოში მთავარი ექიმი, გვარად ბოგერი, გადასახლებულთაგანია. გრამიტონი და ბოგერიც გვეწვივნენ მეურნეობაში, ჩემს ოჯახში გავუმართე პურ-მარილი საერთო ხარჯით, ჩვენ – ჩვენი დანაზოგი სურსათით. ჩვენს სუფრაზე იმდენი არაყი და ქიშმიშზე დაყენებული ლვინო არ დალეულა, რაც სიმღერა იყო, მომღერლები კი კარგი გვყავდა – ნორა, გრამიტონი და ჩვენ – ბანები. გარეთ გამოვიხედე და სახტად დავრჩი, ბინებიდან გამოსულიყვნენ ყაზახ-რუსობა, ზოგს სკამი მოეტანა ჩვენს სახლთან ახლოს, გაოცებული უსმენდნენ ქართულ სიმღერებს, უკვირდათ ქართული ქეიფი.

საერთოდ კი, ეს პირველი არ იყო, როცა ჩვენს ზნე-ჩვეულებებზე ყურადღებას ამახვილებდნენ ადგილობრივები, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ იმ ადგილსამყოფელის არაპატი-

მარ ბინადართ. განსაკუთრებით მოსწონდათ ოჯახების სი-  
მყარე და ის, რომ მთვრალ ქართველს ვერ ნახავდი ტალახში  
ან მტკვერში ამოგანგლულს და „კანაოში“ მძინარეს.

სამშენებლო პერიოდი მიწურულს უახლოვდება, გამა-  
ლებით მიდის შენობების გადახურვა. დამთავრდა უნივერმა-  
ლის შენობა, რომლის თაღისებრი ჭერი ზედმეტი მონდომე-  
ბით ისე შევაღებინე, რომ პლანეტარიუმის ცის თაღს უფრო  
მოგაგონებს, ვარსკვლავებით მოჭედილს, ვიდრე უნივერმა-  
ლისას, ხოლო კინო-კლუბის ფასადი, როგორც გოლოვკინმა  
ირონიით მითხრა, ძალიან ჰგავდა ელექტროქვესადგურების  
სტანდარტულ ფასადს. ეს დღესაც ვერ ამიხსნია. მე მართლა  
ელექტროკოსი ვარ, მაგრამ „კონსულტანტები“ ხომ არქი-  
ტექტორები მყავდა, გურამ გაბაშვილი და სოსო გეგენავა.  
შეიძლება იმოქმედა იმან, რომ იმბლავრა ჩემმა პროფესიულ-  
მა სიმპათიებმა. თუმცა, გოლოვკინი მაინც და მაინც უკმაყო-  
ფილო არ იყო, პირიქით, მოსწონდა კიდეც, რომ საბაბი ჰქონ-  
და, რამდენს გაუვლიდა ამ ფასადს, სიცილით ეთქვა: „Ну и  
насадил, нагородил-же ты здесь“. ფილოსოფოსი იყო ეს კაცი,  
თვლიდა, რომ ერთი კარგი გაცინება, ერთ გაფუჭებულ ფასა-  
დად ღირდა. საერთოდ კი დიდი სიხარული იყო, რა მნიშვნე-  
ლობა ჰქონდა იმას, როგორ გამოიყურებოდა შენობის ფასა-  
დი, მთავარია, ჩვენ ჩვენი კინოთეატრი გვქონდა.

ბედად საიდანლაც გაჩნდა ვინმე, გვარად რობერტსი,  
მეუღლესთან ერთად. ყოფილი ცირკის აკრობატები იყვ-  
ნენ ცოლ-ქმარი. რობერტსი მათი ფსევდონიმია. ქმარი რო-  
ბერტსი ქართველი ყოფილა, გვარად ოქროპირიძე, ძველი  
თბილისელი. „დვარცოვზე“ რაღაც მაღაზია გავტეხეოთ  
ოცდაათიან წლებში და საქართველოდან გადავიკარგეო,  
მეუბნება. დღეს რომ მისი ცოლია, იმ ქალს მიჰყედლებია.   
ცირკის აკრობატს მისი ფსევდონიმი მიუღია და აგერ ოცდა-  
სუთი წელია დახეტიალობს შუაზიაში. ასაკი რომ დაუმძიმ-  
და, კინომექანიკოსობა უსწავლია. გაიგო თუ არა, რომ ქარ-  
თველებია „სოვხოზში“, აქეთ გამოეშურა. დირექტორი და  
მისი ცოლი მათი ძველი ნაცნობები ყოფილან. მეუბნება – თუ  
მიგუებთ, დარჩენილ დღეებს თქვენთან გავატარებ, ჩემს თა-

ნამემამულეებთანო. ქართული კარგად იცის, ოღონდ რუსული აქცენტით ლაპარაკობს. თავს არ ზოგავს კინოთეატრის მოწყობაში. დირექტორმა ორი ავტომატური კინოპროექტორი შეიძინა და ორივე იმის მონტაჟზე ვმუშაობდით. მოუთმენლად ველით ყველა სამუშაოს დაბოლოებას, იდუმალ ვფიქრობთ ყველა, რომ სამშობლოს როგორმე ეკრანზე მაინც ვნახავთ. მართლაც, შემდეგ, როცა ლია კინოთეატრის მშენებლობა დამთავრდა და კინოდანადგარიც მზად იყო, რობერტსი წავიდა ჩიმკენტში და იქიდან „ქეთო და კოტე“ ჩამოიტანა. მახსოვეს, „სააპარატოს“ საშუქიდან ვიჭყიტებოდი, როცა ზაქარიაძე დუდუკების აყოლებით ამბობს: „თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ“... დარბაზში ზლუქუნი და ოხვრის ტალღა დაიძრა.

დრო მიდის, ადამიანი ეგუება ყველაფერს, თუ მიზანი აქვს რაიმე. ჩვენი მიზანი კი თავის შენარჩუნებაა, არ დაგლახავება, ამასთან სადღაც, გულის კუნჭულში ცოცხლობს იმედი, ყველას ფიქრი იდუმალი, არ დავრჩებით აქ, დავბრუნდებით საქართველოში. სასონარკვეთილთ ამხნევებენ იმედიანები. უმრავლესობას გვაქვს ბაღჩა, სასუქით განყიერებული მიწით. ღამით რიგრიგობით მოსარწყავ წყალსაც გვაძლევენ, გამშრალი მიწა ერთბაშად ისრუტავს წყალს, ბევრს, ზოგჯერ მომრნეველს, ფეხქვეშ გამოეშლება მიწა და მუხლამდე ჩაეფლობა ჩავარდნილ კვალში. ჩვენ შევიძინეთ თხა, სახელად გალია, შემოგვატყუეს, ბებერი აღმოჩნდა, არც იწველებოდა. ბოლოს გაგვიღიმა ბედმა, დამძიმდა ოჯახის სასიხარულოდ ჩვენი გალია, აღმა-დაღმა მოსეირნე, გვაჩუქა ლამაზი ციკანი, რომელიც ცოტას იწველება კიდეც, მეორე წელინადს ღორიც გავზარდეთ, დღესასწაულების აღნიშვნას არ ვივიწყებდით, ღვინოს ქიშმიშიდან ვაკეთებდით ცოტაოდენს.

მაგრამ ზოგ-ზოგის ბაღჩა-ყანა რას გიშველიდა, როცა ძირითადი მუშახელი, ღლის განმავლობაში ბამბის კრეფაზე ან მშენებლობაზე იყო დაკავებული. ამიტომ, ჩვენ მაინც „მომხმარებელი“ ვიყავით და რადგან გაჩნდა ჩვენი სახით მყიდველი, გაჩნდა გამყიდველიც, ჩვენი დასახლების განა-

პირა უბანში თავისთავად დაიბადა პატარა ბაზარი, სადაც კვირაობით იყიდებოდა კვერცხი, ქათამი, ხმელი ხილი, კუ-მისი, შემოდგომის საზამთრო, ნესვი. მყიდველები, ძირითა-დად, ქართველები იყვნენ, ამიტომ გადმოსახლებულთა კარ-გა მოზრდილი თავშეყრა იყო ხოლმე ბაზრობის დღეს, რაც სრულიად არ აწყობდა „სპეცკომენდატურას“ და რადგან ხელმოწერილ განაწესში ბაზარში ყოფნის აკრძალვა არ იყო, მომიზეზებდნენ, რომ კვირაობითაც ხშირად ბამბის კრეფა, ან სხვა სამუშაო იყო შესასრულებელი და ძალით ერეკებოდ-ნენ აქედან ხალხს, ზოგჯერ „ბრანდსბონიტს“ მიუშვერდნენ ურჩებს. ერთხელ ასეთი „ოპერაცია“ უშუალოდ ჩვენი სპეც-კომენდანტის, პავლოვის ხელმძღვანელობით ტარდებოდა. გარბოდა ბაზრიდან განუწული ხალხი, პავლოვი შეეფეთა ორი ნაყიდი ქათმით ბაზრიდან მომავალ ჩიტო კალანდაქეს, დააცხრა თავს ქორივით და დაუღრიალა: „Вас что, работать привезли сюда или торговаться, спекулянты“...

აღარ აცალა შეურაცხყოფილმა ქართველმა ქალმა ლან-ძლვის დაბოლოება, ესროლა აფრთხიალებული ქათმები პა-ვლოვს ფეხებში და მიაძახა: „Нате, ешьте сами!“ დაიბნა პა-ვლოვი, არ ელოდა მშვიდი, თავდაჭერილი ექიმი ქალისგან ასეთ ამბოხს, სახტად დარჩენილი უცქერდა სახლისაკენ აუჩქარებლად მიმავალ ქალს, რომელიც მალავდა თვალებზე მომდგარ ცრემლს და ამაყად მიაბიჯებდა.

...თუ იგრძნო ალბათ პავლოვმა, რაოდენ დიდი სხვაობა იყო მათ სულიერ ძალებს შორის. აშვებული ქათმები კი გარ-ბოდნენ კრიახით გზააბნეულები.

საბედნიეროდ, ამ ინციდენტს შესაძლო სავალალო შე-დეგი არ მოჰყოლია. საერთოდ, თავისუფალი იყო ჩვენდა-მი სპეცკომენდანტურის დამოკიდებულება. იგი არ ჰგავდა ჩვეულებრივ მისჯილთა „ზონაში“ მიღებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას, სადაც იქ მყოფთ უჩიჩინებდნენ იმას, რომ ეს მათი დროებითი სამყოფელია, რომ აქ მათი გარჯა და ყოფაქცევა განაპირობებს სასჯელის ვადის შემცირებას, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ, ისინი თავის სახლებს დაუბ-რუნდებიან, რომ აქ მიღებული დახასიათება მათ გამოადგე-

ბათ სასჯელის მოხდის შემდეგ. ჩვენი იქ ყოფნის დარაჯნი კი, რაღაც ფარულ ინსტრუქციას ასრულებდნენ თითქოს, – ერთი მხრივ რეუიმის სიმკაცრეს იცავდნენ, მეორე მხრივ კი ისე ეჭირათ თავი, ვითომ ჩვენ ძალით წამოყვანილები კი არა, ჩვენი ნებით ჩამოსულები ვიყავით, ამით თითქოს გვაჩვევ-დნენ იქაურობას, როგორც სამუდამო ცხოვრების ადგილს.

და მართლაც, ემსგავსება სამუდამო საცხოვრებელ ადგილს ჩვენი „კოლონია“. ახალი ოჯახიც გაჩნდა, ფრონსინა, პარიზში დაბადებული გოგონა ქართველი ემიგრანტის და ინგლისელი ქალის შვილი, მამასთან ერთად რომ მოაშურა მისთვის ზღაპრად ქცეულ საქართველოს და მამასთან ერთად შუა აზიაში ამოჰყო თავი, ცოლად გაპყვა ზუგდიდელ ბიჭს, ემიგრანტის შვილს. ჩიტომ და მე მოვნათლეთ ძნელაძეების ვაჟი. ნათლობის რიტუალი ბერძენმა მღვდელმა შეასრულა თავის პანია სამლოცველოში. რუდუნებით ვიმეორებდით ლოცვის სიტყვებს და აღსრულება ნათლობის წესისა ყიზილყუმში, თითქოს გვაახლოებდა შორეულ სამშობლოს. ერთმანეთთან დავდიოდით, ხშირად ვიკრიბებოდით, ხან ჩემთან, ხან გურამთან, ხან გიორგისთნ. ჩვენთან განუყრელადაა ვალოდია რასინსკი, ჩიტო კალანდაძე, ვარაზაშვილები. ლაპარაკის თემა ისევ საქართველოა, ერთმანეთს ვაიმედებთ, ყველაზე იმედიანი მაინც ბაბოშკა დადიანია: „წავალთ, უსათუოდ წავალთ“, ამბობს და პირველს იწერს, ღმერთის რწმენა თუ ჰმატებს მას სულიერ ძალას, მაგრამ ეს ყოველთვის საღამოთი ხდება.

დღილიდან კი მუშაობა, მუშაობაა სანინდარი ჩვენი გადარჩენისა. აუცილებელია, საჭირონი ვიყოთ აქაურთათვის, საბოტაჟით და განდგომით არაფერი გამოვა, პირიქით, დავკნინდებით და გავნადგურდებით. ჩემი ბერძენი მუშები ეშერიდან არიან, „სოხუმპესი“ უშენებიათ და როცა გაიგეს, საქართველოში მათი მშენებლობის უფროსს, გიორგი ჩოგოვაძეს კარგად ვიცნობდი, გახარებული სახეებით პირუთვნელად მიქებდნენ ამ კაცს, ჩემზე კი – „Он друг Чоговадзе“, ამბობდნენ. იგონებდნენ საქართველოს, სადაც განცდილი ყველაფერი ავი უკვე დავიწყებოდათ და მხოლოდ სიკეთის

მოგონება დარჩენოდათ. შესანიშნავი ოსტატები იყვნენ ბერძნები და, წარმოიდგინეთ, ჩემი სამშენებლო ტექნოლოგის სუსტ ცოდნასაც შესანიშნავად მივსებდნენ.

დამთავრდა კლუბი, უნივერმალი, ყველა წამოწყებული ტიპური სახლი, ყველას გასაკვირად, ერთი ორსართულიანი, რომელიც, როგორც ამბობენ, ერთადერთი და პირველია ჩვენს რაიონში. აქ სახლის შენების თავისებური წესი არ სებობს. იმისთვის, რომ საძირკველს შეექმნას მყარი ბაზა, გათხრილ „კატლოვანს“ დღების და ზოგჯერ კვირების განმავლობაში ჟღენთენ წყლით. ხდება ისე, რომ მიწა ჩაიწევს და მიშვებული წყალი სადღაც ჩაქვესკნელდება, მაშინ მოიტანენ მიწას და დაიწყება გაჩენილი ნაპრალის ამოვსება და ასე მანამ, სანამ საძირკველისთვის ამოლებული ქვაბული არ დაიჭირს შიგ მიშვებულ წყალს. ამის შემდეგ შეიძლება ქვაბულში ბეჭონის ჩასხმა. მეტნაკლებად საიმედო ხდება ასეთი საძირკველი ორსართულიანი სახლისთვისაც კი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი იქ ყოფინისას, ის სახლი არ ჩაქცეულა მიწაში. „Богом забытая земля“ – ტყუილად კი არ ამბობდა გოლოვკინი.

თავგამოდებულმა გარჯამ მაინც თავისი გააკეთა, მეურნეობის საერთო თავშეყრაზე გურამს გარდამავალი წითელი დროშა გადასცეს, როგორც სოც-შეჯიბრში გამარჯვებულს და თან ფრიად აქეს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ეს კიდევ ერთი ქვადებული იყო ჩვენი პოზიციების გასამაგრებლად. ჩამოვიდა ვინმე ფრანციშინი, მინისტრის მოადგილე, რომელსაც ყაზახეთში საბჭოთა მეურნეობები ებარა. მას „ვინსოვხოზში“ შემახვედრეს, რამე წინადადება ხომ არ გექნებაო, მკითხა როგორც ელექტრიკოსს, ელექტრომომარაგების გაუმჯობესების ირგვლივო. მე ვუპასუხე, რომ გარდა იმ ლოკომობილიანი სადგურის ამუშავებისა, რომელიც წელს უნდა დავამთავროთ, კარგი იქნებოდა ბატარების აგება მომავალი წლისთვის. აქ ჰქონდანადგარების მუშაობის შესანიშნავი პირობებია. აგრეთვე, შესაძლებელია მეურნეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკუთარი მიკრო ჰიდროელსადგურის აშენება. მაგალითად,

იმ ოთხმეტრიანი წყლის ვარდნის გამოყენებით, რომელიც ჩვენს ორ მეურნეობას შორის არხს გააჩნია. ასეთი სადგური მშვენიერი მარქაფი იქნებოდა დღოვმობილის სადგურისა. საბედნიეროდ ამ იდეების განხორციელება მე წილად არ მხვდა, ფრანციშინს კი უთქვამს ადგილობრივებისთვის, როცა გაეცნო ქართველების იქაურ ყოფას: „Воспользуйтесь присутствием грузин в этих краях, они вероятно уедут, но оставят вам хорошее культурное наследие“.

ჩემი, წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაო კი აქ ბოლოს უახლოვდებოდა, საცხოვრებელი სახლები გადახურული იყო. ელექტროსადგურის მშენებლობა დავამთავრეთ, ლოკომობილი და გენერატორი დამონტაჟდა, ხაზები გაკეთდა და ელსადგურის გამართვა – გაწყობის ხლაფორთიანი დღეები დაიწყო. ისევე როგორც მშენებლობაზე ბერძნების ბრიგადა, ლიალიკიდის მეთაურობით, აქაც დანადგარების დაყენება-გამართვაზე გამოიკვეთა ვინმე ალიაბინების ოჯახის ბრიგადა, რომელთაც სავსებით ვენდობოდი, რადგან პატიოსანი მშრომელი ხალხი იყო, მამა-შვილი და შვილი შვილი ალიაბინი. მართალი გითხრათ, თავისუფლად გადმოსახლებულთაგან ასეთ პატიოსან და მშრომელ ხალხს იშვიათად ნახავდით. პირიქით, შიშის მომგვრელი იყო უმრავლესობის პიროვნება. მაგალითად, ერთ „მექანიკოსს“, რომელსაც სადგურის გამართვაზე ვამუშავებდი, ქალი დაუხრჩვია და შემდეგ თვალები დაუთხრია, რომ მისი სახე არ აღებეჭდა. ასე პქონია ამ უვიცს გაგებული. მეორეს თანამესუფრეზე გული მოსვლია, ბოთლი დაუკრავს მიწაზე და გადანატეხი ისე მარჯვედ უტაკებია სახეში, რომ იმ კაცის ცხვირ-პირი, როგორც პასკის ფორმაში, ისე ჩამჯდარა ნახევარბოთლში. სწორედ ეს კაცი მომევლინა გულშემზარავ ვაიოსტატად, დირექტორის მიერ უფროს მექანიკოსად გამოგზავნილი. „ნიკოლაი ვასილევიჩი“ ერქვა სახელად. ყოველგვარ მორალურ პრინციპებს მოკლებული, საქმის არმცოდნე შეუდგა ალიაბინების შევიწროებას. ამის უფლება რომ არ მივეცი, თურმე ჩემზე გაბოროტდა. ბოლოს და ბოლოს ელსადგური კი გავუშვით, მაგრამ საქართველოს ლოკომობილი დეფექტიანი

აღმოჩნდა, ცეცხლფარეშის დიდ ყურადღებას მოითხოვდა მუშაობის დროს. ერთხელ, გვიან ღამით, სახლში საკონტროლო ნათურა ჩამიქრა. ზამთრის ცივი ღამე იყო. სწრაფად ჩავიცვი და სადგურისკენ გავეშურე. ვხედავ, ჩამქრალ სა-ცეცხლესთან ნიკოლაი ვასილევიჩია მთვრალი, გაშოტილი. მისი თანაშემწერ ნერგაძის ბიჭი მეუბნება: „რა ვქნა, არც მე მიმიშვა საცეცხლესთან და აი, რა მოგვივიდა“. გამოვაღვიძე ნჯლრევითა და ვაი-ვაგლახით. წამოვადა და მეუბნება: „შენ რა, უფროსო, მოგწყინდა შენ ცოლთან წოლა, რომ ამ ღამით აქ მოჩინდრიკვდი“. დავავლე ხელი, წამოვაგდე, ერთი-ორი ვუთავაზე. შემდეგ მივეცი ხელში „სავალცავი“ ხელსაწყო და ძალით შევაგდე გაციებულ საცეცხლეში მილების „სავალცავად“. ჩემს ბედზე ნიკოლაი ვასილევიჩი ფიზიკურად სუსტი, ჩია კაცი იყო. არაო, მეძახის, აქაც მშვენივრად დავიძინებ, აქ კიდევ თბილაო. ბოლოს შევპირდი, შემოვასხამ „სოლი-არკას“, დაგწვავ და კაცი ვერ გაიგებს შენს გზა-კვალს-მეთქი. მუქარამ თუ იმან იმოქმედა, რომ გამოფხიზლდა, იგი შეუდგა წყალგამდინარი მილების „გავალცვას“ და გლინვა დილისკენ მოათავა. გამოვიდა უხმოდ, მოვიდა დღის ცვლა, მანქანა გავუშვით. ნიკოლაი ვასილევიჩი ასევე უხმოდ წა-ვიდა შინ, ოლონდ როგორც გამოირკვა, დიდი ბოლმა ჩაიდო გულში და შურისძიება გადაწყვიტა.

არ ვიცი, რომელი სულიერი ძაფები აკავშირებს ასე მყარად დანაშაულებრივ სამყაროს, მაგრამ იქ ნებისმიერ პირობებში, რაღაც მანქანებით წესრიგდება პირებს შორის სუბორდინაცია. პატიმრობაში თუ გარეთ, რაღაც დაუწერელი კანონებით ხდება ამა თუ იმ საკითხის განსჯა. ალბათ ასეთი მოთათბირების შემდეგ მიაღწია ნიკოლაი ვასილევიჩმა ჩემი დასჯის გადაწყვეტილებას. უმცროსმა ნერგაძემ, როგორც კი გაიგო ეს ამბავი, ფაცა-ფუცით მომვარდა და მითხრა, რაღაც ცუდს გიპირებენ, ვასია პოჩანინს დაევალა თქვენს მიმართო რაღაც. კრინტი არ დასძრა არავისთან, გავაფრთხილე. დამხმარე და თანმდგომი ბევრი მყავდა, მაგრამ საკითხის მოგვარება სხვა გზით ვარჩიე. კვირა დილით მორიგ პროფილაქტიკურ რემონტს ვატარებდით ელექტროსად-

გურში, რომ შესვენების დროს სასაუზმოდ მოვუხმე ბიჭებს. აბა, ვის რა გაქვთ მეთქი, ვუთხარი, ამოვიღე ჩანთიდან ორი ბოთლი უზბეკური არაყი, ყველი, პური, ზოგმა ლორის ნაჭერი, ზოგმა გამხმარი თევზი, ნიორი და ხახვი ამოალაგა და შევუდექით „პურმარილს“. ვასია პოჩანინი პირისპირ მეჯდა, მხრებგანიერი, კარგი შესახედაობის ახალგაზრდა კაცია, შავი „სპეცოვკის“ ქვეშ მეზღვაურის ზოლებიანი „ტელნიაჟუა“ აცვია, ძლიერი ხელებით გადაეპოტინება ხოლმე ლუკმას, ვითომც აქ არაფერიო, ისე მიცქერის, ეჭვიც კი შემეპარა ნერგაძის ნაამბობში. როდესაც შევნიშნე, არყის ცდუნება კვლავ დიდი იყო, ამოვიღე მესამე შემონახული ბოთლი, დავასხი, ყველას ჩამოვურიგე, მეც გადავკარი. საერთოდ, ჩემი არყის დალევის კარგმა უნარმა, ჩემი ავტორიტეტის განმტკიცებაში აქ ნაკლები როლი როდი ითამაშა, ვიდრე პროფესიულმა ოსტატობამ. საუზმეს მოვრჩით, ყველას სამანქანოდან გასვლა ვთხოვე. დავტოვე მხოლოდ გაკვირვებული პაჩანინი, კარები გადავრაზე და ვეუბნები: „Ну что Вася, бери-же в руки кочергу и будем драться, но помни, мы не волки, а люди, и что у меня здесь жена, дети и старая мать“. კიდევ მინდოდა ამეხსნა, რას ნიშნავს უდაბნოში კაცი კაცისთვის, მაგრამ დუმილი ვარჩიე და, მართალი უნდა ვთქვა, შიშნარევი ველოდი, რას იზამდა ვასია, რომელსაც, ცხადია, მე ვერ გავუმკლავდებოდი, მაგრამ, რა მექნა, სხვა გზა არ მქონდა, ქართველების ამ ხალხთან შფოთი და დაპირისპირება არ შეიძლებოდა. ვასიამ გაკვირვებით შემომხედა. არ ვიცი, რა გაუკვირდა, როგორ გავიგე ყველაფერი, თუ რისი იმედი მქონდა ამ ორთაბრძოლაში, წამითაც არ ჩაფიქრებულა: „Ну что ты, начальник“, მითხრა და გამიღიმა. „Тогда забудем все, Вася“, ვუთხარი მე და კარის ურდული ავწიე, შემდეგ ფანჯარასთან მივედი. ფანჯრის ქვეშ ნერგაძე ჩაცუცქულიყო, ელოდა თურმე, თუ ხმაური ატყდებოდა, შემოვარდებოდა დასახმარებლად, შორს კი, პატარა სახლებს მიღმა, უდაბნო იყო, ადამიანის ხელით გაცოცხლებული, ზემოთ კი ზეცა ზამთრისა, ლეგა, ვიდრე თვალსაწიერი სწვდებოდა, არ ვიცი რატომ, ეს ქვეყანაც ლამაზი და კარგი მეჩვენა იმწუთას.

ორი დღის შემდეგ ნიკოლაი ვასილევიჩი სამუშაოზე აღარ გამოცხადდა, არც მეურნეობაში იყო სადმე. გავიგეთ, რომ „სამართალდამრღვევთა“ უცნაური კანონების დამცველთ, იგი მეურნეობიდან გაუძევებიათ. საოცარია! ზოგ-ჯერ „სამართალდამრღვევთა“ დაუწერელი კანონი უფრო სამართლიანია, ვიდრე „სამართალდამცველთა“ კანონების კოდექსი.

პოჩანინი კი ისე მხვდებოდა, თითქოს არაფერი მომხდარა, გაღიმებული მესალმებოდა სამუშაოზე მოსული, განიერ ბეჭებს შლიდა და მეუბნებოდა: „Здравствуйте начальник“. ლამის თავშეყრაზეც ვიყავი ერთხელ მასთან ერთად. ეს ლამის თავშეყრა ქეიის მიმსგავსებული სერობაა, დაბალჭერიან ოთახში თამბაქოს ბოლი დგას და ირგვლივ თევზის და არყის სუნია. ხუთი-ექვსი მამაკაცი და ამდენივე ქალი არაყს შეექცევა. მეტწილად დაბალ ხმაზე მღერიან რომელიმე რუსულ სიმღერას, უფრო ხშირად „Рюаბინიას“, ხან შემოსახები: „Бродяга Байкал пересекая, навстречу родимая матъ...“

ძველი გიტარა ჟღერს და ჩაბურებული თვალებით ჭვრეტენ მხრჩოლავ ნავთის ლამფას. ხან ჩამოუვლის რომელიმე ცეკვით და აგიყოლიებს. სწორედ ამ ცეკვამ დაღუპა პოჩანინი. ერთ ასეთ საღამოს, ჩამოუარა თურმე და ბეჭით ჩამოაგდო კედელზე დაკიდებული ლამფა, ოღონდ ნავთი არ ყოფილა იმ ლამპარში, ბენზინი ყოფილა მარილჩაყრილი, მარილიანი ბენზინი არ აფეთქდება, ასე სცოდნიათ. იფეთქა ბენზინმა, მოედო ცეცხლი „ტელეგრეიკას“ და სასიკვდილოდ დაწვა ვასია. საავადმყოფოში ნახეს გურამმა და გიორგიმ, თვალებით ანიშნებდა რაღაცას. დაიღუპა ვასია. პოჩანინს მეგობარი ქალი ჰყავდა, ვალკა, ისიც ბნელი წარსულისა და საეჭვო პროფესიის. სასადილოში მუშაობდა მაშინ და ვასიას გულის მურაზი გახლდათ. დიდი ხნის შემდეგ უთქვამს, დღემდე ვუგზავნიო ვასიას მაგივრად მის მოხუც დედას ფულს, დე, იფიქროს უბედურმა, რომ ვასია კიდევ ცოცხალიაო.

ესეც კიდევ „ამორალურთა“ ერთი მორალი.

საქართველოდან ვღებულობდი წერილებს, ამანათებს. ყოველი გზავნილი ზეიმი იყო ყველასთვის, გუნდად მივყ

ვებოდით ხოლმე ერთმანეთს ფოსტაში გზავნილის მისაღებად. ჩამოვიდა გურამთან სანახავად მისი, შემდეგ კი ჩემი მეგობარიც, გივი ხუციშვილი, ვარაზიშვილებთან – მარგოს და, ჩამოვიდა ნორას დედა, წარმოსადგენია ჩვენი შეხვედრა ქალთან, რომელმაც ყველაფერი დაკარგა – ადრე ქმარი, სამი ვაჟი და ახლა კი ერთადერთ ქალიშვილს ეწვია, გადასახლებაში მყოფს. ერთ დღეს ლოკომობილის საცეცხლეში ვიყავი შემძვრალი, ახლად „გავალცულ“ კვამლსაწვავ მილებს ვამოწმებდი. მესმის, მეძახიან, სასწრაფოდ ფოსტაში გიხმობენ, ვიღაც გაითხულობს ტელეფონით ტაშკენტიდან, მგონი ქართველები უნდა იყვნენო. ეს ისეთი მოულოდნელი და უცნაური რამ იყო, საცეცხლიდან გამოვარდი და როგორც ვიყავი გამურული, ისე გავიქეცი ფოსტაში, თან გამომყვნენ ჩემთან მომუშავე ქართველები. რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, როდესაც ჩემი თბილისელი კოლეგების ხმა გავიგონე. ტაშკენტში ყოფილან კონფერენციაზე და ბიკოვს მოუხერხებია ჩემთან ლაპარაკი. ალექსი ხეთაგური, ილია მამალაძე, დათიკო ტორჩინოვი ტელეფონის გრძელი, წვრილი ხაზის ბოლოს იყვნენ, მეძახდნენ, მამხნევებდნენ და მეშინოდა, უეცრად არ გაწყვეტილიყო ჩემ წარსულთან დამაკავშირებელი ეს წვრილი ძაფი. მითხრეს, თამარა ჩამოვაა შენთან, და მართლაც, მეორე დღეს ჩემი და ნორას კოლეგა, თამარა მელაძე ჩამოვიდა ჩვენთან. ერთი დღე-ღამე დარჩა, ერთი დღე-ღამე მოგონებებში გავატარეთ. აღარ ვნანობდი, რომ ტაშკენტში ბიკოვი ვნახე აქეთობისას და ჩემი გზაკვალი მივანიშნე.

საოცარია, მაგრამ რაც უფრო მეტია წერილი, გზავნილი, მოკითხვა საქართველოდან, მით უფრო გიმძაფრდება სამშობლოს დატოვებით გამოწვეული ტკივილი, კი არ გამშვიდებს ნუგეში, პირიქით, გილვიძებს რაღაც მოუთმენლობის განცდას. რაც უფრო მეტი დრო გადის, უკეთ ეწყობი, გაკლდება თავსატეხი ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემები, მაგრამ მეტი დრო გრჩება ფიქრისთვის და გილვივდება სევდა სამშობლოზე, უფერულდება ყოველივე, რაც გაქვს და ტვინს გილრნის კითხვა: „რატომ? რატომ? რა დავაშავეთ“!

ამიტომაა ჩვენი სიცილი ცრემლნარევი. უკვე ისიც გიჭირს, მორჩილად იტანდე შენს ყოფას. არადა, იფეთქებს ხოლმე დაუკეტელი პროტესტის გრძნობა. კითხვაზე – „რატომ?“, ძალაუნებურად ერთადერთ პასუხს იძლევი. იმიტომ რომ, უსამართლობაა გამეფებული ამ ქვეყანაში. ძალაუნებურად ფიქრობ, როგორ დააღწიო თავი, როგორ გადაარჩინო შვილები ამ უფლებააყრილი კაცის ცხოვრებას. უკეთებ ანალიზს შენს წარსულს და ხედავ, რომ იმაში, რაც დღეს ხდება, შენც მიგიძლვის დანაშაული. ვიდრე საკუთარ თავზე არ განიცდი ილუზიების მსხვრევას, ცდილობ არ დაიწყო ეფემერობა „ბედნიერი ცხოვრებისა“ ამ აღთქმულ ქვეყანაში და თვალდახუჭული ტაშს უკრავ ყოველივეს, რასაც საქებ-სადიდებლად მოგინიშნავს. დიდი მომავლის რწმენა თითქოს ჰიპნოზის ქვეშ გამყოფებს, თუმცა დიდი ხანია უკვე აღარაფრისა გჯერა, თანდათანობით გემატება დაუმორჩილებლობის გრძნობა.

ყველა, როგორც ჩანს, ამ სულიერ ევოლუციას განიცდის მეტნაკლებად, თუმც ამაზე არ ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს ყოველივე იგრძნობა.

აკრძალულ აქციებსაც უკვე ნაკლებად ვერიდებით. „ზონიდან“ გავაპარეთ ქეთინო. ამისთვის კიროვიდან ჩამოვიდა ჯანიკო, რომელსაც ლამით იგი პირსახეა ხეული გავაყოლეთ. იქ, კიროვში, ექიმმა არჩილ პატარიძემ ქეთინოს მისცა თავისი ცოლის, შემთხვევით შემორჩენილი პასპორტი და გაისტუმრა ტაშკენტში, სადაც საქართველოდან ჩამოსული საქმრო ელოდა ჩვენს გაქცეულ ქალს. მეორე დღეს „სპეცკომენდატურაში“ ალიაქოთი ატყდა. მე და გურამს ალმაცერად გვიყურებდნენ, მაგრამ ხელმოსაჭიდი არაფერი ჰქონდათ.

დღეები დღეებს მისდევდა. ზამთრის დღეები საოცრად ჰერავდნენ ერთმანეთს. სათბობის გაჭირვებაა, ცოტ-ცოტა ანტრაციტისა და ნავთის შოვნას ვახერხებთ „საბჭოთა მეურნეობის“ მარაგიდან, ვცდილობთ როგორმე თანაბრად გავანაწილოთ. ძირითადი საწვავი „გუზოპაი“, ბამბის ბუჩქის გამხმარი ძირები და ლეროს გადანაჭრებია. უორა რო-

ბერტსი, რომელიც ჩვენთან კინომექანიკოსად დამკვიდრდა, ფილმს თუ გაუშვებს, შეცუთულები, „უშანკებით“ და „ვალენკებით“ დამთბარი ვუყურებთ. მე, ძირითადად, ელექტროსადგურში ვარ. მარტიდან იწყება ხვნა-თესვის კამპანია და სარემონტო სახელოსნოები უკვე ამზადებენ, არემონტებენ ტექნიკას. ჩემთვის ამ დროს მძიმე დღეებია. ელექტროსადგურის ლოკომობილი, საქარხნო დეფექტის გამო, მუდმივ პროფილაქტიკასა და რემონტს მოითხოვს. გაწყალდა გული, მეც დავიღალე და სადგურის ხალხიც დავლალე. არა და, არ შეიძლება ელექტროენერგიის შეწყვეტა. ერთხელ, საღამო ხანს, სადგურის გამორთვა მქონდა, ცხადია იძულებით, სასწრაფოდ ვმუშაობდით შესაკეთებლად. ამ დროს „სოვხოზის“ პარტკომი მეძახის ტელეფონთან და გამწყრალი მეუბნება: „Вы что, специально устраиваете нам отключение света, у нас сейчас политзанятия, а вы срываете нам его“. ვეღარ მოვითმინე და ვუპასუხე: „Ленин свое учение, большей частью, в силке и при свете лампы писал, так что, извольте зажечь лампу“. ეს პასუხი იმ დროს თუ გავითვალისწინებთ, მკრეხელობა იყო, მაგრამ ჩემს ბედზე იმ კაცმა ვერ გაიგო, პირიქით, ალბათ იფიქრა, რომ ლენინის მაგალითისკენ მოვუწოდებდი, ამაზე წყენა კი როგორ შეიძლებოდა.

საერთოდ, უფრო გამარტივდა ჩემი, ასევე გურამის დამოკიდებულება ადგილობრივებთან. მართალია მცირე, მაგრამ მაინც, ასე თუ ისე, რაღაც მატერიალური ფასეულობის განმგებლები ვიყავით და ძალაუნებურად, ზამთრობით ქვეყანას მოწყვეტილ ადგილას, ასეთი კაცი ანგარიშგასასაწევი ხდება. ხშირად ცდილობდნენ, ჩვენთან უფრო ახლო დამოკიდებულება დაემყარებინათ. რამდენჯერმე ვიყავით დაპატიჟებული რუსულ პურ-მარილზე, ყაზახებთან მიჭამია ერთი ჯამიდან ფეხმორთხმულს „ბეშბარმაქი“, დირექტორმაც წამიყვანა ერთი-ორჯერ კორეელების დასახლებაში. განყოფილების უფროსი სიედულა და მისი ცოლი, ოლიმპია ჩემი ხშირი სტუმრები იყვნენ, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა ამას არ გასცილებია. გამონაკლისი მხოლოდ ბორის ივანეს ძე გოლოვკინი იყო, კაცი, რომლის

ფენომენიც ჩემთვის დღესაც გაურკვეველია – ვინ იყო, სად იყო ეს განათლებული კაცი, ნამდვილი რუსი ინტელიგენტი ამ მივარდნილ „სოკოზში“, „На Богом забытой земле“, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, თავისი ცოლით და ქალ-ვაჟით. დიდი პატივისცემითა და თბილი გრძნობით ვიყავით ამ კაცის მიმართ განმსჭვალული. ისიც არ მაღავდა თავის სიმპათიებს. ხშირად გვიხმობდა ხოლმე თავისთან მე, ჩემს მეუღლეს, გურამს, სოხუმელ ნინა გოგიჯანოვას, თავს გვევლებოდა გოლოვკინის მეუღლე, ახალგაზრდა, კარგი შესახედაობის, ტიპური რუსის ქალი, ვახშამს გვთავაზობდა, ცოტ-ცოტას ვსვამდით კიდეც. დღესაც სიამოვნებით ვიგონებ იმ საღამოებს.

ის დღე კვლავ გათენდა, როგორც გუშინდელი: ისე-ვე როგორც გუშინ, უდაბნომ გაიზმორა, ვეება ქვიშიანი მკერდი გაშალა და შეაგება მზის პირველ სხივებს, მოენატრა მზის მცხუნვარება ნაზამთრალ მიწას. თანდათან მზის უზარმაზარი დისკო ამოწვერა. პირველი სხივი ალმაცერად დაებჯინა ჩვენს დასახლებას, მიუალერსა „არიკის“ გასწვრივ კაცის ნაცოდვილარ ნაკვლავ ნარგავებს, შემდეგ ასცდა მას, გადაირბინა ვეება ტრამალი, შეიჭრა დუგაის ტყეში, გაჭოლა იგი და ჩაიძირა სირდარის ტალღებში.

ნაადრევი გაზაფხული იყო, მარტის თვე, სახლიდან ადრე გამოვედი, მეურნეობის მმართველობასთან შეგროვილი ხალხი დავინახე – რუსობა და ყაზახები, არისლანოვმა გაიარა ჩქარი ნაბიჯით და შენობაში შევიდა, არავინ არა-ფერს ამბობს, ყველას დაბნეულობა ეტყობა, ყველა რაღაცას ელოდება. „В чём дело, что случилось“, ვეკითხები ვიღაცას. „Ничего, потом узайтё“, მიპასუხა. ამ დროს გამოიტანეს სტალინის ვეებერთელა სურათი, სახელდახელოდ გაუკეთეს შავი არშია, დაკიდეს შესასვლელზე, შიშნარევი უყურებენ თავის ნამოქმედარს. მოლჩანოვმა ჩართო ტრანსლაცია, რადიო აცხადებს სტალინის სიკვდილს.

ხალხმა შეკრება იწყო. სურათზე სტალინის მომღიმარი თვალები უყურებს ჩვენი თვალების მიღმა, ცის დასალიერაზე გადაჭიმულ უდაბნოს. ქვემოთ ჩვენ ვდგავართ, მისი ნებით

აქ მოყვანილი ადამიანები, უუფლებონი, სამშობლოს მოწყვეტილები. საბჭოთა მეურნეობის სამმართველოს კარიბჭეზე, სწორედ იქ, სადაც სტალინის სურათი ჰკიდია, ლოზუნგია მთელ სიგრძზე: „Труд дело чести Советского Человека“.

სტალინის სიკვდილის ამბავი მეხივით კი არ გავარდა, პირიქით, ნელნელა შემოტორტმანდა, როგორც შიშის მომგვრელი მაჯლაჯუნა, როგორც ცხოვრების გაურკვეველი, ახლებური აღქმა. მერე შიშნარევი სიხარული მოვიდა, მაგრამ სადღაც, გულის კუნჭულში, წმინდა ადამიანური სინაულის ისეთი გრძნობა დარჩა, იმ კაცს რომ დაეუფლება, რომელიც წაქცეულ გოლიათს იხილავს.

სტალინის ავადმყოფობა უკვე ვიცოდით, მაგრამ იმდენად განუყრელი იყო მისი ავიც და მისი კარგიც ჩვენი ცხოვრებისგან, იმდენად ჩანერგილი გვქონდა აუცილებლობა იმისა, რაც იყო, რომ უსტალინოდ ვერც კი წარმოგვედგინა ამ სახელმწიფოს არსებობა.

ადამიანს უმძიმს ერთბაშად დაგმოს ის, რაც სწამდა, რისიც სჯეროდა. ცდილობს აღიარებულ ფეტიშს მიუჩქმალოს ყოველივე ცუდი, ქვეცნობიერად სურს, მის მიერ ქმნილი ბოროტებაც კი, სხვას მიაწეროს. ამიტომ ბევრი იყო გადასახლებულთა შორის ისეთი, ვისაც სჯეროდა, რომ სტალინმა არაფერი იცოდა ჩვენი უბედურების შესახებ. განსაკუთრებით ომგადახდილთა შორის იყვნენ ასეთები, – გაერკვევა და დაგვაბრუნებსო, ამბობდნენ ისინი. ბევრი თვლიდა, რომ თვით სისტემა, რომელსაც სტალინი ხელმძღვანელობდა, ისეთია, რომ მისი წასვლით არაფერი შეიცვლება, რადგან მოვა მისი შემცვლელი, მისი განმეორება, ყველაფერი უცვლელად დარჩება და ჩვენც, ალბათ, არაფერი გვეშველება. ზოგი ამბობდა, რომ სტალინმა იმისთვის გადმოგვასახლა, რომ ეჩვენებინა, როგორი მიუდგომელია და ქართველებსაც კი არ ინდობსო. ტყვედ ნამყოფი სამსონი იჩემებდა: „ძია რა კაცი იყო, ჯარისკაცებს უკან ტყვიამფრქვევი დაუყენა, პირი აქეთ არ ქნათ, თორემ ყველას დაგხოცავთო“.

– „შვილი გაწირა და შენ დაგინდობდა?“ – კომენტარს უკეთებდა ვასო.

— „შიში შეიქმს სიყვარულსაო, ხომ გაგიგონია. ეს ჩვენი დარბევა იმიტომ დასჭირდა, ალბათ იფიქრა, 37 წლიდან გამოყოლილი შიში ქართველებს გაუნელდა და ერთს კიდევ დავერევიო“. ამბობს ბევრის მნახველი ჭაღარა კაცი.

— „იცი რა გითხრა? გამოეხმაურა მას ვიღაც. ფანჯარას-თან რომ დიდი მუხა გედგას და მზის სინათლეს გიშლიდეს, დღეს გიბნელებდეს შენს ოთახში, მერე კი მოჭრილი ნახო, ის ძირმაგარი დაგენანება: ეს რა ბერმუხა წაქცეულაო, იტყვი“.

— „დედა, შენ არ ამბობდი ნეტავ მალე მოკვდეს სტალინი, ეგებ გვეშველოს რამეო. ახლა რაღა გატირებს? ეუბნება სამსონის პატარ ბიჭი მტირალ დედამისს სტალინის დასაფლავების დღეს“.

სტალინის დასაფლავების დღეს კი მოხდა ის, რისი ახსნაც დღემდე არ ძალმის. ურთულესი ფსიქოლოგიური განწყობა, რომელსაც ადამიანის შეუცნობი სულიერი სამყარო განაპირობებს ხოლმე, ნამდვილად გასაოცარია. რა იყო მიზეზი? — ათეულწლობით სისხლში გამჯდარი შიში, რომ „ვაი თუ ვინმემ რამე იფიქროს“, სიხარული შეგვამჩნიოს და ამიტომ მგლოვიარობა ვაჩვენოთ ყველას! — თუ იმ კაცისადმი მისაზღვავის ჯეროვნად მიზღვა, რომლის სახელიც მთელ მსოფლიოს აზანზარებდა.

ეს კი იყო, სტალინის დასაფლავების დღეს, სახელდახელოდ შეთხზულ სამგლოვიარო რიტუალში, ბევრმა მისგან გაუბედურებულმა ქართველმა სხვებთან ერთად მიიღო მონაწილეობა. რიგში ჩამდგარნი, თითო-თითოდ მიდიოდნენ ლოკომობილის საყვირთან, ჩამოსწევდნენ სახელურს და უდაბნოს ეფინებოდა საყვირის ხმა, აბა რას გაარჩევ, შენდობისა თუ წყევლა-კრულვისა იყო ორთქლის ნაქშენი ეს გამყინვავი ხმა? შესაძლოა ორივესი ერთად.

...გარეგნულად არაფერი შეიცვალა თითქოს, ოღონდ საგრძნობლად მოლბა ჩვენ მიმართ ჩვენი შემზღუდავი ძალა, ყველა ელოდა რაღაც ცვლილებებს ჩვენს ცხოვრებაში და მართლაც, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, აქა-იქ დაირჩა ხმები, რომ ქართველების უკანონო გადასახლების საქმე ირჩევა. საქართველოდანაც ჩვენამდე საიმედო ცნობე-

ბი აღწევდა. ახლობლები ცდილობდნენ ენიშნებინათ, რომ ყველას მალე დაგვაბრუნებდნენ სამშობლოში. პაროლი და კოდიც კი შემოიღეს ზოგიერთმა, რომ განემარტათ, საიდან მოდიოდა საიმედო ცნობების ხმა. მახსოვს ასეთი: „ჩიტმა სთქვა“ ეს ნიშნავდა, რომ ცნობის წყარო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი გუგული შოთაძე იყო და სხვა ბევრი მსგავსი რამ, სიხარულის, იმედის მომცემი სიტყვები და თქმანი ავსებდნენ ჩვენს ყოველდღიურ ყოფას.

ბოლოს იმედები და თქმანი რეალობად იქცა. უკვე ადგილობრივმა „უფროსებმაც“ ირწმუნეს ჩვენი საქმის საბეჭიეროდ შემობრუნება, თავისი საინფორმაციო არხების მეშვეობით, ცხადია. იმასლა გვეუპნებოდნენ შინაურულად, დაწყებული საქმეები არ მიგვეფუჩეჩებია. და ჩვენც ჭეშმარიტად თავგამოდებით ვცდილობდით, ისე დაგვესრულებინა ყველაფერი, რომ ღირსეული კვალი დაეტოვებინა ჩვენს ნამოღვაწარს.

პირველი ოფიციალური ცნობა ჩვენი განთავისუფლების შესახებ თბილისიდან ჩამოსულმა პოლკოვნიკმა, ვალოდია სარუხანაშვილმა და გუგული შოთაძემ ჩამოგვიტანეს. მათ ჰქონდათ დავალებული ჩვენი სამშობლოში დაბრუნების ორგანიზება და ტაშკენტში დაედოთ ბინა. იქიდან შეგვატყობინეს, მალე გნახავთო. მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, ეს ორი თბილისელი ჩეკისტი გვეწვია საბჭოთა მეურნეობაში და გვითხრა, რომ ჩვენი საქმეები უკვე გადასინჯულია, ყველას დაგვაბრუნებენ საქართველოში, ოღონდ ხალხის სიმრავლე, სახლში გარკვეული რიგის დაცვით დაბრუნებას მოითხოვს. ჯერ რკინიგზასთან უფრო ახლო მდებარე დასახლებიდან წავიდოდნენ, მერე კი, თანდათან, ქვეყნის სიღრმეში მყოფთა ჯერი დადგებოდა. პირველი ეშელონი ორი დღის შემდეგ მიდიოდა საქართველოსკენ. სარუხანაშვილმა წინადაღება მოგვცა მე და გურამს, თუ გვსურდა, წავყოლოდით მათ და დავსწრებოდით ქართველების პირველი წყების გაცილებას. ჩვენც, რასაკვირველია, დავთანხმდით და იმავე დღეს, ჩვენს სპეცკომენდატურასთან შეთანხმებით, მე და გურამი ტაშკენტისკენ მივქროდით „ვილისით“. ტაშკენტში,

ყველაზე ფეშენებელურ სასტუმროში ცხოვრობდნენ ჩეკის-ტები, ჩვენც მათთან მიგვიყვანეს. დახარბებულები შევცვივ-დით მშვენიერ აბაზანაში, შემდეგ სადალაქოში და საღამოს უდაბნოს მტვერჩარეცხილნი უკვე რესტორანში ვისხედით, სადაც მუსიკა უკრავდა, ხალხი კმაყოფილი სახეებით შეე-ქცეოდა ვახშამს და ნუგბარს, არ უწყოდათ თითქოს, რომ იქვე, მათთან სულ ახლოს იყვნენ ათასობით უდანაშაულო ადამიანები, უფლება აყრილი, „ზონებში“ განაწილებული, რომელთაც მხოლოდ სიზმარში ელანდებოდათ თავისუფალი ცხოვრება. ვუცემერდი სარუხანაშვილს, ამ საამოდ მოუბარ ახოვან ვაჟუაცს, რომელშიც ყიზილყუმელმა ქართველებმა შეიცნეს იმ საბედისწერო დღეს მათზე ძალყოფის ერთ-ერთი მონაწილე, ჯარისკაცის გულცივობით რომ ბადრაგობდა გადასახლებულებს შუაზიისკენ; ნუთუ ეს ის კაცია, დღეს რომ ასე სიამოვნებით ასრულებს იმავე ქართველების სამ-შობლოში დაბრუნების მისიას, ღვთის რა განჩინებამ დააყე-ნა იგი ამ ორი ერთმანეთის საპირისპირო გზაზე?

დილით ქალაქი დავათვალიერეთ. ქართველების პირ-ველი ჯგუფის გამგზავრება მეორე დღეს იყო დანიშნული ტაშკენტთან მიმდებარე ყაზახსტანის ტერიტორიაზე, რო-მელილაც სარკინიგზო კვანძიდან. ჩვენი მასპინძლები სამსა-ხურის საქმეზე იყვნენ წასული, მე და გურამი თავისუფლე-ბის შეგრძნებით ვტკბებოდით, საღამოს ოპერაში წასვლა გვქონდა გადაწყვეტილი.

ნაშუადლევს სარუხანაშვილსა და შოთაძეს შევხვდით, ერთად ვისადილეთ, მოვილაპარაკეთ ოპერის თეატრში წას-ვლაზე და იმაზეც, რომ ქართველების გასაცილებლად დი-ლით, უთენია წავიდოდით, რათა მათთან საუბრის და ნაცნო-ბების მოქებნის მეტი დრო გვქონდა.

ნასადილევს ჩვენს ნომერში ვბრუნდებოდით, განიერ მარმარილის კიბეს მივუყვებოდით ზევით მასლაათით, რომ მე და სარუხანაშვილი რატომლაც შევჩერდით. არ მახსოვს, ალბათ რაღაცაზე ვკამათობდით, როდესაც დავინახეთ ზე-მოდან კიბით ეშვებოდა ვიღაც ნაცნობი სახის კაცი. რომ მოგვიახლოვდა, ვიცანით, კანდიდ ჩარკვიანი იყო, საქარ-

თველოს კომპარტიის ცენტრალული კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი. მანაც შეგვიცნო ქართველები, შეჩერდა. სარუხანაშვილმა სამხედრო სალამი მისცა და წარუდგა, ისიც უთხრა, მე ვინ ვიყავი. ასე შევხვდი კაცს, ამჟამად ძველ უფლებებაყრილს, რომელიც ქართველების გადასახლების დროს რესპუბლიკის მეთაური იყო და რომელთან შეხვედრაც იმ ავტედით დღეებში, ესოდენ მწყუროდა, რომ ჩემი ოჯახის სვე-ბედი შემევედრებინა.

არ ვიცი, იგრძნო თუ არა უხერხულობა ჩარკვიანმა, ან აღიქვა თუ არა ბედის ირონია. ეს კი თქვა, – ყველაფერი მაშინ ჩემი ნების გარეშე მოხდა, მე მხოლოდ ერთი შევძელი, ექვთიმე თაყაიშვილს ავაცილე გადასახლებაო. შემდეგ მომილოცა სამშობლოში დაბრუნება და სარუხანაშვილს უთხრა, რომ მისთვის გაუგებარი მიზეზების გამო, სასწრაფოდ გაძახებულია მოსკოვში, სალამოს მიფრინავს. ხოლო თუკი მას სურდა, მომსახურებისთვის თავისი დაწესებულების მანქანას დაუტოვებდა. მართლაც, სალამოს მისი მანქანით წავედით ოპერაში, ერთი სამხედრო ტიპის „ჯიპი“ იყო, რუსი შოფერი მართავდა, აქმ თავისი „ხაზეინი“, თან გვითხრა, სულ ერთთავად გაზეთების კითხვაშიაო, და სავარძლის ზურგჯიბეში ჩალაგებული გაზეთების დიდ დასტაზე მიგვანიშნა.

ისეთი დილა იყო, საზეიმოდ განგანყობდა, ჯერ ვერ ემდლავრა მცხუნვარე მზეს. მწვანე ბალჩა-ბალებს, რომლებიც მრავალია უზბეკთა მიწის ამ ადგილებში, ძლივს შესამჩნევი ანაორთქლიასდიოდა და ნიავით აქოჩრილი ეფინებოდა ფოთლიანს. სიხარულის დღე იწყებოდა. საცაა შევხვდებოდით ბედნიერ ქართველებს, რომლებიც თავიანთი მიწა-წყლისაკენ მიეშურებოდნენ, მათ გზას დავულოცავდით.

მანქანა გასცდა ბალჩების რიგს, მიუჟყვებით ლიანდაგის გასწვრივ გაჭიმულ გზას, უკვე დაიწყო ლიანდაგხლართები გადასაყვანი ისრებით, შორს გამოჩნდა ხალხის უზარმაზარი თავშეყრა, ლიანდაგის გასწვრივ ჭიანჭველებივით რომ ირევიან, ამ მანძილზეც ისმის ხმაური. ზოგჯერ კივილი გასერავს სმენას. შეშფოთდნენ ჩვენი თანამგზავრები: „ეს რა ამბავია, სად არის ეშელონები!“ ამბობს აღელვებული სა-

რუხანაშვილი, „რა წიოკია ხალხში“? იძახის შოთაძე. „არა-ფერი გვესმის, ვერაფერი გაგვიგია“! მანქანა უკვე მიაწყდა ხალხის პირველ წევბას და ჩვენი დანახვისთანავე ბლავილით მოგვცვივდნენ სასოწარკვეთილები, დიდი თუ მცირე. „აღარ გვიშვებენ საქართველოში, დავილუპეთ, აქ სადღა გვაქვს უკან დასაბრუნებელი, თუ რამე ნაწვალები გვქონდა, მოვშალეთ, ახლიდან რაღა დაგვაწყებინებს განამებულ ცხოვრებას“. ცრემლებით სავსე თვალებით ეუბნება ვიღაც მოხუცი სარუხანაშვილს. მოიცადეთ! დაწყნარდით! ამასღა ისვრის კანტიკუნტად პოლკოვნიკი და გარბის ადგილობრივ ჩეკისტებთან, ხალხის შუაგულში რომ შეჯგუფულან.

მე და გურამიც გადმოვედით მანქანებიდან. ახლა ჩვენ რომ დაგვინახა ხალხმა კარგად ჩაცმულები, ორდღიანი ჭამითა და დასვენებით გაზუღუქებულები, იფიქრეს, ალბათ ესენიც საქართველოდან არიან გამოგზავნილები ჩვენს საქმეზეო, და მოგვცვივდნენ ხვეწნით, მუდარით, რომელშიც ყველაფერს და ყველას განხირული ღალადი ფარავდა: „გვიშველეთ! გვიშველეთ!“ ვიღაც მოხუცი ქალი ხელის ცაცუნით ცდილობდა მოფერებას, ვიღაცა ბავშვს გვანვდიდა, გვაცოდებდა, ამას შეხედოთ, გვეუბნებოდა. ვეღარ გაუძლო ჩვენმა ნერვებმა და ჩვენც ავღრიალდით: „ჩვენც თქვენთან ვართ! ჩვენც თქვენსავით ვართ!“

ალბათ ორიათასი აბარგებული, ან უსახლკარო ქალი და კაცი, მოხუცი და ბალი, აფორიაქებული, მამაკაცები მუშტმოკუმული, მოღუშული, თავჩაქინდრული, ქალები და ბავშვები ატირებული უსმენდნენ მანქანის ძარაზე შემდგარ სამხრეთ ყაზახეთის სპეცგადასახლების სამმართველოს უფროსს, პოლკოვნივ შირაევს, რომელიც აცხადებდა: „Успокойтесь, успокойтесь! Ваше возвращение на родину приостановлена временно, видите нет поездов, Потом будут составы и всех отправим, а теперь спокойно возвращайтесь в места вашего определения, прошу сохранить порядок“. არ გვინდა, არა! იძახის სასოწარკვეთილი ხალხი და გაჰყურებს ლიანდაგის დაუსრულებელ ბოლოს, რომელიც სადღაც შორს იკარგება და მათ ფიქრით აკავშირებს სამშობლოსთან.

უეცრად რამდენიმე ქალი მიეჭრა შირიაევს და ძირს ჩამოგდება დაუპირა. მამაკაცებმა დაშოშმინება დაუწყეს, ქალებმა თავსაფრები მოგლიჯეს მანდილებს და გაოგნებულ შირიაევს ესროლეს.

მოგვნახა შოთაძემ, სასწრაფოდ გაგვიყვანა ხალხიდან, პლატფორმის შენობის მოფარებულში სარუხანაშვილი გველოდა: „არ ვიცით, რა ხდება, რატომდაც არ მოგვცეს ეშელონები, შეჩერდა თქვენი დაბრუნება, აგერ მანქანა, სასწრაფოდ წაგიყვანთ მძღოლი თქვენს „სოვხოზში“, იქიდან კი როგორმე მოახერხეთ და გაიყვანეთ თქვენი ორი ოჯახი მაინც, თქვენ პრაქტიკულად თავისუფლები ხართ, ხელთა გაქვთ განთავისუფლების ქაღალდი და თუ აქაურობას მოსცილდებით, ხელს აღარავინ გახლებთ“. მოგვახურეს თავისი „პლაშჩალატვები“ და „ვილისით“ გავუდექით გზას. მიჰეროდა მანქანა უკვე ტრამალების გზაზე, მტვრის კორიანტელში გახვეული, ჩამოვიფხატეთ თავზე „კაპიუშონები“ და იმაზე ფიქრს შევუდექით, როგორ გაგვეყვანა სამშვიდობოს ჩვენი ოჯახები. გურამს თავისი დედა, მე კი დედა და ცოლ-შვილი. ნახევარი გზა არ გვქონდა გავლილი, რომ წინ, ასევე, მტვრის კორიანტელში გახვეული მანქანა შემოგვხვდა. გავჩერდით, ესენი შ.ს.ს.-ს რაიონული განყოფილების უფროსი ამიროვი იყო და ჩვენი სპეცკომენდანტი პავლოვი. ერთმანეთი მოვიკითხეთ, მიდიოდნენ იქ, საიდანაც ჩვენ მოვდიოდით, ჩვენც აღარაფერი გვითქვამს და ლიმილით დაგვშორდნენ.

„სავხოზში“ საღამოს შევედით. ღამით იმის ფორიაქსა და ფიქრში ვიყავით, რა გველონა აქედან გასასვლელად. ერთადერთი იმედი შოფერი ვერიოვკინი იყო, რომელიც ერთ დროს შეპირდა გურამს, თუ დაგჭირდა, სადაც გინდა, წაგიყვანო. მაგრამ აღარ დაგვცალდა, ღამით უკვე უცნობებია პავლოვს კომენდანტურაში და დილით კომენდანტის მოადგილემ პალენოვმა ჩამოიარა, გამოაცხადა, თქვენი დაბრუნება შეჩერებულიაო და განთავისუფლების ქაღალდები ჩამოგვართვა.

დაიწყო ჩვენი ყაზახეთში ცხოვრების ყველაზე მძიმე დღეები და. კვლავ გაჩნდა მუდამ უპასუხოდ დარჩენილი

კითხვა: „რატომ“? არა და არა, არც გონება, არც გული, არ ერწმუნება პალენოვის ღვარეძლიან ნათქვამს: „Ну что, Сталин прислал вас сюда а Берия пытался увезти. Арестован ваш Берия, вот и вернули вас обратно“. სწორედ იმ დამეს, ჩვენ რომ ტაშკენტის რესტორანში ვისხედით, თურმე კრემლში ბერიას ლიკვიდაცია მოხდა. ჩარკვიანიც, როგორც ჩანს, ამ საქმეს-თან დაკავშირებით იყო სასწრაფოდ გაძახებული მოსკოვში.

მაგრამ რატომ იყო დაკავშირებული ჩვენს განთავი-სუფლებასთან, ვინ აგვიხსნიდა, ამას ვინ გაგვაგებინებდა? ბოლოს და ბოლოს ვინ გვანუებულდა, ჩვენ ხომ შევეჩიეთ იმ აზრს, რომ ჩვენი სამშობლოში დაბრუნება კანომზომიე-რია ისევე, როგორც უსამართლო, უკანონო და არაადამია-ნური – ჩვენი გადასახლება!

მართალია მუშაობას ვაგრძელებდით, სხვა რა ჩარა იყო, მაგრამ უავე აღარ იყო ის შემართება და მონდომება. სულ თვალწინ მედგა ის ხალხი და მესმოდა მათი ძახილი: „გვიშ-ველე! გვიშველეთ!“ იმ უბედურებისა, რომლებიც თითქმის ძალით ჩაყარეს თურმე სატვირთო მანქანებში და დააბრუნეს თავის „ზონებში“. ჯანმაც მიღალატა, მოვუხშირე ლოგინში წოლას, ჩვენი ექიმები მეუბნებიან, რომ გადაღლილი ვარ და ნერვული სტრესი მაქვს, პალენოვიც შემოდის ხშირ-ხშირად, ერთხელ საბანიც გადამხადა ფეხებზე, შეამოწმა ჩაცმული ხომ არ წევს, ავადმყოფობას ხომ არ იგონებსო. რა უნდა მექ-ნა, წოლის დრო არ იყო და ისევ შევუდექი მუშაობას.

წარმოიდგინეთ, ყაზახებიც სწუხდნენ ჩვენს მდგომა-რეობას. არისლანოვმა ერთხელ ჩამილაპარაკა: „Ничего, поедете все“. ისევ ალაპარაკდა კოდი „ჩიტი“. თბილისიდან გვითვლიან, – „ნუ გეშინიათ მალე წამოხვალთ“! ისევ გააჩნდა იმედი, რომ სიმართლე გაიმარჯვებს. ღმერთო ჩემო! რამდენ-ჯერ უნდა ამრთელო დამსხვრეული ილუზიები? გახშირდა მეგობრებისგან ფულადი გზავნილები, ისიც მაცნობეს, ჩვე-ნი ბინა დაუცლია იმ კაცს, ვინც ჩემი გადასახლების შემდეგ შეასახლეს. ბოლოს მოვიდა ცნობა, რომ საქართველოსკენ პირველი ეშელონი წავიდა, სწორედ ის ხალხი, რომელთა გამგზავრების ამაო მცდელობას შევესწარით მე და გურამი.

ოქტომბრის თვეში განთავისუფლების ტალღამ ჩვენამ-დეც მოაღწია. თითო-ოროლა ოჯახი მიჰყავდათ ჩვენი საძმოდანაც. ერთ დღეს მომაკითხა ციხიდან განთავისუფლებულმა გიორგაძემ, შინდაბრუნების ნებართვა მაჩვენა და მთხოვა, ფურცლოვანი ცინკი მიმეცა. არ დაუმალავს, „ჩემი შვილები უნდა წავიყვანო“, მითხვა. შეკრა ცინკის ყუთი, ღამით ჩაასვენა შიგ თავისი შვილები და წაიღო საქართველოში. ასევე მოიქცა ანჯაფარიძეც. შემდეგ გავიგე, რომ არავინ დატოვა თავისი მიცვალებული უპატრონოდ, თან წალება და მშობლიური მიწისთვის მიბარება მოახერხა.

ნოემბრის დამდეგს ჩვენი რიგიც მოვიდა. გურამის, ჩემი და კიდევ რამდენიმე ოჯახი წაგვიყვანეს ერთად, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ვწუხდით მხოლოდ, რომ ყველას ერთად არ გვხვდა წილად სამშობლოში დაბრუნება, ვემშვიდობებოდით მეგობრებს და გვჯეროდა, რომ ყველანი მალე შევხვდებოდით ერთმანეთს საქართველოში. რა ვიცოდი, რომ ზოგიერთს კიდევ ერთი წელიწადი მოუხდებოდა ლოდინი. ჩიტომ მხოლოდ 1954 წლის ნოემბრის ბოლოს მიიღო განთავისუფლების ცნობა, რომელშიც ეწერა: „16/XI-54 წელი, Согласно определения Верховного суда СССР снять с учета специпереселения“.

რკინიგზის ხაზზე წითელი სატვირთო ვაგონებისგან შემდგარი ეშელონი ჩამომგდარიყო, სწორედ ისეთი, რომლითაც აქეთ მოჰყავდათ გადასახლებული ქართველები. მაგრამ რა სიხარულით ესწრაფვოდა ხალხი ამ ვაგონებში შესვლას, რა სიამოვნებით თავსდებოდნენ თავთავიანთ კუთხეში. ვაგონებში დანიშნულების ადგილის მიხედვით ვნანილდებოდით. თბილისელებისთვის 10 თუ 12 ვაგონი იყო გამოყოფილი. ერთ-ერთში „სავხოზის“ რამდენიმე ოჯახი მოვათავსეთ. გამცილებელი ერთი დაბალი ტანის ყაზახი გვყავდა. მისი მოვალეობა გზაში, დათქმულ პუნქტებში საჭმლით მომარაგება იყო. მე და გურამი დავდევთ „ვედროებით“ და ვეხმარებით, თითქმის ისევე, როგორც აქეთობას, ოღონდ ამჯერად თავისუფალ ხალხად ვგრძნობთ თავს, არავის ვეპუებით. ერთხელ გულმოსულმა ჩვენს გამყოლს კინალამ ვედრო ჩამო-

ვაცვი თავზე. სასტიკად შეშინდა და თვალს ვეღარ გვისწორებდა. უკიდურეს დისკომფორტს განვიცდიდით, მაგრამ ამაზე ხმას ვინ ამოილებდა. ყოველი დღე გაახლოებდა საქართველოს. ავადმყოფებიც იყვნენ ვაგონებში, უთაობა და არაორგანიზებულობა ჩვენს მგზავრობას არ აკლდა, მაგრამ ყველა როგორლაც იტანდა აუტანელს.

ბოლოს საქართველოს საზღვრებს მივუახლოვდით. გახარებული შეძახილები გაისმა ვაგონებიდან. პირველი გაჩერება სოხუმში გვაქვს. სოხუმელებმა უკვე იცოდნენ ჩვენი ჩასვლის დრო და სადგურში დიდი შეხვედრა მოგვიწყეს. ჩემმა კოლეგამ და სტუდენტობის მეგობარმა გივი იოსელიანმა სადგურის თითქმის მთელ ბაქანზე სახელდახელო სუფრა გაშალა. ეშელონის უფროსი, ყაზახი მიისვა გვერდით, ყველა გამცილებელი მიიპატიუა. მატარებელს რამდენიმე წუთით დააგვიანდა გასვლა და ამიტომ რამდენიმე სადლეგრძელოს თქმა მოახერხა.

გაოცებული უყურებდნენ გამცილებლები სოლიდარობის ამ მათთვის უცნობ გამოხატვას.

აქედან თბილისამდე, თითქმის ყველა გაჩერებაზე, თუკი „ელექტრონევის“ ქვესადგური იყო სიახლოვეს, ვინმე ელექტრიკოსი ჩამოირჩენდა ხოლმე ვაგონებთან და იძახდა: „ჩხატარაიშვილის ოჯახი როგორ არის, მოკითხვას უთვლის საქენერგოს დისპეჩერი“. სამტრედიაში კიდევ ერთი სადლეგრძელოებიანი შეხვედრა მოგვიწყეს „საქენერგოს“ თანამშრომლებმა. თბილისამდე ყურადღება არ მოგვკლებია. გზაში ჩემი და ნორას რამდენიმე ამხანაგი შემოგვიერთდნენ მატარებელში. გული ვეღარ იტევდა მადლიერებას.

თბილისში ვაგზლის პირველ ბაქანზე მიიღეს ჩვენი შემადგენლობა. დაგხვდნენ ნათესავები, მეგობრები. ყველამ თავისიანებს მიაშურა. ჩემმა ძმამ, ჩემმა ნათესავებმა და მეგობრებმა გულში ჩაგვიკრეს.

აღმასკომის წარმომადგენელმა მითხრა: თქვენი ბინა თავისუფალია და გელოდებათო. მერე კი დამემშვიდობა.

1953 წლის 9 ნოემბერი იყო, კიდევ ერთხელ აღდგენილი ძველი ოჯახის ახალი ცხოვრება იწყებოდა...



### **ქეთევან (ჩიტო) კალანდაძე**

1912. 13. 09. – დაიბადა ჩოხატაურში.

1928 – დაამთავრა ჩოხატაურის საშუალო სკოლა.

1929 – ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

1934-2004 მუშაობდა თბილისის პირველ ტუბდისპანსერში, პედიატ-რიის ინსტიტუტში, ტუბერკულოზის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ბავშვთა ექიმ პთიზიატრ-პედიატრად.

1938 – დაუხვრიტეს მეუღლე, ილია გორგილაძე (ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი ქარხნის უფროსი).

1951-1954 – დედასთან, დასთან, ქმასთან და შვილებთან ერთად იმყოფებოდა ყაზახეთში, გადასახლებაში.

1954 – დაბრუნდნენ სამშობლოში.

გარდაიცვალა 2005 წელს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

## გეგმიური მეორედ მოსვლა

1937 წელია, ახალი წლის დამე, მაგრამ ხალისი არაფრისა მაქვს – მთელი დღე მხოლოდ დაპატიმრებულ ქმარზე ვფიქრობ: „იქნებ უკვე დახვრიტეს კიდეც?“

ვიხსენებ ჩვენს პირველ შეხვედრას. ხუთი წლის წინათ ახალგაზრდა თბილისელი ექიმი განაწილებით ჩავედი ჭიათურაში, ილიაც იქ გავიცანი. მალე დავქორწინდით კიდეც. უკვე ორი შვილი გვყავდა, რომ ტრესტის ეზოში, ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდით, თუმც უბედნიერესად ვთვლიდით თავს.

30 წლის ილია სამთო ინჟინერი იყო. მოულოდნელად, სრულიად უმიზეზოდ, ყველა მაღაროს დირექტორი, ტრესტის მმართველი და ინჟინერი დააპატიმრეს და დახვრიტეს. დაიჭირეს მათი ცოლებიც. ილიას ყველაზე ბოლოს მოაკითხეს, – სულ რამდენიმე დღის „ნაყვანილი იყო,“ ვინ იცის, იქნებ ჩემი დაჭერის დროც დადგა?

ამ ფიქრებში გართულს, ლამის პირველ საათზე, ვიღაცამ კარზე მომიკაკუნა. უცნობი ქალი იყო. მომიბოდიშა, ჩვილი ბავშვი გყავთ, ამ სიცივეში ხომ არ იყინებით, შეშათუ გაქვთო. მორჩა! მივხვდი, დამზვერეს, გაიგეს, სახლში ვარ თუ არა. სულ ცოტა, ნახევარ საათში, ალბათ, მეც ქმრის გზას გამიყენებენ. უნდა ვიჩქარო!

ხუთი თვის მძინარე გივი პალტოში შევიფარე, მეორე ხელში კი ნაჩქარევად შეკრული ჩემოდანი და ხელჩანთა დავიკავე. ლამპიონების შუქზე ვხედავ, თეთრად ბარდის...

ქუჩაში ვიღაც მამაკაცი შევნიშნე. სახე არ მიჩვენა, უხმოდ წაეტანა ჩემს ჩემოდანს და სადგურამდე მიმაცილა. სატვირთო მატარებლის მისაბმელზე მოვთავსდი. ბოლოს მივხვდი, ის კაცი ვინც იყო – ჩემი საავადმყოფოს დარაჯი.

ორთქმავალი უკუნ ლამეში მიჰქრის და თანდათან შორდება ჭიათურას.

ქარისა და სიცივისგან ვკანკალებთ, გივი ტირის, მაგრამ თანდათან ვშვიდდები – გადავრჩი!

თბილისში ჩემს სახლს მივაშურე. აქ, დედასთან ჩემი გულნაზი მყავდა დატოვებული. ყველანი გახიზვნას ვაპირებდით, მაგრამ ბრძანებამ მოგვისწორო. დაპატიმრებულთა ცოლებისთვის ხელი მეტად აღარ უნდა ეხლოთ.

სხვა მხრივ, მაინც შერისხული ვიყავი – „ხალხის მტრის ცოლის“ იარლიყი მომეკერა. სამსახურში აღარავინ მიღებდა. 1939 წელს, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრები რომ შემოვიდა, აი, მაშინ გამომიყენეს. ტუბდისპანსერში მუშაობა ხომ ყველას დიდად არ ეხალისებოდა. ამასთან, ერთ-ერთი ქარხნის საერთო საცხოვრებელშიც რაღაც ინფექცია გაჩნდა და იქ მიმაგდეს. არადა, პატარა ბავშვების პატრონი ვიყავი. ახლა როგორ მჩაგრავდნენ სამსახურში? – ხმას ვერ ვიღებდი, მე ხომ „შერისხულის ცოლი“ ვიყავი...

#### გავიდა 14 წელი.

1951 წლის შობის ღამეა. ჩემი გივი და გუქა ცეკვავენ, მხიარულობენ. ღამის ორის ნახევარზე ფანჯარასთან ვიღაცამ „კალანდაძეო“, – დაიძახა. კარი რომ გავაღე, რუსი ჩეკისტები შემოვიდნენ. მერე გავიგეთ, როსტოკიდან ყოფილან – ერთი ქართველი მილიციელი და ორიც პარტიული მუშავი.

გამოგვიცხადეს, რომ მხოლოდ ნახევარი საათი გვეძლეოდა ბარგის შესაკრავად, ამიერიდან ჩვენ, როგორც დივერსანტი ოჯახი, გადასახლებულები ვიყავით.

ვინ ჩვენ? – 70 წლის ფეხმოტებილი დედაჩემი, მე და ჩემი შვილები: 14 წლის გივი და მასზე წლინახევრით უფროსი გულნაზი.

მიზეზი არ აუხსნიათ. მერე გავიგეთ, მითითება ყოფილა „ზემოდან“, ვინც სამამულო ომში, გერმანელებთან ტყვედ იყო ნამყოფი, ან ვისაც საზღვარგარეთ ჰყავდა ნათესავი, ყველანი ოჯახებინად დაეპატიმრებინათ. იმ ღამეს სულ 50 000 ქართული ოჯახი გადაასახლეს. გესმით? 50 000 ათასი, ერთ ღამეში!

საბრალო ტყვედ ნამყოფები... როგორც იქნა, სამშობლოში დაბრუნდნენ, ოჯახები შექმნეს და ახლა მათ ცოლ-შვილიანად ასახლებდნენ...

ჩვენ ჩემი ძმის, შალვა კალანდაძის გამო დავისაჯეთ. საზღვარგარეთ საცხოვრებლად რომ წავიდა ჩემი ძმა, მე მაშინ 12 წლის მოზარდი ვიყავი. ახლა დედაჩემი ამის გამო გადაასახლეს და ჩენც ზედ მიგვაყოლეს.

ჩემოდნები ფაცი-ფუცით შევკარით. „გრუზოვიკზე“ აგვიარეს. რკინიგზის ვაგზალს იქით, რაღაც ჩიხში, ძალზე გრძელი ეშელონი იდგა. სწორედ იქ შეგვრევეს – პირუტყვების გადასაყვან ვაგონებში.

იმ ღამით სულ 16 „ეშელონი“ გაუვსიათ მთელ საქართველოში, თბილისიდან კი ასეთი ორი გავიდა. ვაგზალზე ისეთი ამბავი იყო, „მეორედ მოსვლა“ გეგონებოდა: – წივილ-კივილი, ტირილი, წყევლა, გინება... ვისაც სიარული არ შეეძლო, საკაცებით მოჰყავდათ და პირდაპირ ვაგონებში ყრიდნენ. გადასახლებულთა შორის ჩილი ბავშვებიც იყვნენ. ისინი აკვებით მოჰყავდათ. ყველანი დაიხოცნენ... ერთი ახალგაზრდა მშობიარე ქალი პირდაპირ სამშობიაროდან გამოეყვანათ. საბრალომ მერე გზაში იმშობიარა ტყუპები და ორი-ვე დაეღუპა...

სადგურზე ბევრ გადასახლებულ ნაცნობს მოვკარი თვალი. აქ იყვნენ ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი, გურამ გაბაშვილი და მისი დედა, ასევე პარიზიდან ჩამოყვანილი ბალერინა ვარია ვაჩაძე. ქირურგი, დოცენტი კოლია ჯანდეირი, პროფესორი თევზაძე, ბევრი, ძალზე ბევრი ჩემი ნაცნობი ექიმი... სიმონ ხეჩინაშვილის ცოლი და სიდედრი...

ელისაბედ ჩერქეზიშვილის უცხოეთიდან ჩამოსული შვილი ხომ დაიჭირეს... ახლა იმისი ცოლი და სიდედრიც გადაუსახლებიათ. .. ისინი დიდგვაროვნები იყვნენ და მაღალ სატვირთო ვაგონში ასვლას უკადრისობდნენ – ითხოვდნენ, მოვიდეს რუსი „ვანკა“, ფიცარი გადონ და ავალთო. ასეც მოიქცნენ.

ვარაზისხევი ხომ იცით? იმ ღამეს მთელი ვარაზაშვილები გადაასახლეს.

საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, ბევრი წარჩინებული საზღვარგარეთ გადაიხვენა. ნაწილი წლების მერე დაბრუნდა სამშობლოში ოჯახებით, მაგრამ აი, უბედურება...

თავად უშიშროების მინისტრმა, რუხაძემ გაგვაცილა. როსტოკიდან ამ მიზნით, სპეციალურად ჩამოუყვანიათ ჩე-კისტების ჯარი.

„ჯანდაბისკენ“ მიმავალ გზაზე დავიძარით... შუა ზამ-თარი იყო. ვაგონები პირუტყვის სუნით ყარდა და საშინლად ციონდა. ვაგონის იატაკი ცოტაზე ამოჭრილი იყო, რაც სა-პირფარეშოს მაგივრობას სწევდა.

მეორე დღეს ერთმა ჩვენს ვაგონში მყოფმა კაცმა ბლა-ვილი მორთო, — მე და კიდევ ორ ქალს მოგვმართავდა: — „დებო, რას შვებით, თავს რატომ იწამლავთ, უკვე რამდე-ნი ხანია, არ მოგიშარდავთ... მე ეს შევამჩნიე, ასე დაიხოცე-ბით... ახლავე მოშარდეთ, თორემ არ გავჩერდები, დილამდე ასე ვიყვირებ“... აი, ასეთ დღეში აღმოვჩნდით...

ბაქოს რომ გავშორდით, შედარებით მეტი თავისუფლე-ბა მოგვეცა — ეშელონი ხანდახან ჩერდებოდა და ჩვენც ძირს ჩავდიოდით. ერთ მოხუცს თოფიანი დარაჯის მოერიდა და ეშელონის ქვეშ შეძვრა მოსაშარდად, მაგრამ ვერ მოასწრო საწყალმა გამოსვლა და მატარებელმა გაჭყლიტა...

ორი კვირა დღე და ღამე მივდიოდით ისე, რომ არც კი ვიცოდით, სად... გადასახლებიდან მე-15 დღეს ჩაგვიყ-ვანეს პახტაგორში, იქიდან კი, სამი ოჯახი, თავიანთი ხა-რახურ-ბარგით, სატვირთო მანქანით წაგვიყვანეს. დედა წინ ჩასვეს მანქანაში, რადგან ფეხი ჰქონდა მოტეხილი და ყავარჯინით გადაადგილდებოდა. გვაცილებდა ერთი ყელმო-ლერებული ჯარისკაცი — მუხლებამდე შინელითა და ზემო-დან შემორტყმული ქამრით, თავზე კი თბილი ჯარისკაცის ქუდი ეხურა, წითელი ვარსკვლავით. ჩვენი ეშელონის ხალხი სამხრეთ ყაზახეთში, ჩიმკენტის ოლქში, კიროვის რაიონში, ნამდვილ უდაბნოში მოვხვდით.

მანქანა რომ დაიძრა, ახალგაზრდა მამაკაცმა შემოიხე-და და მძღოლს უთხრა, მე გამოგყვებითო. მიგვიყვანა მიწის ზევით მდებარე სახლში. მერე წავიდა, ბამბის ლეროები მოი-ტანა, დაგვინთო ცეცხლი, ბარგი მიალაგა, გათენებისას კი ცოლთან ერთად მოვიდა და ქვაბით ცხელი რძე მოგვიტანა. ეს იყო ბერძენი, 1945 წელს სოხუმიდან გადმოსახლებული.

როგორც გვიამბო, ბერძნებს გაუგიათ, კიდევ რამდენიმე ოჯახია დასაბინავებულიო. რაც კი წამოღებული გვქონდა, გავშალეთ და დავეყარენით დასაძინებლად. სიბნელეა, არ-საიდან სინათლე. არ ვიცით, სად ვართ. გვძინავს და თითქოს მინა ირყევა. ეს განცდა მატარებლიდან გამოგვყვა.

იქ სხვა გადასახლებულებიც დაგხხვდნენ – ბერძნები და გერმანელები. ისინი მორნმუნები იყვნენ და ძალიან გვეხ-მარებოდნენ. ყაზახებიც კარგად გვექცეოდნენ. ოღონდ არ სჯეროდათ, რომ ნამდვილი ქართველები ვიყავით. ასე ამ-ბობდნენ, აქ განკულაკების დროსაც გადმოასახლეს ქართ-ველებიო. აგერ, ამ დიდ ორმოში მარხიან ყველანი ერთად, ოღონდ ამათ სულ სხვანაირად ეცვათ და ზედ დიდი „დანე-ბი“ ეკეთათო. ჩანს, ჩოხა-ახალუხსა და ვერცხლის ქამარ-ხან-ჯალს გულისხმობდნენ... მივხვდით, ის „სხვანაირად ჩაცმუ-ლი ქართველები“ რევოლუციის შემდეგ გადმოსახლებული ქართველი თავადიშვილები იყვნენ.

ზოგიერთ ბერძნს ყაზახებში ხმა გაუვრცელებია, კავ-კასიელები ჩამოიყვანეს, ქართველები, რომლებიც ძალიან დაუნდობელი ხალხია და შეიძლება დაგხოცონო. ამიტომ იქ მცხოვრებ ყაზახებს მიუტოვებიათ თავიანთი, ე.წ. სახლები.

ჩვენი დაბინავებიდან მესამე დღეს, მოვიდა ჩვენი სახ-ლის პატრონი ყაზახი. ბუზღუნებდა, რაღაცას ბრაზობდა ჩვენთვის გაუგებარ ყაზახურ ენაზე. ბოლოს რომ მოვიდა, კარზე ჩამოკიდებული სალა დაინახა, იყვირა, მოგვაფურ-თხა და წავიდა. ამის მერე აღარ გამოჩენილა.

ჩასვლიდან მეხუთე დღეს დაიწყო ჩემი პროფესიული საქმიანობა. თოვდა, როგორც იქნა მივაღწიეთ ადგილამ-დე, სადაც ავადმყოფი ბავშვი მელოდა, მაგრამ უკვე მომაკ-ვდავი იყო და ორ დღეში გარდაიცვალა. ჩემი პროფესიოთ ოლქის ქალაქ ჩიმკენტში ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე დაინტერესებულა, მაგრამ კომენდატურას მისთვის უარი განუცხადებია. კომენდანტ სეიდანვის ბავშვს რომ ვმკურ-ნალობდი, მან მითხრა, უშუალოდ თქვენი გადმოსახლე-ბის ბრძანება არა გვაქვსო. ისე კი 30 ეშელონს ველოდით, მაგრამ ვინა ხართ და აქ რატომ ხართ, არ ვიცით, მარტო

პრძანება გვაქვს, ქართველები მასწავლებლებად არ დანიშნოთო. ექიმობა ყაზახეთში, უდაბნოში დავწყევლე. 40-60 გრადუსს სიცხეს ჩვენი პატარები ვერ უძლებდნენ და იხოცებოდნენ. დიდებსაც უჭირდათ, განსაკუთრებით, ზღვისპირეთის სიმწვანეს შეჩვეულებს. აჭარიდან ჩამოსახლებული მთელი ეშელონი ხალხი დაიხოცა – ვერ აიტანეს უდაბნოს ხრიოვები.

ჩემს გივის სეფსისი ჰქონდა, მითხრა: „დედა, ექიმი ხომ ხარ, მინდა კიდევ ვნახო საქართველო, სიცოცხლე მინდა, დედი, მიშველე“. გამოვფხიზლდი, მოვკიდე გივის ხელი და წავედით. მივდივართ უდაბნოში, ვიკეცებით უდაბნოს მტკრიან მიწაში. ბოლოს მანქანით მივაღწიეთ კიროვის სახელობის რაიონულ ცენტრს, სადაც ჩვენთან ერთად გადასახლებული ექიმი მარგო მუჯირი იყო, ჯანიკოსთან ერთად, ასევე აჩიკო პატარიძის ოჯახი, ანა შარაბიძე – რუდიკოთი. ვუმკურნალეთ გივის და დავბრუნდით სახლში.

გულწილი არ ვარ, მაგრა ერთხელ, რომ იცოდეთ, რამდენი ვიბლავლე, როდესაც კვარაცხელიების მიწურში დამიძახეს. მამას ხელში რაქიტიანი უდღეური პატარა ეჭირა. ზედ მიწაზე კი მისი მეორე შვილი და ცოლი იწვნენ. ცოლი სასიკვდილო აგონიაში იყო. უცებ ბავშვი ამბობს: „ბაბაია, ნახე, დედას ფეხები სულ გაუცივდა“. მეორე დღეს ის ბავშვიც მოკვდა, ჭლექით.

ნამოვედი, დავჯექი ლელის პირას და მწარედ ავტირდი.

ეს კვარაცხელია სამამულო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილიყო. ახლა ბრალდება ჰქონდა წაყენებული, ვითომ „შპიონი“ იყო და გერმანულად უთარგმნიდა მტერს. არადა, მეგრულის გარდა, საწყალმა, სხვა ენა არ იცოდა, ქართულადაც ძლივს მაგებინებდა სათქმელს. ერთი საწყალი გლეხი იყო და გერმანული საიდან უნდა სცოდნოდა?

ერთ დღეს, დილით მოდის ჯაფარიძე. ის „ოქტომბრის 30 წლის მეურნეობაში“ ცხოვრობს და მთხოვს, მის ავადმყოფ ბავშვთან წავყვე. იქ წასვლა კი კანონით აკრძალული გვქონდა. ჩემმა შვილებმა ტირილი დაიწყეს. „არ წახვიდე, გვეშინია!“ მეუბნებიან. ჯაფარიძესთან ერთად, ნებართვის

ასალებად კომენდანტ სეიდანოვთან წავედით. კაბინეტში ის მარტო არ იყო, ჩვენი ზედამხედველი იჯდა. სეიდანოვმა თვალით გვანიშნა, ზედამხედველის წასვლას დავლოდებოდით. მერე მან ქალალდზე დაწერა თავისი სახელი, გვარი, ტიტული და მითხვა: „თუ დაგაკავებენ, აჩვენე, დამირეკავენ და გაგიშვებენ“. წავყევი ჯაფარიძეს, ბავშვის მამას. ფეხით ვიარეთ არხის დინების მიმართულებით. გზადაგზა გავიქცეოდით და ვიმალებოდით. ისე ვერაფერს მოვეფარებოდით – არსად არც ბორცვი და არც ხე არ იყო. ასე მივაღწი ჯაფარიძის ბავშვთან, ვუმკურნალე და გადავარჩინე.

ერთ დღეს ხუთი ქართველი მამაკაცი მოვიდა ჩემთან. ერთ-ერთს, ჯინჭარაძეს ბავშვი გახდომოდა ავად. მივხვდი, რაოდენ საჭირო ვიყავი ჩემი ქართველი ბავშვებისთვის. მივედი და, რას ვხედავ, პანაწინა სამი წლის ბავშვი მინაზე წევს დიდის ტანსაცმელში გახვეული, მაღალი სიცხით. მთელ სხეულზე წითელი გამონაყარი აქვს. ეს წითელა იყო. სიამაყითა და სიამოვნებით უნდა ვთქვა, რომ მე, ჩიტო ექიმმა ეს ბავშვი გადავარჩინე.

...ბამბის პლანტაციებში გვამუშავებდნენ. წყურვილი გვახრჩობდა. წყალი მხოლოდ ერთადერთ, ისიც ბინძურ არხში იყო. დეზინფექციას ვუკეთებდით და პატარებს ვუზოგავდით. საჭმელი, ასე თუ ისე, გვქონდა. კერძოდ, სიმინდი ბლომად იყო. ოღონდ ცხელი უნდა გეჭამა, მერე ქვავდებოდა.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს კურიოზიები, რომლებიც გადასახლებისას მოხდა. მიწურებში, ჩვენთან ერთად, ერთი სამტრედიელი ბიჭი ცხოვრობდა. ობოლი იყო. განსვენებული მამამისი, ომის დროს ტყვედ ჩავარდნილა. ჰოდა, მიცვალებულის მაგივრად, ეს რვა წლის ბავშვი გადმოასახლეს ბებიასთან ერთად. ობლის კვერი მაინც გამოცხვა – დღეს მელორი თბილისში ცხოვრობს და სამი შვილის მამაა.

ქუთაისიდან ერთი ასათიანების ოჯახი იყო. ომში ტყვედნამყოფი ოჯახის უფროსი იმ საბედისწერო შობის დღისთვის სამტრედიაში წასულა ღორის საყიდლად. ჩამოვიდა კაცი დილით და სადღაა ოჯახი? იმ ღამეს გადაუსახლეს ცოლ,

შვილი და საშობაოდ მათთან სტუმრად ჩამოსული ცოლის და. თვითონ ეს კაცი კი გადარჩა. მთავარი იყო, რომ ამ კაცის ოჯახიდან სამი სულის გადასახლების გეგმა შესრულდა. მერე კი, ეს კაცი ამანათებს უგზავნიდა ოჯახს ქუთაისიდან...

ერთი სოხუმელი კაცი გვყავდა. მანცდამაინც იმ დღეს, 25 დეკემბერს ესტუმრა თურმე რუსი საყვარელი ქალი სვერდლოვიდან. ღამის ორ საათზე მიადგნენ ჩევისტები და გამოუცხადეს, გადასახლებული ხართ მთელი ოჯახიო. კაცი საზღვარგარეთ ყოფილა ნამყოფი. ბევრი იძახეს ერთმაც და მეორემაც, ცოლ-ქმარი კი არა, საყვარლები ვართო, მაგრამ ვინ უგდო ყური? არადა, ამ ქალს სვერდლოვში ქმარ-შვილი ჰყავდა. ვერაფერი გააწყეს და ყაზახეთის მიწურში ერთად მოუწიათ ცხოვრება.

1952 წლის ივნისის ბოლოს „30 ოქტომბრის მეურნეობაში“ გადაგვიყვანეს. ოჯახები დროებით სკოლის დერეფანში შეგვასახლეს. დერეფნის შესასვლელის წინ „ვეროსინვა“ გვედგა, რომელსაც დიზელით ვანთებდით. ნავთი იქ არ იყო.

მოკლედ, 1951 წელი ბევრად უფრო ბარბაროსული იყო, ვიდრე 1937. რეპრესიების პირველი ტალღისას, მართალია, ფორმალურად, მაგრამ სასამართლო პროცესები მაინც ტარდებოდა. 1951-ში ბრძანებაც არ ყოფილა, მხოლოდ ზემოდან წამოსული მითითებების საფუძველზე, სრულიად განუსჯელად, ათასობით ოჯახს, ნახევარ საათში სამშობლო დაატოვებინეს. არც ხანდაზმულობა, არც აკვნის ჩვილობა, არც მძიმე ავადმყოფობა არ ჭრიდა. ოჯახებიდან გამოყვანილ ადამიანებს ჩევისტები თვალით, მინიშნებით აბარებდნენ ბადრაგს და მორჩა, უკვე ტყვე იყავი! კიდევ კარგი, გამონაკლისი ექვთიმე თაყაიშვილი იყო – ჩარკვიანმა შეიწყალა და ღრმად მოხუცებულს, შინაპატიმრობა აკმარა.

ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი, ირაკლი მენალარიშვილიც მოჰყვა ამ გადასახლებაში. მაშინ ის ალბათ ასე, ორი წლისა თუ იქნებოდა. მამამისი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი გახლდათ – ტყვედ ნამყოფი ბიძის გამო გაიმეტეს. მისი საგანი შემდეგ აღარ ისწავლებოდა. ერთა-დერთი სპეციალისტი იყო საქართველოში.

ყაზახეთის ერთ რაიონში ირაკლი და დედამისი გაამწე-  
სეს, ხოლო მეორეში – მათი ბებია, 30 წლის შვილიშვილით.  
დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, მოიპოვეს ოჯახების  
შეერთების უფლება. გახარებული ბებია, შვილიშვილთან  
ერთად წამოვიდა. გზაში მანქანა გადაბრუნდა და შვილიშ-  
ვილი დაეღუპა. აი, როგორი ტრაგედია დატრიალდა...

1953 წლის მაისში, წასვლიდან შვიდი თვის შემდეგ ექი-  
მად დამნიშნეს თურქესტანში, ტუბდისპანსერის სტაციონ-  
არში. მაგრამ შვილების წაყვანის უფლება ჯერ არ მქონდა.  
ისინი დედას დავუტოვე და მე წავედი. სატვირთო მანქანით  
წამიყვანა მძლოლმა ვერიოვკინმა (უკრაინელი იყო). გზად  
ტაშკენტში უნდა შეგვევლო. ლამის ორ საათზე ჩავედით  
ტაშკენტის რკინიგზის ვაგზალში. გავიხედე და, რას ვხე-  
დავ, დუღს ცხოვრება – ხალხი თავის ნებაზე მიდი-მოდის.  
იცინიან, აცვიათ და ახურავთ, ცარიელი ტაქსები მგზა-  
ვრებს ელოდებიან...ვაგზლის უკან, ეზოში, ონკანიდან  
წყალი მოჩხრიალებს. კინალამ გავგიუდი, ვერ გავუძელი  
თავისუფალი ადამიანების ყურებას. გაოცებულმა თავს  
შევუძახე: „ჩიტო, გამაგრდი, თავი ხელში აიყვანე!“ ვერიო-  
ვკინმა რეალობაში დამაბრუნა, დამამშვიდა, მასწავლა  
რომელი მატარებლით უნდა წასულიყავი დილით თურ-  
ქესტანში. შევეხვეწე, იქ არ დავეტოვებინე და შევეცოდე,  
თავის ნაცნობ რუსებთან სახლში წამიყვანა. ბინაში ორი  
ქალი დაგვხვდა. ისინი მეორე ოთახში გაიყვანა და მესმის,  
ეუბნება: „ქართველი ქალია, ექიმი“. მერე ვერიოვკინი წავი-  
და. მასპინძლებმა მეორე ოთახში მოსვენება შემომთავაზეს.  
დაღლილი და შეშინებული მათ ლოგინში ჩავწექი და რა-  
ღაც აუწერელი გრძნობა დამეუფლა.

თურქესტანში მეჩეთის ეზოში მდგარ სახლში დავბინა-  
ვდით მე და კიდევ ერთი გადასახლებული არქიტექტორი,  
თინა ქარუმიქე. თავისი მნიშვნელობით, ეს მსოფლიოში  
მესამე მეჩეთი იყო და თინა რესტავრაციას უკეთებდა. ერ-  
თხელაც, ჩემი პაციენტი, თურქესტანის „ემვდეს“ უფროსი  
მერკულოვი აბასთუმანში წავიდა დასასვენებლად. მე წერი-  
ლი გავატანე მთავარ ექიმთან, არჩილ მხეიძესთან, გადასა-

ხლებამდე ხომ იქ ვმუშაობდი, ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

უკან რომ დაბრუნდა, მერკულოვმა გაოცებულმა მკითხა, ასეთი რა გენერათ, წერილი რომ ამოვიღე, მთელი ოთახი ექიმებით გაიცსო, მთავარი ექიმი ხმამალლა კითხულობდა და ყველანი ცრემლებად იღვრებოდნენო.

თურქესტანში ექიმ-ფტიზიატრად და რენდგენოლოგად ვმუშაობდი. ერთ დღეს, ინვალიდთა სახლიდან გასაშუქებლად მოიყვანეს ავადმყოფები. ესენი იყვნენ 1937 წელს დაინვალიდებულები და ახლად გადმოსახლებული მსჯავრდებულები. პო, გამახსენდა, ნოე რამიშვილის და იყო ჩვენთან, გადასახლებაში, 94 წლის მოხუცებული იმ ღამეს სამტრედიიდან წამოიყვანეს საკაცით. ასევე, მისი ქალიშვილი, რძლები და შვილიშვილები. გაწამაწიაში მოხუცი სულ სხვა ეშელონში მოხვდა და თავისიანებს დაეკარგა, ვეღარ იპოვეს.

თურქესტანში ერთმა მოხუცმა ქალმა მომმართა გასა-სინჯად და მითხრა: „მიხარია, რომ აქ ქართველი ექიმი ქალი გნახეთ. მე ბევრი კოლეგები მყავდა ქართველები“. დაასახელა დიდგვაროვანი სამხედრო პირები, რომლებსაც მე არ ვიცნობდი. ეს ქალბატონი თვითონ პოლონელი იყო, ყოფილი სამხედრო. შემთხვევით ვისარგებლე და ვთხოვე გაეგო, ხომ არ იყო ინვალიდთა თავშესაფარში ვინმე ქართველი. ის შემპირდა, რომ აუცილებლად გაიკითხავდა და შემატყობინებდა, იმხანად ბუღალტრად მუშაობდა ინვალიდთა სახლში. მესამე დღეს ჩემმა ექთანმა, ეროვნებით გერმანელმა, რომელიც შეთავსებით ინვალიდთა სახლშიც იყო, ამონანერი მომიტანა, რომელშიც აი, რა ამივიკითხე: „ელისაბედ რამიშვილი-ბერიშვილი იმყოფებოდა ინვალიდთა სახლში, გარდაიცვალა 94 წლის ასაკში. ის არავის დალაპარაკებია. მან არ იცოდა რუსული“. ინვალიდთა სახლში რომ მოხვდა, ყველას მუნჯი ეგონა, სინამდვილეში კი რუსული არ იცოდა და დამუნჯდებოდა საბრალო, აბა, რა. საჭმელს თურმე პირს არ აკარებდა და ერთ თვეში გარდაიცვალა კიდეც...მუსლი-მური წესით დაუსაფლავებიათ. მე და თინა ქარუმიძემ, ორმა


ქართველმა და ბერძნებმა, ასევე ჩემმა ექთანმა საფლავი ვეძებეთ, მაგრამ ვერ მივაგენით. ახლახან გავიგე, ნათესავები სულ სხვაგან ეძებდნენ ელისაბედ რამიშვილის საფლავს. გურამ შარაძეს დავურეკე და მისი ამბავი შევატყობინე...

შვილები მენატრებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მათი თურქესტანში წაყვანის უფლება მომცეს. გულნაზმა თურქესტანში დაამთავრა სკოლა.

იცით, იქ ქართველებს როგორ გვიყვარდა ერთმანეთი? – ამანათში ქინძი რომ აღმოჩენილიყო, თითო ლერს მაინც აუცილებლად შევახვედრებდით ყველა ოჯახს. დღესაც არ ვკარგავთ ერთმანეთს. თუმც, უმეტესობა უკვე აღარ არის...

სულ სამი წელი და რვა თვე ვიყავით გადასახლებაში. მერე ბრძანება გამოვიდა, შეცდომა იყოო, და კომფორტული მატარებლით უკან წამოგვიყვანეს. აი, ასეთია ცხოვრება.

ოღონდ, ეგ არის, ასეთი გადასახლება მხოლოდ საქართველოში მოხდა. ნახევარი უკრაინა ტყვედ იყო ნამყოფი, მაგრამ იქ არავის შეხებიან. კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი – იმ საშინელებას გადარჩენილი ბავშვები, ყველანი კარგი ადამიანები დადგნენ. გამახსენდება ეს ყველაფერი და სან მეცინება, სან ვტირი – ღმერთო, ამდენი ტანჯვა რატომ, რისთვის?



## ბარამ ბარამიძე

1936. 29. 10 – დაიბადა თბილისში.

1961 – დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია.

1951-1953 – იმყოფებოდა გადასახლებაში ყაზახეთში.

1959-1964 – თბილისის პირველ საშუალო სკოლასთან არსებული სამუსიკო ათანალების თეორიული განყოფილების მასწავლებელი.

1960 – საქართველოს კულტურის სამინისტროს ხმის ჩამწერი სტუდიის ხმის ოპერატორი.

1963-1970 – განათლების სამინისტროს ბავშვთა მსატვრული აღზრდის სახლის დირექტორის მოადგილე. იმავდროულად, თბილისის განათლების განყოფილების საქალაქო მეთოდკაბინეტის მეთოდისტი მუსიკალური აღზრდის დარგში.

1969-1970 – საქართველოს განათლების მინისტრის თანაშემწე.

1970 – 1978 კონსერვატორიის ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის მასწავლებელი.

1971-1977 – №11 სამუსიკო სკოლის დირექტორი.

1977-1991 – თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი.

1991-1993 – საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის გენერალური დირექტორი.

1993-2001 – თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი.

1986. 30. 09. – დაჯილდოვდა „საპატიონ ნიშნის“ ორდენით.

2002 – დღემდე – საქართველოს „შ. პ. ს. მუსიკალური ფონდის“ გენერალური დირექტორი.

## ქართული სული ყაზახეთის უდაბნოში

მამიდაშვილმა რადიო-რეპროდუქტორი მაჩუქა, მეტად სასურველი ნივთი და „ჩემს ოთახში“ მისი ახმოვანების დაუ-ოკებელი სურვილით შეპყრობილმა, ძნელად საშოვნი რა-დიოსტვის კორიდორის მხრიდან მავთულით გავიყვანე ხაზი. მეზობელმა მითხრა: – შვილი, უნებართვოდ მაგის გაკეთება არ შეიძლებაო. ნათქვამმა უსიამოვნოდ გამკრა გულში, მა-გრამ მშობლებს არ გავუმხილე და გავაგრძელე უნებართვო ხაზით სარგებლობა.

ღრმა ძილში მყოფს, დედაჩემის ჩაძახილი ჩამესმა: – ბა-რამ, ადექი, აქეთ გამოდი, მილიციაა მოსული, მგონი მამა-შენი ისევ მიჰყავთ! ბებიაჩემი, „ბებე“, ვის ოთახშიც მეძინა, უკვე გასულიყო იქით ოთახში.

– არა, დედა, მამაჩემთან კი არა, ალბათ ჩემთან მოვიდ-ნენ, რადიოს ხაზი მაქვს უკანონოდ გამოყვანილი, ვუპასუხე. დედას მწარედ ჩაეცინა.

გავედი. მაგიდასთან რუსი მაღალჩინოსანი მამას, ალე-ქსანდრეს, ბებეს და დედაჩემს, ლუბა სოხაძე-ბარამიძეს ელა-ბარაკება და რაღაცას უკითხავს. მეც მაგიდასთან დამსვეს. კართან და კარს მიღმა მილიციელები დგანან.

განჩინება წაგვიკითხეს და გვამცნეს, რომ თბილისიდან გვასახლებდნენ და 2-3 საათი გვეძლეოდა მოსამზადებლად.

ბებემ კარგად ვერ გააცნობიერა სიტუაციის არსი და ეს ამბავი მამაჩემის კვლავ ოჯახიდან მოკვეთად აღიქვა, შოკში ჩავარდა და ისტერიაში მყოფის საშინელმა მოთქმამ ეზოს მაცხოვრებლები გააღვიძა, მაგრამ დაცვამ მათ მოახლოებაც კი აუკრძალა, დახმარების საშუალება არ მისცა.

მამაჩემი ტყვეობიდან და გულაგიდან მძიმე დიაბეტით დაავადებული დაბრუნდა. მის თავს დატრიალებულმა ახა-ლი „წისქვილის ქვაზ“ იგი კომაში ჩააგდო. მე მასსა და ბებეს შორის დავრბოდი დასამშვიდებლად და საშველად, რაც გა-მომივიდა კიდეც. რომ იტყვიან, უფალი ჩვენკენ იყო.

მამაჩემი საწოლამდე მივაცილე და დავაწვინე, ბებეს კი, როგორლაც ჩავაგონე, რომ ყველანი ერთად მივყავდით, რა-მაც გამოაფხიზლა და გაამაგრა.

— შვილო, უთხარი გორში გაგვასახლონ, იქ ნათესავები გვყვანან, მეუბნება.

ნათქვამზე დედაჩემსაც კი მწარედ გაეღიმა. ის მარტო უძლვებოდა ჩვენი ალაგება-ჩალაგების უმძიმეს ოპერაციას. თავად ინვალიდი (ცალი მკერდი მოკვეთილი ჰქონდა), სა-სონარკვეთილი, მაგრამ მხნედ შეებრძოლა თავს დატეხილ უბედურებას. მეც თავი ხელში ავიყვანე და გვერდში ამოვუ-დექი. თანდათან მამაჩემიც გონს მოეგო.

„სამხრეთ ყაზახეთში ხართ გადასახლებული. მიზეზსა და თქვენი ცხოვრების შემდგომ ბედს ადგილზე გაიგებთ“ — ეს იყო და ეს, მეტი არაფერი უთქვამთ.

ქუჩაში ე. წ. „პალტარატანკა“ გველოდა. ხალიჩასა და ფარდაგში შეხვეული ტანსაცმლითა და ლოგინით, დიდ, ღრმა ვარცლებში და თანგირა ქვაბებში ჩალაგებული ჯამ-ჭურჭლითა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მურაბის ქილებითაც კი ავლაგდით მანქანის ძარაზე.

„ვინ მისცა ადამიანს უფლება, თუნდაც ერთი ადამიანი ასე დატანჯოს“, წამოსცდა მამაჩემს და ცრემლი წამოუკიდა...

დღესაც არ მტოვებს ეს სიტყვები, მაგრამ მე მაინც დე-დას მივჩერებოდი, ვინც იმ მომენტში გასაოცარ მხნეობასა და გადარჩენის იმედს მინერგავდა.

გეზი „ნავთლულის“ სადგურისკენ ავიღეთ. 1951 წლის 26 დეკემბრის 4-5 საათი იქნებოდა.

სადგურს მიახლოებულებმა მანქანების ინტენსიური მოძრაობა შევნიშნეთ, რომელიც თანდათან ორგანიზებულ მოძრაობაში გადაიზარდა და კოლონად იქცა.

„მგონი მთელ საქართველოს ასახლებენ!“ — შეძრნუნე-ბულმა გამოსცრა დედამ, — „მარტონი არ ვყოფილვართ“!

მანქანები თანდათან პარალელურად გაჰყვნენ რკინიგ-ზის ლიანდაგს, რომელზეც, ე. წ. „პულმარის“ ვაგონების ასევე თვალუნ ვდენელი ეშელონი იდგა.

ვაგონები ორგვარი იყო. ერთი დიდი – შუა კარითა და ორი უზარმაზარი „ჯიბით“, – თითოეულში ჩუგუნის ღუმელით. მეორე – მცირე კარით, ღუმელითა და ერთი ასეთივე „ჯიბით“.

ჩვენ დიდ ვაგონში აღმოვჩნდით. თვითეულ მათგანს წინა და უკანა „ტაბბურში“ შეიარაღებული ჯარისკაცი იცავდა. „ჯიბები“ საძინებელი ნარებით იყო განყობილი, სამიარუსად.

ვაგონები თანდათან ივსებოდა, და შუადღისთვის, ჩვენს დიდ ვაგონში ორმოციოდე მგზავრი აღმოვჩნდით.

როგორც გვითხრეს, მგზავრობა ხანგრძლივი იქნებოდა და ამიტომ საკუთარი ლოგინები უნდა მოგვემზადებინა. ერთობლივ სამზადისასა და ფაცი-ფუცში ურთიერთგაცნობის უცილობობის პროცესიც თავისთავად იკვლევდა გზას.

„ბიჭებმა“ მესამე სართულის „ნარები“ დავიკავეთ და მაშინვე ძმები გავხდით – ბარამი, თენგიზ ყანჩელი, ტარიელ ძნელაძე, გურამ თედიაშვილი, გუქა და გიკა გორგილაძეები მშობლებთან განთავსდნენ.

ვაგონს თაყაიშვილების ოჯახი მოადგა: ბ-ნი საშა და ქ-ნი ნორა, რომელსაც 8 თვის მომხიბლავი ბავშვი ჰყავდა ატატებული. ამოსულებს პატარა დათუნა ბიჭებმა ჩამოვართვით და მთელი გზა იგი ჩვენს უსაყვარლეს თანამგზავრად იქცა.

ვაგონში ამოსულთა შორის იყო ბ-ნი სერგო (გვარი ალარ მახსოვს) ვაჟთან ერთად. როგორც უფროსებთან საუბრისას შევიტყვეთ, მეუღლე გარდაცვლილი ჰყავდა, უმცროსი, მცირენლოვანი ვაჟი კი გამოსახლების პროცესში ტუალეტის ფანჯრიდან გადამხტარა და გაქცეულა. მამა ძალიან იყო შეწუხებული, მაგრამ იმ იმედით, რომ რომელიმე ნათესავს შეაფარებდა თავს, გულს იმაგრებდა.

ამოიყვანეს სედრაკ დარბინიანის ოჯახი, მათ შორის საკაცით, ღრმა მოხუცებული მისი მამა: „ვეხვეწე, ჩემ დასთან დავტოვოთ, აქვე ცხოვრობს-მეთქი, მაგრამ არ დამანებეს“, – ამბობს სედრაკი. 5-6 დღის მგზავრობის შემდეგ მოხუცი გარდაიცვალა და იძულებული გავხდით, ტრამალების მიწას მიგვებარებინა.

ჩვენი ეშელონი სამოცამდე ვაგონს ითვლიდა. პარალელურად, ასეთივე მეორე მწკრივი ჩვენგან დამოუკიდებლად, პირშექცევით ჩამომდგარიყო.

შუადღიდან სადგურის შემოგარენი გადასახლებულთა ახლობელ-ნათესავებით გაივსო, რომლებმაც მომხდარის შესახებ არაფერი იცოდნენ და ორივე მხრიდან გულგამგმირავი წივილ-კივილი, ყიჟინი და ტირილი ისმოდა. ერთმანეთთან ახლოს არავის უშვებდნენ. უსასოოდ ვიდექით ფართოდ გახსნილ კარებში.

„ნახეთ, ნახეთ, ვიდაც „კაგებეშნიკები მოვიდნენ“, ეშელონიდან მოშორებით, მაღალ პლატფორმაზე ორი ნაცრისფერი „პობედა“ შემოვიდა. ორი რუხშინელიანი, მაღალი, რუხი კრაველის ფაფახებით, გენერლის „ლამპარებითა“ და „პაგონებით“ დამშვენებული ზორბა პიროვნება გადმოვიდა.

„ეს ხომ კაგებეს უფროსი რუხაძე!“ – იცნეს ჩვენიანებმა. „კი, კი – მეორე გოგლიძეა, მისი მოადგილე!“

ეს ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს ეშელონში. აქ კი პირველობა ქალებმა იტვირთეს – საშინელი წყევლა-კრულვის ქარიშხალი დაატყდათ თავს მობრძანებულებს.

მათ მანქანიდან გადმოსვეს 8-9 წლის პატარა ბიჭი და სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას. ბიჭს ჩვენი ვაგონისკენ მოაცილებდნენ. აქ კი ბატონი სერგოს გმინვამ და შეძილებმა გამოვაფხიზლა. მას გაქცეული უმცროსი ვაჟი დაუბრუნეს. მთელი დღე უძებნიათ ნათესავებში და ბრძანება აღუსრულებიათ!

შებინდებისას, 6-7 საათზე, საშინელი, მტანჯველი მოთქმა-ვაების ფონზე, ჩვენი ეშელონი დაიძრა. არ ვიცი, რა პერიოდის შემდეგ, მეორეც მოგვყვა.

სამარისებური დუმილი ჩამოვარდა ბორბლების ბაგაბუგისა და რახრახის ფონზე, სამშობლოს ვტოვებდით!

## საახალწლო ნობათი

მეორე დღეს აღვიქვით ჩვენი გაჭირვება და შავბედითობა. ხალხი შეძრნუნდა – ტუალეტი არსად იყო. გაოგნებული ხალხი გამოსავალს ვერსაით პოულობდა. აღარც მახსოვს, როგორ ვუმკლავდებოდით ყოველივეს, რადგან ეშელონი მხოლოდ 6-7 საათში ერთხელ ჩერდებოდა საკვების მისაღებად და „სხვა საქმეთა“ მოსაწესრიგებლად.

მახსოვს უფროსი თაობის მამაკაცთა თათბირი, რომელზეც გადაწყდა, შუა ვაგონის ერთ კუთხეში საჭირო ხვრელი იატაკში ამოეჭრათ, რომლის სისქეც 15-20 სმ აღმოჩნდა. შიშნაჭამბა ხალხმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება. სამუშაოს შესრულება მხოლოდ მატარებლის მსვლელობისას იყო შესაძლებელი, გამყოლებს კაკუნი რომ არ გაეგოთ. საჭრისები და ჩაქუჩი მოიძიეს და საქმეს შეუდგნენ.

საოცარი იყო ხვრელის გახსნით გამოწვეული აღფრთოვანებული შეძახილები. სივრცე ფარდებით შემოიფარგლა. გვეშველა! მშრომელთა „გამარჯვება“ „მაღარიჩით“ აღინიშნა. იუმორი და სიცოცხლისკენ სწრაფვა თავისას არ იშლიდა. ახალი წელი ახლოვდებოდა. ისეთი იშვიათი ნობათი მივიღეთ, უკეთესს კაცი ვერც ინატრებდა.

## ვერა გაბლიანი!

ვაგონის ბინადართა ვინაობა რომ გაირკვა და გადასახლების მიზეზების დადგენას ვლამობდით, აღმოჩნდა, რომ ძირითადად ორი მიზეზით ვისჯებოდით. ეს იყო გერმანელებთან ტყვედ ყოფნა, რაც ქერჩის ბლოკადით იყო გამოწვეული, და ახლობელთა ემიგრაცია, – 1926 წლიდან მათი უცხოეთში ცხოვრება. ყოველივე დიდებულად აქვს აღწერილი ბატონ ნიკოლოზ ჩხატარაიშვილს თავის წიგნში – „ერთი კაცის ნაამბობი“. მის მიერ ხაზგასმული მომენტები კიდევ უფრო მძიმე და შემაშფოთებელია, რადგან ოჯახი: მეუღლე, დედა, შვილი – მისი ერევანში, სიმპოზიუმზე ყოფნისას

წაიყვანეს და ამის გამო „ჩამორჩენილთა“ შორის მოუხდა მგზავრობა, თანაც თითქმის თვეობით ეძებდა მათ. მგზავრობისა და ადგილზე დამკვიდრების პერიპეტიები კი ჩვენი თავგადასავლის თითქმის იდენტურია.

თენგიზ ყანჩელისა და ვანიკო ვარაზაშვილის ოჯახებიც უკვე კარგა ხნის ემიგრირებული, თითქმის დავიწყებული ბაბუების გამო გადასახლეს. ბ-ნი საშა თაყაიშვილი საბჭოთა პროპაგანდის „წყალობით“ დაბრუნდა ნანატრ სამშობლოში და ა. შ.

ამის გამგონე დედაჩემს ახალი განსაცდელი დაემატა. დეიდაჩემი – ანიკო სოხაძე, ლეჩებუმის თავადების, ასათიანი სოფ. „დერჩის“ თავადი იყო და, როდესაც მის ბიძაშვილებსა და ახლობლებს იქერდნენ და ხვრეტდნენ, მან გაქცევით უშველა თავს. თურქეთიდან ვიზები გამოგზავნა ბათუმში მცხოვრები დედ-მამისა, მეუღლისა და ახლად დაბადებული ვაჟისთვის, თეიმურაზი-დათუნასთვის, მაგრამ მათ გაღრიცევა ვეღარ მოასწრეს, საზღვარი ჩაიკეტა და მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ შეიტყვეს მისი ამბავი – პარიზში მცხოვრები ბიზნესმენი აღმოჩნდა. მოგვიანებით ამანათებსაც აგზავნიდა. პარიზში ჩასულმა ჩემმა 40 წლის დეიდაშვილმა, პირველად ნახა მამამისი.

ეშელონის ერთ-ერთი ხანგრძლივი შეჩერებისას, დედამ მთხოვა, სამზარეულო ვაგონისკენ წასულს, ყურადღებით მეთვალიერებინა ვაგონები: – „დეიდაშენი და დათუნა ნამდვილად აქ არიან“ – მითხრა. სადილის მისალებად, ვეღროებით „ხელებდამშვენებული“ გავეშურე და გაფაციცებით დავიწყე ვაგონებში მსხდომთა თვალიერება. ამ საქმეში გართული, უცებ ერთბაშად გავშეშდი – მცირე ვაგონის ღუმელთან, შავებში ჩაცმული, ლენინის ორდენით მკერდამშვენებული იჯდა იმპოზანტური ქალბატონი, ჩემი მასწავლებელი, ვაჟთა მე-2 სკოლის პედაგოგი დეიდა ვერა (ასე ვეძახდით) გაბლიანი. მანაც გაოგნებულმა შემომხედა – „დედა, შვილო, ბარამ, შენც აქა სარ?“ – და სიმწრისა და სიხარულის ტირილი აუვარდა.

ის მარტოხელა იყო.

ქ-ნი ვერა ცნობილი მოღვაწის, „სვანეთის განმანათლებლად წოდებულ“ ეგნატე გაბლიანის მეუღლე იყო! ბოლშევიკებმა მის ქმარსაც ბოლო მოუღეს, დახვრიტეს. დარჩა ორი შვილი: გივი და ეთერი. ეთერი სამედიცინო ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტი დასწეულდა და გარდაიცვალა. გივი – არაჩვეულებრივი გარეგნობის ახალგაზრდა, რომელსაც ფილმში ტარიელის როლისთვის ამზადებდა რეჟისორი პი-ნინაშვილი, როგორც კი ჯარში გაიწვიეს, გერმანელების მხარეს გადავიდა და წითელი არმიის წინააღმდეგ იბრძოდა. შემდეგ იგი „ნატოს“ წარმატებული გენერალი გახდა და პარიზიდან აშშ-ში გადავიდა. ჩემი მეგობარი, სუხიშვილების მოცეკვავე მიყვებოდა, პარიზში სუხიშვილების გასტროლის დროს მათ მიანიშნეს, რომ კონცერტს გაბლიანი ესწრებოდა ოჯახით. ყველას შეუნიშნავს, ცრემლებს როგორ იწმენდდა. ოჯახს ადრე დაუტოვებია ლოჟა.

საბჭოთა ორგანოებს მისი „დათრევის“ დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ ფეხი არ მოიცვალა. ქალბატონი ვერა რამდენჯერმე გამოიყვანეს რადიოში მოწოდებით, სამშობლოში დაბრუნებულიყო. რომ იგი დამსახურებული მასწავლებლის ტიტულსა და ლენინის ორდენსაც კი ფლობს, მაგრამ დედის მოწოდების მიუხედავად, ცდუნებას არ აჰყვა!

წარმოუდგენელია, მაგრამ ქალბატონი ვერა გადასახლებით ბედნიერი იყო, რადგან ეს ფაქტი აშკარად მიანიშნებდა, მისი შვილი ცოცხალი იყო, რაშიც მანმადე ეჭვი ეპარებოდა.

## ახალი სამყარო

14 დღის მგზავრობის შემდეგ, ღამე ეშელონი რაღაც საეჭვოდ, დიდი ხნით გაჩერდა. მართლაც, „ჩამოვედით“! – შემოგვძახეს დილაადრიან. ხალხი წამოცვივდა. ეჩქარებოდათ დაენახათ, როგორ ქალაქში იცხოვრებდნენ, და უცებყველანი ერთბაშად გავშეშდით.. ეშელონი ტრიალ უდაბნო-

ში იდგა – მის გასწვრივ ძველი ნაცნობი „პალტარატანკე-ბის“ გრძელი მწკრივი განლაგებულიყო.

დაიწყო გადაბარგება. დავიძარით. გადის საათები. გავიარეთ ერთმანეთისგან დიდ მანძილებზე დაშორებული პატარ-პატარა დასახლებული პუნქტები. აი, ალბათ ეს არის. – არა. უცებ, შორს, რაღაც დიდი ნაგებობები გამოჩნდა – ალბათ ეს! – ქალაქია?! მიახლოებისას ჩვენ თვალწინ რაღაც გაუგებარი, 3-4 სართულიანი სახლის სიდიდის უგვანო წარმონაქმნები იდგა. ვაგონი არ გაჩერებულა – თურმე ბამბის მწარმოებელ რაიონში შევსულვართ და ეს „ნაგებობები“ ბამბის ჩამბარებელი პუნქტის ერთ-ერთი „ლირსშესანიშნაობა“ ყოფილა.

უკვე დაღამებული იყო, როდესაც რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან, ერთ-ერთის პატარა სახლთან შეგვაჩერეს. სამხრეთ ყაზახეთის, ქ. ჩიმკენტის ოლქის, ყიზილყუმის რაიონის, სოფელ „ალგაბასის“ ერთ-ერთი მაცხოვრებლის, ყაზახების ოჯახში შეგვასახლეს.

სკოლის რუსულ სექტორზე სწავლა თავიდან, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა, განსაკუთრებით მათემატიკა-ბიოლოგიასა და ქიმიაში, თუმც კლასი, რომელშიც რუსები, ბერძნები და მოგვიანებით ჩამოსახლებული ბელარუსები სწავლობდნენ, მოკლე ხანში მეგობრობისა და თანადგომის საწინდრად იქცა.

თენგიზ ყანჩელი ბებიასთან და დედასთან, ჩინებულ, მოხდენილ ქალბატონ ნატა ულენტთან ერთად სკოლის მხარეს, ჩიხიდან ჩვენს მოპირდაპირედ ცხოვრობდნენ, წყალმეურნეობის კანტორის ერთ ოთახში. მათი ხშირი სტუმარი ვიყავი, რადგან გარდა მეგობრობისა, მათი პატეფონიც მიზიდავდა, რომელიც ფირფიტების საკმაო რაოდენობით იყო აღჭურვილი. მათი ხშირი სტუმრები იყვნენ ქ-ნი ვარია და მისი მშვენიერი ქალიშვილი, ციალა კანდელაკი, სამხატვრო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი, შემდგომში პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხატვის კაბინეტის გამგე. მას ჩვენ ორივე ძმურ სიყვარულს არ ვაკლებდით. თუმც ჩვენი გამაერთიანებელი მაინც „პატეფონი“ იყო. სამივენი

აღფრთოვანებით ვუსმენდით შალიაპინს, განსაკუთრებით აღგვაფრთოვანებდა დონ ბაზილიოს („სეველიელი დალაქი“), ფარლაფის (გლინკას „რუსლან და ლუდმილა“), რუსული ხალხური „ეყ, უხნემ“ და სხვათა არიები და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ფრაზების გამეორებაში. ახლო-მახლო ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო, თორებ ალბათ დიდხანს ვერ გავიძლებდნენ!

ჩვენგან მოშორებით ჯავახიშვილები ჩაასახლეს. დედმამასთან ერთად ცხოვრობდნენ უფროსი ძმა იასონი და უმცროსი ავთო. შემდგომში მე და ავთო კონსერვატორიაში შევხვდით ერთმანეთს. იგი ვოკალურ ფაკულტეტზე ეუფლებოდა საოპერო ხელოვნებას. ჩინებული ბარიტონი მსოფლიო ვარსკლავის, თამარ ივერის (ჯავახიშვილის) მამა, ჯერ კი-დევ კარგ ვოკალურ ფორმაში იყო, როდესაც დაიღუპა.

ავთო მაშინვე გამოირჩეოდა საოცარი იუმორით და, რომ იტყვიან – ის იყო და მთელი კლასი! მახსოვს კონსერვატორიაში ყაზახეთის ეპოპეის ერთი ეპიზოდი მიამბო თავის სტილში.

მონაყოლს ვიდრე გადმოგცემთ, გეტყვით, რომ მრავალ პრობლემასთან ერთად, წყლით მომარაგება მაინც რაღაც გამორჩევით მძიმე იყო, განსაკუთრებით გვიან შემოდგომაზე, როდესაც ბამბის პლანტაციებს ახალი მოსავლისთვის ამზადებდნენ. პირველი რიგის ამოცანას **5-6** მეტრის სიგანისა და **3** მეტრი სიმაღლის არხის გაწმენდა წარმოადგენდა. ზაფხულის განმავლობაში მდინარე სირ-დარია წყალთან ერთად მოტანილი შლამით იგსებოდა და მის გაბარიტებს **3-4**, ხან **2** მ-ით ამცირებდა. გარკვეულ ადგილას, ჩვენი დასახლებიდან **2-3** კილომეტრზე, წყალსაგუბი კეთდებოდა, საიდანაც **2-3** თვე ახლო სოფლები წყლით მარაგდებოდა. შეივსებოდა თუ არა საგუბარი, არხი იკეტებოდა და მთელი მოსახლეობა ლამის წყლის ამოღებით იყო დაკავებული.

ბიჭები ვგროვდებოდით და არხის განიერი ჯებირების გასწვრივ, ვედროებით ხელში, დღეში ერთ-ორჯერ მივემართებოდით საგუბრისკენ. ჯებირები ჩვენნაირი „წყლის-მაძიებლებით“ იყო დატვირთული და ხუმრობით მას რუს-

თაველის პროსპექტს ვეძახდით. გვიჭირდა მძიმე ტვირთით დაბრუნება, მაგრამ სვენებ-სვენებით, ხუმრობა-ცელქობით იოლად ვძლევდით გზას.

ჰოდა, ავთო ჯავახიშვილს იდეა გასჩენია, გრძელი და მძიმე გზა „ტრანსპორტით“ გადაელახა. სახლთან ახლოს ვირი შეუნიშნავს, შემომჯდარა ორი ჭურჭლით და საგუბრისკენ დაძრულა. ადგილზე მისულს, დახმარება რომ უთხოვია, სახედარზე მჯდომარისთვის სავსე ვედროები მიუწოდებიათ და შინისკენ გამოუსტუმრებიათ. შემდეგ ის მომხდარა, რასაც არ ელოდა (მოყოლისას მისი სახე უნდა გენახათ. ეს ნამდვილი მინი-სპექტაკლი იყო):

„სახლამდე კარგა მანძილი იყო დარჩენილი, რომ უკვე ხელებს ვეღარ ვგრძნობდი. არხს დაშორებული ვიყავი და ირგვლივ ალარავინ ჩანდა! ოჯახს უწყლოდ ხომ ვერ დავტოვებდი. ბოლო ძალებს ვიკრებდი, უიმედოდ ვყვიროდი, თუმცა ვიცოდი, სახლში არავინ იყო. ვირი ამაღლებულ ადგილამდე მივაგდე და გადმოსასვლელად მოვემზადე, ფეხი მიწამდე არ მწვდებოდა, ცალი დატვირთული ხელი ზევით ავწიე და ფერდისკენ გადმოხრა დავიწყე. ის იყო მიწას შევეხე, რომ ამოვტრიალდი, ორივე ვედრო თავზე დამესხა და ლაფში ალმოვჩნდი. ტირილი სიმწრის სიცილში გადამივიდა. იასონი გამობოდა ჩემკენ შეშინებული, – ხომ არ გაგიუდაო. ნანახმა ყოველივე ნათლად აჩვენა, გვერდით დამიჯდა და მართლაც რომ, გიუჟებივით ვიცინოდით!

ტარიელ ძნელაძე „ალგაბასიდან“ „ვინსოვხოზში“ გადავიდა საცხოვრებლად. მშობლები: ბატონი ვასო და დეიდა მარო, მეც შვილივით მიღებდნენ სტუმრად მისულს. ჩვენს ფოსტაში თბილისიდან გამოგზავნილი ამანათების მიღება, ძალზე ძვირი სიამოვნება ალმოჩნდა, რადგან მათ თვითმფრინავით ღებულობდნენ. „ვინსოვხოზში“ კი – რკინიგზით. ყოველივე მოწესრიგდა. როგორც კი 2-3 ამანათი მოვიდოდა, შეგვატყობინებდნენ და მეც სიხარულით, ველოსიპედზე ამხედრებული გავემართებოდი ჩემი მეგობრისკენ.

ძნელაძეები უზარმაზარ „ბარაკში“ ცხოვრობდნენ, რომელიც დაახლოებით 50 მ სიგრძის იყო, შუაში ერთი დიდი

კარით. ბარაკის მარჯვენა მხარეს მათ თითქმის ბოლო, მოზრდილი ოთახი ეკავათ. სიამოვნებას მგვრიდა ისიც, რომ აქ ყოველ დღე, საღამოს კინოსეანსი იმართებოდა. მე და ტარიელს იატაკზე გაგვიშლიდნენ ხოლმე ლოგინს და ჩვენც ტკბილად გვეძინა. დილით ადრე კი, ამანათებითურთ სახლისაკენ, სკოლაში წასასვლელად გავეშურებოდით.

ერთ-ერთი ასეთი ვოიაჟის დროს, დილის 7 საათი იქნებოდა, დეიდა მარომ რომ გამაღვიძა. – ადექი, შვილო, არ დაგაგვიანდესო, მითხვა. ამანათები ველოსიპედს დავაკარი და ქ-ნი მაროც გამომყვა გასაცილებლად. უცებ ტირილისა და გოდების ხმა შემოგვესმა. კორიდორს გავხედეთ და ერთ კართან შეკრებილი ხალხი შევნიშნეთ.

„ალბათ ვიღაც ჩვენიანი გარდაიცვალა!“ – შეშფოთებულმა ამოთქვა დეიდა მარომ. მართალიც აღმოჩნდა, თურმე სტალინი გარდაცვლილა.

თავზარდაცემული გავვარდი ჩემიანებისკენ. ქვეყანა თავზე გვექცევა, აღელვებული და შეშინებული იქნებიან, ვფიქრობ ჩემთვის. თუმც ჯერ ისევ ძილში იყვნენ, თავს რომ დავადექი. „საშინელი ამბავი“ მათ მშვიდად მიიღეს, რამაც გამაოცა. მერე კი მეც დავწყნარდი.

სამაგიეროდ, სკოლა დამხვდა აფორიაქებული. სწავლა შეწყდა და ყველანი სამგლოვირო მიტინგზე გვიხმეს. ჩვენც ვიგლოვეთ, სხვა რა ჩარა იყო!

მახსოვს, ეშელონში მგზავრობისას ხმა დაირხა, თუ დაბრუნება გინდათ, მოსკოვში წერილები უნდა მივწეროთ, ჩვენი უბედურება ვამცნოთ, მხოლოდ სტალინის სახელზე უნდა დაიწეროს, მან ჩვენ შესახებ არაფერი იცისო! – ამ საქმით მხოლოდ ფოსტამ მიიღო დიდი მოგებდა. თუმც სხვაგვარადაც შეიძლება ვიმსჯელოთ!

ქვეყანა კი გაზაფხულის მოსასვლელად ემზადებოდა!

## განთავისუფლება

ყოველ შაბათ-კვირას მოუთმენლად ველოდით. ყიზილ-ყუმის ბაზრობა მთელ ჩიმკენტის ოლქში ცნობილი იყო თავისი სიდიდითა და მრავალფეროვნებით. იგი ჩვენი საცხოვრისიდან 2-3 კილომეტრში იმართებოდა და მას მოსახლეობის დიდი ნაწილი ამარაგებდა. სწორედ აქ იკრიბებოდა გადასახლებულთა უმეტესობა სავაჭროდ და სალაყბოდ. ეს იყო ერთმანეთთან შეხვედრის, მოკითხვისა და ახალი ამბების გაგების ცენტრი. აქ აღვიძებით აღმოსავლური ბაზარი მთელი თავისი ეშხით – აღმოსავლური ნუგბარით, საზამთროსა და ნესვის ჩვენთვის უცნობი ჯიშების მიწაზე გაშლილი ტევრებით, უგემრიელესი ბოსტნეულითა და ნაირნაირი ხორცეულით, რომელთა შორის საუკეთესოდ აქლემის ხორცი, შემდეგ ცხვარი, ცხენი და ბოლოს ჩვენებური საქონლის ხორცი ითვლებოდა.

ბაზარი იქ მოსულებს იმითაც იზიდავდა, რომ შაბათ საღამოს კინო-ჩვენება იმართებოდა, რომელსაც, მიუხედავად პირველყოფილი დონის ტექნიკის და დარბაზის არარსებობისა, მას „კინოპანორამას“ ვეძახდი. კინოსეანსებიდან უმთავრესი მიზიდულობის ძალა, რასაკვირველია, კინოფილმ „ტარზანს“, შემდეგ კი „ავარას“ ჰქონდა. პანორამისთვის კი „უკუღმა“, ეკრანის მხრიდან უნდა გეცქირა. ეს იყო მრავალფეროვანი, იარუსებად განლაგებული მაყურებელი – პირველ რიგში, მიწაზე, ფეხითა და ველოსიპედით მისულები ვისხედით, მეორე რიგში, მცირე რაოდენობის, ფიცრის ძელსკამებზე, უფროსი თაობა, მესამე – ფეხზე მდგომნი, მეოთხე – ვირებზე მსხდომნი, მეხუთე – ცხენებზე, მეექვსე რიგში კი აქლემებზე მოკალათებული ოჯახები იყვნენ.

ეს იყო განუმეორებელი, დაუვიწყარი სანახობა.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ სწორედ ბაზარში, ჯერ ჩურჩულით, შემდეგ კი მოურიდებლად დაირხა ხმა რეპრესირებულთა ამნისტიის შესახებ. ყოველ შემდგომ შაბათს კი უკვე ღიად, ხმამაღლა მიმდინარეობდა თბილისიდან მიღებული ოპტიმისტური ცნობების ირგვლივ მსჯელობა.

მაისის თვეში ამ ყველაფერმა უკვე ოფიციალური ხასიათი მიიღო. დასაბრუნებლად ვემზადებოდი. თუმც მალე, ეიფორია თანდათან მინავლდა. აღნიშნული პერიოდი მძიმე და მტკივნეული აღმოჩნდა. განთავისუფლების დოკუმენტების მიღებას ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა. პროცესი არ ითვალისწინებდა გამოსახლების მსგავს, ერთიან, ორგანიზებულ ქმედებებს. თითოეულ ჩვენგანში შიშისა და ეჭვის საშინელი განცდა ჩაისახა – ვაითუ, მე არა! ამ ყველაფერმა ბევრი ჩვენიანი იმსხვერპლა კიდეც.

ჩვენ გადავრჩით. ერთ-ერთი პირველები ვტოვებდით ყაზახეთს. კვლავ მანქანაზე აპარგებულებს, არ დამავიწყდება უნებლიერ თვალმოკრული, თენგიზის სასოწარკვეთით სავსე მზერა, როდესაც გზიდან შორიახლოს მდგომნი ხელის ქნევით გვემშვიდობებოდნენ. თენგიზი ალარ არის. ეს მზერა კი ძილში ხშირად მესტუმრება ხოლმე!

თითქმის იგივე, იმავე ხანგრძლივობის გზა გამოვიარეთ. ჩემი დეიდაშვილი და მამიდაშვილი დაგვხვდნენ. მანქანაში შემოგვისხდნენ და ასე ხვევნა-კოცნით მიგვაცილეს ძერუინსკის ქ. №14-ში, სადაც ასეთივე განცდები გველოდა. ოთახი მეზობლებით გაივსო, მაგრამ ყველა ფეხზე ვიდექით, სკამი არ იყო! როდესაც ოთახს ლუქი ახსნეს და კარი გაიღო, ცარიელ, შიშველ კედლებში აღმოვჩნდით. ჩვენს დარჩენილ ქონებას რეაბილიტაცია არ შეეხო. მეზობლები დატრიალდნენ – ზოგს სკამი, ზოგს მატრასი, ზოგს რა და, ზოგს რა შემოჰქონდა.

ჩვენს ბინაში გვარად შკოლნიკების სანდომიანი ოჯახი ცხვორობდა. ჩვენი დაბრუნების საკითხი რომ გადაწყდა, მათ იქვე ახლოს, №22 სახლში, მეორე სართულზე მისცეს 50 კვ. მ. ოთახი. ჩვენ სანახავად და გასაცნობად რომ მოვიდნენ, გვითხრეს: „ვეხვეწეთ, ჩვენ აქ დავრჩებით, ისინი იქ უკეთ იქნებიანო, მაგრამ არ დაგვთანხმდნენ“. მართლაც, დერუინსკის ქუჩაზე მდებარე №22 ბინა ჩვენსას ბევრად სჯობდა და სიამოვნებით გადავიდოდით, მაგრამ რაც დავტოვეთ, ის უნდა დაებრუნებინათ, თუნდაც ნახევარსარდაფი ყოფილიყო. კეთილმა შკოლნიკებმა ჩვენი სამზარეულოს ღრმა ნიშა

ჩვენი ნარჩენი ნივთებით სავსე დაგვახვედრეს. ძირითადად წიგნები, ალბომები, წვრილმანი, იმ მომენტისათვის საჭირო ნივთები. მადლობა მათ ყველაფრისთვის!

1953 წლის ივლისი იყო. დაბრუნების სიხარული კვლავ სევდამ შეცვალა. ნატო ვაჩინაძე დაიღუპა. მაშინვე ჩემი საბავშვო ბალელი მეგობრის, გიორგი შენგელაიას გვერდით დავდექი, ჩვენი ქუჩის პარალელური, ცხაკაიას ქუჩის, ჩემთვის მეტად ძვირფას ბინაში და დიდუბის პანთეონამდე მივაცილეთ ჩვენი გიორგის დედა. ასე გავიზიარეთ მის თავს დატეხილი უბედურება.

სექტემბერში კი კლასელებთან შეხვედრის აპოთეოზით დაიწყო ჩემი თბილისური, მომავალი ცხოვრების იმედებითა და სიხარულით აღსავსე გზა!





### **გულნაზი (გუქა) გორგილაძე**

1935. 03. 11 – დაიბადა თბილისში.

1942 – შევიდა თბილისის მე-5 ქალთა სკოლაში.

1951. 12. 25 – ოჯახთან ერთად გადაასახლეს ყაზახეთში, ყიზილყუმის უდაბნოში.

1954 – დაპრუნდა თბილისში.

1955 – ჩააბარა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1960-1996 – მუშაობდა თბილისის საპროექტო ინსტიტუტში „თბილ-ქალაქიართეტში“.

ამჟამად პენსიონერია.

## რაც არასოდეს დამავიწყდება

1951 წლის 25 დეკემბერს, შობის დღეს, გამთენისას გაისმა ბრახუნი კარებსა და ფანჯრებზე. სახლში ვიყავით ბეპია, დეიდა, დედა, ჩემი ძმა და მე. ძალიან შეგვეშინდა. დეიდამ არ გაუღო კარი. ცოტა ხანში უკანა კარიდან მეზობელთან, სევერიანე ჭიპაშვილთან ერთად შემოვიდა ოთხი ჩემთვის უცნობი ადამიანი. როგორც შემდეგ უფროსები ყვებოდნენ, ორი მათგანი სახლმართველობიდან იყო – ერთი პოლიციელი და ერთი რუსი სამხედრო პირი, რომლის წოდებაც არ მასხოვს. დედა დაბნეული დარბოდა და თავის ნივთებს ალაგებდა; ფიქრობდა, რომ მის წასაყვანად მოვიდნენ, რასაც 1937 წელს გადაურჩა, როდესაც მამაჩვენი, ილია გორგილაძე დააპატიმრეს.

მამა სამთო ინჟინერი იყო. ლენინგრადის სამთო-საინჟინრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1931-1932 წლიდან მუშაობდა ჭიათურაში მადნეულის გამამდიდრებელი ქარხნის დირექტორად. 1937 წელს, როდესაც დააპატიმრეს, დედა მცირებლოვანი ორი ბავშვით გამოიქცა თბილისში, დასთან, მაგრამ სულ დაჭერის შიშვა და მოლოდინში იყო. განსაკუთრებით ეშინოდა KGB-ს თანამშრომლის, ვინმე მალოიანის, რომელიც გვერდით სადარბაზოში ცხოვრობდა. დედასგან სულ გვესმოდა: „აი, გაიარა ჩვენს ფანჯრებთან და აქეთ იყურება, მამოწმებს ვარ თუ არა სახლში...“ ამ გამუდმებულ სტრესს სამსახურში მისი მისამართით არცთუ იშვიათად გაგონილი „მავნებლის ცოლის“ სახელიც ემატებოდა. მაგრამ ეს სახელიც არ აკმარეს და 1951 წლის 25 დეკემბერს სამხრეთ ყაზახეთში, ყიზილყუმის უდაბნოში გადასახლეს დედასთან, დასთან, ძმასთან და შვილებთან ერთად. 1956 წელს, გადასახლებიდან ჩამოსულს, კიდევ ერთი დარტყმა ელოდა: გამოიძახეს და გადასცეს ცნობა მეუღლის დახვრეტისა და რეაბილიტაციის შესახებ. მანამდე პანია

იმედი მაინც ჰქონდა, რომ მისი ილუშა (ასე ეძახდნენ მამას) სადღაც იყო, ცოცხალი.

ოთახში შემოჭრილებიდან რუსმა სამხედრომ დაიწყო ჩვენი გვარების ამოკითხვა:

გულნარა ულენტი – ბებია

ევგენია კალანდაძე – დეიდა

გრიგოლ კალანდაძე – ბიძა

ქეთევან კალანდაძე – დედა

გულნაზი გორგილაძე და გივი გორგილაძე.

უკანასკნელ ორ გვარზე შეჩერდა და იკითხა: „Кто они такие?“ „ჩემი შვილებია,“ უპასუხა დედამ. „Но причем они?“ – ჩაილაპარაკა თავისთვის, მერე დედას მიუბრუნდა და უთხრა: „ყველანი მოემზადეთ წასასვლელად. ადგილზე რომ მიხვალთ, იქ გაგარკვევენ, რისთვის გადაგასახლეს.“ მერე შესთავაზა ბავშვების, ანუ ჩვენი, მეზობლებთან დატოვება, მაგრამ ამაზე დედისგან მტკიცე უარი მიიღო. მხოლოდ ერთი საათი მოგვცეს მოსამზადებლად. ბებიას გამომცხვარი საშობაო ღვეზელების შეჭმა ვეღარ მოვასწარით.

გარეთ გამოგვიყვანეს და გზას საბარგო მანქანით გაგვიყენეს. ჩვენი ძალლი, „ბობიკა“ საკმაოდ დიდ მანძილზე ყოფა-ყოფით მოგვდევდა. თენდებოდა. მელიქიშვილზე რომ ამოვუხვიეთ, ვხედავთ, შანიძის (ყოფილი კალანდაძის) ქუჩიდან ჩამოდიან ასეთივე საბარგო მანქანები, ძარაზე ჩვენაირად მსხდომი ადამიანებით. მიგვიყვანეს ნავთლულის სადგურში. ბაქნის ორივე მხარეს საქონლის გადასაყვანი, დახურული ვაგონების (товарный вагон) ეშელონები იყო ჩამომდგარი. რომ გამოგვიყვანეს, ბიძაჩემი სახლში არ იმყოფებოდა. ორი დღე რომ არ გამოჩენილიყო, გადარჩებოდა კიდევ ერთ გადასახლებას (1937 წლის რეპრესიების დროს, ციმბირში იყო გადასახლებული როგორც ხალხის მტრის ძმა და თანამოაზრე), მაგრამ საღამოს საკუთარი ფეხით მოვიდა ნავთლულში, სადაც ჯერ კიდევ გრძელდებოდა ეშელონების ხალხით „დატვირთვა“. „ქალებს და ბავშვებს როგორ მივატოვებდი, მე ხომ გამოცდილი მაქვს გადასახლება!“ – უთქვამს ბიძაჩემს ჩემი დეიდაშვილისთვის.

სადგურზე უამრავი ხალხი ირეოდა. იყო გადაძახილები, ხმამაღლა ყვიროდნენ ახლობლების სახელებს, გვაწვდიდნენ ფულს, სანოვაგეს, თბილ ტანსაცმელს, ვაგონებთან ახლოს არავის უშვებდნენ. საბარგო მანქანები ეშელონების წინ იდგა. ჩვენს უკანა მანქანაში დედას ნათესავი და მეგობარი, ნატალია ჟლენტი იჯდა თავის ვაჟთან, თენგიზთან ერთად. მეორე მხრიდან, მანქანის კაბინიდან ვიღაცამ რამდენჯერ-მე დაიძახა: „ჩიტო!“. ეს ევგენი მიქელაძის და, თამარი იყო. ზევით, ძარაზე კი თინა და ვახტანგ მიქელაძეები ისხდნენ. იმავე მხრიდან გაისმა შეძახილი: „ევგენია, ეს მე ვარ!“ – ეს იყო ირინა, ლალი მიქელაძის დედა, რომელიც დედამისთან და ლალისთან ერთად მანქანის ძარაზე იმყოფებოდა.

ჩვენთვის „იქ“ არავის უთქვამს, რისთვის ან ვის გამო გვასახლებდნენ. ჩვენი გადასახლების ორგანიზატორები ღია „ვილისით“ ხშირ-ხშირად აუვლ-ჩაუვლიდნენ ხოლმე ჩამწკრივებული საბარგო მანქანების რიგს, მაგრამ მათთვის კითხვის დასმას აზრი არ ჰქონდა. როგორც მერე გავიგეთ, მოგვიანებით ეს ხალხიც გაასამართლეს და უმრავლესობა დახვრიტეს.

ჩვენს ეშელონში ცოლ-ქმარი ცინცაძეები იყვნენ, ჩვილი ბავშვით. მახსოვს, მატარებელი რომ დაიძრა, ბავშვი სრულიად უცხო პიროვნებებს გადასცეს ბარათთან ერთად და მათ ნათესავებთან მიყვანა სთხოვეს. ეს ყველაფერი ძალზე მძიმე საყურებელი იყო.

ვაგონში ოთხი ოჯახი ვიყავით: ჩვენ, ჩვენი ნათესავი ნატალია ჟლენტი, ერთი სომხური ოჯახი და, სამწუხაროდ, მეოთხე აღარ მახსოვს, ვინ. აუტანელ პირობებში ვიმყოფებოდით. ტუალეტზე და გათბობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. როგორც კი მატარებელი გაჩერდებოდა ხოლმე, ბიძაჩემი სასწრაფოდ ჩადიოდა, ამოჰქონდა ძველი შპალები და ტოტები და ცეცხლს ანთებდა იქვე, მისივე მოწყობილ, ბუხრისმაგვარ კუთხეში. საწოლებად გაწყობილ უხეშ ფიც-რებზე (нары) მხოლოდ პირიზონტალურ მდგომარეობაში შეგვეძლო წოლა – ვერც ვიმართებოდით, ვერც ვბრუნდებოდით. მატარებელი მიქროდა და საით, არ ვიცოდით, ვერც

გარეთ ვიხედებოდით, რადგან ვაგონები უფანჯრო იყო. ჩერდებოდა მხოლოდ შემხვედრი მატარებლის მოლოდინში. კარს საჭიროების შემთხვევაში აღებდნენ; მამაკაცები დაიყვირებდნენ: „ქალები და ბავშვები ჩადით!“, თავად კი ზურგშექცევით დგებოდნენ. ვაგონში ავიდოდით და ახლა მამაკაცები რჩებოდნენ ქვევით, რასაც მალევე მოჰყვებოდა ზედამხედველთა შეძახილები: „По вагонам!“

ჩვენი მგზავრობის 2-3 დღე იქნებოდა გასული, რომ უცებ დეიდაჩემა წამოიძახა: „ჩვენ შემოვუარეთ კასპიის ზღვას, მივყავართ ყაზახეთში, ყიზილ-ყუმის უდაბნოში!“ დეიდა ისტორიკოს-გეოგრაფოსი იყო, თუმცა ამ ვითარებაში ძალზე გამიკვირდა, რომ რუკა აღმოაჩნდა, საიდან – არ ვიცი.

ყარა-ყუმისა და ყიზილ-ყუმის უდაბნოების ათვისება იმ დროს ძალზე აქტუალური იყო. მატარებელი მართლაც ჩრდილოეთ ყაზახთისკენ მიემართებოდა და დროდადრო სადგურებზე გაჩერებასაც მოუხშირა. მახსოვს, აკტიუბინსკში გავჩერდით, რომ სადგურში გვესადილა. ეს პირობითად, თორემ ვერაფერს ვჭამდით, საშინელი ყინვა იყო. ჩემმა ოჯახმა ბევრი ნაცნობი ნახა. დედა მარგო მუჯირს შეხვდა, რომელიც ჩვენების მსგავსად, ძმის გამო იყო აქ მოხვედრილი. იმ დღეს გავიცანი მისი შვილი ჯანიკოლორთქიფანიძეც. ახლაც თვალშინ მიდგას მოკლე პალტოში, სიცივისგან აბუზული პატარა. ბავშვი ხომ ყველგან ბავშვია – მაშინვე ვნახეთ გასართობი და ყინულზე სრიალი დავიწყეთ. უფროსები საუბრობდნენ, რა თქმა უნდა, ერთადერთ თემაზე – რა იყო გადასახლების მიზეზი. თანდათან ირკვეოდა, რომ გადასახლებაში თავმოყრილი ვიყავით ისინი, ვისაც ოჯახის ნევრი ჰყავდა ემიგრაციაში და ვინც პირადად იყო ტყვედ ნამყოფი, ასევე იმ ადამიანების მშობლები და დაქმები, ვინც მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა და მერე გერმანიაში დარჩა, ან სხვა ქვეყანაში გადავიდა. 20-30-იან წლებში უცხოეთში გადახვეწილ ემიგრანტთა შორის დედაჩემის ძმა – შალია კალანდაძე იყო, ვისი მიზეზითაც ნახევარზე მეტი ოჯახი ყაზახეთის გზას გაგვიყენეს.

შალია კალანდაძე უურნალისტი, პუბლიცისტი გახლდათ. შალიამ საფრანგეთში, სასწავლებლად წასვლა რომ გადაწყვიტა (უფროსი და, ევგენია დაეხმარა), დედაჩემი 16 წლის იყო.

1952 წლის 7 იანვარს – მართლმადიდებლური შობის დღეს – ჩვენი მატარებელი გაჩერდა, ვაგონების კარები გაიღო და ჩვენ შეიარაღებული ადამიანების წინაშე აღმოვჩნდით. როგორც მერე გაირკვა, მათ ინფორმაცია ჰქონდათ, რომ ჩამოჰყავდათ საშიში დამნაშავე მამაკაცები. მაგრამ როდესაც ერთი-ორი მამაკაცის ტყვეობიდან დაბრუნებული და ემიგრანტი გვერდით ამდენი ქალი და ბავშვი დაინახეს, ცოტა არ იყოს, დაბნეულბმა დაგვიწყეს ყურება. თოვლისა და ყინვაში ჩვენ ღია მანქანებში ჩაგვსვეს და ისევ რამდენიმესაათიან გზას გაგვიყენეს. მე და ჩემს ძმას გვეძინა. უცებ მანქანა გაჩერდა და გამეღვიძია. როგორც მერე დედამ მითხრა, ბერძენი კაცი, რომელმაც იცოდა, სად უნდა მივეყვანეთ, მძღოლს მიუჯდა.

ჩვენ მიწისზედა სახლში (ამას ხაზს ვუსვამ, რადგანაც მეტწილად მიწურები იყო „საცხოვრებლად“ გამოყოფილი) აღმოვჩნდით. ყველანი ძირს, რომ იტყვიან, დავეყარეთ და ჩაგვეძინა. როდესაც გავიღვიძეთ, ყველას გვეგონა, რომ მიწისძვრა მოხდა. თუმც ეს მხოლოდ მატარებლიდან გამოყოლილი რყევის შეგრძნება იყო.

ასე აღმოვჩნდით ყიზილ-ყუმის უდაბნოში. ჩასვლიდან მეორე დღეს სპეცკომენდანტურაში დაგვიბარეს. უფროსებს წინ დაუდეს ორი დაბეჭდილი ქალალდი და „სამუდამო გადასახლებაზე“ ხელის მოწერა უბრძანეს. წინააღმდეგობის განევას აზრი არ ჰქონდა. გაპარვის შემთხვევაში სასჯელი 25 წლიანი კატორლა იყო.

ჩვენს ახალ საცხოვრებელ ადგილს „პირველი მაისის კოლმეურნეობა“ (колхоз «Первое Мая») ერქვა. დღემდე არ ვიცი, რა მასალით იყო აშენებული სახლი, რომელშიც გაგვამწესეს. ორი ოთახი მოგვცეს, სადაც ორი ოჯახი ვცხოვრობდით – ჩვენ და ნატალია უღენტი თავის შვილთან, თენგიზთან ერთად. სულ ცხრა სული ვიყავით. იმ უცნობმა

ბერძნება საწვავად ბამბის ლერები და ცოტა სანოვაგე მოგვიტანა. მე, ჩემი ძმა გივი და თენგიზი უფროსების გარეშე შევუდექით ადგილმდებარეობის შესწავლას. იქვე ერთი მიწური იყო, პატარა სარკმლით. შევიხედეთ, მაგრამ არავინ დაგვხვდა. საღამოს ამ მიწურში დაბრუნდა ყაზახი ქალი პატარა ბიჭით. ჩვენ წინ სარწყავი არხი გადიოდა, რომლის წყალი სასმელადაც უნდა გამოგვეყენებინა, თუმცა წყალს მხოლოდ ბამბის მორწყვისას უშვებდნენ. ამიტომ, ფაქტობრივად, უწყლოდ ვიყავით. ჩვენგან 8 კმ-ის მოშორებით ერთი გუბურა იყო, საიდანაც ბიძაჩემს მოჰქონდა მღვრიე, ჭიებით სავსე წყალი, რომელსაც რამდენჯერმე ვადულებდით. მოგვიანებით დაიწყეს შაბის, მარლის ქსოვილის გამოგზავნა. ანადუღარში ჯერ შაბს ჩავყრიდით ხოლმე და როცა წყალი დაწყდებოდა, ვწურავდით მას და ამის მერე ვადულებდით. ეს ჯოჯოხეთური შრომა იყო.

ნელ-ნელა გავიცანით ჩვენ გარშემო, მიწურებში მცხოვრები გადასახლებული ოჯახები. „კოლხოზის“ ცენტრში ფოსტაც იყო, როგორც დიდების, ისე ბავშვების თავშეყრის აგილი. სამი კვირის შემდეგ წერილები და ამანათები მივიღეთ. მასს პირველად, ვგონებ, ჩვენ მივიღეთ ყველაზე მეტი, 7 ამანათი. თბილისში ჩვენი უახლოესი ნათესავებიდან დარჩა ბებია, ბიძა მამის მხრიდან და დედის მხრიდან – ბიძა და დეიდა. ისინი გვიგზავნიდნენ ტანსაცმელს, არამაღუჭუჭებად საწვავაგესა და ფულს. ვისენებ, როგორ ერთიანი ვიყავით, როგორ ვეხმარებოდით ერთმანეთს, როგორ ვიყოფდით ყველაფერს, რასაც საქართველოდან აგზავნიდნენ.

დასახლებას სარწყავი არხი მარცხენა და მარჯვენა ნაწილად ყოფდა. ჩვენ, რაზმაძე, ჩხატარაიშვილები, ვარაზაშვილები, ბარამიძეები და კიდევ სხვები, „პირველი მაისის კოლმეურნეობაში“ ვიყავით. ჩვენთან ერთად იყო ასევე კოლია ჯანდიერი – ქირურგი, რომელიც ტყვედ ჩავარდა და პარიზში გადავიდა. იქ ცნობილი ექიმის სახელი ჰქონდა. მასს ძალზე ბევრს ეწეოდა, თითები სულ გაშავებული ჰქონდა თამბაქოსგან და ხშირადაც ახველებდა. არაჩვეუ-

ლებრივი გარეგნობის კაცი იყო კოლია ჯანდიერი. მისი ცოლ-შვილიც იქ იყო – დეიდა მარო და ქალ-ვაჟი. გოგონას სახელი აღარ მახსოვს, ვაჟს კი აჩიკო ერქვა. თბილისში რომ ჩამოვედით, ვმეგობრობდით. ისიც ექიმი იყო. სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა.

მახსოვს, ერთხელ, კოლია მოვიდა ჩვენთან და დედას უთხრა: „რა ვქნა, ჩიტო, უნდა წავიდე, სხვა გზა არა მაქვს, ოჯახი ხომ უნდა ვარჩინო?“ მართლაც საშინელ ადგილას იყო, ჩვენგან ბევრად შორს. დედაჩემს სწერდა, თუ რა გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდა, როგორ ჩამოდიოდნენ სახურავიდან ქვეწარმავლები და სხვ.

არხის მეორე მხარეს ნორა ძნელაძე-თაყაიშვილი სახლობდა. თაყაიშვილი და ალექსანდრე ჯორბენაძე საფრანგეთიდან ჩამოსული ემიგრანტები იყვნენ. მახსოვს, ბებიას უთხრეს: თქვენმა ვაჟმა, შალიამ გვითხრა, სად მიდიბართ, ციმბირი გინდათო?

დეიდა ნორა ახალი გათხოვილი იყო, რომ გადმოასახეს. მისი შვილი დათუნა ერთი წლისა იქ შესრულდა. ერთხელაც დათუნა ძალზე მძიმედ გახდა ავად. დედაჩემი პედიატრი იყო, კერძოდ ფთიზიატრი და მკურნალობითა და დიდი ძალისხმევით დათუნა თაყაიშვილი ძლივს გადაარჩინა. ერთხელაც, დეიდა ნორას განწირული ყვირილი შემოგვესმა. თურმე ჩვენთან მოდიოდა, არხით გადმოსვლა გადაუწყვეტია, რადგან წყალი არ იყო გამოშვებული და ხელში ატატებული დათუნათი თხრილში ჩავარდნილა. ძლივს ამოვიდნენ. დეიდა ნორა ძალზე შეშინებული იყო და წამდაუწუმ უმეორებდა დედაჩემს: „ჩიტო, არ დამიმალო, დათუნას ხომ არაფერი დაუზიანდა“.

უფროსები ყოველდღე იკრიბებოდნენ ფოსტაში, საუბრობდნენ, იხსენებდნენ თბილისში დარჩენილ მეგობრებს. ჩვენ, ბავშვები უდაბნოში დავდიოდით. ყაზახ გოგო-ბიჭებს ჩვენი აღარ ეშინოდათ. რამდენიმე ბერძენი მეგობარიც გავიჩინეთ. ჩვენს შემდეგ, რამდენიმე დღეში, ბელორუსები ჩამოასახლეს. ისინი საზღვარზე ცხოვრობდნენ. ჩამოიტანეს თაფლი, რომელსაც თბილისიდან გამოგზავნილი ფულით

ვყიდულობდით. კვირაობით იმართებოდა ბაზარი – ნამდვილი აღმოსავლური ბაზარი. ყაზახებს სანოვაგე მოპქონდათ აქლემებით, ვირებით. გამყიდველები იყვნენ ბერძნებიც; მათ უკვე ჰქონდათ თავიანთი მეურნეობა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ადრე ჩასულმა ბერძნებმა გადაგვარჩინეს. ისინი ძირითადად სოხუმელი ბერძნები იყვნენ. მახსოვს, როგორ წყევლიდნენ მგელაძეს, რომელიც მაშინ სოხუმში კომპარტიის მდივანი იყო.

იქ იყვნენ, აგრეთვე, გერმანელები, უკრაინელები, თათრები, აისორები, რუსები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო დასახლდნენ იმ მხარეში და უკვე შეგუებულები იყვნენ იქაურობას.

ჩვენ, ბავშვები ისე მწვავედ ვერ აღვიქვამდით უდაბნოში ცხოვრების მძიმე, აუტანელ პირობებს, როგორც ჩვენი მშობლები. დედა ჩვენ გამო ძალზე განიცდიდა; ერთი პერიოდი დეპრესიაც მოეძალა, მაგრამ ჩემი ძმის ავადმყოფობამ და კითხვამ: „დედა, ხომ არ მოვკვდები?“ სრულიად გამოაფხიზლა, რის გაკორებაც იმ პირობებში შეიძლებოდა, ყველაფერი გააკეთა, უმკურნალა და ჩემი ძმა ფეხზე დააყენა.

დედაჩემი, ჩიტო კალანდაძე თბილისშიც ცნობილი ბავშვთა ექიმი იყო, ყაზახეთში კი პატერებსაც მკურნალობდა და დიდებსაც. ყველას მისი იმედი ჰქონდა. ერთხელ ავადმყოფთან დაუძახეს, არხის მეორე მხარეს, სადაც შემზარავი სურათი დახვდა: საწოლში დედა-შვილი იწვა. დედა გარდაცვლილიყო, ბავშვი ცოცხალი იყო, თუმც სერიოზულ სამედიცინო დახმარებას საჭიროებდა. დედამ ყველა ღონე იხმარა და პატარა გადარჩა. იქ ყველანი ერთმანეთს ვედექით მხარში, ვეხმარებოდით მატერიალურად და მორალურად. „კოლხოზ პერვოე მაიაში“ 4-5 თვე დავყავით.

ერთხელაც გავიგეთ, რომ თბილისიდან კოკოშა ჩხატარაიშვილი ჩამოვიდა, თავის ოჯახს ეძებდა. ახლაც თვალწინ მიდგას ულამაზესი მამაკაცი შლაპით, გადასახლებული ქართველებით გარშემორტყმული. დიდი ხნის აუტანელი ძებნის მერე, როგორც იქნა, თავისიანები იპოვა – დედა, მეუღლე ნორა და შვილები: მარინა და თემური. ისინი ჩვენ-

გან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ „სოვხოზში“, „30 ლეტ ოკტიაბრია“-ში იყვნენ, სადაც მერე ჩვენც გადავედით. აქ ცხოვრობდნენ ცოტა უფრო ადრე გადასახლებული, იმ პირობებს უკვე შეგუებული რუსები, გერმანელები, უკრაინელები, თათრები, რომლებსაც შედარებით უკეთესი პირობები ჰქონდათ: პატარა კოტეჯები, სკოლის შენობა. თუმცა სკოლაში არავინ იყო, რადგანაც ყველა ბამბის საკრეფად ჰყავდათ გაყვანილი. სწორედ ამ სკოლის შენობაში მოვთავსდით 30 ოჯახი. ერთმანეთის გვერდიგვერდ ვიწექით. მცირე უთანხმოებაც კი არ მოგვსვლია. კაცი ერთ ხმამაღალ სიტყვასაც ვერ გაიგონებდა, ის კი არა, ღამით ხვრინვაც კი არ ისმოდა. ყველა ბატივს სცემდა ერთმანეთს. ასე ვცხოვრობდით სკოლის დერეფანში ორი თვე. მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ როგორმე შეემსუბუქებინათ ჩვენი ცხოვრება. ველოსიპედებიც კი შეგვიძინეს.

სექტემბერში სწავლა იწყებოდა და სკოლის შენობაში ველარ გავჩერდებოდით. რამდენიმე კოტეჯი თავისუფალი იყო და ერთ-ერთში სამი ოჯახი დავსახლდით: ჩვენ – კალანდაძეები, დეიდა ლუსია და მისი ქალიშვილი ქეთინო ბახტაძე და მუსიკის მასწავლებელი ნატალია ამბოკაძე. ჩვენი კოტეჯის მეორე ნაწილში ვარაზაშვილების ოჯახი ცხოვრობდა.

ჩვენს მხარეს სულ ორი ოთახი იყო. ამიტომაც ბახტაძეები და ქალბატონი ნატალია ერთ ოთახში მოთავსდნენ, ჩვენ – ბებია, დედა, დეიდა, მე და ჩემი ძმა გივი – მეორეში. ბიძაჩემი ძველ ადგილას დარჩა, სადაც, მოგვიანებით, თავის მომავალ მეუღლეს, გუგული ფეიქრიშვილს შესვდა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში ტყვედჩავარდნილი ძმის გამო, დედ-მამასთან ერთად გადმოასახლეს.

„სოვხოზში“ ცხოვრობდნენ ბაბოშკა დადიანი და მისი შვილები: თათული და გიორგი მასხარაშვილები, კოკოშა ჩხატარაიშვილი ოჯახით, რუსიკ რაზმაძე დედით, ნორა ძნელაძე-თაყაიშვილი, ბარამ ბარამიძე, ბერეჟიანები, ტარიელ ძნელაძე დედით და მამით, გურამ გაბაშვილი – ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი. ყველა აქ ვიმყოფებოდით შვილის, ძმის, ტყვედ ჩავარდნილი მეუღლეების გამო. იყვ-

ნენ, ასევე, უცხოეთიდან ჩამოსული ემიგრანტები. იქ ყოფნას ერთმანეთის დახმარება და გატანა დიდად გვიადვილებდა.

ერთ დღეს დეიდა მარგო ცქიტიშვილი-ვარაზაშვილი გვეუბნება: „მოდით, საზამთრო დავთესოთ“! დიდი და პატარა – ყველანი ვლებულობდით მონაწილეობას თესვაში. ვის ჯოხი გვეკავა ხელში, ვის – ბარი. დეიდა მარგო შეთაურობდა და გვითითებდა, ვის რა უნდა გვეკეთებინა. სახლთან ახლოს არხი გადიოდა და ეს წყალი ნათესის მოსარწყავად უნდა გამოგვეყენებინა. საღამოობით ვრწყავდით. ბავშვები ერთობ ვხალისობდით ამ საქმიანობით. ზოგჯერ ვინმე არხში ჩავარდებოდა და ფეხშიშველები და ტალახში ამოსვრილები, სიცილითა და ურიამულით ვიკლებდით იქაურობას, ვითომ ერთმანეთს ვაბრალებდით – არა შენ მკარი ხელი, არა შენო. უფროსები გვიყურებდნენ და ჩვენი სიცილით გახარებულებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს – „როგორ ეგუება ადამიანი ყველაფერს“.

სექტემბერში სკოლაში წავედით. ჩემს კლასში 12-14 მოსწავლე იყო. აქედან 5 ქართველი – 3 გოგო და 2 ბიჭი (ერთ-ერთი იყო თამარ ივერის ბიძა). კლასში იყვნენ: სომები, თათარი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, ყაზახი, ბერძენი, გერმანელი მოსწავლეები. ძალიან მეგობრულად ვიყავით ერთმანეთთან. საღამოობით ხშირად ვიკრიბებოდით ვალია მასკალენკოსთან. მისი ოჯახი უკვე რამდენიმე წელი ცხოვრობდა იქ. ვალიას ფილტვების პრობლემა ჰქონდა და მისთვის იქაური ცხელი და მშრალი ჰავა იყო საჭირო. მასკალენკოებს უკვე თავისი მეურნეობა ჰქონდათ და დედა ხშირად ყიდულობდა მათგან ხილს ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც.

ვალიას პატეფონი და ფირფიტები ჰქონდა, რაც მასთან თავშეყრას კიდევ უფრო გვიხალისებდა; ვუსმენდით სიმღერებს, ვცეკვავდით. ხშირად ვთამაშობდით სპირიტიზმს: გადაბრუნებული თეფშის გარშემო რუსული ასოები და ციფრები ეწერა. „ვიძახებდით სულებს“ და ველოდით, როდის ამოძრავდებოდა თეფში. ხანდახან ამ თეფშს ცოტას ჩვენც წავეხმარებოდით ხოლმე და მერე ინტერესით ვადევნებ-

დით თვალს. ბევრჯერ „გამოგვიძახია“ მაგ. პუშკინის სული. კითხვა მეტწილად იყო ასეთი: „Дух Пушкина, приди ко мне и скажи когда я вернусь?“

იმ მხარეში, სადაც ჩვენ დავსახლდით, ძალზე ცხელოდა. 40-43 გრადუს ტემპერატურაზე გარეთ გასვლა, მითუმეტეს ქვეწარმავლებით სავსე ცხელ ქვიშაში სიარული, საკმაოდ სახიფათო იყო. ტილოებს ვასველებდით და ფანჯრებზე ვაკ-რავდით, რომ ოთახში მაინც ყოფილიყო ოდნავი სიგრილე და სინოტივე. სკოლაში არ დავდიოდით. მაგრამ ბამბის მოსავ-ლის აღებისას, ვინდა დაგიდევდათ სიცხეს; ყველა გავყავ-დით ბამბის საკრეფად, თუმცა ჩვენ, ქართველი ბავშვები 1-2 კილო ბამბაზე მეტს ვერ ვკრეფდით. ბევრად ხელგაწაფულე-ბი იყვნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები. ისინი 20-30 კი-ლოგრამს აბარებდნენ და კარგ გასამრჯელოსაც იღებდნენ.

სკოლაში სულ სამი მასწავლებელი გვყავდა: რუსული ენისა და ლიტერატურის, რომელიც სასჯელმოხდილი იყო და, რატომლაც, მარჯვენა ხელს ვერ ხმარობდა; ასევე მათე-მატიკის პედაგოგი, ეროვნებით ბერძენი და სომეხი – ქიმიის მასწავლებელი. ქიმია ჩემი საყვარელი საგანი იყო, თბი-ლისში კარგი პედაგოგი მყავდა და ეს საგანი ძალზე კარ-გად ვიცოდი. ამდენად, ხშირად ვუსწორებდი ხოლმე იქაურ პედაგოგს, როდესაც დაფაზე ფორმულებს წერდა. ჩემი თა-ნაკლასელი კლარა კი მათემატიკაში იყო ძლიერი და ხში-რად ეკამათებოდა ხოლმე ამ საგნის მასწავლებელს.

ჩემი კლასელები სკოლაში ველოსიპედით მოდიოდნენ მეზობელი კოლმეურნეობებიდან. მეც მქონდა ველოსიპედი და გაკვეთილების შემდეგ ბავშვები ხშირად ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. ზოგჯერ ბიჭებსაც კი ვუსწრებდი ხოლმე.

კვირაობით, დიდ ბაზრობაზე ბავშვებს ძალიან გვიყ-ვარდა წასვლა. ეს იყო აღმოსავლური ბაზარი თავისი მრავალფეროვნებითა და ხმაურით. ბერძნები ბოსტნეულს ჰყიდდნენ, ყაზახებს, უმეტესად, გამხმარი ხილი გამოჰქონ-დათ – გარგრისა და ნესვის ჩირი. აქაური საზამთრო და ნესვი განსაკუთრებით ტკბილი და არომატული იყო. ჩვენი მეგობრის მამა მარწყვითა და თითისხელა მარცვლებიანი

ყურძნით ვაჭრობდა. თაფლს ბელორუსები ჰყიდდნენ. ხორცი ძირითადად ცხენისა იყო, რასაც ჩვენ არ ვჭამდით.

კიროვის „სოვეოზის” ცენტრში მარგო მუჯირი და მისი შვილი, ჯანიკო ლორთქიფანიძე, დეიდა ანო და მისი შვილი რუდიკა შარაბიძე, ასევე ექიმი აჩიკო პატარიძე ცხოვრობდნენ. მათთან წაიყვანა დედამ ჩემი ძმა, როდესაც ის ავად გახდა და ერთობლივი ძალებით დააყენეს ფეხზე.

არდადეგებზე მე, ჯანიკო, ვანიკო ვარაზაშვილი და ჯეკო ვარაზაშვილი ტაშკენტში წავედით. ერთ შძლოლს მოველაპარაკეთ, ფული გადავუხადეთ და საზღვარზე გადასვლა ვთხოვთ. ტაშკენტში რამდენიმე დღე დავყავით. დავდიოდით ქალაქში და მე და ჯანიკო ოპერის თეატრშიც კი წავედით. უკან დაბრუნება აღარ მინდოდა. გადავწყვიტე, დედასთან წავსულიყავი თურქესტანში, მაგრამ მას ალალბედზე თუ მივაგნებდი, რადგან მისამართი არ ვიცოდი. მე და ჯანიკომ ვიყიდეთ ბილეთი, მაგრამ ვაგონში ჩემი ადგილი დაკავებული დამხვდა და ტირილი დავიწყე. ჯანიკო მამშვიდებდა, ბოლოს მოაგვარა საქმე და ადგილი მომცეს. სამწუხაროდ, ადრე დავკარგეთ ჯანიკო, ასეთი კეთილშობილი მეგობარი. იგი პოლიარტირიტით დაავადდა, რამაც გულზე გართულება გამოიწვია და 40 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თურქესტანში დილით ჩავედი. სადგურიდან ქალაქში გავედი და არ ვიცოდი, საით წავსულიყავი, როგორ გამეგო დედაჩემის მისამართი. ამ დროს ვხედავ, ჩემ წინ მდგარ ავტობუსში დედა ზის. თვალებს არ დავუჯერე, დედა, დედას ყვირილით გავიქცი, მეშინოდა ავტობუსი არ დაძრულიყო. მართლაც რომ, საოცარი იყო ეს შეცვედრა. დედა დეიდა თინასთან მიდიოდა და მეც, რა თქმა უნდა, გავყევი. დეიდა თინამ მეჩეთში ამიყვანა ვინრო ასასვლელებით, თან მაფრთხილებდა, ყურადღებით ვყოფილიყავი, რადგან უამრავი ქვენარმავალი იყო ირგვლივ.

დედას სამოთახიანი ბინა ჰქონდა ნაქირავები. სამ ადგილას მუშაობდა და ბევრი ავადმყოფი ჰყავდა, მათ შორის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, რომელიც განი-

კურნა და დედას მადლიერი იყო უზომოდ. ამიტომაც დაგვეხმარა დიდი მონდომებით – გამიკეთა პასპორტი, რომლის მეშვეობით შევძელით ტაშკენტში წასვლა და თბილისში გადმოსაფრენი ბილეთის შეძენა.

ჩვენ მხოლოდ 25 კმ-ის რადიუსში შეგვეძლო მოძრაობა, რაც ართულებდა გადაადგილებას. არადა, ისეთი სპეციალისტები, როგორიც იყო დედაჩემი – ჩიტო კალანდაძე, ან თუნდაც თინა ქარუმიძე – რესტავრატორი, ძალიან სჭირდებოდათ, რადგან 50-იან წლებში ყაზახეთი საკმაოდ ჩამორჩენილი იყო. დეიდაჩემი სხვადასხვა ქალაქს სწერდა ჩვენს სპეციალისტებზე, იქიდან დადებითი პასუხებიც მოდიოდა და ჩვენს ექიმებსა და ინჟინერებს იწვევდნენ, მაგრამ შეზღუდვა არ იძლეოდა სამუშაო პირობების გაუმჯობესების საშუალებას. დეიდა, თინა ქარუმიძე და დედაჩემი თავისი პროფესიით მუშაობდნენ თურქესტანში; ჩვენ „სოვეხოზში“ დავრჩით სკოლის დამთავრებამდე.

1953 წელს გარდაიცვალა სტალინი, ცოტა ხანში მას ბერიაც მიჰყვა. ჩვენი ოჯახების ამწიოკებლები ცოცხლები აღარ იყვნენ და უცხო მიწაზე გადმოსახლებულებს, გვიხაროდა, ვფიქრობდით, რომ ახლა ნამდვილად გვეშველებოდა. თბილისიდანაც იმდინანი და მოლოდინით აღსავს წერილები მოგვდიოდა. გაგვაოცა ერთმა ფაქტმა: როდესაც „სოვეხოზის“ ბოძზე დამონტაჟებულმა რადიომ დიდი ბელადის გარდაცვალება გვაუწყა, კლასში ქვითინი გაისმა. ყველა ტიროდა ჩვენს გარდა, რადგან ჩვენ თავისუფლების შეგრძნებამ ჩვენში ყველაფერს სძლია.

მასონებს, სინჯიკაშვილების ოჯახში მივედით მეორე ეშელონის გადასახლებულები. მანამადე იქ ჯანიკო ყოფილა და ისე ავუწერივარ, რომ დანახვისთანავე მიცნეს, შენ გუქა ხარო, და გადამეცვივნენ. დედაჩემი იქ შეხვდა ხვედრი ინასარიძის (ახლა ის აკადემიკოსია, მათემატიკოსი) დედას და ირინა მიქელაძეს. ხვედრი დედას ავადმყოფი იყო. თბილისში, დედასთან მოსულა, ოჯახთან ერთად, საფრანგეთიდან ჩამოსული ემიგრანტი, ინასარიძე და დედა წაუყვანია მისი შვილის, ხვედრის გასასინჯად; მას ფილტვების პრობლე-

მა ჰქონდა. ამ დროს ნესტიან სარდაფში ცხოვრობდნენ და დედა ძალზე წუხდა მათი საცხოვრებელი პირობების გამო. ინასარიძემ დედაჩემზე დაწერა წიგნი: „საბჭოთა ექიმი“ და შესანიშნავად აღწერა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები. მახსოვს, დედა გულისტკივილით იგონებდა, ერთხელ როგორ მოვიდა მისი მეუღლე და უთხრა: „მოვიდნენ და წაიყვანესო“, მერე კი მეუღლის მხოლოდ ტანსაცმელი დაუბრუნეს...

პარიზიდან დასთან ერთად იყო ჩამოსული ვაჩინაძე, რომლესაც ფრანგი მეუღლე ჰყავდა. განებივრებული ქალბატონი საშინელ მინურში ცხოვრობდა. დეიდაჩემი თბილისში მის დას იცნობდა, მეგობრობდა და მასთან ხშირად დავდიოდით შიო მღვიმელის ქუჩაზე. მახსოვს, ერთხელ კაბა შემიკერა. ბალერინა იყო, თითის წვერებზე დადიოდა. ხშირად მაძლევდა შენიშვნას კარგი გარეგნობის ხარ და ცოტა დახვეწილად იარე, გაიმართე, მოკლე ნაბიჯები გადადგიო. ბოლოს წაიყვანა მისმა ფრანგმა მეუღლემ საფრანგეთში.

ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი გურამი დედასთან, მარი ივანოვნასთან ერთად „სოვხოზში“ ცხოვრობდა და დედაჩემს როგორც კი დაინახავდა, იტყოდა ხოლმე: „გამოჩინდა დედა ტერეზა!“ მართლაც რომ, ყველას ექიმი იყო დედა. თბილისში დაბრუნებულს „იქაური“ მეზობლები და მეგობრები ხშირად აკითხავდნენ, დედა კი სულ ერთსა და იმავეს უმეორებდა, მე აღარ ვარ თქვენი მკურნალი, ბავშვთა ექიმი ვარო. თუმც მათგან დიდ სიყვარულსა და, რაც მთავარია, ნდობას გრძნობდა, როგორც უაღრესად დიდი პროფესიონალის მიმართ. დღესაც, ნათესავები და მეგობრები, როდესაც ავად გაუხდება ვინმე, სინანულით იტყვიან ხოლმე: „ეჺ, სად არის ახლა ჩიტო“...

მე თვითმფრინავით გამომამგზავრეს თბილისში, დედა კი თურქესტანში დაბრუნდა.

თბილისში დარჩენილი ჩემი ბიძა მოსკოვში გადაფრინდა, რათა კრემლის არქივში საბუთები მოექებნათ და ჩვენი საქმის განხილვა დაეჩერებინათ. შემდეგ ის „სოვხოზში“ გაემგზავრა და დანარჩენები – ბებია, დეიდა და ჩემი ძმა დე-

დაჩემთან, თურქესტანში ჩაიყვანა. მე თბილისში ვცხოვრობდი ბებიასთან და ბიძასთან (მამაჩემის ძმასთან).

1954 წლის ნოემბერ-დეკემბერში მთელი ოჯახი საქართველოში დაბრუნდა.

თბილისში რომ დავბრუნდი, „კგბ“-ში დამიბარეს, ინაურთან და რაღაც საბუთზე მომაწერინეს ხელი. ჩვენი ბინა თავისუფალი დამხვდა. მერე შევიტყვე, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში ჩვენს ბინაში ვიღაც პროკურორს, ბიწაძეს უცხოვრია, მაგრამ როცა გაუგია ჩვენი დაბრუნების შესახებ, ბინა მაშინვე გაუთავისუფლებია. ამ მხრივ გაგვიმართლა, რადგან ბევრ დაბრუნებულ ოჯახს სასამართლო პროცესები დასჭირდა საკუთარი ბინების დასაბრუნებლად.

ჩემი ძმა გივი, ჩვენგან განსხვავებით, სულ წიგნებში იყო თავჩარგული. ჩვენ ველოსიპედით დავქროდით, ის კი თავაუღებლად სწავლობდა. მან მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტის გერმანული ენის დაუსწრებელ ფაკულტეტზე ჩააბარა. ჩვენ ორივემ კარგად ვიცოდით გერმანული, რადგან დედა კერძოდ გვამეცადინებდა გერმანელ ქალთან, ფრაუ კორნელია გარალდოვნასთან. მასხოვს, იქ, სკოლაში გეოგრაფიას გვასწავლიდა თათული მასხარაშვილი, ბაბოშკა დადიანის ქალიშვილი. განათლებით ფილოლოგი იყო, მაგრამ იქაურ პირობებში მთავარი იყო სამსახური გეშოვა. პოდა, სკოლაში გივის დაუსვამს მისთვის შეკითხვა, „სევერნოე სიანიე“ – პოლარული ნათება რა არისო. თათულის კი ამაზე პასუხი არ ჰქონდა. არადა გაწილებაც არ უნდოდა და ერთი სული ჰქონდა ზარი დარეკილიყო, რომ სახლში იქნებ სადმე ამოეკითხა და მეორე დღეს გაეცა პასუხი ჩემი ძმისთვის. „გივი ყოველთვის განსაკუთრებით ჭკვიანი და გამორჩეული მოსწავლე იყო“ – ასე ახასიათებს მას თათული მასხარაშვილი.

გივი დღესაც მოქმედი მეცნიერია. ბიოლოგიის პროფესორი, ის მეცნიერებათა აკადემიის წევრია და კოსმოსში სიცოცხლისა და გამრავლების საკითხებზე მუშაობს. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გივი ხელმძღვანელობს ბიოლოგიის ლაბორატორიას, სადაც დაკვირვებას აწარმოებენ კოსმოსიდან დაბრუნებულ ცხო-

ველებზე, კერძოდ, ლოკოვინებზე, რომელთა ვესტიბულა-რული სისტემა ყველაზე ახლოს ყოფილა ადამიანის ვესტი-ბულარულ სისტემასთან. გივი უაღრესად დიდი პატრიოტი და ქართველია. მან საქართველოს დროშა გაგზავნა კოს-მოსში, სადაც ის რამდენიმე თვის მანძილზე ფრიალებდა და კოსმოსის ნებისმიერ მკვლევარს შეეძლო დაენახა პლანეტის სხვადასხვა წერტილიდან.

რამდენიმე წლის წინ გივიმ და მე აღვნიშნეთ დედის და-ბადების 100 წლისთავი, სადაც მოვიწვიეთ ნათესავები და, რა თქმა უნდა, გადასახლების მეგობრები. უფროსი თაობი-დან მხოლოდ თათული მასხარაშვილი შემორჩა, სწორედ ამ შესვედრაზე გვიამბო მან გივის შეკითხვის სასკოლო ის-ტორია. ჩვენი თაობის „ყაზახეთგამოვლილებიც“ – ვანიკო ვარაზაშვილი, ტარიელ ძნელაძე, ბარამ ბარამიძე, თემურ ჩხატარაიშვილი, ყველაზე უმცროსი – დათუნა თაყაიშვი-ლი, თავად ჩვენ – ყველანი ბევრ ისტორიებს ვიხსენებდით იმ შესვედრაზე და გულში სითბო გვეღვრებოდა, რომ ეს მოგო-ნებები მეტწილად ჩვენს საამაყო დედას – ჩიტო კალანდაძეს უკავშირდებოდა.





### ვანო ვარაზაშვილი

1938. 02. 01 – დაიბადა თბილისში.

1945 – სწავლა დაიწყო თბილისის ვაჟთა მე-2 სკოლაში.

1951-1955 – გადაასახლეს სამხრეთ ყაზახეთის ოლქში.

1956 – დაამთავრა თბილისის ვაჟთა 39-ე საშუალო სკოლა.

1956-1961 – სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამშენებლო ფაკულტეტზე.

1955 – დაბრუნდა საქართველოში.

1962-2000 მუშაობდა სხვადასხვა სამშენებლო-საპროექტო დაწესებულებებსა და სახელმწიფო არქივში.

ამჟამად პენსიონერია.

## ყაზახეთის მშიერ სტეპებში

1951 წლის 25 დეკემბერს, საქართველოდან, ბრალდების წაუყენებლად და ქონების კონფისკაციით, ქართველთა სამხრეთ ყაზახეთის ოლქში მასობრივი გადასახლება მოხდა. ჩემი მშობლები – მიხეილ ვარაზაშვილი და მარგალიტა ცქიტიშვილი მხოლოდ ვარაუდობდნენ, რომ პაპაჩემის, ვანო ვარაზაშვილის გამო ვისჯებოდით, ვისაც, როგორც ინჟინერს, გასული საუკუნის 20-იან წლებში ირანში რკინიგზა გაჰყავდა და სამუშაოების დსრულების შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, იქ დარჩა.

გადასახლების ასეთი ვანდალური აქტი, სპარსელების მიერ 400 წლის წინათ ქართველთა აყრისა და ფერეიდანში გადასახლების შემდეგ არ მომხდარა.

ოფიციალურად, საინფორმაციო საშუალებებით, სხვა ხალხების რეპრესიებისგან განსხვავებით (ჩეჩენები, ადილები, ყაბარდოელები), ეს ფაქტი სათანადოდ არ გაშუქებულა. გადასახლებას დაექვემდებარა მთელი ოჯახები – ჩვილების, მოზარდების, მოხუცების ჩათვლით.

არ დარჩა საქართველოში ქალაქი, რაიონი, დაბა თუ სოფელი, ეს უბედურება რომ არ შესებოდა.

გადასახლებულთა რაოდენობა, სავარაუდოდ, 15-25 ათას ადამიანს (ოფიციალურად ეს ინფორმაცია კარგა ხანს არ გახმაურებულა) შეადგენდა.

გადასახლება 1951 წლის 25 დეკემბერს, იმ პერიოდისთვის ჩვეული მაღალი ორგანიზებულობითა და გასაიდუმლოებულად ხდებოდა. დადგენილება ჩვენი გადასახლების თაობაზე, მოლოტოვის ხელმოწერით, 1952 წლის მარტში გამოიცა. ე. ი. გადასახლებიდან თითქმის სამი თვის შემდეგ.

გადასახლებას დაქვემდებარებულ ოჯახებში, დამის 2-3 საათზე შედიოდნენ МГБ-ს, შემდგომში КГБ-სა და კაზაკთა 4-5 კაციანი ჯგუფები საზარელი ბრძანების შესასრულებლად. მოქალაქეებს, ბინების ჩხრეკის შემდეგ, ორი საათი

ეძლეოდათ წასაღებად აუცილებელი ნივთებისა და პროდუქტების (საჭმელი, ტანსაცმელი, ლოგინი) შესაგროვებლად.

ტრანსპორტირება რამდენიმე ეშელონით ხდებოდა, რომლებიც ტვირთების გადამზიდი და ცხოველების გადასაყვანი საბარგო დახურული ვაგონებისგან (теплушка) შედგებოდა. გასათბობად ვაგონებში შეშის ღუმელი იდგა, დასანოლად კი „ნარები“ გამოიყენებოდა. შემადგენლობას იცავდნენ ავტომატებით შეიარაღებული, ჯან-ლონით სავსე ბადრაგები... მგზავრობა ორი კვირა გაგრძელდა. იყო შემთხვევები, როდესაც მატარებელი ორი დღე გაუჩერებლად მიდიოდა. აუტანელი სიცივეების გამო, გაჩერებისას, მცირეოდენ შეშასა და საკვებს, ბალანდას გვაძლევდნენ. ბუნებრივია, იყო ავადმყოფობის შემთხვევები, თუმც „გარედან“ არავისთვის არავითარი დახმარება არ გაუწევიათ. რამდენიმე ფეხშიმეტ ვაგონში იმშობიარა.

ჩვენი ეშელონი სამხრეთ ყაზახეთის ოლქში, სოფელ პახტაში, არალში, ჩვენთვის უჩვეულო 40 გრადუსიან ყინვაში ჩავიდა.

ბრძანების თანახმად, ვაგონებიდან გადმოვედით და ღია საბარგო მანქანების საბარგულებზე განგვათავსეს საცხოვრებელ ადგილებამდე მისასვლელად.

თავდაპირველად ყიზილყუმის რაიონის, პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაგვასახლეს. რამდენიმე ოჯახს გამოგვიყვეს გამოუწვავი აგურით, ალიზით აშენებული სტანდარტული ოროთახიანი სახლი, მიწის იატაკით. როგორც კი დავბინავდით, ხელის მოწერა მოგვთხოვეს სამუდამო გადასახლებაზე.

შემდგომში გაირკვა (მანამდე არავინ არაფერი იცოდა), რომ მატარებლები სამხრეთ ყაზახეთის ოლქის სხვადასხვა რაიონში (კიროვის, ულიანოვსკის, სამარყანდის და სხვ.) ჩავიდნენ. რაიონი, რომელიც კიროვის სახელს ატარებდა, ე. წ. მშიერ ტრამალს (Голодная степь) წარმოადგენდა და საკმაოდ ახლოს, ასე, 30-40 კმ-ში იყო ყიზილყუმის უდაბნოსთან.

ამ უკაცრიელ ადგილებში, თავდაპირველად, 1940-იან წლებში გადასახლებული გერმანელები ჩასახლეს, რომელ-

თა უმრავლესობაც, გაუსაძლისი ცხოვრების პირობების (უბინაობა, სიცივე, სიცხე, შიმშილი) გამო დაიღუპა. მათ შემდეგ, ამ ადგილებში ასევე გადასახლებული ჩეჩინები, ადილელები, ბერძნები ჩაასახლეს.

საქართველოდან გადასახლებულებს ადგილობრივები უკვე ელოდნენ, რადგან სახელმწიფომ კარგა ხნით ადრე დაიწყო მზადება მათ მისაღებად.

ალიზით ნაშენებ სახლებში ათავსებდნენ სამ-ოთხ, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთისთვის სრულიად უცნობ ადამიანებსა და ოჯახებს.

თავდაპირველად გადასახლებულებს, კვებისა და გათბობის მხრივ, ურთულესი პირობები შეექმნათ. გამოსავალს ისინი ადრე ჩასახლებული მოსახლეობიდან დახმარებაში ხედავდნენ, მათგან ყიდულობდნენ კვების პროდუქტებს.

ბერძნებმა, ჩეჩინებმა, ყარაჩალებმა, გერმანელებმა და სხვ. გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი ხალხის გასაჭირი და, უაღრესად რთულ ვითარებაში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარება გაგვინიერება.

განსაკუთრებით მძიმე წყლის პრობლემა აღმოჩნდა. წყალი მოიხმარებოდა მდინარე სირდარიდან გამომავალი ღია არხიდან, რომლის დანიშნულებაც მშენებ ტრამალში ბამბის პლანტაციების სარწყავად გამოყენება იყო.

გარკვეული დროის შემდეგ, რამდენიმე თვეში, ხალხის ყოფა, მატერიალური თვალსაზრისით, ოდნავ გაუმჯობესდა. გზავნილები: ამანათი, ფული, წერილები შეზღუდული არ იყო. ამით სარგებლობდნენ საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები და შეძლებისდაგვარად უმართავდნენ ხელს გასაჭირში ჩავარდნილ ახლობლებს.

დროთა განმავლობაში ხალხი დასაქმდა. ზოგი სპეციალისტი, ზოგი თავისი კვალიფიკაციისთვის სრულიად შეუფერებელი საქმიანობით (ბამბის კრეფა, ხელოსნობა და სხ.). იმხანად ხომ მთავარი ოჯახის წევრებისა და საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა იყო.

იქაურ ბუნებრივ პირობებში (მკაცრი ზამთარი, ცხელი

ზაფხული, უწყლობა, ქვეწარმავალი), დასაქმებისა და სამშობლოდან, ახლობლების მიერ გამოგზავნილი მატერიალური დახმარების მიუხედავად, ასეთი ჯოჯოხეთის გამოვლა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ერთმანეთის მხარში დგომა, ერთმანეთის გამხნევება და ნუგეში.

გადასახლებაში კარგად გამოჩნდა ქართველების დიდი ბუნება. ყველანი ერთმანეთს აიმედებდნენ და, როგორც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ: ჩხატარაიშვილები, გაბაშვილები, კალანდაძეები, თედიაშვილები, ულენტები, ძნელაძეები, დადიანები, ვარაზაშვილები, ბარამიძეები და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ოჯახი.

ბავშვები დავდიოდით „პირველი მაისის კოლმეურნეობის“ არასრულ სკოლაში.

რეპრესირებული ოჯახები გარესამყაროსთან კავშირს გაზეთ „პრავდის“ მეშვეობით ამყარებდნენ, რომლის მისაღებად ფოსტაში გვიხდებოდა წასვლა. ერთ დღეს, სკოლაში მისვლამდე, მამამ ფოსტაში შევლა და გაზეთის წამოლება მთხოვა, რადგან თავად ვერ ახერხებდა იქ წასვლას, რაღაც სასწრაფო საქმე ჰქონდა. ცხადია, მამას თხოვნა შევუსრულე, ფოსტაში წავედი, გაზეთი ავიღე და პირდაპირ სკოლისაკენ მოვკურცხლე. პირველი გაკვეთილი რუსულ ენასა და ლიტერატურაში გვქონდა. საგანს სიმპათიური, ეროვნებით რუსი ქალი გვასწავლიდა. როგორც კი მერხზე კუთვნილი ადგილი დავიკავე, გაზეთი ჩანთიდან ამოვაძვრინე და პირველივე გვერდზე ბერიას სურათი რომ აღმოვაჩინე, ჯალათისადმი დაგროვილმა ზიზღმა და სიძულვილმა ერთბაშად იფეთქა. უმალვე გაზეთის დახევა მომინდა, მაგრამ მამა გამიწყრებოდა. ამიტომ, ავდექი და, იმ კაცის პოტროტრეტს, ვისი დანახვაც, იმხანად, დიდსა თუ პატარას – ყველას შიშის ზარს სცემდა, კალმისტრის წვერით თვალები „დავთხარე“. მასწავლებელი ჩემი საქმიანობით დაინტერესდა, მერხთან უჩუმრად მოვიდა და როგორც კი ამ ჩემი მოღვაწეობის შედეგს თვალი მოჰკრა, დაიხარა, გაზეთი უხმოდ წამართვა, მერე ოთხად მოკეცა და ჩანთაში ჩაიდო. ჯერ გავპრაზდი, მერე კი შიშმა ამიტა-

ნა, რაღაც დიდი, საშინელი სასჯელის მოლოდინმა, რაც, დარწმუნებული ვიყავი, არ ამცდებოდა, სრულიად დამთრგუნა. მასწავლებელმა ჩემი მშობლები მეორე დღეს სკოლაში დაიბარა, რამაც, ცხადია, კიდევ უფრო დამაფრთხო და ამაფორიაქა, ათასგვარმა ფიქრმა ლამის ტვინი გამიბურდა. გაოცებული მშობლები ვერ მიხვდნენ, სახლში გაზეთის გარეშე რატომ დავპრუნდი და მასწავლებელი, ორივეს ერთად, სკოლაში რატომ იბარებდა. ის ლამე თეთრად გავათენე, რა დამაძინებდა...

მეორე დღეს დედა და მამა სკოლაში გამოცხადდნენ ჩემი რუსულის მასწავლებელთან, რომელიც, იმავდროულად, კლასის დამრიგებლის მოვალეობასაც ასრულებდა. მასწავლებელმა ჩემს მშობლებს ჯერ გაზეთის ის გევრდი აჩვენა, რომელსაც ჩემი „ბარბაროსული მოქმედების“ კვალი აშკარად ეტყობოდა, მერე კი დაუბრუნა და თან გააფრთხილა: „ამ ბავშვმა რაიმე ხიფათს არ გადაგყაროთ, მკაცრად მოსთხოვეთ, მეორედ აღარ ჩაიდინოს ასეთი უმსგავსობა“.

დღემდე თვალწინ მიდგას ჩემი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომელმაც, თავისი დიდსულოვნებითა და კეთილშობილებით, მე და ჩემი მშობლები ახალ, შესაძლოა, კიდევ უფრო დიდ განსაცდელს აგვარიდა. ახლალა ვფიქრობ, ეგებ, ის პედაგოგიც უსამართლო რეპრესიის მსხვერპლი იყო და ორმოცდაათიანების იმ მძიმე დღეებსა და წლებს, ჩვენსავით, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების იმედით აგორებდა...

რამდენიმე თვის შემდეგ საცხოვრებლად გადავედით, ასევე, სამხრეთ ყაზახეთის ოლქის კიროვის რაიონის საბჭოთა მეურნეობაში.

წყლის პრობლემა აქაც ძალზე მძიმე იყო. ვსარგებლობდით ისეთივე ლია სარწყავი არხის წყლით.

შემოდგომის პერიოდში, სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით, სარწყავი არხი დიდი ხნით იკეტებოდა და არხის ფსკერზე დარჩენილი გუბეებით გვიწევდა სარგებლობა.

ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენდა პური. პური, ისიც მხოლოდ შავი, ძალზე დაბალი ხარისხის ფქვილისგან

ცხვებოდა, რომელსაც გული არ უშრებოდა. ყოველი გაჭრის შემდეგ დანაზე გამოუმცხვარი პურის თხელი ფენა რჩებოდა, რომლის ჭამაც, თუ ცეცხლზე თავიდან არ გამოაცხობდი, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ბამბის კრეფის სეზონზე ყველა გადასახლებული ვალ-დებული იყო, სამუშაოდ გასულიყო და გარკვეული რაოდენობის ბამბა მოეკრიფა.

ეს ყველაფერი ხდებოდა მზის გულზე, აუტანელ, ორ-მოცგრადუსზე მეტ სიცხეში. ბამბის კრეფის სეზონზე, საკრეფად სკოლის მოსწავლეებიც გავყავდით. ამ დროს სწავლის პროცესი წყდებოდა.

ყველაფერს მეთვალყურეობას უწევდა MGB-ს მეურნეობის კომენდატურა.

ჩასვლისას გაგვაფრთხილეს, რომ უფლება არ გვქონდა, საცხოვრებელ ადგილს ორი კილომეტრით მეტ მანძილზე მოვშორებოდით. დარღვევის შემთხვევაში, 25 წლიანი პატიმრობა გარანტირებული გვქონდა.

1953 წელს სტალინის სიკვდილის შემდეგ გამოიცა ბრძანება, გადასახლებულთა მასობრივ გათავისუფლებაზე.

გათავისუფლებას, თავდაპირველად, გადასახლებულთა გარკვეული ნაწილი დაექვემდებარა. სადგურში ისინი საქართველოში მატარებლით გამოსამგზავრებლად წაიყვანეს.

მაგრამ, სულ მალე, მეორე ბრძანება გამოიცა, რომელიც გვაუწყებდა, რომ გათავისუფლების პროცესი განსაკუთრებულ განკარგულებამდე უნდა შეჩერებულიყო.

გათავისუფლებულთა ნაწილი უკან დააბრუნეს, რაც, დამერწმუნებით, იმ პირველ გადასახლებაზე კიდევ უფრო მტკიცნეული იყო.

ყველას უმძიმესი განცდები დაგვეუფლა: უიმედობა, დეპრესია, სასოწარკვეთა.


ამ პერიოდში ძალზე მძიმედ გავხდი ავად და, რომ არა საქართველოდან მოწოდებული მედიკამენტები, ალბათ სავალალო შედეგი დადგებოდა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ გათავისუფლების პროცესი ხელმეორედ დაიწყო და ეტაპობრივად მიმდინარეობდა.

გადასახლებულთა ნაწილი 1953-1954 წლებში გათავისუფლდა. ჩვენი ოჯახი 1955 წელს დაბრუნდა საქართველოში.

თაობები უფროსების მაგალითზე იზრდებიან. იმ თაობამ, რომლის ძირითადი ასაკი იმხანად 35-40 წელს არ აღემატებოდა, ჩვენ, პატარებს ექსტრემალურ სიტუაციაში გარემოსთან შეგუების, თანაცხოვრებისა და ცხოვრების მძიმეჭაპანის ერთად გაწევის მნიშვნელობა დაგვანახა.

ღმერთმა აცილოს ქართველობას, კიდევ ერთხელ, მსგავსი ტრაგედია, მშობლიურ მიწას ძალით მოწყვეტა და უცხო მიწაზე გადასახლება.



### დათო თაყაიშვილი

1950. 09. 05. – დაიბადა თბილისში;
- 1951-1953 – გადასახლებაში იმყოფებოდა ყაზახეთში;
- 1957-1967 – სწავლობდა თბილისის 53-ე საშუალო სკოლაში;
- 1968-1973 – თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი;
- 1974-1988 – მუშაობდა თბილისის გაფორმების სამსახურში, სამხატვრო ფონდში, მცირე არქიტექტურული ფორმებისა და მხატვრული გაფორმების კომბინატში;
- 1998-1999 – მუშაობდა კომუნალურ სამინისტროსთან არსებულ სამშენებლო სამმართველოს არქიტექტორად;
- 1999 – დღემდე მუშაობს კერძო საპროექტო დაკვეთებზე.

## ბავშვობის სამი წელი ყიზილუუმში

დავიბადე 1950 წლის 9 მაისს. მამა – ალექსანდრე თაყ-აიშვილი 1924-1949 წლებში იმყოფებოდა ემიგრაციაში, საფრანგეთში. ექვთიმე თაყაიშვილის დახმარებით მიიღო მამამ საფრანგეთის ვიზა თურქეთში, სადაც საბჭოთა რე-უიმის გაექცა.

1949 წელს მამა სამშობლოში დაბრუნდა და დედაჩემზე, ნორა ძნელაძეზე იქორნინა. მე 1950 წელს დავიბადე.

ამავე წელს, მამაჩემის ემიგრაციაში ყოფნის გამო, მთე-ლი ოჯახი ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლი-კაში გადავგასახლეს. როგორც მშობლების ნაამბობიდან ვიცი, ყაზახეთში საშინელი პირობები ყოფილა, თითქმის უდაბნოში ვცხოვრობდით, უწყლობის გამო, დედაჩემი, თურმე, წყალს აქლემის ნაფეხურებში აგროვებდა. წვიმის წყალს დაგროვების შემდეგ ადულებდა და ამის მერე ვხმა-რობდით სასმელად.

მამამ მიამბო, რომ ერთხელ, დილით, წვერის გაპარსვის დროს, კარებზე კაკუნი შემოესა. მას უხერხულად უგრძნია თავი, რადგან ბოლომდე გაპარსული არ ყოფილა, მაგრამ კარები მაინც გაულია და დაუნახავს, რომ სტუმრად სახე-დარი სწვევია.

3 წლის შემდეგ მე და დედა გაგვათავისუფლეს. საქარ-თველოში გამოსამგზავრებლად ჩამოვედით ტაშკენტში. დიდი ქალაქი პირველად ვნახე, რადგან ყიზილუუმში მხო-ლოდ მიწურებსა და ერთსართულიან, ალიზით ნაშენებ სახლებს ვხედავდი. ცხადია, კიბეებიც პირველად ვნახე და ბედნიერი, გვიანობამდე კიბეებზე ავდიოდი და ჩამოვდიო-დი. ასევე პირველად ვნახე ონკანი და გაოცებულმა აღმო-ვაჩინე, რომ გახსნისას წყალი მოდიოდა, ხოლო დაკეტვისას – ჩერდებოდა, რამაც ჩემზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა.

ბუნდოვნად მახსოვს, მატარებელში ვზივარ, ფანჯრის მაგიდაზე, დედა იქვე ზის. უცებ მატარებელი დაიძრა, მა-მამ ხელი დაგვიქნია, მე ავტირდი. გვიან გავიგე, მამა მატა-რებელში ვერ ამოვიდოდა, რადგან, ის არ გამოუშვეს. მან ხელით მაჩვენა, თვითმფრინავით გადმოვფრინდებიო. რამ-დენიმე წლის შემდეგ მამა ყაზახეთიდან გამოიქცა და თბი-ლისში ჩამოვიდა.

მამას ნაამბობი მახსენდება, თან წერილების ასლები მა-ქვს ნანახი ექვთიმეს არქივიდან, რასაც მამაჩემი უგზავნიდა ექვთიმეს, სტამბოლიდან პარიზში, ვიზასთან დაკავშირე-ბით. მამას ექვთიმე ლიონში ეპატიუებოდა.

მერე ყაზახეთიდან სთხოვდა მამა ექვთიმეს დახმარებას, რადგან ძალზე მძიმე პირობებში ვიყავით. ექვთიმეს გამოუ-გზავნია ჩვენთვის ამანათი, რომელშიც სხვა რაღაცეებთან ერთად, ჩურჩხელებიც ყოფილა. ჩურჩხელები სიგრძეზე ყო-ფილა გაპობილი ჩეკას მიერ. ჩანს, თაყაიშვილებზე რაღაც კომპრომატებს ეძებდნენ.

მამამ ჩამოსვლის შემდეგ გაიგო, რომ ექვთიმეს შიდა პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მიუხედავად ამისა, ახლობ-ლის დახმარებით, ჩვენთვის ამანათის გამოგზავნა მაინც მოახერხა.


გადასახლებულთა შესვედრა 60 წლის შემდეგ შედგა.

2010 წელს, ჩემი თანამშრომელი შემოვიდა და მთხოვა, მის ახლობელს, ბ-ნ ბარამ ბარამიძეს შევსვედროდი, რომელ-საც ჩემთვის რაღაცის თქმა სურდა. საუბრის შემდეგ ცოტა ხნით გავედი ოთახიდან და როცა შემოვბრუნდი, ბატონი ბარამი მეკითხება: გადასახლებაში ხომ არა ხარ ნამყოფი, ყახაზეთშიო. რა თქმა უნდა, ვუპასუხე. მაშინ მან მითხრა, – ჩვენ ერთად ვიყავით გადასახლებაშიო. შენ, რასაკვირ-ველია, არ გემახსოვრება, რადგან მხოლოდ 1 წლის იყავი, როცა გინახულეო.

მადლობელი ვარ, რომ გამიხსენა ბატონმა ბარამმა და ზოგიერთი რამ მიამბო ჩემი ყაზახური ცხოვრებიდან.

ყიზილყუმის ფოტოჭრონიკა





ბაბო და დიანი მეუღლესთან, ალექსანდრე მასხარაშვილთან და შვილთან,  
გიორგი მასხარაშვილთან ერთად



ნიკოლოზ (კოკოშა) ჩხატარაიშვილი (მარცხნიდან პირველი) შვილებთან, ძმას-  
თან, ძმიშვილთან და ახლობლებთან – ოლდა მდიგანთან, ვენერა ერისთავთან,  
ნადეჟდა ქელბაქიანთან, მაყვალა მელიქაძესთან ერთად



ნიკოლოზ ჩხატარაიშვილი და არქიტექტორი გურამ გაბაშვილი მშენებლობის  
საქმეს წარმატებით უძლვებოდნენ. ქართველების მიერ დაპროექტებული და  
აშენებული კინო-კლუბი



ვანო ვარაზაშვილი და გურამ თედიაშვილი



1952 წლის ივნისი, სამხრეთ კაზახეთი, მე-8 კლასი, ზემოდან მარცხნივ: გივი გორგილაძე, ბარამ ბარამიძე, ნოშრევან ობოლოვოგია, თენგიზ ყანჩელი, ტარიელ ძელაძე, ვანო ვარაზაშვილი, არჩილ ჯანდიერი, ავთანდილ ჯავახიშვილი. ცენტრში, ტყავის ქუდით, სკოლის დირექტორი ესამბაევი



ბარამ ბარამიძის მშობლები – ალექსანდრე ბარამიძე და ლუბა სოხაძე შვილი-შვილთან ერთად



ავთანდილ ჯავახიშვილი, ტარიელ ძნელაძე, თენგიზ ყანჩელი, ვანო ვარაზაშვილი და მაისურაძე



ვარაზაშვილები, კალანდაძეები, გორგილაძეები, ამბოვაძეები, ულენტები, ბახტაძეები, ძნელაძეები, ჩხატარაიშვილები ჭირსა და ლხინში ერთად იყვნენ. ვინძეს ამნათით მშვანილი რომ ჩამოუვიდოდა, თითო ღერს მაინც, ყველას ახვედრებდნენ. საზამთროს მოყვანაც ისნავლეს და დაგემოვნების პროცესი ფირზე აღბეჭდეს




გურამ თედიაშვილი, თენგიზ ყანჩელი, ბარამ ბარამიძე, ტარიელ ძნელაძე,  
გივი გორგილაძე, ვანო ვარაზაშვილი ქართველ გოგონებთან ერთად




მარცხნიდან ქვევით: მარგო ვარაზაშვილი, ჩიტო კალანდაძე, ნატალია ამბოვაძე;  
მარცხნიდან ზევით: გუქა გორგილაძე, მზია კუჭუხიძე, ლალუ (ევგენია) ვალან-  
დაძე, ლუსია ბახტაძე, გულნარა ჟლენტი-კალანდაძე




„პირველი მაისის კოლმეურნების“ ბაზაში: ვანო ვარაზაშვლი, ტარიელ ძე-ლაძე, თენგიზ ყანჩელი, ნოშრევან ობოლგოგია



თიხა-ალიზის მიწურები ქართველებმა ალიზი-აგურით ნაშენები საცხოვრებელი სახლებით ჩაანაცვლეს



ჯეკი ვარაზაშვილი პატარა დათო თაყაიშვილთან ერთად



გივი გორგილაძე დიშვილთან, ქეთევან ხარაბაძესთან ერთად



1951 წელი, ვანიკო ვარაზაშვილი ბავშვობაში ფოტოგრაფიამ გაიტაცა და  
თბილისში მშობლებმა ფოტოაპარატი შეუძინეს, რომლის მნიშვნელობაც  
ყაზახეთში ერთიასად გაიზარდა